

ჯუბა ღებელი

შეძოაჯაძას  
პოეზიას გზაში



თბილისი  
2018

*წიგნს უუძღვრნი შაჰის, ვახუშტის  
(ახლ-აღმსწერს) ვოფრიძის ხსოვნას*

---

---

რედაქტორი  
თამარ შაიშველაშვილი

მხატვარი  
ელენე გამგონიძე

დამკაბადონებელი  
თამარ ტყაბლაძე

ISBN

## „ჩემი მიწის ვაბ ლელთღუნია“...

„შუქს ვერ ავანთებ, როცა სხვები სხედან უპუროდ“  
- ეს მისი ერთ-ერთი ძველი ლექსიდანაა... აქ ქალაქია, სანუთროს ნისლია, დამლელი დღეები და ქარებია... რომლებიც დაძრწიან უმისამართოდ და ადამიანთა სულებს მზეს და სითბოს არ აკარებენ... ქარი, რომელიც სულით ობლობის მისანია ხელისგულისოდენა სამშობლოში, „ფერმიხდილ ფრესკად“ რომ შემოგვრჩენია და პოეტის ცრემლმდინარე სულად რომ ქცეულა... ეული ქარის წერას დამგვანებია მისი სული იქ, სადაც მხოლოდ ლიბომორღვეული იმედი ანათებს...

*„ო, ღმერთო ჩემო, ყველაფერი გაყიდულია,  
ეს ჩემი სულიც დაკოდილი და ჯვარცმულია...  
მე ვარ პოეტი, ჩემი მიწის ვარ ლელთღუნია,  
ვისაც შენი გზით სურდა ევლო და ვერ უვლია“...*

ხელისგულისოდენა სამშობლოში, როცა სულ თან გდევს მისი უიღბლობა და ბედისწერა, პოეტი ამ ცის და დედამიწის, ამ სამყაროს მძევალია:

*„სძინავთ ყრუდ კარდელიერებს  
კავკასიონზე უგრძობლად,  
მარადიულად იელვებს  
სამშობლოს უსასრულობა.  
მკლავს სიყვარული, რასაც რომ  
დღემდე ვერაფრით დავჯერდი,  
განმიზომია სამყარო  
ამ მიწის ერთი ნაგლეჯით“.*



და როცა სამყაროს ღერძი აქ, ამ სევდასა და ტკივილზე გადის, სიყვარული ხდება განუზომელი და უსასრულო:

*„შენ პოეტი ხარ და სულ თანა გდევს  
ადამიანთა სევდაც, ტკივილიც,  
გნამს ღმერთი შენი, მაშასადამე,  
გაქვს სიყვარული მარად მისჯილი“ ...*

ამ სიყვარულით თვალებს ახელენ მოსევდისფერო ლექსები, თქვენთვის მოსართმევი - „თქვენთვის სატირალი ცრემლით, თქვენთვის დასაღვრელი სისხლით, მოდის და სიყვარულს ელის“ ...

*„მომავალზე გულში ვფიქრობ,  
დაუნერელ ლექსებს ვფურცლავ,  
რაც დავწერე დღემდე, თითქოს  
ნაულია ცაში უფალს“ ...*

სულში გვირილები ანთებულან - ენა, მამული, სატროს ცრემლები ამ გვირილებიანი მინდვრის სურნელმდინარეა... ეს უფლის მინდორია. „სტრიქონებს – სულის გვირილებს უფლის ნალკოტში ვკრეფდი“ ...

*„ამ მთების წვერზე შემდგარი,  
ღრუბლებსაც მალლით დავყურებ,  
ხელში მიჭირავს შემკრთალი,  
ნისლი - ცის თეთრი საყურე.  
მე აქ ვგრძნობ, ადამიანთა  
შური - მტრობაა უბრალო,  
როცა აქა ვარ, ცისკართან,  
შენთან ახლოს ვარ, უფალო“.*



და როცა ღამის ბინდ-ბუნდი განთიადივით უმისამართოდ მოედინება, „სიკვდილისა და ძველი ცოდვების ისევ აოცებს მზის დაბნელება“, იგი ლექსებში ღამეს ათევს, „დაღლილი სული – შენი მეგზური, სევდად აჩნია მთვარეს ნამნამზე“...

*„ცისა და მინის უღელტეხილზე  
მთვარეულივით უნდა ვიარო  
და თქვენ ტყუილად მობრძანებულხართ,  
სერაფიმებო, სამგლოვიაროდ“...*

„ამ დედამინის ცვრიან მდელოზე“ „ლექსებს ღვინოზე და პურზე ვყიდი, ეს არის ჩემი ცოდვაც და მადლიც“... ეს არის პოეტების ცოდვაც და მადლიც:

*„შემოღობდათ პოეტებს გზაში...  
ღამეს დიღამდე ყანწებით სვამდნენ,  
გამოიხმობდნენ სულეთის ლანდებს  
და თითო ლექსად ყიდიდნენ დარდებს“...*

ეს შემოღობება უბრალო არ არის, პოეტის ჩუმი და იშვიათი, „ღამის ნამზითვი“ ფიქრები „სამოთხის ბაღს მოგატარებთ, შემოგახვევთ შიშველ ტანზე ზეთისხილის აკიდოს“, რათა ჩვენმა ძვლებმა დაინყონ სიცოცხლე... სიცოცხლე, როგორც

*„სიმღერა მიჯნურ ქალ-ვაჟის,  
ხმა მათა, ექო-ბანისა...  
უჟამო ჟამში ლაჟვარდი,  
მბრწყინავი ედელვაისად“.*



უჟამო ჟამში, მწვერვალებსა და ქიუხებშია ჩვენი მარადიული ბავშვობა, მარადიული სოფელი - ლები, მარადიულად დათოვლილი ხარებით და „აკვნის დედა“... აქედან ერთი გადასასვლელია უფლამდე. პოეტისთვის სიცოცხლე და სიკვდილი ერთი განზომილებაა, რომელიც ყაყაჩოებით ანთია. ამიტომაც ჰგვანან სასაფლაოებზე სააღდგომო კვერცხები ყაყაჩოების თბილ და მიუსაფარ სევდას. თითქოს საიმქვეყნო სიო და ვედრება ღალადებს! „ამ დიდ სოფელს ახლა სევდა დამჩნევია, ამ დიდ სოფელს ახლა ჩრდილი დაჰკრავს“... მაგრამ სული მაინც ცას ითხოვს, „თბილ ტალღებში დნება ქარი — დაბნეული მიმოზა“. მყუდროებაში, პოეტის სავანეში შუშდება სულის იარა:

*„მე კი ვინატრებ ლექსით თრობას ჩემს ძველ ქალაქში,  
მაგრამ ცხოვრების წიგნის ბოლო გვერდებს გადაშლის  
მიქელ გაბრიელ... და თავისკენ ჩუმად მომიხმობს,  
უნდა წავიდე და სიკვდილით უნდა მოგხიბლო“...*

მანამდე კი . . . დაღლილმა გულმა ვარსკვლავეთში უნდა იმოგზაუროს და ამ ვარსკვლავთა ერთი მძივი მოჰპაროს ცის კაბადონს... და ეს წიგნიც ხომ ვარსკვლავების სევდიანი მძივია?

**თამარ შაიშმელაშვილი**  
**პოეტი, ჟურნალ „ანეულის“**  
**მთავარი რედაქტორი**

## ჯუბა ღებული - 50

50 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი პოეტი - ჯუბა ღებული. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ჩვენო ჯუბა!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან ქართველ პოეტთა საშუალო თაობის ერთ-ერთ კოლორიტულ წარმომადგენელს და გილოცავენ დაბადების 50 წლისთავს.

თქვენი მწერლური ნათლობა 1983 წელს შედგა, როდესაც გამოაქვეყნეთ ლექსი „სამშობლო“. პირველი ლექსის სათაურმა თქვენთვის სიმბოლური დატვირთვა შეიძინა და მას შემდეგ არც ერთი დღე არ ყოფილა, რომ ეს წმიდათანმიდა ცნება თქვენთვის მეორე პლანზე გადასულიყო და დავინყების ბურუსი გადაჰკვეროდა. ამიტომაცაა საინტერესო თქვენი კრებულები - „ლანდების ლხინი“, „მშვიდობით, ძვირფასო ლედი!“, „სიტყვის სასაფლაოზე“ - ქართველი მკითხველისთვის, რომელმაც იცის ნამდვილი პოეზიის ფასი.

თქვენს ძარღვებში სისხლთან ერთად ხომ პოეზიაც დულს და მოდუნების საშუალებას არ გაძლევთ, არ გასვენებთ. ამის მიზეზია ის, რომ ჩვენი დანავსული ბედშავი საქართველოსთვის აღარავის სცალია მასავით ბედშავი პოეტების გარდა. სამშობლოს ჭეშმარიტი ჭირისუფალი ხართ, მისი დარდისა და სატკივრის თანაზიარი, დახვეწილი ლირიკოსი... არსთა გამრიგეს მხ-



ოლოდ იმას შესთხოვთ, სატრფოს ცრემლივით წმინდა სხივი დაედაროს თქვენს არსებობას...

ჩინებულად თარგმნეთ ალექსანდრ პუშკინის, მიხეილ ლერმონტოვის, ლევ გუმილიოვის პოეზიის ცალკეული ნიმუშები.

საინტერესო ლიტერატურული წერილები მიუძღვე-  
ნით თემურ ჩალაბაშვილის, მზია ხეთაგურის, ეკა ბაქრა-  
ძის, თენგიზ ავსაჯანიშვილის და სხვათა შემოქმედებას.

სხვადასხვა დროს მუშაობდით რესპუბლიკურ  
გაზეთებში, საქართველოს ტელევიზიის ლიტერატურუ-  
ლი პროგრამების რეჟისორად, საქართველოს განათ-  
ლებისა და მეცნიერების სამინისტროში, საქართველოს  
სახალხო ბანკში... არჩეული იყავით ადგილობრივი  
თვითმმართველობის დეპუტატად...

ძვირფასო ჯუბა!

მართლაც რომ იგავმიუწვდომელი სიმდიდრის პა-  
ტრონი ბრძანდებით და ამ სიმდიდრეს კაცთმოყვარეო-  
ბის, თანადგომისა და თანაღმობის ნიჭი ჰქვია, პატიოს-  
ნების ემბაზში რომაა განბანილი.

კიდევ ერთხელ სიყვარულით გილოცავთ საიუბილეო  
თარიღს ჩვენს უღალატო ძმასა და მეგობარს, დიდხანს  
სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალ შემოქმედებით  
წარმატებებს გისურვებთ.

*საქართველოს მწერალთა კავშირი;  
„მწერლის გაზეთი“*

## ავტობიოსგან

პოეტის სულის სანყაოა ლექსი... ლექსია მისი სულიერი მდგომარეობა და განწყობილებათა მთელი სისტემა... ერთმანეთით ცხოვრობენ ისინი - პოეტი ლექსით და ლექსი პოეტით... ერთ ლექსში მიწერია - „ყანებს ჰგავან ლექსები“, და სწორედ რომ ზოგჯერ ყანაში, ხნულში ჩამდგარი ხარის ნაკვალევი სტრიქონი, ზოგჯერ კი მარცვალი, ამ ხნულში ჩაგდებული თესლიდან ლიბო-ძვალზე და სისხლიან ბელტზე ყვავილის კვირტივით რომ ამოიშლება და მზისფერს შეიძენს...

ამ წიგნს მზისფერიც აქვს, ლამისფერიც, ადამიანთა ყოფის ფერიც... ტკივილიცაა, სიხარულიც, აღტაცებაც, იმედიც და იმედგაცრუებაც... სამივე წიგნის წინასიტყვაობაში ვწერ, რა იყო იმ დროისთვის და რა იქნებოდა შემდეგი წიგნის გამოცემამდე, რა შეიცვლებოდა და როგორ ვიქნებოდით... სამწუხაროდ, მხოლოდ ტექნიკური რევიზიებიცაა, გაჭირვებულ კაცთა მდგომარეობას კი საშველი არ უჩანს...

პატრიარქის ხუმრობა მახსენდება (იქნებ მოგონილიცაა ეს ამბავი), როცა უთხრეს - უწმიდესო, შევამჩნიეთ ანგელოსთა დასი მოგყვებოდაო უკან, - იუმორით მიუგო - ამათ კიდე (დაცვისათვის გადაუხედავს) ჰგონიათ, რომ ესენი მიცავენო...

საქართველო დღეს უმეტესწილად ჯარიმებით და გაჭირვებული ემიგრანტების მიერ გამოგზავნილი შემოწირულობების ხარჯზე ცხოვრობს და მავანთა ამა ქვეყნისანთ კი ჰგონიათ, რომ ისინი არჩენენ ერს...



ქვეყანა ბაზრობებად და საცხოვრებელი კედლების სატრაპეზოდ იქცა... თუ ვინმე რამეს ყიდულობს, ისევ უცხოეთიდან გამოგზავნილი თამასუქით და ამ ჯაჭვურ რეაქციაზეა აწყობილი სახელმწიფო...

ასე, რომ ვაშა და დიდება ქართულ ემიგრაციას, რომელსაც ლომის წილი მიუძღვის აღმშენებლობაში...

ჩვენ კი, პოეტები, რომლებსაც აღარც ტრიბუნა გვაქვს, აღარც პატივი და დიდება, ვიფარგლებით მხოლოდ წერით და, რაოდენ სამწუხაროა, რომ მეტი არ „ძალგვიძს“...

9 წლის შემდეგ გამოდის ეს წიგნი და მაინც ვმადლობ უფალს, რომ მომიხერხდა, შევაკონინე და თქვენ წინაშე გამომაქვს, ჩემო მკითხველო, ვინც იცით სიყვარულის, მეგობრობის, ერთგულებისა და სიღარიბის ფასი...

*ჯუბა ლებელი*





## ქ ა რ თ ვ ე ლ ე ბ ი

დამრეცი ფერდობები გვითიბავს,  
ციცაბო კალთები გვიხნავს,  
გვექონია საკუთარი თილისმა,  
არ გავკარებთ ივართ სხვისას...

აყალო მინაში თესლს ვაგდებდით,  
ყამირს ვმარგლავდით და ვმკიდით,  
კლდეებზე მიგვიდგამს ვერანდები,  
ზღვებზე გაგვიდია ხიდი...

გვეძინა ხმალ-ხანჯალ-აბჯრიანებს,  
თვალი არ გვეჭირა მტერზე,  
მრავალ დიდგორზე და ბასიანზე,  
საუკუნეები ვტეხეთ...

ბევრჯერ ლუკმა-პურის უქონელნი,  
ცხრას და ცხრამეტ ქალ-ვაჟს ვზრდიდით,  
მათაც გაპურებდით, სულ რომელნიც,  
ზურგში გვირტყამდით და გვთხრიდით...

ჩვენი პანანინა, გოჯი მინა,  
ისე განვებოდათ ყელში,  
მანც ვერ ძლებოდით იმ მინით და  
მშიერ ძალღებავთ ჰყეფდით...



ჩვენ კი, მუხლმოყრილი ქართველები,  
მამულს ვავედრებით ბეთლემს,  
თქვენგან ნაოხარ ვაზს ვამთელებდით,  
ტაძრებს ვაშენებდით მთებზე...

სისხლიან ფეხებით გვირბენია,  
ისე გვიღენია კალო,  
ასე მოვიტანეთ იბერია,  
ვავსეთ ბეღელი და ხარო...

წმინდა ემბაზიდან ღვინოს ვსვამდით,  
უფალს ვუდგებოდით ფეხზე,  
გვყავდა რუსთველი და ფიროსმანი,  
გვყავდა მოძღვარი და მეფე...

ასე ვცოტნეობთ და ვარაგველობთ,  
გოჯიც არავისი გვმართებს,  
ღმერთო, დამილოცე საქართველო,  
ღმერთო, გაუმარჯვე ქართველს!..







## შემოღამდათ პოეტებს გზაში

შემოღამდათ პოეტებს გზაში...

ქარებს უდაბნოს სევდა მოჰქონდათ,  
ვით მნუხარება ლაშქარს მონღოლთა  
და ლექსებს, თავის ჯვარს და გოლგოთას,  
ეზიდებოდნენ ნვიმაში, ქარში.

შემოღამდათ პოეტებს გზაში...

ღვინის მსმელებს და სიტყვის დარაჯებს,  
უხვად გასცემდნენ, გულით ხარჯავდნენ,  
რაც კი გააჩნდათ, ხოლო დანარჩენს,  
ეძალებოდნენ ლექსებს, ვით ჰაშიმს.

შემოღამდათ პოეტებს გზაში...

ხან ქარი ქროდა, ხან ნვიმა ცრიდა,  
ხან ვარსკვლავები ცვიოდა ციდან  
და სიყვარული სიძულვილს ცვლიდა,  
დაჰქროდა ელვა მჭექქარე მარშით.

შემოღამდათ პოეტებს გზაში...

ღამეს დიღამდე ყანნებით სვამდნენ,  
გამოიხმობდნენ სულეთის ლანდებს  
და თითო ლექსად ყიდიდნენ დარდებს,  
ფეხზე ეკიდათ დარდები მაშინ.



შემოაღამდათ პოეტებს გზაში...

ცის მხურვალეობა მზესავით სწვავდათ  
და ელვარება წამწამთა, წამთა,  
ლექსს აყოლებდნენ ღვინოზე წამლად,  
ხოლო მუსიკად - გალობას შაშვის.

შემოაღამდათ პოეტებს გზაში...

შეჩერებულებს მცხეთას თუ დილომს,  
ათრობდათ ლექსი, ართობდათ ღვინო,  
ახსენდებოდათ არდოტი, ღილლო,  
ადლეგრძელებდნენ შხარას და შატილს...

შემოაღამდათ პოეტებს გზაში...



\* \* \*

ასე ტირიან მერე ნისლებიც,  
როცა მშობლიურ ქედებს ტოვებენ,  
სამშობლოს მხრებით ვერ ვეზიდებით,  
სამშობლო გულით დაგვაქვს პოეტებს...

ყველა სტრიქონში მზე და სისხლია,  
სხეულს სიტყვების მადლით ვმკურნალობ,  
ვინც სიყვარულის ღმერთად მიხილავს,  
ქვეყნად ეს ღმერთიც შენ ხარ, უფალო!

\* \* \*

ოთახში ბნელა, გარეთ ქარია,  
ვთვლი უკვდავებად ქცეულ თარიღებს,  
რა ტყუპებივით მსგავსნი არიან,  
ზოგჯერ - მწერლობა და სიღარიბე!



## მიყვარხარ, ადამიანო!

რაა იების სადარი,  
ველზე რო ამოდიანო,  
ვიცი, რაცა ხარ და მაინც,  
მიყვარხარ, ა დ ა მ ი ა ნ ო!

არა ჰყავთ ჯიხვებს ბადალი,  
ქარაფებს გადადიანო,  
ვიცი, რაცა ხარ და მაინც,  
მიყვარხარ, ა დ ა მ ი ა ნ ო!

წვიმა წამოვა მაღლა ცით,  
ძირს ჩანჩქერები დიანო,  
ვიცი, რაცა ხარ და მაინც,  
მიყვარხარ, ა დ ა მ ი ა ნ ო!

განა სიყვარულს გამადლი,  
განა იმისთვის ვხმიანობ,  
ვიცი, რაცა ხარ და მაინც,  
მიყვარხარ, ა დ ა მ ი ა ნ ო!

ვისა აქვს ვალი მოხდილი,  
ვინ ვაქო, გავადიადო?!.  
უცოდველიც და ცოდვილიც,  
მიყვარხარ, ა დ ა მ ი ა ნ ო!

## ქრისტიანი ლექსი

აქეთ გაიხედავ - ტაძარია,  
იქით გაიხედავ - სალოცავი,  
მინაც ისეთივე ნატანჯია,  
ჩემი საქართველოს ცა რომ არის...

სადაც გაიხედავ, ყველა მხრიდან  
ჯვარი შემოგვცქერის, დრო მრისხანებს,  
ჩემი საქართველო ვენახია,  
მარად უჭკნობი და მსხმოიარე...

მზის სხივები არის იმ მტევანში,  
ქვად რომ გამოჰკვეთეს ეკლესიას,  
ჩემი საქართველო ქრისტე არის,  
ერთი ქრისტიანიც ეს ლექსია!...





\* \* \*

ამქვეყნიური ცხოვრება,  
ფუჭი ნაყვანა ნყლის,  
აღარც რამ მეუცხოვება,  
არც რამე აღარ მწყინს...

ბედის ბორბალი ტრიალებს,  
ვინ დაუდგება ბედს,  
იესოს უყვარს პილატე,  
იუდაც უყვარს ღმერთს...

მაგრამ პილატეც, იუდაც,  
ღვრიან უმანკო სისხლს,  
სადაც დაღპება, იქ უნდა,  
ფესვი მოიჭრას ხის...

არაფერია ამქვეყნად,  
რაც მახარებს, ან მწყინს,  
დავალ და ცოდვა დამყვება,  
ორიათასი წლის!..





## შენ ხარ და კმარა!

სნეულ ქალაქში სიყვარული გროშიც არ ფასობს,  
შეშლილ ქუჩებში აღარავინ დაეძებს სატრფოს,  
ხოლო ვისაც ჰყავს და ვინცა ჰყავს, იმასაც კარგავს,  
ამ ჰარამხანის მსახურთაგან არავის ვნატრობ...

შენ ხარ და კმარა!

მზაკვრულ თვლებში გამოსჭვივის ბოროტი ცეცხლი,  
ოდესმე მხოლოდ მე საკუთარ სინდისთან შევრცხვი,  
ყველაფერს შურის და სიყალბის ელფერი დაჰკრავს,  
არ მდომებია ოდენ ოქრო, არამცთუ ვერცხლი...

შენ ხარ და კმარა!

ნესტიან ჭაობს მომაკვდავი გავურბი ცისკენ,  
გზაჯვარედინზე ჩახერგილა ნოტიო სივრცე,  
ჩემი სხეული გაჰყოლია ბობოქარ ქართა,  
არაფერს არ ვთხოვ არსთგამრიგეს, ვალში ვარ ისეც...

შენ ხარ და კმარა!

მე დავიბენი, დავიბენი, ვარ ისევე მარტო,  
დავეძებ წვიმას, ხან ქარს და ხან ვნებიან სატრფოს,  
სნეულ ქალაქში ნავადგები როსკიპთა კარავს,  
ამ ჰარამხანის მსახურთაგან არავის ვნატრობ...

შენ ხარ და კმარა!



## ის მეცოდება

გაუტანლობის, უზნეობის მოდის დრო-ჟამი,  
რჯულძალი ვიყო, თუ ამ დროში ღირდეს  
ცხოვრება,  
ახლა ამ ბნელში, ამ ყინვაში, ქარის ქროლვაში,  
ძალი რომ დაძრნის დამშეული,

ის მეცოდება!

როგორც რამ ნივთზე, სიყვარულზე ჩადიან ფსონებს,  
არც რამ გრძნობა აქვთ, პაპაჩემის სულის ცხონებამ,  
ამ ავაზაკთა, მამაძალთა, მამლართა ფონზე,  
ბავშვი რომ დაძრნის ხელგანვდილი,

ის მეცოდება!

ვხედავ, მეცლება ნელა-ნელა, რითიც ვამაყოფ,  
კარგ მომავალზე ჩემი ფიქრი დარჩა ოცნებად,  
მეორედ მოსვლის წინაშე დგას მთელი სამყარო,  
ხვალ რომ იქნება ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო,

ის მეცოდება!



## როგორ მიყვარღით...

როგორ მიყვარღით,  
რა ოცნებებღით ღამეს ვუღთეღვი ცღისფერ მღირაუებს,  
როგორ მიყვარღით,  
ღთქვენ კღ დამშორღით და ამ გუღლიღდან გაღდაღკარღეთ,  
როგორ მიყვარღით,  
ღასაღლიერზეც მე მამშღვიღღებღდა ღთქვენღ სუღფეღვა,  
როგორ მიყვარღით,  
ახღლა ჩღემს გრღძნობებს უღდაბნოს ცღეცხღლი ემეუღფეღბა...

როგორ მიყვარღით,  
ღთქვენღთვის მღინღღოღდა ოქროცუღრღვიღლი ფღიანღდაზებღი,  
როგორ მიყვარღით,  
ვმეუსაღფობღღღი ღთქვენღთან ზარღნიშღის ზმებღით, აზმებღით,  
როგორ მიყვარღით,  
ვეურჩებოღღი ჯღიუღტ ქარებს და ლექსღის სტრღიქონებს,  
როგორ მიყვარღით,  
მღიდღის ცხობრეღბა, მღიდღის და მხოლოღღ ნაღღვეღღს მღიტოვეღბს...

ყრღია ფურცღლებღი,  
ჩემღი ცხობრეღბღის ობმოდებუღლი რუხღი სქოღლიო,  
მოვღღენ ნღვიმებღი,  
რომ ჩემს საფღღავზე ღთქვენღი ცრემღღლებღიც მოღიყოღლიონ,  
ჯღერ კღ დავღღღივარ  
გზააბზნეუღლი, მოოქროვიღლი მღთვარღის ვარაყღით,  
მოვა სღიკვღღღღი  
ღეთორად მოსღღღი და ყვავღღლებღის მღინას დამაყრღის!..



## ამ სოფლიდან იმ სოფლამდე

არც მლიქვნელად, ფარისევლად,  
არც ქურდად და ჩარჩად,  
ამ სოფლიდან იმ სოფლამდე,  
რაც სავალი დამრჩა,  
გამატარე, ღმერთო ისევ  
სიკეთით და რწმენით,  
მამულისთვის დაიღვაროს  
ჩემი სისხლის წვეთიც...

ცრემლად ვექცე, მტლად ვეფინო  
ჩემს სამშობლოს ველეზს,  
ჩემს ლამაზ ხალხს, ჩემს მინა-წყალს,  
იმათ შემოვევლე,  
ვიარო და სულ ვეფერო  
ჩემს ჭერხოს და ჩარდახს,  
ამ სოფლიდან იმ სოფლამდე,  
რაც სავალი დამრჩა!..

## მტრედები

ნეტავ, საით მიდიან,  
ფრთაფარფატა მტრედები,  
კიდევ თუ მომიცდიან,  
კვლავ თუ ვეიმედები?!

ალარ აღულუნებენ,  
ჩემი სახლის სახურავს,  
სძინავთ მალლა ღრუბლებზე,  
თავზე ნისლი ახურავთ...

ჰეი, ჩემი ბავშვობა,  
დამიბრუნეთ, მტრედებო,  
მიყვარხართ და მახსოვხართ,  
საით უნდა გექებოთ?!



## ის თბილისი

ის თბილისი მენატრება,  
ის ლამაზი ქუჩები,  
დაკარგულის დანანებით  
წარსულს ვეჩურობები...

მტკივა მტკვარზე ტივებიდან,  
შენყვეტილი სიმღერა  
და მედუქნე, ვითომ წყენით,  
ერთს რომ შემოგიბღვერდა...

არლანი და ფაეტონი,  
ლამაზ ქალზე ფიქრები,  
ღვინითა და სიყვარულით,  
ავსებული ჭიქები...

და უბრალო, სულ უბრალო,  
გაღიმება ქალისა,  
ერთი კოცნა, ნაზი კოცნა,  
გულის გასახალისად...

მე თბილისი მენატრება,  
იმ ლამაზი ქუჩებით,  
დაკარგულის დანანებით,  
წარსულს ვეჩურობები...

## დარჩა სოფელში ჩემი ბავშვობა

დარჩა სოფელში ჩემი ბავშვობა,  
ჩემი ცხოვრების მთელი სიმდიდრე!

მუხამეშურის ცივი ქარები,  
ჩემი რიონის მღვრიე ტალღები,  
ჭალები, ჩემი სოფლის ჭალები და საფლავეები...  
ფასის მთა, გონა, ბუბა და შოდა,  
რასაც ვერასდროს ვერ დავივიწყებ,

დარჩა სოფელში ჩემი ბავშვობა,  
ჩემი ცხოვრების მთელი სიმდიდრე!

გონის მთებიდან მოდის ჩვეშური,  
მახსოვს შოდურიც გადარეული -  
ჩემი ბავშვობის თეთრი რვეული...  
ვერ მიჩვეული მე ამ ყველაფერს, უიმათობას,  
მიპყრობს და მბოჭავს სევდა დღითი-დღე,

დარჩა სოფელში ჩემი ბავშვობა,  
ჩემი ცხოვრების მთელი სიმდიდრე!

ბეგითავი და ბერთა სანახშო  
და პაპაჩემის სკამი სამახვშო,  
ერდო, საბძელი, ბელელი, ხარო, ტკივილით მახსოვს...  
ვხვდები, მე მათგან უკვე რა შორს ვარ



და მეძალეა ფიქრი სიკვდილზე,  
 დარჩა სოფელში ჩემი ბავშვობა,  
 ჩემი ცხოვრების მთელი სიმდიდრე!

ლათქიშორაზე ხიდი პატარა,  
 ნაფეტვარა და ნაკალავარა,  
 ჭალუკეები, მინდვრის შარაგზა დაპატარავდა,  
 ველი გადახმა, სიყრმე დამშორდა,  
 გულში კი ქარი ქრის და ქირქილებს,

დარჩა სოფელში ჩემი ბავშვობა,  
 ჩემი ცხოვრების მთელი სიმდიდრე!

ანწლი, კუნელი, არყის ხეები,  
 მწარე ბლები და ლოლნაშოები,  
 სადათვეები, საჯიხვეები, ტყე და ღრეები...  
 როგორც ჩვილისთვის დედის საშო და  
 როგორც ყვავილი მტვერში, გზის პირზე,

დარჩა სოფელში ჩემი ბავშვობა,  
 ჩემი ცხოვრების მთელი სიმდიდრე!

ზეხენიერი და დედაღვთისა,  
 ქერის კვერები რძით და შაქრისგან,  
 მონოდებული ბებოს კალთიდან, გაქრა, ნავიდა...  
 ცივი ბინული კლდეზე ჩამოშრა,  
 ხვალ ნასახლარიც ხავსს მოიკიდებს,

ვერ მივეჩვევი უიმათობას,  
და მეძალეა ფიქრი სიკვდილზე...

დარჩა სოფელში ჩემი ბავშვობა,  
ჩემი ცხოვრების მთელი სიმდიდრე!..

\* \* \*

გზაზე ერთი ქალი მიდის,  
თმებით გაზაფხული მიაქვს,  
მიაქვთ ნისლებს ისლის ხიდი,  
როგორც ხის ფოთოლი ნიავს...

ერთი კაცი მიდის გზაზე,  
თითქოს მზე უჭირავს ხელში,  
ვუმზერ ზეცის სილამაზეს,  
სიყვარულით მთვრალს და შეშლილს!..





## ო, მშვენიერო!

*„გამამაგრეთ ღვინით, გამაგრილეთ ვაშლებით,  
რადგან დავსნეულდი სიყვარულისგან“ –  
ქებათა-ქება სოლომონისა*

ო, მშვენიერო,  
შენ ყვავილის აგდის სურნელი,  
შენ მზესავით ხარ, უკარება და მიუსვლელი,  
სად გაყავს სწორფერი, მთვარის მშვენი, შენ რომ შეგფერის,  
კი არ სტკენ, მინას დააბიჯებ ფერებ-ფერებით!

ო, მშვენიერო,  
მთვარეს ეტრფი, ჩემთან თამაშობ,  
სიყვარულისთვის, ჩემო გულო, უწყლოდ დამშრალო,  
სულ ერთი არის, სუყველა გზა ბოლოს იქ მიდის,  
უერთმანეთოდ გვიწერია ალბათ სიკვდილი!

ო, მშვენიერო,  
შენ აუხელ თვალებს წარმართებს,  
შენ მათ სიყვარულს და ცეცხლოვან სურვილს დაჰმართებ,  
შენ ჩემი გულის და სხეულის მოხველ სასჯელად,  
ასიათასჯერ მაინც მზად ვარ, შენთვის ჯვარს ვეცვა!

ო, მშვენიერო,  
ამ ტკივილით მიღირს ცხოვრება,  
სიყვარულისთვის ვერ დადგომა, ვერ დაოკება,  
მინა არა ვარ, კაცი ვარ და ტანზე სისხლი მდის,  
ნეტავ შემეძლოს, ტყვეობიდან გამოგისხნდი!

ო, მშვენიერო...



\*\*\*

წვიმას, ავდრით გადაღლილ,  
მთებზე ღრუბლები წვებიან,  
ყველაზე უფრო მაღალი,  
ჩემი სამშობლოს მთებია.

ამ მთების წვერზე შემდგარი  
ღრუბლებსაც მაღლით დავყურებ,  
ხელში მიჭირავს შემკრთალი  
ნისლი - ცის თეთრი საყურე.

მე აქ ვგრძნობ, ადამიანთა,  
შური - მტრობაა უბრალო,  
როცა აქა ვარ, ცისკართან,  
შენთან ახლოს ვარ, უფალო!..





## დათვისი

დათვისში ვარ, დათვივით ვარ,  
 ნისლი მებურძგლება ტანზე,  
 არც მიცელავს, არც მითიბავს,  
 დაჩოქილი ვედექ ხატებს,  
 რაც მითებში წამიკითხავს,  
 ამათ ადათ-წესში ვნახე...

დათვისში ვარ, მარტვილი ვარ,  
 ღრუბლებთან და ღმერთთან ახლოს,  
 ცოტა იქეთ შატილია,  
 ცოტა აქეთ ბარისახო,  
 ამ მთებს საქართველო სტკივათ,  
 საქართველო ამ ცით ხარობს...

დათვისში ვარ, ზემოთ ჯუთა,  
 სამწყსო არაბულთა გვარის,  
 ბარში ხალხი გადარჯულდა,  
 მთაში რჯული წესად არის,  
 აქ სულ სხვა ჰაერით ვსუნთქავ,  
 გული აქეთ მომიხარის...

დათვისში ვარ, დათვივით ვარ,  
 ნისლი მებურძგლება ტანზე,  
 ფიქრს ვატანდი ნისლებს მთისას,  
 დაჩოქილი ვედექ ხატებს,  
 რაც მიცელავს, რაც მითიბავს,  
 ამ მთებს ლექსად მოვახატე...  
 დათვისში ვარ!..

\*\*\*

ახლა შორსა ხარ და მენატრები,  
დეკემბრის ბოლო დღეც მიიღია,  
ოთახში ჩემი სადა ხატები,  
ქმნიან სიმშვიდეს  
და იდილიას.

გარეთ კი ბარდნის და ბარდნის ისე,  
უნდა მოთოვოს ჩემს გულზეც თითქოს  
და მოხატული ფიფქებით სივრცე,  
იდუმალდება,  
ვით საიქიო.

\*\*\*

მე მირჩვენია ცაში ფრენა, დაბლა ხეტიალს,  
მოღრუბლულ ცაზე სადაცაა უკვე იღვვებს,  
სული, რომელიც ერთ სხეულში ვერ დაეგია,  
გამიფრინდა და დამიტოვა სიცარიელე!..





### მივდივარ...

მივდივარ, უთხარით საფლავის ამომთხრელს,  
 მე უკვე ნისლი ვარ, ზეცამდე ავმალლდი,  
 არ მინდა ეგ თქვენი ბრჭყვიალა სამოთხე,  
 რომელიც ერთ სტრიქონ ლექსადაც არა ღირს...

მივდივარ, თქვენ გქონდეთ ჯვარიც და გეგუთიც,  
 მოვყვები ღრუბლებთან ქარდაქარ ხეტიალს,  
 დღეიდან მე მხოლოდ ვარსკვლავებს ვეკუთვნი,  
 მშვიდობით, ცოდვებით მავალო ელიტავ!..

მივდივარ, ლანდებით ივსება კაბარე,  
 აქ ახლა ორგიას ასტეხენ ლოთები,  
 მიწყობენ სივრცეში შენისლულ სამარეს,  
 ნიავით, ზღაპრებით, წვიმებით, ფოთლებით...

აქ ერთიც ვერ ვნახე ძე კაცის ერთგული,  
 აქ ჰკლავენ სიყვარულს დალოცვილს ღმერთისგან,  
 დღეიდან მე მხოლოდ ვარსკვლავებს ვეკუთვნი,  
 დღეიდან, ძვირფასო მეც ერთი ლექსი ვარ!..

## პალსი

დარბაზი იყო ელიტიტ სავსე,  
მე შენთვის უცხო ვიყავი მაშინ,  
მამაკაცები შავ ღვინოს სვამდნენ,  
იყო შეჯიბრი ცეკვაში, სმაში...

ვცეკვავდით, ფეხქვეშ სამყარო დუმდა,  
შენს ნატიფ სხეულს გრძნობდნენ ხელები,  
„მიყვარხარ ძლიერ“ - მითხარი ჩუმად  
და მე საკინძე კრძალვით შეგხსენი...

მერე ვკოცნიდი, ვკოცნიდი უხმოდ  
შენს მკერდს და თვალებს, ტუჩებთან ღრუბელს,  
მე იმ დარბაზში ვიყავი უცხო  
და შენ მეძახდი გიჟსა და სულელს...





### შენ მაგონებ...

შენ მაგონებ ლორკას სატრფოს,  
ასულს ანდალუსიელს,  
არ გიცნობ და უკვე გნატრობ,  
არ გიცნობ და ვარ შენ გამო  
მზად, მივენდო ლუციფერს.

არ გამკიცხო, თუკი ეშმამ  
ამიჯანყა სხეული,  
დღეს მჭირდება შენი შველა,  
დღეს მჭირდება შენი შველა,  
დღეს ვარ გადარეული.

მე ვბერდები, ვიცი, კარგო,  
მაგრამ, მაინც გავბედავ,  
გინდ ქვეყანა შემიყარო,  
გინდ ქვეყანა შემიყარო,  
გკოცნი გაუთავებლად.

შენ მაგონებ ლორკას სატრფოს,  
ასულს ანდალუსიელს,  
არ გიცნობ და უკვე გნატრობ,  
არ გიცნობ და ვარ, შენ გამო  
მზად, მივენდო ლუციფერს.

\* \* \*

მივალ წუთისოფლიდან,  
ლანდებს მივდეგ, მივჰკივი,  
ტყუპი დები ყოფილან,  
სიცოცხლე და სიკვდილი...

ბედი ისე არიგებს,  
არჩევანს და არადანს,  
ვერაფერი გავიგე,  
ვარ თითქოს და არცა ვარ!..

\* \* \*

კვლავ მენატრები ტკივილამდე და მედარდები,  
ეს მონატრება მირჩევნია მაინც ყველაფერს,  
ზღვის ზურმუხტ ზოლებს გასდევს ფერი შენი  
თვალების,  
მზის სხივთა ხაზებს შენი თმები ააელვარებს.





\* \* \*

დიდი ხანია არ სძინავს მშვიდად,  
ჩემს თბილისს, ჩემი ოცნების ქალაქს,  
ველარ გაარჩევ ღარიბს და მდიდარს,  
ველარ გაარჩევ მხატვარს და დალაქს...

შეშლილი დადის კაცი და ქალი,  
თითქოს არავინ არა ჰგავს ქართველს,  
ასეთი უცხო და ხალხმრავალი,  
მე არ მინახავს თბილისი ადრე!

### ქუჩაში თოვდა

ქუჩაში თოვდა და თოვლის მოსვლა,  
ღვთის მობრძანებას ჰგავდა რალაციტ,  
ჩვენ, სიყვარულშიც (შხამივით რომ ვსვამთ),  
თითქოს არქაულ ღმერთებს ვბაძავდით,  
ხოლო სიკვდილი სასჯელის ზომად,  
ათასჯერ იყო უკვე ნაცადი!..





## სონეტი

მწუხრის ჟამია, უფლის საყდარში  
ნაზად გალობენ სალიტანიოს,  
მოვა ავშარი, მთვრალი მაყარით,  
რომ ცისქვეშეთში წარმიტანიოს,  
თვალებს არ მთხრიან, გვამს ეკრძალვიან,  
ფრთხილად მაყრიან მინას მუჭებით,  
სისულელეა, ამ უთავბოლო  
ყოფას რისთვისღა ვებლაუჭები...

სისულელეა, როგორ ვიცხოვრო  
იქ, საიდანაც ასე გამრიყეს,  
იქ, სადაც კაცის ბოროტ ზრახვებში  
ვერ ჩაერევა არსთაგამრიგე,  
უაზრობაა ამ საუკუნის  
ყველანაირი ახლა ბრალდება,  
ლამის ბინდ-ბუნდი განთიადივით  
უმისამართოდ მოემართება...

მე დავიღალე განსჯის ლოდინში,  
სიკვდილისა და ძველი ცოდვების,  
ისევ მაოცებს მზის დაბნელება  
მკვდრეთით აღდგომა ჯერაც ცოცხლების,  
ცისა და მინის უღელტეხილზე,  
მთვარეულივით უნდა ვიარო  
და თქვენ ტყუილად  
მობრძანებულხართ,  
სერაფიმებო, სამგლოვიაროდ...



დღემდე სისხლივით დუღს პოეზია  
 და მე მომშივდა ლექსი ძალიან,  
 თუმც მედროვენი ვერცხლით ტკბებიან  
 და პოეტებსაც არ ეკრძაღვიან...  
 აჰა, სრულდება ეს საუკუნეც,  
 ოცდამეერთის არსი მაუნყე,  
 მოდი, უფალო, მოდი, გვესტუმრე,  
 თერთმეტი მუზის დღესასწაულზე.

მოდი, ცოდვილებს გამოგვინათე  
 ჩაჟამებული თვალთა რიდენი,  
 თუ ღირსი არ ვარ, შენს საბრძანებელს  
 დაუფიქრებლად განვერიდები...  
 სუფევს სინმინდე კეთილშობილთა,  
 ამ დედამინის ცვრიან მდელოზე,  
 მოდი, უფალო, გაგვითავისე,  
 შენი მადლი და სიანგელოზე.



\*\*\*

გიშრისფერ თვალეზში შეშლილის სევედაა,  
გიშრისფერ ნანწავებს აგიშლის ავექარი,  
სიცოცხლის დასასრულს ვუკეთებ შესავალს,  
თორემ თვით სიკვდილი ისედაც აქ არის.

რეკვიემს ჰგავს ყველა ნოტი და სონეტი,  
მაგრამ, ო, „ჩაკრულო“ - ღმერთების ჰიმნია  
და ერთი პატარა შეცდომა პოეტის,  
სუყველა მეფეთა ცოდვაზე დიდია.

\*\*\*

ვიცი, სიცოცხლეს აზრი არა აქვს,  
დაყოფილს ასე ნანწილ-ნანწილად,  
მოდო, ჩვენს ფიქრებს მითი დავარქვათ  
და სიყვარულის ალით დავინვათ.





\* \* \*

ჩამოღვენთილა სანთელივით ცრემლის ნამცვრევი,  
ამ ქვეყანაზე მე შენს მეტი არვინ მეგულვის,  
ვნატრობ მხოლოდ ერთს, ამ მთა-გორებს როცა გავცქერი,  
გადამირჩინე, ღმერთო ჩემო, მამულ - დედული!

გაყიდულია, ყველაფერი გაყიდულია,  
ჩემი სამშობლოს ლოცვით მინდა ვინვა - ვიდაგო,  
ლამაზია დღეს საქართველო, ვით დულსინეა  
და ჩემი ერი გონიერი, როგორც იდალგო!

\* \* \*

ვარ შენი მზით და მთვარით გამთბარი  
და არავისთვის არ მემეტები,  
ცრემლით სავსეა შენი მთა-ბარი,  
სისხლით სავსეა შენი ბელტები...



## ქართველი ვარ!..

ჩემი მშობლიური მიწის,  
ყველა ქვა და კენჭი მტკივა,  
მათი სიყვარულით ვინვი,  
ქართველი ვარ!..

ჩემი ტადარ-ციხეების,  
მორღვეული ლიბო მიყვარს,  
ჯვრის თალიდან ვიხედები,  
ქართველი ვარ!..

არავითარ ხელისუფლის,  
ჩემი უფლის ნავში ვზივარ,  
ზოგჯერ ვზივარ თავში სუფრის,  
ქართველი ვარ!..

ცოტნე ვარ და პაატა ვარ,  
შეარაგვებული რიონს,  
არც ისეთი პატარა ვარ,  
მომერიო!..

რაც უფალ ღმერთს არ უქნია,  
არც იქნება ხმელზე, ცაზე,  
აღარც შენი მამლუქი ვარ,  
გამეცალე!..



არც ძმა ვარ და არ ვარ მტერიც,  
ადამი ვარ - სველი თიხა,  
ღმერთმა ამომზილა მტვერი,  
ქართველი ვარ!..

ვინც ვინამე, მე მწამს მისი,  
წინაპრთა ძვლები მიყვარს,  
ის სისხლი ვარ და იმ მიწის,  
ვენახი ვარ!..

\* \* \*

მე ვარ შენს ღველფში ამონანები,  
ვარ შერჩენილი ცრემლად წინამურს,  
ასე მგონია, გულზე განვები,  
რომ დაგაბიჯებ დედა-მინაო!..



\*\*\*

რალა უნდა მსურდეს, ამა ქვეყნის,  
ყველა გზა-ბილიკი მოვიარე,  
თვალწინ პაპაჩემის ბალი მიდგას,  
სამასწლოვანი და მსხმოიარე...

თვალწინ პაპაჩემის ოდა მიდგას,  
ჩემი მომლოდინე საკარცხულით,  
ჩემი საქართველო ქრისტესავით,  
არის ჯვარცმული და გალახული!..

\*\*\*

როგორ ახერხებს მინა  
(სული ცას როცა იპყრობს),  
ვისთვის საფლავი წმინდა,  
ვისთვის საბანი იყოს!..





\* \* \*

Ave maria,

სიყვარული ახლა მკვდარია,  
ეს ჩემი გული ძველებურად გადამწვარია,  
ცრემლის წვიმაა, შავი თოვლი, ცეცხლის ქარია,  
ვინც იყვნენ, იყვნენ, წავიდნენ და აღარ არიან.

Ave maria,

მრცხვენია და მაინც განუხებ,  
მოდის შენეენად, რომ გამოვხსნა სული მარწუხებს,  
თორემ მოკლეა ნაბოძები ჩემთვის სანუთრო,  
ასწლეულები გადანონონ, ძალუძთ ამ ნუთებს.

Ave maria,

უგრძნობლობამ ხელი დამრია,  
არც მტკივა რამე და არც რამე არ მიხარია,  
ცრემლის წვიმაა, შავი თოვლი, ცეცხლის ქარია,  
არც მკვდრები ჩანან და ცოცხლებიც არსად არიან.





## ომარ ხაიამს – ნაბახუსეჲსა

ომარ ხაიამ, მუსულმანო, პოეტო ძმაო,  
ნეტავი ბახუსს რომ აქებდი, თვითონ თუ სვამდი,  
თუ ერთხელ მაინც აჰყოლილხარ ქეიფში საძმოს,  
შეგისვამს ყანწით, ლამფის შუშით, ჭინჭილით, თასით?!

აღარ დანერდი მაშინ ალბათ ბახუსის ქებას,  
ღვინის და არყის დამქაშებმა იციან რატომ,  
მე ახლა გული მიკანკალებს, თავი მისკდება  
და ვეთანხმები მოძღვრებაში, პოეტო, პლატონს!..

ღვინო კარგია ერთი ჭიქა, ჰა ორი... სამი,  
თქვენ კი ფიალებს, აზარფეშებს მანვდით, მადალეთ,  
ჯანდაბა ჩემს თავს, შევეჯიბროთ ლომებო სმაში,  
თუ ჩემი ძმა ხარ, ეგ ჯიხვის რქა გადმოაბრძანე!..



## მეგობრული შარჟი გალაკტიონს

ჩემს უფროს ძმას, გალაკტიონს,  
 მზეც უყვარდა, ცაში ფრენაც,  
 ფეხს ადგამდა კავკასიონს,  
 ფასის მთიდან სიბრძნეს კრეფდა,  
 ცხელ შუბლს მიუშვერდა რიონს,  
 რომ არ ასხლეტოდა კეფას!..

მაინც აუფრინდა შაშვი,  
 მაინც გააკეთა სალტო,  
 ითმინა და ბოლოს მაინც,  
 თავი მიუყვანა პატრონს,  
 ნავიდა და დარჩა სახლში,  
 ლექსები და ძველი პალტო!..

## პაოლოს

თვლემენ ღამეში შენი თვალები,  
 რომლებშიც ახლა მთვარე ანთია,  
 დანტეს ჯურღმული და გილგამეში,  
 არის პოეტის ეპიტაფია!..

## თემურ ჩალაგაშვილს

სრა-სასახლეთა ურვევი,  
ჯვარი რომ უზის ნიკაპთან,  
დადის თბილისის ქუჩებში,  
ჩემი თაობის ნიკალა...

დაჩოქილს მამა-დავითზე,  
ვაჟას საფლავის ლიბოსთან,  
ვხვდები ლექსებით ლამისმთევ,  
ჩემი თაობის ფიროსმანს...

მოდის და ლექსით სულშემლილს,  
უფლის ნათელი მოჰყვება,  
დადის თბილისის ქუჩებში  
ჩემი თაობის ბოჰემა!..





\*\*\*

მოგლიჯეს მამის სახელი  
კაცის სახელს და გვარს,  
უსახელგვარო ქართველი  
ბნელ ეკლესიას ჰგავს...

მოწყვიტეს ენას ანბანი,  
„გეი“ - უწოდეს „გან“-ს,  
დანესტილ სხვენში აკვანი  
საუკუნეა დგას...

მინაო, ნაჯიჯგნ-ნაფლეთო,  
შენ ვერ გიზამენ ძვრას,  
ნუ გეშინია, ქართველო,  
შენთან უფალი არს!..



## ფსალმუნებიდან

ქარებს ავყევი, ცრემლად ვიქეცი, ვენამე ფოთოლს,  
„შენსკენ აღვაპყარ ჩემი თვალეზი, ზეცაში მყოფო“!..

„როგორც ირემი ნაკადულებს მიელტვის, ეძებს,  
ისე მოილტვის ჩემი სული, უფალო, შენსკენ“!..

„შესანირავებს ამოგიტან, ცად ბანაკს დავცემ,  
თაყვანისცემით შემოგნირავ მოზვრებს და ვაცებს“!..

მძიმე ნაბიჯით წინ მიმიძღვის დასალიერი,  
და „სიყვარული სიკვდილივით არის ძლიერი“!..

ქარებს ავყევი, ცრემლად ვიქეცი, ვენამე ფოთოლს,  
ჩემი სამშობლო დამილოცე, ზეცაში მყოფო!..

\* \* \*

შენით ვწუხ და შენით ვმღერ,  
შენს ანგელოზს ვუგალობ,  
შენს გარეშე ერთი დღეც  
ნუ მამყოფა, უფალო!..



## სამშობლოში დავიმარხო

სული მტკივა, ხორცი მტკივა,  
ბორკილები მადევს ძვლებზე,  
მინც ვავსებ თივით საბძელს,  
ხორბლით - ბელელს, ქერით - ხაროს...  
ბოლმას ვიხრჩობ, ტკივილს ვუძლებ,  
ნეტავ გულიც გამიძლებდეს,  
როცა გინდა მოვკვდე, ოლონდ,  
სამშობლოში დავიმარხო!..

\* \* \*

წევხარ და ისევ არ გეძინება,  
ისეთი დროა, რას არ ფიქრობ,  
ერთი ჩათვლემა და შეიძლება,  
სული გაგიფრინდეს საიქიოს.

## რას გაუმარჯოს

რას გაუმარჯოს?!.  
სილარიბეს, ნალველს რომ ფარავს,  
ლუკმას, რომელიც  
არავისთვის არ მოგვიპარავს,  
ღვინოს ზედაშეს,  
ქვევრიდან რომ წამოიღვრება  
და ტკბილ ტაბლასთან  
ლოცვასავით ნათქვამ სიმღერას.

\* \* \*

შენ მიდიოდი ქარვისფერ გზაზე  
და მიგყვებოდა ჩრდილივით სევდა,  
ტილოზე ფუნჯით დაფენილ ზამთრებს,  
იდუმალეზა ჰშვენოდა ხეთა...  
ქუჩაში თოვდა და თრთოდა მთვარე,  
და თოვლი ღამეს ქარგავდა თეთრად.



## შენ ხარ პოეტი

შენ ხარ პოეტი, ბედს ნუ ემდური,  
როცა ცხოვრება ასე განამებს,  
დაღლილი სული \_ შენი მეგზური,  
სევდად აჩნია მთვარეს ნამნამზე.

შენ ხარ პოეტი და არ იდარდო,  
რომ შენთვის მჭლეა ნუთისოფელი,  
რომ სევდისფერი არის მიდამო,  
სევდისფერიც და სევდის მომგვრელიც.

შენ პოეტი ხარ და ნუ ინებებ,  
ავს, თუ საწუთრომ მაინც გაგრიცა,  
დგას ბოროტებად, როცა, სიბნელე ,  
შუქი იღვრება შენი საყდრიდან.







\* \* \*

მზედ მბრწყინავი მინანქარი,  
მზე ზღვის ფსკერზე მიიჩქარის,  
თბილ ტალღებში დნება ქარი, \_  
დაბნეული მიმოზა...

დამთავრდება ყველაფერი,  
ქარი შენი ბაგით მღერის,  
ბალდახინი ძონისფერი,  
მოაქვთ საიქიოდან.

\* \* \*

ამ დიდ სოფელს ახლა სევდა დამჩნევია,  
ამ დიდ სოფელს ახლა ჩრდილი დაჰკრავს,  
ამ სოფელში მე ბავშვობა დამრჩენია,  
დღემდე ჩემივ გულივით რომ დამაქვს.



\* \* \*

ეს არის ჩემი სიმდიდრე,  
თუ კი სიმდიდრე ეტქმის,  
სტრიქონებს - სულის გვირილებს,  
უფლის წალკოტში ვკრეფდი...  
მოსევდისფერო ლექსები,  
მომირთმევია თქვენთვის!

### პოეტს

თქვენთვის სატირალი ცრემლით,  
თქვენთვის დასაღვრელი სისხლით,  
მოდის და სიყვარულს ელის,  
მიდის და თავის ვალს იხდის.

როგორც მარადიულ შვებას,  
ლექსებს იმედებად ტოვებს,  
ისეც უგულობით კვდება,  
გული არ ატკინოთ პოეტს.

\* \* \*

აღარც მურმანი, აღარც მუხრანი,  
ანა, ბორენა, დათო,  
საქართველოში ტყეა უღრანი,  
სასაფლაოებს ათოვს...

\* \* \*

თითქოს სულ რაღაც ერთი წამია,  
ისევ მოვიდა ნუხილი შორი  
და არის დიდი განამანია,  
ჩემს ფიქრებსა და სტრიქონებს შორის.





## წინაპრებს

სადა ხართ, ანდა რა ძილით გძინავთ,  
არსაით ისმის თქვენი ამბავი,  
დაგეძებთ ცხადში, დაგეძებთ სიზმრად,  
ვაჟას ხარივით მინას ჩავებლავი...

მშურს თქვენი, თქვენი მკლავის და მუხლის,  
მსურს სადმე ახლოს თქვენთან სამარე,  
თქვენს ხსოვნას ველარც ბეგარას ვუხდი,  
ველარც ანგარიშს რამეს ვაბარებ...

გაჩერდა დრო და მიდიან წლები,  
მოგდევთ და მოგდევთ კუბოს კარამდე.



## ვაჟას - ფშაველას

უღელ-ხარს სახრე ვუღირე,  
ჩემთვის რომ მინას ხნავდა,  
ფიქრი გაფრინდა ღრუბლისკენ,  
თოვდა პატარა სახლთან...

ბალახს რომ ფეხი დავადგი,  
აბიბინებულს ახლად,  
ერთ-ერთი იმათთაგანი,  
მერე საფლავზე დამხვდა...

ხარ-ჯიხვს რომ თოფი ვესროლე,  
ღვინო ჩავუსხი რქასა,  
სანამ იმ ღვინოს შევსვამდი,  
სილა გამანნა ქარმა...

რამდენჯერ შევრცხვი სინდისთან,  
ორომტრიალში ჟამთა,  
რაც ბიჯი ნავდგი, იმ დღიდან,  
შენი მრცხვენია, ვაჟა!..



## ტარიელ ხარხელაურს

შენი მამულის ცრემლები გახრჩობს,  
არცა გაქვს ქვეყნად სხვა მინა, სხვა ცა,  
მამულის ხნულში ჩამდგარო ხარო,  
ჩემი უფროსი პოეტი ძმა ხარ!..

## ისევ ტარიელს

მთას ლოდად ჩამონაგორო,  
კლდეს კეცად ჩამოსხლეტილო,  
შენსავით შენი სამშობლოც,  
ისევ დგას, ციხე-ვერკვლისობს...

სიცოცხლეს შენსას მძიმე აქვს,  
სიკვდილიც მრავალწერტილობს!...



\* \* \*

კლდეს დააჯდება ყორანი,  
დასალიერის კიდესა,  
ბინდში ქედებზე ყომრალი,  
ნისლები ჩაეკიდება...

ამ ბეჩავ ყორანს ჰგონია,  
ფრინველთა მეფე ის არის,  
არნივთან მონაგონია,  
მაგის ბრჭყალიც და ნისკარტიც...

სანამ ინებებს გამჩენი,  
სულ იარნივებს არნივი,  
ჩემო სამშობლოვ, ვარ შენი,  
სულის და ხორცის ნანილი...

ჩემო სამშობლოვ, ქედს გიხრი,  
ამ საარნივე მთებიდან,  
არ მეშინია შენი მტრის,  
როგორც ძაღლების ყეფისა...

გადაგეყრები მტვერივით,  
მერე მოგივალ ყოილად,  
არ მეშინია შენი მტრის,  
როგორც ამ კლდეებს ყორნისა!..



## სოფლის ჰეიზაჟი

ვზივარ პაპაჩემის სკამზე,  
სკამზე ანუ საკარცხულში,  
ინევს წინაპრებისაკენ,  
თვალთან მოპარული კურცხლი...

მთებს გავყურებ, მაღლა როა,  
მთებზე აძოვებულ ნისლებს,  
ვინც წავიდა, აღარ მოვა,  
ვინც მოვიდა, წავა ისევ...

სხვა სუნი აქვს მაინც სოფელს,  
ყურში მესმის ყეფა ყურშის,  
ღმერთო, აქ კაცს ნუ გამოლევ,  
კვამლს ნუ დაღევ საკვამურში...





## მე როცა ვიბადებოდი

მე როცა ვიბადებოდი,  
მღვრიე რიონი დიოდა,  
იქ ორიოდე ნაბიჯზე,  
რიონის სანაპიროდან,  
ოთხკედელშუა ძე შობილს,  
ცა და ჰაერი მშოიდა...

მე როცა ვიბადებოდი,  
ფერი არ ედო რიონსა,  
ჩალუსკუმებულ სოფელში,  
ხალხს არ ეძინა იმ დროსა,  
საბძელის თავზე მამალი,  
გათენებამდე ყოიდა.

მე როცა ვიბადებოდი...



\* \* \*

მომბეზრდა წერა და  
რითმების შერჩევა,  
პოეტის წერაა,  
სიკვდილთან შეჩვევა.

\* \* \*

*„ნეტა... რაც ვერა თქვა,  
რაც უთქმელი დარჩა ტატოს,  
სულ მე მეთქვას, მე მიმეგნოს მათი ბინა...”*

*ბ. ბერიაშვილი*

რასაც ვერ მიაგნო ტატომ,  
რასაც ვერ მიაგნო ვაჟამ...  
შენ არ დაიჯერო მართლა,  
რამე მისაგნები დარჩათ...

სამი დამწერლობის პატრონს,  
სადაც პოეზია შფოთავს,  
სიტყვის მეფეთ-მეფე შოთას,  
დიდხანს მიგნებული ჰქონდა.

## ერეკლე საღლიანს

მომრავღდა ქუდი სვანური,  
საღღაა თავი საქუღღე,  
წაგვართვეს სინღღის-წამუსი,  
ღღღისით და მზისით გაგვქურღღეს,  
ახღღაც ჩვენს ღღღულ-მამულში,  
კვერთხი უპყრიათ მანქურთებს!..

თავი ღღღინვი თუ გინღღა,  
ჯვარს ეცვი ყოველ პარასკევს,  
მე, ძმაო, შენი ქუდი და  
კაცობა მალაპარაკებს,  
ვერ გაღღღობვედი გულიღღან,  
ვერც სული გაღღღაპარე!..

და ახღღა ფეხით კი არა,  
გულის ოთხივე სარქვეღღით,  
ღღღღღხარ, ღღღაქეს იარა,  
შენი სამშობღღოს მთა-ვეღღის,  
ახღღა შენ სწორეღღ ისა ხარ,  
ვინც უნღღა იყოს ქართვეღღი!..

ბევრმა იარა სისინით,  
ღღღერთი გაცვალა კერპებზე,  
ვერც მიწას შერჩენენ ისინი,  
ვერც ზეცას გაღღღეკერნენ...  
შენ, როგორც ერის სინღღისი,  
ღღღღღხარ, ჩემო ერეკლე!..



## საუკუნე

საუკუნე სრულდება,  
მიზანაუსრულებლად  
ვხვდები ოცდამეერთეს,  
დრო დის დაუსრულებლად,  
ეგ თვალები სულ ბედად,  
ერთხელ შემომეფეთენ.

მზაფრავს მოგონებები  
და შლეგივით ვენტები,  
გაგისხენებ როდესაც,  
გოგმან-გოგმან-გორებით,  
მიმაქვს ნუთისოფელი  
და ეს ყოფა მომბეზრდა.

მე ყველაფრის მნახველი,  
ალარაფერს არ ველი,  
ან რას უნდა ველოდე,  
მაქვს სახლი და სახელი,  
მღვდელთან ცოდვებს გამხელილს,  
ვერ გაიგებს ჰეროდე.

ჭაბუკ მხრებით მიზიდავს,  
მძიმე ლოდი სიზიფის,  
არ მქონია ბავშვობა,  
ერთი არ ამხდენია,  
დასახული მიზნიდან,  
მაინც ვმღერდი „რაშოვდას...“

ბოლმას ცრემლში ვახრჩობდი,  
მოდერნისტებს ჩამოვრჩი,  
ვერ ვურევდი ლექსში სექსს,  
გულს სანთელად ჩამოქნილს,  
ვწვავდი, ზოგჯერ ვჩქარობდი  
და სხვებს გამოვეთიშე...

საუკუნე სრულდება,  
მიზანაუსრულებლად,  
ვხვდები ოცდამეერთეს,  
დრო დის დაუსრულებლად,  
ეგ თვალები სულ ბედად,  
ერთხელ შემომეფეთნენ.

\* \* \*

სულის შვებაა სიკვდილი,  
სიცოცხლე - სულის ვაება,  
ვაი დროს, სხეულს სულის რო,  
ტარება დაეზარება.





### ვაჟა-ფშაველას

მე რა გითხრა, უფალ ღმერთმა,  
მადლი მოგცა ისეთი,  
ერთხელ გნახე რუსთაველთან,  
ქრისტეს გვერდით იდექით!..

შენს ლიბოზე ღამეს ათევს  
ხალხი - ერთი სოფელი,  
მე აქ ავალ, მთაწმინდაზე,  
სადაც შენ იმყოფები!..

ასორმოცდათოთხმეტის ხარ,  
მამულის მზეს დარაჯობ,  
საქართველოს ჰყავდე დიდხანს,  
შე ოთხივე არაგვო!..



\* \* \*

ლექსებს არა ვწერ ტაშისთვის,  
არც რამ აზრებით ვბრწყინავ,  
უბრალოდ მტკივა ტამიში,  
ცხინვალისფერი მტკივა....  
მტკივა, რომ დღესაც „ქართლის ჭირს“  
შუბლზე ატყვია ტყვია!..

ზოგისთვის ჩემი სოხუმი,  
ხსოვნის არილად იქცა,  
მე ჩემი ლექსი „ხორუმით“  
და „ლილეოთი“ დამაქვს...  
ჩემო ლექსებო, მოჰქუხდით,  
ჩაეღვარენით მიწას,  
ვისაც სამშობლო არა აქვს,  
დასაკარგავი რა აქვს?!



### პოეტი

ზოგი ოცნებობს წასვლას მთვარეზე,  
ზოგს ოქრო-ვერცხლი სცვივა ხელიდან,  
შენ ერთი - ორი ლექსი დანერე  
და თითქმის უკვე ბედნიერი ხარ.

ზოგს სრა-სასახლე ქოხად არ ჰყოფნის,  
ეცოტავება თვალში სამყაროც,  
ეს მიწა არის შენი სამყოფი,  
შენი ჯვარი და შენი სამთავრო.

დიდებულ წარსულს ფიქრში აღიდგენ  
და იცი, მხოლოდ რწმენა გიშველის,  
ასე იმედით ელი ხვალის დღეს,  
მუდამ ღარიბი და ტანშიშველი.

შენთვის სიკეთე ცოტაოდენი  
და სიყვარული არის საკმაო,  
შენ ისე ჰქმნიდი, როგორც როდენი,  
ქსოვდა ხელებით ზეცის კაბადონს.





\* \* \*

ვიცი, დროებითა, ახლა რაც მიხარია,  
ცვლის მოცარტის რეკვიემს, სალიერის არია,  
როკვა ეშმასეული მზის ჩასვლამდე გრძელდება,  
სევდაა და დარდია კაცის ბედნიერება.

მამლის დაყვილებამდე ღმერთი სამჯერ გავეცი,  
ავაზაკში გავცვალე მისი ცრემლის ნამცვრევი,  
ჯვარზე ვაცვი იესო და ამ ცოდვით დავდივარ,  
კაცის ბედნიერება, სევდაა და დარდია.

\* \* \*

ნისლს ქროლვა უნდა ქარდაქარ,  
მზეს შესტრფის მთვარე ეული...  
მას, ვისაც სული არა აქვს,  
რისთვის სჭირდება სხეული...



## არ დამტოვო, უფალო!

სულ ყოველთვის მოგელი,  
ღმერთო, ჩემო მონყალევ,  
შვეებას მაძლევ ყოველი,  
ცრემლის ჩამოყოლაზე...

შენზე უფრო ახლობელს,  
ვის ვევედრო, ძე ღვთისავ,  
როგორ მოგიახლოვდე,  
თუ მანდ მოსვლა მელირსა?!.

დრო მომივა, მოვალ შინ,  
თუ არ დამწვა ნათებამ,  
ლამე შენზე ლოცვაში,  
ბევრჯერ შემომათენდა!..

არ დამტოვო, უფალო,  
სხვა შენს მეტი ვინა მყავს,  
ვცოდავ, მაგრამ სულ ვნანობ,  
შორს ვარ, მაგრამ მიყვარხარ!..



\* \* \*

გავცდი სვეტიცხოველს,  
მარჯვნივ არაგვია,  
ჯვარზე ბალახია სველი,  
სადაც გაიხედავ, ციხე-ქალაქია,  
ყველგან საქართველო მელის...  
სისხლი თუ დასჭირდა,  
მისთვის დასაღვრელი,  
კიდევ მიმო-მიდის მკერდში!..

\* \* \*

გარეთ ახლა წვიმაა და ქარია,  
ვმლერი სევდას - სულის უხმო არიას,  
ღმერთს უთხარი, რომ გვიყვარხარ ძალიან,  
ღვთისმშობელო, ღვთისმშობელო მარიამ!..



## სტეფანწმინდა

რახანია გავცდი მლეთას,  
მალე გამოჩნდება თერგი,  
მთები - მოქარგული თეჯა,  
ჩემი მშობლიური მთები...

ჯვრის ფერი აქვს სტეფანწმინდას,  
სამებას და სიონს გავცქერ,  
გორისციხის „მამა წმინდა“,  
უფალივით მადგას თავზე...

მინდა მათთან ვიყო დიდხანს,  
მინდა მათთან დიდხანს დავრჩე,  
მზეო, ისე ამოდიხარ,  
დაჰხედავ და ტოვებ ამ მთებს...

ისევ გამოვუვლი მლეთას,  
ისევ შორს დარჩება თერგი,  
მთები - მოქარგული თეჯა,  
ჩემი მშობლიური მთები!..



## ღვთისმშობელო მარია!

დაუკრავენ რექვიემს,  
მწუხარების არიას,  
შენ ხომ ჩვენთვის იმღერებ,  
ღვთისმშობელო  
მარია!.

ლოცულობენ, ცოდვილნი,  
დღესაც მრავლად არიან,  
შენ ხომ ჩვენზე ილოცებ,  
ღვთისმშობელო  
მარია!.

უყვართ სერენადები  
ღამით სხივებს მთვარიანს...  
მეც ხომ შეგიყვარდები,  
ღვთისმშობელო  
მარია!.



## სიკვდილს

მე რომ წყურვილს ვიკლავ პემვით,  
 მზე რომ ნამავს ღიღილოს,  
 ნეტავ ამ სიცოცხლის ეშხი,  
 განგიცდია,  
 ს ი კ ვ დ ი ლ ო?!..

სხვისი ტრფობით მოკვდეს გული,  
 სულში ლექსმა იკივლოს,  
 ნეტავ ვინმეს სიყვარულით,  
 თუ დამთვრალხარ,  
 ს ი კ ვ დ ი ლ ო?!

ქარიშხალი მოვარდება,  
 უგზოდ და უბილიკოდ,  
 ერთი წამის მონატრებას,  
 შეუშლიხარ,  
 ს ი კ ვ დ ი ლ ო?!

იდო ლოდი ოლე ხესთან,  
 ქვაც სიყვარულს ცდილიყო,  
 მარტოსული კაცის სევდა,  
 თუ გიგრძენია,  
 ს ი კ ვ დ ი ლ ო?!

ახლო-მახლო სახლებია,  
 შიგ შესვლა არც იფიქრო,  
 იმ სახლებში არ გელიან,  
 არ შეხვიდე,  
 ს ი კ ვ დ ი ლ ო!

ბევრი ვნახე ცუდიც, კარგიც,  
ბევრი იწილ-ბიწილო,  
რათ კაცის ჩუმი დარდი,  
შენ თუ იცი,  
ს ი კ ვ დ ი ლ ო!..

სად მცალია (წუთებს ვზომავ),  
მკერდს მინამავს ღიღილო,  
მოვესწრები შენთან მოსვლას,  
დამაცადე,  
ს ი კ ვ დ ი ლ ო!

შენ ხარ ჩემი მოდარაჟე,  
მეც შენს ხილვას სულ ვცდილობ,  
აქ მოსვლამდე, ცოტა ადრე,  
გამაფრთხილე,  
ს ი კ ვ დ ი ლ ო!

არაფერიც არ მოხდება  
გინდ მამალმა იყივლოს,  
ხელს დავუქნევ ამ ცხოვრებას  
და წამოვალ,  
ს ი კ ვ დ ი ლ ო!..



\* \* \*

არ მინდა ოქროს სასახლე,  
არც ბროლის კოშკი არ მინდა,  
შევეკედლები მაღალ მთებს,  
უბრალო ხის ქობს დავიდგამ...

ან გამოქვაბულს მოვძებნი,  
ან სულაც ტყეში ვიცხოვრებ,  
მუხთალი ნუთისოფელი,  
ვერაფრით შევისისხლხორცე!..

\* \* \*

მენატრები ძალიან, მენატრები ისე,  
შენკენ წამოვყვებოდი, რომ შემეძლოს, ნისლებს,  
წვიმებს ჩამოვყვებოდი, თუ ფრთებს გამიშრობდი,  
რა შორი ხარ, ძვირფასო, რა ძალიან შორი!..





\* \* \*

ლოცვასავით შვებას მომგვრის  
შენი ნაზი ღიმილი,  
ჩანს მწვერვალზე ლაქა თოვლის,  
გულზე შეხსნილ ღილივით.

აძოვებდი ირმებს ტყეში,  
კოკით წყალი დაგქონდა,  
იქ დამხვდები, სამოთხეში,  
მოსულს სააქაოდან.

\* \* \*

ჩვენ შორის დარჩეს ის ერთი კოცნა  
და სიყვარული გულს რომ მოედო,  
გთხოვ, ნუ ჩააქრობ ანთებულ კოცონს,  
რომ ვწერო შენზე და ვიპოეტო...



\* \* \*

ყველა იისფერით დადის ახლა,  
ყველა ახლა ვარდისფერით დადის,  
შენ კი, ჩემო სიცოცხლეო, სად ხარ,  
რა უცხო და შორეული გახდი?!

შენ კი, ჩემო, სიცოცხლეზე მეტო,  
ფოთოლივით სად შეჰხარი ნიავს,  
როგორ მინდა, მზედ ჩემს გულში ენთო,  
ჩემთან იყო, როგორ ძლიერ მინდა...

თითქოს ფეხებმორყეული ვდგავარ,  
როგორც ძველი საკარცხული მახვშის,  
როგორ მინდა შემოაღო ახლა,  
კარები და შემოხვიდე სახლში!..





## რომ მიყვარხარ, ხომ არ დაგავინწყდა?!

აღბათ უკვე თოვლი არის მთებზე,  
ბარში ჯერ წვიმს, ჯერ თბილია წვიმა,  
სადაც ახლა ეგ თვალეები თვლემენ,  
სადაც ჩუმად დააბიჯებ მიწას,  
იქ დავდივარ და ფიქრებში გეძებ,  
უშენობა როგორ მომენწყინა!..

გახსოვს, როგორ ვოცნებობდით ერთად,  
მზეს ნატრობდა ნანვიმარი ჩერო,  
გული ახლაც ძველებურად ფეთქავს,  
ისევ ისე უყვარხარ და გჩემობს,  
როგორ მინდა ისევ ჩემი გერქვას,  
როგორ მინდა ერთად ვიყოთ, ჩემო!

აღბათ უკვე თოვლი არის მთებზე,  
გულში ცოცხლობს სიყვარული წმინდა,  
კიდევ მრავალ ღამეს გაგიტენებ,  
შენთან ერთად სიყვარული მინდა,  
დავდივარ და ჩემს სიზმრებში გეძებ,  
რომ მიყვარხარ, ხომ არ დაგავინწყდა,



\* \* \*

მთელი ეს წუთისოფელი,  
შენს მოლოდინში გავიდა,  
სულ გნერ და პასუხს მოველი -  
მოხვალ, არ მოხვალ, საით ხარ?!

დავინყებული ლექსივით,  
სანამდე დამავინყდები,  
დაგელოდები ექვსისთვის,  
შვიდისთვის, რვისთვის... იქნები?!

მპასუხობ ხან „ჰო“-ს, ხან „არა“-ს,  
ხან სულ არ ამბობ არაფერს,  
სამყარო დაპატარავდა,  
რაც შენ ეგ გული ჩარაზე!..



## **როცა მიყვარხარ, მაშინ!..**

ჩემს ლექსებს შენი სუნი სდის,  
როცა მიყვარხარ, მაშინ,  
მკლავს შენთან ყოფნის სურვილი,  
გზაში, ქუჩაში, სახლში...

აღარც თამამი არა ვარ,  
აღარც ბავშვივით მორცხვი,  
მაგრამ შენთან ვარ, სადაც ვარ,  
მთელი სულით და ხორციტ...

მიყვარს, როდესაც შენს თმებზე  
თოვლი ფიფქებად ბარდნის,  
როცა მიყვარხარ, ჩემს ლექსებს,  
შენი სურნელი ასდის!..



\*\*\*

სულ სიყვარულით ვინვოდი,  
სულ სიყვარულით ვიარე,  
უსიყვარულოდ ამ ქვეყნად,  
რა უნდათ ადამიანებს?!

კლდეზეც ამოდის ბალახი,  
თოვლშიც იზრდება ენძელა,  
დამაშვრალია სავალი,  
ამ სიყვარულის მძებნელთა...

იმ კაცს რა ვუთხრა, რომელიც  
უსიყვარულოდ ბერდება!..

\*\*\*

რომ ვიყო მოდილიანი,  
ანდა რომ ვიყო პიკასო,  
ცას ეგ თვალები - იანი,  
ეხატებოდა, ძვირფასო!

### მიყვარხარ!..

შენი სულის ხვეულები,  
ტანს მაქვს შემოხვეულები,  
მეათასედ გეუბნები -  
მ ი ყ ვ ა რ ხ ა რ !..

გავფრინდებით, მოვფრინდებით,  
დრო მოვა და შორს ვიქნებით,  
წუთისოფელს მოუსვლელში -  
მ ი ვ ყ ა ვ ა რ თ !..

მზე ჩაუდგამთ ხნულში ყანებს,  
მინდა ნისლებს ცისკენ წავყვეთ,  
მე შენს მეტი ქვეყანაზე -  
ვ ი ნ ა მ ყ ა ვ ს ?!

შენი სულის ხვეულები,  
ტანს მაქვს შემოხვეულები,  
მეათასედ გეუბნები -  
მ ი ყ ვ ა რ ხ ა რ !..



## დაცარიელდა...

ნანას

დაცარიელდა ჩემი სახლი, დაცარიელდა,  
შენი თმებისგან, ხელებისგან, ტანსაცმლისაგან,  
ვდგავარ პირისპირ მარტოსული დასალიერთან,  
შენ ნახვედი და თითქოს მზემაც ჩემგან იგანა!..

თვალში არ მხვდება და გულ-ყურსაც ვეღარ აკურნებს,  
შენი ხმაური, შენი სუნთქვა... შენზე ფიქრები,  
შენა მგონიხარ მაინც კარის ყოველ კაკუნზე,  
ისე მიყვარხარ, ბიბლიაზეც დამეფიცები!..

ჯერ კიდევ ასდის კედლებს სუნი, სახლში აურა,  
რალაცნაირი შენეული ანცობს, გრიმასობს,  
წლები წასულან და სიბერე შემოპარულა,  
ვერაფერს უზამს დრო სიყვარულს, ჩემო ძვირფასო!.







## ინვის ჩემი სანთელი

ახლა ჩემს ქვეყანაში ალბათ განთიადია,  
უცხო სახლის კედლები მკერდს უშვერენ ცივ ქარებს,  
ჩაბნელებულ ოთახში გამოვდივარ, გავდივარ,  
ვერც ტკივილებს ვიყურებ, ველარც დარდებს ვიქარვებ...

დევს კუთხეში ფიალა, ფიალაში მინაა,  
ჩემი სახლის ეზოდან მუჭით ნამოღებული,  
ყველა ჯვარზე ცმულია, ვინც იესო ინამა,  
ვინც იესო უარყო, არის ამღერებული...

ინვის ჩემი სანთელი, დანთებული მინაზე,  
იმ ერთ მუჭა მინაზე, ფიალას რომ მიმშვენებს,  
მეც სიმღერა მენადა, მაგრამ ქრისტე ვინამე,  
ტანზე რწმენის კედლი ტაძრად შემოვიშენე...

არა, ჯვარცმას არ ველი, ის მაღალთა ხვედრია,  
არც ლოცვით მაქვს მუხლები დამზრალ-გადატყაული...  
სადაც ვერცხლი ჩხრიალებს, ყველა ბედნიერია,  
სადაც უფულობაა, ყველა დადის ტრაურში...

კი, ხანდახან ვიცინი, კიდეც ვცეკვავ, ვმღერივარ,  
არც სიცილი გამომდის, არც ცეკვა და სიმღერა,  
დედამინა სამყაროს მოტრიალე ღმერთია,  
არასოდეს ისვენებს, არასოდეს იღლება...



მეც იმ ღმერთის შვილი ვარ, მტვერი ციდა მიწისა,  
ვუმზერ ჩემი სამშობლოს ნისლებს ცაზე შეფენილს,  
ჩაქრა ჩემი სანთელი, ახლა თავად ვინვი და  
მიკვირს, აღმოდებული რატომ არ ვიფერფლები...

აღბათ საქართველოში უკვე საღამოვდება,  
აქ თენდება, უცხოა აქაური თენება,  
მენატრება მზის ჩრდილი, ჩამომჯდარი ღობესთან,  
ქარი, წვიმა, მამულის თოვლით გადათეთრება...

იწვის ჩემი სანთელი, დანთებული მიწაზე,  
იმ ერთ მუჭა მიწაზე, ფიალას რომ მიმშვენებს,  
მე სიმღერა მენადა, მაგრამ ქრისტე ვინამე,  
ტანზე რწმენის კედლი ტაძრად შემოვიშენე...



## ფიქრები საქართველოზე

ღამეა, მწუხრის არია, ფიქრებს მიჯარებს შემოვლით,  
ნეტავი როგორ არიან ჩემები საქართველოში?..

ხომ მშვიდობაა ნეტავი, ვინმეს ხომ არა სტკივა რა,  
რატომ მესიზმრა მტევანი, ღვთისმშობლის ცრემლით  
მტირალა?..

რად მეშინია გახედვა, ჩემი ღამაში მთებისკენ,  
სულ მენამულ ცას რად ვხედავ, რად ვხედავ მინას  
კეთრისფერს?..

ზარია, თითქოს ეს ზარიც, ჯალათისავით მეძახის,  
ჩემს გულში როცა მზე არის, რად ტირის ჩემი ვენახი?..

ახლა კი, გულში სიბნელემ, ყველა ზღვარს გადააბიჯა,  
ვხედავ ნელ-ნელა მინელებს, უცხოობაში ჯავრი და...

ისევ ვუყურებ იმ მხარეს, უფლის ნათელით შემოსილს,  
სულ მალე გამოიღარებს, ჩემს ღამაზე საქართველოში!..





## მენატრება ბათუმი

მენატრება ბათუმი,  
წვიმიანიც, მზიანიც,  
როგორც ალადასტური,  
მზიდან შემომზირალი...

მენატრება ბათუმი,  
ზღვის ლამაზი ხედებით,  
მეთორმეტე სართული,  
შენკენ რომ ვიხედები...

ქარი რომ დაუბერავს,  
ზღვაზე ტალღებს წამოშლის,  
იკეცება ფურცლებად,  
წლები ჩემი ბავშვობის...

სხვა ხიბლი აქვს აჭარას,  
მის აისს და დაისებს,  
მახსოვს, მე და მაჭარმა,  
ლამე ერთად დავლიეთ...

გავიხსენეთ ლაზეთი,  
პონტოელთა სამკვიდრო,  
წარსულს ვალამაზებდით,  
მწიფდა სიტყვის აკიდო...

ვადღეგრძელეთ მატათა,  
გავიხსენეთ ანდრია,  
ვიჩოქებდით ხანდახან,  
ვსვამდით ღვინოს მადლიანს...

ახლა მთებს და ზღვას შორის  
დგანან ცათამბჯენები,  
მინას ველარ დავშორდი,  
ზღვისკენ ვერ ვიხედები...

მენატრება ბათუმი,  
წვიმიანიც, მზიანიც,  
სულზე შემოსანთლული,  
სითბოს შემომზიდავი!..





## სულ პირველი საქართველო

ზღვისთვალემა აჭარელო,  
მიყვარს შენი მთა-ბარი,  
სულ პირველი საქართველო,  
აქ იყო და აქ არის!..

სულ პირველი საქართველო,  
სხალთია და აქ არის,  
სულ პირველი საქართველო,  
ტაოა და პარხალი!..

სულ პირველი საქართველო,  
აქ იყო და იქნება,  
იბერია სამზუოზე,  
ისევ გამობრწყინდება!..



## ჩემი სამშობლო აქ არის!..

### *ბათუმს*

ბათუმი ახლა ზღვასა ჰგავს,  
ლურჯად ლივლივა ტალღებით,  
აქ გეძებ, ჩემო ალაზავ,  
მალი-მალ მომენატრები...

ჩემს მუსლიმ ძმაზეც ვილოცებ,  
ქართველთა ღმერთი ერთია,  
ამ დედამიწის ლიბოზეც  
ზღვასავით ლურჯი მთებია...

აქ ფაზის ჩამოფუყევი,  
დიდი აიას ქალაქით,  
ვტკბები ამ მთების ყურებით  
და დედამიწას გავძახი –

ჩემი სამშობლო აქ არის!  
ჩემი სამშობლო აქ არის!..



## ბათუმი

თბილია ჩემი ბათუმი  
და თან ისეთი ქართული,  
და თან ისეთი წმინდა,  
შავ ზღვიდან ამომართული,  
ძირძველი ასომთავრულით,  
შუქურასავით ბრწყინავს!..

სავსეა ჩემი ბათუმი,  
რუსთველურ-ჩახრუხაულით,  
ლომ-ვეფხი უზის მხარზე...  
ნენეისავით სათუთი,  
წვიმეებიანი ზაფხული,  
ქსოვს ზღვის ტალღებზე ხავერდს!..

მიუჩენია ზენაარს,  
მისთვის ადგილი მზესთან და  
პალეოლიტის დროის...  
მოაქვს მუსიკა ზღვებთან ქარს  
და ამ საოცარ მზე-ქალაქს,  
ქრისტეს რჯული აქვს ოდით!..

თბილია ჩემი ბათუმი  
და თან ისეთი ქართული,  
და თან ისეთი წმინდა,  
შავ ზღვიდან ამომართული,  
ძირძველი ასომთავრულით,  
შუქურასავით ბრწყინავს!..



\* \* \*

ნანინასავით ჩამესმის,  
ჩემი რიონის ხმა,  
აქაც რა ძან დამჩემდი,  
რა სიყვარულით მკლავ...  
სიყვარულისთვის გამჩენი,  
ბეჭზე შემისვამს ხვალ!..

ცამ წვიმა წამომამველა,  
კავკასიონის გზით,  
აქ ღების ვაჟა-ფშაველად,  
ხან ხელაშვილად ვზი...  
ღმერთი მომივა სამველად,  
მზერა მექნება მზის!..

\* \* \*

თენგოსთან, გორისციხეში,  
როგორც ჩემს ღებში, ისე ვარ,  
არ დაილიოს, უფალო,  
ჯიში და მოდგმა ივერთა...



\* \* \*

*თენგო ავსაჯანიშვილს*

ჯვარს რომ გაივლი და მერე,  
სვეტიცხოველსაც გახედავ,  
ჩემი სამშობლოს მთა-ველზე,  
უფალი ამონათდება...

აქ პოეზია ნისლადა,  
მთის მწვერვალებზე ჰკიდია,  
ჩემი სამშობლო, ღვთის მადლმა,  
დედამინაზე დიდია!..

\* \* \*

ჩემო სამშობლოვ, როგორ ხარ?  
მტკივა სულ შენზე ფიქრები,  
გულზე გაბიჯებ, დრო მოვა,  
ბალახად გაგეფინები...

## მონატრება

ყოველ ლამეს ფიქრში ვათევ,  
ფიქრი მიზის სანოლთან,  
მდუმარება მენატრება  
სოფლის სასაფლაოთა.

მენატრება ძველი თონე,  
ბელელი და საბძელი,  
ამ ქაოსში თუ როგორმე,  
სიბერემდე გავძელი...

პეპლების გუნდს ავიყოლებ,  
მინდვრის ფრთიან ყვავილებს,  
წვიმა უნდა დამტიროდეს,  
ქარი მიწას მაყრიდეს.

ყოველ ლამეს ფიქრში ვათევ,  
ფიქრი მიზის სანოლთან,  
მდუმარება მენატრება,  
სოფლის სასაფლაოთა.



## ლ ე ბ ი

ჩემი სოფელია ლები,  
 ჩემი მწვერვალია შოდა,  
 მონამეა ქრისტე ღმერთი,  
 სუნი მენატრება ბელლის,  
 ჩემდა სამწუხაროდ, შორს ვარ!..

დათვს, ზოგ კაცზე უფრო სანდოს,  
 კლდეს რქით დაკიდებულ ჯიხვებს,  
 ველარ ვხედავ, დანავარდობს,  
 მუავე წყლებზე არჩვი მარტო,  
 მე კი მტვერში დავაბიჯებ!..

რიონს გაუპია მთები,  
 თოვლი შეჰყინვია შოდას,  
 მათთვის, მონამეა ღმერთი,  
 უკანასკნელს გავიღებდი,  
 ჩემდა სამწუხაროდ, შორს ვარ!  
 ჩემი სოფელია ლ ე ბ ი,  
 ჩემი მწვერვალია შოდა!



## ღებს

ღამევ, ჩემი ღებისა, მთვარეს გაუთევიხარ,  
მაცხოვარი გფარავდეს...  
მადლი ნათლისღებისა, მადლი წყალკურთხევისა,  
მოგყვეს აღსავალამდე!..

შოღავ, ჩემო რაშოღავ, ღებთანა ხარ, რა შორს ხარ?  
დეღაღვთისა გიცქერის...  
ვერა გნახე ამ შობას, ოდენ თვალღი დღგშორღა,  
სინანული ვიგრძენღი!..

ჩემო სამოთხეებო, გონა-ზოფხითოებო,  
შემოგევეღეთ, როგორ ხართ?!  
კავკასიის ხეღებო, გუღგამოსახეღებნო,  
არ დღმშორღეთ ოღონღაც!..

ძმღო, ჩემო, რიონო, სანამ გღღღიონო,  
წყღლოზღ თქვი მთღ-რღჭღის...  
რღმე უნღღ ვიღონო, რღმე გღმოვიგონო,  
თქვენთღნ ვიყო მღრღღღის!..



## თიზვა

მენატრება,  
ბაბუას სათიბში რომ დავყავდი,  
ცელი ხელში მეჭირა, მხარზე გადაიდევ,  
-მხარს მიჭრის-თქო, - ბრაზობდა, - ფერდზე ელო იდაყვი,  
ხვრეპდა სული შოდიდან ჰაერს, როგორც დიმედროლს...

რა თქმა უნდა,  
ლესურში ვერ მივდევი ბაბუას,  
ორჯერ მეტი გაჰქონდა, წრეზე დამენეოდა,  
ნეტავ ახლა ცოტა ხნით ის დრო შემოაბრუნა,  
ყუნნი მომანყვეტია მწარე ბლის კენწეროდან...

ჩრდილში შევიგრილებდით,  
ველზე ტაბლას გავშლიდით,  
ნიორზე და არაყზე ლორი იყო მისწრება,  
თივის დადგმას ვინყებდით, ნავალს მე ვერ ვანვდიდი  
და ამიტომ დგომა სულ ზვინის თავზე მინევდა...

მალღებოდა  
ხმელი და მოცელილი ბალახი,  
მივინევდი ნელ-ნელა თხილის სარის წვერისკენ,  
ბინდებოდა, დაღლილნი ვბრუნდებოდით ჩარდახში,  
სანამ მთები ცურებზე ნისლებს მოიწველიდნენ...

ოდნავ შესველებულებს,  
ოდნავ შეცვარებულებს,

თავზე თავშალნაკრული დაგვხვდებოდა ბებია,  
გვაგახშმებდა, პურის გულს გაუტანდა ბელურებს,  
საბრალოდ რომ გვიცქერდნენ ძველი  
ქონგურებიდან...

გუშინ იყო - აქ იყვნენ,  
ახლა იქეთ არიან,  
არც იქ წასვლა მაშინებს, არც აქ ყოფნით ვნუხდები,  
მომიკითხე ჩემები, ღვთისმშობელო მარიამ,  
ნეტავ როგორ არიან, რომ მესიზმრნენ ნუხელის?!

## ფაზისიდან

ბუხრის ცეცხლით გამთბარი,  
ჩემი კოხტა ოთახი,  
ღების თეთრი ზამთარი  
და ბავშვობა მომძახის...

ნეტა რა გესიზმრება,  
ძველი სახლის ყავარო?!  
ფაზისიდან იწყება,  
ჩემთვის მთელი სამყარო!





## საგლოლოსთან

უყვარს მამისონი ბუბას,  
როგორც ლათქიშორა რიონს,  
მთები ჩამომდგარან უბრად,  
ჭყაპი შერევია ჭილობს...  
თეთრად შეუფერავს ჯუბა,  
ბოძალხევის ლილო-ჭრილოს...

მთები დევებივით დგანან,  
თოვლი საბანივით ადევთ,  
არა, მე ვერ გავძლებ სხვაგან,  
სხვაგან ლამეს ვერ გავათევ...  
ქრისტე ღმერთო, ეს ქვეყანა  
დალოცე და დაიფარე!..





## ადიგენის რაჭულ სოფლებს

მიყვარს მლაშე, ფლატე, არზნე,  
ეს რაჭული სოფლები,  
იმ ქუჩებში გავიზარდე,  
იმათ შემოვევლები...

მიყვარს ქელა, ქეჭლა, ზარზმა,  
კობტა ნამინაური,  
შოთას სულის აიაზმა,  
გულში სისხლის ხმაური...

მიყვარს მოხე, დარჩენილი,  
ეულად და აულად,  
სადაც უტკეპნია ველი,  
გოჩა ხარანაულსა...

გულზე მანევს ტვირთად, ჯავრად,  
ცარიელი სანყაო,  
ღმერთო, ჩემი ქვეყნის ჯარა,  
ატრიალე ნაღმაო!..

## რატული სასიძღურო

მიყვარს ნვიმა ჭიორაში,  
სხვენი სტვენა ჩიორასი,  
ზაფხულობით მოდიდება  
მოდუდუნე რიონასი...

მიყვარს ნამონოლა მოლზე,  
მუავე წყალი საგლოლოზე,  
შაორიდან შხიროლამდე,  
სიმღერები სამშობლოზე...

გაშლილია ჭიორჭალა,  
მიდის ლებში სმა და ჭამა,  
მთაც არის და ველიც არის,  
ასეთია ჩემი რაჭა...





## იაგო გობრიჭიანს

მეკითხებიან - სად დავიბადე?..  
ვპასუხობ - სადაც ლების მთებია,  
სადაც ნისლები „დედაღვთისამდე“,  
ადიან, მაგრამ ველარ ცდებიან!..

სადაც რიონი იღებს სათავეს,  
„ოქროს სანმისად“ თქმული ლეგენდა  
და ისტორიის ფერად თავთავებს,  
მზეებრ უბრწყინავს ძველი ედენა!..

სადაც ხერხემლად უდევს სამყაროს,  
კავკასიონის მთაგრეხილები,  
სადაც ქარები დილა-სალამოს,  
ქრიან აპეურ-ანყვეტილები...

მეკითხებიან ვისი გორის ვარ,  
ვპასუხობ, ვისზეც მიმითითებენ,  
მე ბიძაშვილი იაგოსი ვარ,  
კაცის, რომელსაც ჰქვია სიკეთე!..



## ვეფსვიბა გავაშუღს

შენ ახღა, ძმაო, უღელ ხარს აბამ,  
ღიღო-ჭრიღოზე მიუძღვი მარხიღს,  
ქაღაქში მიწაც იხურავს საბანს,  
მხიარულია ქაღაქში ხაღხი...

სოფელს კი, სოფელს ნასხღეტიც სტკივა,  
ჩამოექცივა ზოგჯერ რომ საღ კღღღს,  
ვაჟკაცი კაციღს საქმე და სიტივა,  
შენს გულს და ლექსებს არასღროს აკღღღს!..

მოუსმენ მთებში წინაპრიღს ძახიღს,  
ვერ მიმოგვევენ, რაც უნდა გვერიღნ,  
არ მოეღება ლიბოზე ხავსი,  
შენი ფიქრივით ამღვერეულ რიღნს...

არ მოიკიღებს ობიღს სუნს ჭერი,  
ღერწმიღს თავთავით გაავსებ საბძელს,  
შენი ლექსები ცვეღივით მჭრელი,  
ამ მთებისავით მარადჟამს გაძღღებს...

ფაზისიღს წვიმა ემბაზში გაჰბანს,  
შოღას, საღ ნიღლი ნიავზე ეჭობს,  
მხრებზე ნიღღივით მოიხვევ საბანს,  
შენი ფიქრებით გათბება ჭერხო...



საცაა ლებში გამოიზამთრებს,  
ზოფხითოს უყვარს ზოლები ვეფხის,  
შენი მამულის ეკლიან გზაზე,  
არ აგრეოდეს არასდროს ფეხი...

მახეშვივით ედგე შენს მამულს - მზად ხარ,  
კლდე-ტაძარივით ამაგრებ სოფელს,  
არ ეძებ, ძმაო, არასდროს სხვა გზას,  
სხვებივით ყოფას არ იიოლებ...

ჯერ ისევ თოვლში მიუძღვი მარხილს,  
გასველებს სოფლის ლილო და ქრილო,  
არ მოედება არასდროს ხავსი,  
შენი ლექსივით მშფოთვარე რიონს!..



## სამშობლოს მთებს

ვიცი მთები ალპები, ვიცი მთები ანდები,  
პირენეის ციცაბო, ტიან-შანის მწვერვალი,  
მაგრამ თქვენ მენატრებით, მაინც თქვენ მედარდებით,  
თქვენთვის ჩამოვიცლები სისხლის ბოლო წვეთამდი!..

ზოგან ქარაფებია, ზოგან ბაცი სალი კლდე,  
გაუმარჯოს მაღალ მთებს - არწივების საბუდარს,  
ღმერთო, გულზე ჯვარი რომ სულის სარჩოდ დამკიდე,  
ახლა, მონატრებულზე, ისე მომესათუთა!..

დღემდე რა არ მინახავს, რა არ გამიგონია,  
ჩანჩქერებზე ვერცხლის თმა, ზღვათა ფერ-უმარილი,  
ბევრი ქვეყნის ცა მიყვარს და მზის კაკაფონია,  
მაგრამ არაფერია საქართველოსნაირი!..

ვიცი მთები ალპები, ვიცი მთები ანდები,  
ულურჯესი სუ-ალტო, ჰიმალაის მწვერვალი,  
მაინც თქვენ მენატრებით, მაინც თქვენ მედარდებით,  
თქვენთვის ჩამოვიცლები სისხლის ბოლო წვეთამდი!..





## სმა მოენატრათ პოეტებს

სმა მოენატრათ პოეტებს,  
ქალაქს და დუქნებს მოედვნენ,  
ედგათ ღვინო და მარილი,  
ჰქონდათ პური და მწვანილი...

ჭიქას ურტყამდნენ ჭიქაზე,  
ბევრი სვეს, ცოტა სიტყვა თქვეს,  
ბოლოს სმა ჭიქით გაჭირდა,  
აბა სად სმა და სად ჭიქა?!

ჯერ ყანნს და მერე ფიალას,  
ჩალაბა შეეტრფილა,  
დოქს მოჰყვა შუშა ლამფისა,  
რაც შოთამ გადაგვასმია...

აბრა ჩამოხსნეს კედლიდან  
და ლულაც, თოფს რომ ეკიდა,  
ქარქაშშიც ღვინო ჩაისხა,  
გზა ვის ახსოვდა სახლისა...

დაითვრნენ ჩვენი მგოსნები  
და ყველა საღი გონებით,  
თავ-თავის გზებით ნავიდა,  
ფიქრებით ვაჟას არწივთან...



ენატრებოდათ კლდე-კაცი,  
ლაშარის გორზე შემდგარი,  
მათ რომ სამშობლო უყვარდათ,  
ისე უმყოფოთ უფალმა!

### რაც კი ოდესმე დამნანებია

ყოველ გოჯს სისხლის კვალი ატყვია,  
ცასაც სუნი სდის სანთელ-საკმეველის,  
მინა კი არა, ვეფხის ტყავია,  
გადაჭიმული შენი მთა-ველი...

მტკივა, როდესაც შენგან შორსა ვარ,  
შევყურებ ზეცას, მწუხრს და ვნებინს,  
ყველაზე მეტად უშენობაა,  
რაც კი ოდესმე დამნანებია!..





\*\*\*

*თამარს*

ვერის დაღმართს მივუყვები,  
გულში გალაკტიონს ვყვები,  
კი არ ვყვები, ვმღერი გალას,  
თავზე მამა-ღმერთი მადგას...

ვერის-ხევის სიო მათბობს,  
ვყვები ასათიანს - ლადოს,  
ტატო მახსენდება მტკვართან,  
სევდა - ამ ტალღებს რომ ატანს...

ვორონცოვზე ერთი ხე დგას,  
ერთი დგას და ისიც ხმება,  
ცა რომ მთებზე ნისლებს აშლის,  
ცრემლი მოსდის ჩალაბაშვილს...

ვერის დაღმართს მოვუყვები,  
გულში ასათიანს ვყვები,  
კი არ ვყვები, ვმღერი ლადოს, -  
საქართველოს გაუმარჯოს!..



\* \* \*

ყოველ ქარის ქროლვაზე, გალაკტიონს ვიხსენებ,  
დროს, როდესაც მიყვარდი, როცა ძლიერ მტკიოდი,  
სძინავთ ჩუმად ჩემს გრძნობებს, სადღაც დასალიერზე,  
ქარებს ფეხზე ვკიდევართ  
მეც და გალაკტიონიც!..

სად წავიდნენ ის წლები?.. რა დრო იყო, რა ხანა,  
ჩემს გრიშაშვილს ბიანკა რომ უყვარდა ბავშვივით,  
სადღა არის დუქნები, ჩაიხანა, ლუდხანა,  
გოგლას ბაღში არაყს ვსვამთ  
მე და ჩალაბაშვილი!..

შემოვიდნენ ლოთები - გომართელი, ედიკა,  
ლეონიძის პარკ-სკვერი გახდა ჩვენი კარცერი,  
რა თქმა უნდა, დავთვერით და დრო ფეხზე გვეკიდა,  
მაგრამ მთვრალი გონებით  
არ ვიყავით არცერთი...

ვიღაც ნაგავს ქექავდა, ალბათ ძლიერ შიოდა,  
ალბათ ძლიერ შიოდა, ლუკმა გვთხოვა ვიღაცამ,  
კი არ ვსვამდით, უბრალოდ დარდის დაცლა გვინდოდა,  
რადგან ჩვენი სამშობლო  
უსაშველოდ გვიყვარდა!..



## ოლიგოზა

### *პოეტური შარჟი*

სულის სარჩო მოვიპოვე,  
რითმა შემითამამდა,  
ახლა მე ვარ ოლიმპოზე  
პოეტების თამადა...

ზმნებს ზედ ვართავ ზედსართავებს,  
შორისდებულს შორის ვარ,  
ახლა, როგორც მზე და მთვარე,  
ისევ შორი-შორით ვართ...

ბგერებს, როგორც იასამნებს,  
ხმოვნებს, როგორც აისებს,  
სიყვარულის თაფლით ვავსებ,  
ტკბილ ნექტრებად ვაისრებ...

მე ვარ ჰაე-ც, მე ვარ ჰოე-ც,  
სიყვარულიც თავად ვარ,  
ახლა მე ვარ ოლიმპოზე  
პოეტების თამადა!..

## მამრამ პოეტის გზა მანინც სხვან

აქ ქარი ამტვრევს უხეშად ტოტებს  
და გეჩვენება, იქცევა ზეცა,  
მით უფრო, როცა ვილაცა გტოვებს,  
შენს ვარდით ნაფენ ბილიკებს კეცავს...

აქ სულის საზღვრებს გადადის ქარი  
და გეჩვენება, ქარს მისდევს სატრფოც,  
მით უფრო, როცა არავინ არის,  
გვერდით, რომ თავი არ იგრძნო მარტო...

მამრამ პოეტის გზა მანინც სხვან,  
ათასი დარდით, ტკივილით სავსე  
და როგორც ნვიმა გათელილ ბალახს,  
ცრემლიან ფურცლებს ლექსებით ვავსებ!..





### **ვთამაშობთ ცხოვრებას**

ვთამაშობთ ცხოვრებას, ბავშვობას, დიდობას  
და ასე თამაშით შემოდის სიბერე,  
რამდენი გვიყვარდა, რა ცოტა გვინდოდა,  
ვფურცლავთ დროს - თეატრის გაკეცილ ბილეთებს...

გროვდება კითხვები, პასუხებს რომ ელის,  
არაა პასუხი, არცა ღირს სათქმელად,  
ჰგავს ჩვენი ცხოვრება სერიალს, რომელიც,  
ერთი და იგივე ექსტაზით მთავრდება...

### **ხანდახან**

ხანდახან გინდა, აღარ დაღამდეს,  
აღარ გათენდეს, გინდა ხანდახან,  
შენზე ფიქრებმა ისე დამღალეს,  
ვით ღამე ქუჩამ ჩაიხანათა!..

\* \* \*

გადარბინა ქუჩაზე ძალღმა,  
ძლივს გადაასწრო მოტოს თუ ავტოს,  
სისხლი უჩანდა შემხმარი ძარღვთან,  
მიტოვებულს და ყველასგან მარტოს...

ვიღაცამ მინც დაუგდო ლუკმა,  
ვიღაცამ ლუკმას აუკრა ფეხი,  
როგორ თავსდება, ვფიქრობდი ჩუმად,  
ადამიანში კაციც და მხეციც...

კენჭებს ესროდნენ ბავშვები სარკმელს,  
იბზარებოდა გულივით მინაც,  
როგორ არ მინდა ბელურებს კლავდნენ,  
არავის კლავდნენ, რა ძლიერ მინდა...

ხანდახან ბედი მერჩია ჩიტის,  
ზოგ კაცს რომ ვხედავ, რა უშავთ ძალღებს,  
როგორ ჰგავს ხმელი ხეების ჩრდილი  
ჩემს ცივ ხეღებზე გამოყრილ ძარღვებს!..



## მწვერვალზე ასვლა მითხარი, თორემ

სად არის კაცი, რომელსაც ვეძებ,  
ან სიყვარული, ამ გულს რომ იხსნის,  
როდესაც უფალს აკრავენ ძელზე,  
რად არ ფეთქდება ძარღვებში სისხლი?..

შავი წერტილი ლაქად ჩანს თოვლზე,  
კლდეზე მაღალი მინახავს ალვა,  
მწვერვალზე ასვლა მითხარი, თორემ,  
კვარცხლბეკზე კაცი როგორმე ავა!..

\* \* \*

მამულო, ზოგჯერ მინდება,  
შენს გულზე მკერდით გადავწვე,  
ვნახო ჩანჩქერთა დინება  
და მზე დაღვრილი წარაფზე...  
ერთხელაც ჩამობინდდება,  
ერთს გაკოცებ და წავალ მეც!..





## ტიზაანი, ხირსა

რა ლამზია ღამეში წვიმა,  
მე მოგინატრე წვიმიან ღამეს,  
მთვარე გედიქის ღრუბლებზე იწვა,  
შენ კარი მაინც არ შემოაღე...

ვიყავი ჩემთვის ფიქრებთან მარტო,  
ხანდახან ფიქრიც კაცივით სცოდავს,  
შენ სად იყავი, ძვირფასო, ამ დროს,  
ცრემლად მდიოდნენ ნისლები როცა?!

ჯანღი აწვება ერეკლეს ქიზიყს,  
ხალიბაურის ფარივით გაშლილს,  
დგას დედამინა ჩამავალ მზის წინ,  
უკიდეგანო სამყაროს ზღვაში...

წვიმს, წვიმა სევდის ნოტებზე გალობს,  
უფლის მზესავით ანთია ხირსა,  
სიყვარულისთვის, უფალო, გმადლობ,  
მამულო ჩემო, იესოს ღირს ხარ!..



„ოდაბადემ ობირეში“

*ფერეიდნელის სიმღერა*

მღერის გაღმა საქართველო:

„ოდაბადემ ობირეში“,  
ტკბილო ვაზო, სადა სთველობ,  
დედის რძევით მომშივდები?!

ალაჰს ლოცავს ვაჩაძორი,  
პურზე ჩუმიად ჯვრებს სვამს ნენე,  
აქ დაღლილი სხვაგან ბრძოლით,  
საქართველო განისვენებს!..

ისევ ქრისტე ღმერთი გვწყალობს,  
თბილ ნასკვებში ვფუთავთ ანბანს,  
გვენატრება ცივი წყარო,  
მოჩუხჩუხე ალაზანთან!..

მად ყვავილობს პაპას ფესვი,  
როგორც თქვენთან, აქაც ისე,  
ჯვარცმის დღეა პარასკევი,  
ოთხშაბათი გაცემის დღე!..

ვახშმობისას ბაბა უფრო,  
ცრელნარევი გვიზის ბადიშს,  
ჩვენი სულის კირით-ხუროდ,  
აქაც ქრისტე ღმერთი დადის!..

მღერის გაღმა საქართველო  
„ოღაბადეშ ობირეში-ს“,  
ტკბილო ვაზო, საღა სთველობ?  
ვით დედის რძე, მომშივედები!

### ნიკოლოზ ბარათაშვილის სიმღერა სამშობლოზე

სისხლი მქონდა და გავიღე,  
ცრემლები? - ვღვარე ცრემლებიც,  
ჩაენექი, მიწა გაგითბე,  
ცა მოგიქსოვე ლექსებით...  
შენს აყვავებას მაღირსე,  
მამულო, შემოგეველები!..





### **საქართველოვ, ჩემო!..**

მიყვარს პაპის საკარცხული,  
ყავრიანი ჩერო,  
ბილიკები დანამული,  
გასანთლული ჭერხო...  
აღმა გევლოს, წაღმა გევლოს,  
საქართველოვ, ჩემო!..

### **დაგვრჩა თავისუფლება**

მახსოვს დილა მზიანი,  
მზე - სისხლ-შეუღებავი,  
მამულს ჰყავდა ზვიადი,  
მამულს ჰყავდა მერაბი...

მერე იყო კაბარე,  
იყო ვერცხლით ცდუნებაც...  
საქართველო დავკარგეთ,  
დაგვრჩა თავისუფლება!..

## მესამე სვეტი

### პატრიარქს

*„ღმერთო მანახე, ღმერთო მანახე,  
ღმერთო მანახე მესამე სვეტი!“  
მურმან ლებანიძე*

ლოცვით გამარჯვებულს მტერზე,  
ვიცი, შენ რომ გიყვარს მტერიც,  
ქრისტეს ნათლის მატარებელს,  
უნმიდესო, კრძალვით გეტყვი,  
მურმანი რომ დაეძებდა,  
შენ ხარ ის მესამე სვეტი!..

როგორც გალამ ბრძანა ერთხელ,  
ნაქცეული ვმდგარვარ მტვერში,  
ბევრჯერ დამაყენე ფეხზე,  
მოციქულო ქრისტე ღმერთის,  
აქ მზის სხივად შენი ყოფნა,  
წყალობაა მეტის-მეტი!..

გხედავ, როცა თვალებს ვხუჭავ,  
ვახელ, შენი მზერით ვტკბები,  
საქართველო ერთი მუჭა  
არითმოდ გიცემს მკერდში...  
ვგრძნობ, ის ორი დღეს გასამდა,  
შენ ხარ ის მესამე სვეტი!..



## ჩემო უწმიდესო და ჩემო უნეტარესო!..

ჩემო უწმიდესო და ჩემო უნეტარესო,  
რადგან დასაბამიდან ჩვენთან ქრისტე ღმერთია,  
მაღლობა, რომ ქართველად დავიბადეთ, ვარსებობთ  
და შევყურებთ სამშობლოს, მაინც ასე ერთიანს...

ჩემო უწმიდესო და ჩემო სულზე უტკბესო,  
უფლის კელაპტარი ხართ, ფრესკებს ჩამოცვარული,  
ღვთისმშობელის წილხვედრი ვერ იქნება უმტეროდ,  
საქართველო ფეხზე დგას ქრისტესავით ჯვარცმული...

ჩემო უნეტარესო და უსათნოესობავ,  
იორდანედ იდინოს ჩემს მამულში მირონმა,  
ერთი მომცრო მიწა და ერთი ბენო ჭერხო მაქვს,  
კიდევ რწმენა, ცასავით სულ რო უნაპიროა...

თქვენო უწმიდესობავ, თითქმის ბოლო იმედო,  
თქვენთვის საქართველოა სამლოცველო კელია,  
დღემდე თუ ვერ მივხედეთ, ახლა უნდა მივხედოთ,  
ჩვენი ნახნავ-ნათესი, ჩვენი მოსამკელია...

თქვენო უწმიდესობავ, ჩემო სულზე უტკბესო,  
უფლის კელაპტარი ხართ, ფრესკებს ჩამოცვარული,  
ღვთისმშობელის წილხვედრი ვერ იქნება უმტეროდ,  
საქართველო ქრისტეა, იესოა ჯვარცმული...

## ილია II

რა ღვთისმოსავი გზაა თქვენამდე,  
უნმიდესო და უნეტარესო,  
იყოთ ერისთვის, უფალს ნებავდეს,...  
როგორც ტაძრისთვის ზარი, სამრეკლო...  
რა ღვთისმოსავი გზაა თქვენამდე,  
უნმიდესო და უნეტარესო!..

## ჯვარი მიგვათრევს

მაღე დრო მოვა, უფლის ჩამოსვლას,  
ველი მინაზე ისე ძალიან,  
ჩემო სამშობლოვ, ჰგავხარ სალოცავს,  
და შენი ლიბოც ნატაძრალია!..

ცეცხლში ჩადნება ვერცხლის ყულაბა,  
მერე დადგება მზე და სინათლე,  
ჩვენ კი არ გვიყვარს, უფალს ვუყვარვართ,  
ჯვარს კი არ ვზიდავთ, ჯვარი მიგვათრევს!..



## მუჰამედ!

მუჰამედ, ვიცი, უფალთან შენც ხარ,  
 უფალი გულში რაოდენს იტევს,  
 როდესაც მალლა ახვედი ღმერთთან,  
 ნეტავი როგორ მიგიღო ქრისტემ?!

ნეტავი ახლა რას ფიქრობ მალლა,  
 დღეს რას ეტყობი შენს სამწყსოს ნეტავ,  
 ყინული ყველა მწვერვალზე გალღვა,  
 შენ რა გადარდებს კეთილს და ნეტარს?!

მუჰამედ, მაქვს მე კრძალვა და რიდი,  
 იესოს ძმავ და მოციქულთსწორო,  
 ცხოვრება ისევ იმავ გზით მიდის,  
 ხსნილი აქვს ფსკვნილი მკვლელსა და ბოროტს...

შენი სახელით ებრძვიან მოყვასს,  
 შენი სახელით ანგრევენ ტაძრებს,  
 როგორც წარსული ვერ შეცვლის მყობადს,  
 ვერც უწარსულოდ მყობადი გაძლებს...

ხოლო თვით უწყი, რაცაა ანმყო,  
 მომრავლდა ეშმა - საერთო მტერი,  
 ადამიანებს უფალი გვწყალობს,  
 ქრისტეა უფლად მოსული მტრედი...



მუჰამედ, ვიცი, ქრისტესთან შენც ხარ,  
უფალი გულში იტევს რაოდენს,  
ადამიანს რა ღმერთი გაუნყრა,  
როცა ფოთლებიც ხეზე დარდობენ?!

### ამაღლება

ცაზე მაღალი ზოგჯერ მიწაა,  
უნდა ამაღლდეს კაცი მიწამდეც,  
ვერ გაგვიმეტა გასანირავად,  
ყველა ტკივილი, ტანჯვა, სიმწარე,  
თავად მიიღო,  
ჩვენ კი ვინა ვართ?!.  
ვნახეთ უფალი  
და ვერ ვინამეთ!..





## მე მონანიე იუდა მიყვარს...

რამდენი ვჰპოვე, უფალო, სიტყვა,  
სისხლის ამღვრევი, ცრემლის დამდენი,  
მე მონანიე იუდა მიყვარს,  
თორემ გამცემი არის რამდენი...

ამოხეთქავენ ძარღვები ტერფებს,  
დიოგენევით ვარ უსახლ-კარო,  
მე მონანიეს ვაფასებ პეტრეს,  
თორემ უარმყოფთ მიაქვთ სამყარო...

ადამიანი თუ რწმენას კარგავს,  
რალაა მისი არსი, მიზანი,  
ურწმუნოს ვამბობთ თომაზე, მაგრამ,  
მასზე მორწმუნე ნეტავ ვინ არის?!

რამდენი ვჰპოვე, უფალო, სიტყვა,  
ვერ ვნახე კაცი, სიტყვის დამცველი,  
მე მონანიე იუდა მიყვარს,  
თორემ რამდენი არის გამცემი?!

## ღმერთო, დამაკოცნიე

ხავსი ჩნდება ლიბოზე,  
ჭერხოს წვიმა ჩამოდის,  
მთელი დამე ვილოცე,  
გიყურებდი დალოცვილს...

მცხეთას კვართი ანათებს,  
შორს ჩანს იოდმანგანი,  
ლოცულობენ მამა-ღმერთს,  
ასურელი მამანი...

საუკუნეს ოცივეს,  
რწმენით ვედიდგულები,  
ღმერთო, დამაკოცნიე,  
ქრისტეს ფეხისგულები.





## წინუზნის წმ.გიორგის ტაძარს

არსად წავსულვარ, აქა ვარ,  
სად წავიდოდი უშენოდ,  
მინდა ჩემს ქარის ქარავანს,  
კედლები შემოვუშენო...

ვუშველო ტაძარს, ნატაძრალს,  
ადამიანებს ვუშველო,  
ყველგან, გზამ სადაც მატარა,  
თვალნინ მედექი, სულმშვენო...

უშენოდ კენჭიც არა ვარ,  
მტვერიც არა ვარ უშენოდ!..





## ჩემს ეკლესიას

სულ ერთი რამე მინდა,  
სადაც არ უნდა მოვკვდე,  
სამარადისო ბინა,  
შენს სიახლოვეს მქონდეს...

მინის მტკაველი ერთი,  
მზე-ნისლიანი სახლი,  
შემინყნარებდეს ღმერთი,  
გამიხსენებდეს ხალხი...

\* \* \*

*აღდგომა დღეს მიტოვებულ საფლავზე წითელი  
კვერცხების ნაცვლად ყაყაჩოები ამოსულიყნენ.*

ღმერთო, ისე ნუ გამწირავ,  
მე სხვის დარდს ნუ ჩამაყოლებ,  
ამ საფლავის ცივი მინა,  
გაუთბიათ ყაყაჩოებს!



## ქრისტე, ღმერთო!

ქრისტე, ღმერთო, ბებერ მახვშის  
გულით ვსტირი, გიმზერ როცა,  
თუმცა მართლმორწმუნე გავხდი,  
მაინც ვერ ვისწავლე ლოცვა...

შენი მეგობარი მეც ვარ,  
მონყვეტილი გალაქტიკებს,  
უნდა კოსმიური ზეცა  
დავლაშქრო და გნახო, ქრისტევ!..

## ჯვარცმა

უნდა გრიალებდეს ქორო,  
ცეცხლი ენთოს მინას ძვლებზე,  
ღმერთო, როგორ ვეამბორო,  
შენს მილურსმნულ სხეულს ძელზე?!

როგორ მოგიწმინდო სისხლი,  
როგორ მოგიმზევო ზეცა,  
ქვას ის გესვრის, ვისაც იხსნი  
და ვწუხ, იმათ შორის მეც ვარ!..

## უფალს

შენამდე, ღმერთო, უფალო,  
რა შორი არის აქედან,  
ნეტავი ცოდვილ მინაზე  
ხანდახან გადმოგახედა.

მოვა დრო, კარებს შევალვით,  
დავიფერფლებით უალოდ,  
აქედან მოსვლა შენამდე  
რა შორი არის, უ ფ ა ლ ო !

## წმინდა გიორგის სავედრებელი

წმინდა გიორგიმ დაგლოცოთ,  
მაცხოვნებელმა ჯვარმაო,  
ღრმა სიბერემდე გაცოცხლოთ,  
ვერ დაგიმონოთ ჯავრმაო,  
იხაროს ჩვენმა სამშობლომ,  
ქართველთა მინა-წყალმაო!..



## უფალო

უფალო, ვდგავარ და გიყურებ,  
ვიცი რომ მხედავ და გიყვარვარ,  
ჩემს ცოდვებს - სიბრმავეს, სიყრუვეს,  
არ დაცვას მცნებათა, სიტყვათა...

არ ვმაღავ, ვამბობ და ვლოცულობ,  
შენს ხატებს ვკოცნი და ვეველები,  
გულიდან, სისხლიდან მოსულო,  
ხელს გისვამ, მითრთიან ხელები...

არც რამე მომაქვს და არც მიმაქვს,  
ხან შენსკენ, ხან შენგან მიმავალს,  
შენ ხვდები ყველაფერს, რაც მითქვამს  
და რასაც ვერ ვამბობ - იმასაც...

მიყვარხარ, ძალიან მიყვარხარ!..





## ბერო გაბრიელო!..

ბერო გაბრიელო,  
სიყვარულხვავრიელო,  
უნდა გვაძლიერო,  
გვამრავალჟამიერო...

ღმერთო, დაიცავი  
ამ მიწის, ამ ცისანი,  
ვინც გვყავს სანატრელი,  
ვინცა გვყავს საფიცარი...

ბერო გაბრიელო,  
სიყვარულხვავრიელო,  
გვალხინ-გვაძლიერე,  
გვამრავალჟამიერე...



## ათცამეტზე ცოტა მეტი

### ასურელ მამებს

იოანე ზედაზნელო,  
უფლის მოვლენილო მზეო,  
სულო, გულო უფლისაო,  
ვგალობ აღილუიასო!..

დიდო ანტონ მარტყოფელო,  
მარტოდ მყოფო, სანთლის ფერო,  
მზედ მნათობო უფლისაო,  
ვგალობ აღილუიასო!..

აბიბოსო ნეკრესელო,  
უფლის გზაზე მეკვლედ მსვლელო,  
თვალისჩინო უფლისაო,  
ვგალობ აღილუიასო!..

წმინდა დავით გარეჯელო,  
ჯვრის მზიდველო, ამ ჯვრის ჯერო,  
გულის-გულო უფლისაო,  
ვგალობ აღილუიასო!..

ქრისტე უყვარს ისე ნილკნელს,  
უყვარს ჯვარი, ჯვარის მზიდველს,  
მორჩილება უფლისაო,  
ვგალობ აღილუიასო!..

წმინდა შიო, მღვიმის სვეტო,  
ქრისტეანთა შორის მეტო,  
ნათლის სვეტო უფლისაო,  
ვგალობ აღილიუიასო!..

ალავერდელი იოსებ,  
მადლად გვექცა, რაც ილოცე,  
სიხარულო უფლისაო,  
ვგალობ აღილუიასო!..

სტეფანმინდელი თადეოზ,  
შენდობას ვთხოვ შენს ანგელოზს,  
ანგელოზო უფლისაო,  
ვგალობ აღილუიასო!..

სადაც პიროს ბრეთელია,  
ყველგან ხსნა და ბეთლემია,  
რაც არ უნდა სული ვწვართო,  
ვერ ვიქნები მისებრ სათნო...

ვერც ხირსელი სტეფანესი,  
ვერ ვიქნები მტვერი ტერფის,  
ლოცვით უნდა სული ვავსო,  
ვგალობ აღილუიასო!..

სამთავნელი ისიდორე,  
ყოფა ჩვენი მიდის მდორედ,  
ხატება ხარ უფლისაო,  
ვგალობ აღილუიასო!..



ულუმბოელო მიქაელ,  
მართლად მსვლელო უფლის გზაზე,  
სიყვარულო უფლისაო,  
ვგალობ ალილუიასო!..

ცხრა მთისა და ცის ზემოთ ზის,  
იყალთოელი ზენონი,  
წყარო უკვდავებისაო,  
ვგალობ ალილუიასო!..

დიაკონო ელიაო,  
ძალა გამომელიაო,  
მომეძალა სინანული,  
ლოცვით გარეშემო ვუვლი...

ტაძარს ვუვლი, სანთლებს ვანთებ,  
პიმენ, ნათან, იოანეც,  
შენდობას გთხოვთ უფლისანო,  
ვგალობ ალილუიასო!..

-----  
დაცალკევდით, ოთხმოც წლამდე,  
უმეგობროდ დაყავით,  
ზედაზენი იყო თქვენი,  
ბოლო თავშესაყარი...

უფალთან ხართ, ღმერთში გხედავთ,  
ქრისტეს მადლით შემოსილთ,  
საქართველო არის თქვენში,  
თქვენ ხართ საქართველოში!..

## კვეტერა

მენატრებო კვეტერო,  
დედოფოლი ახმეტის,  
გაკვირტებულ ატმების,  
გაზაფხულთან შეხვედრო...

მზიანეთი კახეთის,  
ფიროსმანის ტემპერო,  
მენატრებო კვეტერო,  
ქართლის აღმოსავლეთი...

მენატრებო კვეტერო,  
თავის ცით დო მდელოთი,  
ათასი წლის მეტრფე ვარ,  
ჩემი ცისფერ დედოფლის!..





## თუშათი

წალკოტში ვათენ-ვალამებ,  
აქ ვერ იქნები უღმერთოდ,  
მაგ მთების წვერიც მანახე,  
იქით გაინი, ღრუბელო!..

ქარაფებს ცრემლი ჩამოსდის,  
თქვენ რომ კლდის წყარო გგონიათ,  
აქ მზეს ვერ ჩატევ ჩარჩოში,  
ვერც გულში მელანქოლიას!..

აქ უნდა სული მოითქვა,  
მამულის ლიბოს უმღერო,  
შენ გენაცვალე, ოდითგან  
ქართველი კაცის უღელო!..

ხან ძნელად სატარებელო,  
ხან კიდევ ჰარი-ჰარარად,  
კოშკები უგავს კესელოს,  
ლეგა ღრუბლების ქარავანს!...

## შენაქო

მიმღერე, თუშის ქაღაო,  
სტუმრად მოვსულვარ შენაქოს,  
მოვეღ და ისეღ ნავაღო,  
რა პირი შეჰჰკარ, შე ქაღო?!

ანაც სიმიღერიღ დამატკბე,  
ანაც ბროღ-ყეღის ცქერიღთა,  
შენა ხარ ჩემი სახატე,  
მე შენი თვაღის ცრემღი ვარ!..

## კახეთი

თუ მიღიხარ კახეთისკენ,  
მზემ ამოსვღა არ მოგასწროს,  
მთვარის ჩრდიღებს გაეკიღდე,  
ნახე წმინღდა ნინოს წყარო...  
საქართვეღოს კართაღენი,  
კახეთიღ, მეგობარო!..



## პეჩო

მახსენდება მთვარე ღებთან,  
ქარით ნისლებს როგორ მორეკს,  
მზე სისხლისფრად დაისს ღებავს,  
მახვშის სუნი უდით კოშკებს...

მთის ბეჭობზე ვზივარ, ვფიქრობ,  
ამ ცას მოვწყდე, ვაი, მეც თუ,  
და არ ვიგრძნო უშბის სითბო,  
და არ მოვეფერო თეთნულდს...

აქ მზე ცას და ცა მზეს ეტრფის,  
მერე რა ცა, ან მზე რა მზე,  
ამ მზის, ამ ცის, მთების მეტი,  
რა ვინატრო ქვეყანაზე?!

## მესტია

უშბას და თეთნულდს ვშორდები,  
მახვშვივით მიცქერს მესტია,  
აქ საყდრებივით კოშკები,  
ეკლესიებზე მეტია...





## შერმადინ ქალღანს

მე ვიცცი, ძმაო, რა არის ჩხუბი,  
როგორ ევლება პოეტი ნრეხაზს,  
შენ ახლა ლექსად აბოლებ ჩიბუხს  
და მარადიულ ნისლებზე ნეეხარ!...

ქარვისფერ ღვინით სავსეა სურა,  
გელვრება გულზე სამთავროს მადლი,  
ვიცი, მანდ ბევრნი უსხედხართ სუფრას,  
შესვით და მერე უფალთან ადით!

## ტიციანი

გულის ჯიბეზე მიხაკს დაიბნევ,  
ერთ დროს ლექსებით ქვეყნის ამკლები,  
ბაღჩის ველივით შვენის აივნებს,  
მწვანე ხავერდის გავალაკები.

ქარი ხელს უჭერს ღრუბელს აღვირზე,  
ძონძივით გდია გრძნობის ნარჩენი,  
თქვენ, ყანწლებმა ხარკი გაიღეთ,  
წმინდა გრაალის გადასარჩენი.



### **ალექსანდრე ყაზბეგს**

იქნებ შენ შეგხვდა ილია,  
თერგზე რომ ამოიარა,  
შენი ცრემლი და სისხლია,  
წვიმად რომ დასდის იალალს...

სტეფანწმინდიდან ფესვგამდგარ  
მაგ შენი ძვლების ჭირიმე,  
ადექით შენ და ფშაველა,  
სამშობლო გადამირჩინეთ!..

### **გოდერაჟი ჩოხელს**

შენ ხორცი, როგორც ფრთები ჩიორებს,  
საკუთარ ძვლებზე ცოცხლად შეგახმა,  
შენ წაბორძიკდი, არ დაიჩოქე  
და საქართველოს შერჩი მცხეთასთან!..

### **მურმან ლეხანიძეს**

ფორზეცზე დავცქერ ავტოგრაფს,  
ჩემთვის რომ წარგინერია,  
მინაზე ნამყოფ მარტოკაცს,  
ზეცაშიც ჯვარი გწერია!..

### **ქაქუცა ჩოლოყაშვილს**

შენი ნასროლი ისარი,  
რქებზე ჰკიდიათ არჩევებს,  
ბედნიერება ის არის,  
მარადისობას დარჩე!..





## **სადაც არ უნდა ნახვილა...**

*ლიტოს*

ბუდე არა აქვთ არნივებს,  
სალი კლდის ნვერზე კვდებიან,  
სადაც არ უნდა ნახვიდე,  
ყველგან სამშობლოს მთებია!

## **ტირანტი ბრანელს**

დღეს შენც კრავივით შეგინირავენ,  
შუბლზე სანთლით და თმებზე მარილით,  
ამ ცოდვით სავსე დედამინაზე  
პოეტს არა აქვს არსად ადგილი!..

## მეუფე თადეოს

მთები გეგონა პაპის პაპები,  
მე კი ამ მთების პაპა მგონიხარ,  
მარტო მოხვედი, მარტო ნახვედი,  
ამ წუთისა და წამისოფლიდან...

შეუერთდები ღვთის დინასტიას,  
ჯვრის მტვირთველებს და ამ ჯვრის მჭედელებს,  
გადააფარე შენი მანტია  
ჩემს საქართველოს დაღლილ ბეჭებზე!

## ნოდარ გრიგალაშვილს

სიცოცხლე სიკვდილს არ ელის,  
სიკვდილს სიცოცხლე სწყურია,  
საუბედუროდ ქართველის,  
ყველა გზა წინამურია!..



## გიორგი ანნუხელიძეს

ტანზე სისხლისფერი გეცვა,  
მზის ნათელი გეფარა,  
საქართველოს მთებს და ზეცას  
მხრებით გადაეფარე...

ვლოცულობ და გინთებ სანთელს,  
ქრისტეს მარწუხების მგლეჯს,  
შენს სისხლისფერს ვენაცვალე,  
გიო ანნუხელიძე!..

\* \* \*

სამშობლო განა მითია,  
ისე უბრალოდ სათქმელი,  
ღვარად მდინარე სისხლია,  
გულის ოთხივე სარქველი!..



## ჯანსუღს

ვაზი ამოვა ლიბოზეც,  
მზეერას მოგტაცებს ანაზდად,  
რა არის ერთი სიცოცხლე -  
ცერზე შემდგარი ავაზა...

ვისთვის ცხოვრება ვარდის გზა,  
ვისთვის სულ ბენვის ხიღია,  
ამაოების ბაზრიდან,  
ღვთის საუფლოში მიდიხარ!..

## ისევ ჯანსუღს

არის ახლო, არის შორიც,  
გზა იმ ბოლო სახლამდი,  
შენ ამბობდი - რა მშვიდობით,  
შენ ამბობდი - ნახვამდის...

ვინ წამოვა სამოთხიდან,  
აქ, სულ სადაც ბინდია,  
იმ ქვეყნიდან არ მოდიან,  
ამ ქვეყნიდან მიდიან...



## გენო კალანდიას

ჩემო გენო, ზუსტად ვიცი, ახლა ცოტას ფიქრობ ჩემზეც,  
მახსოვს, როგორ მომინონე ლექსი ავთო ჩხაიძეზე,  
ლექსი დავით კახაბერზე რა სინრფელით შემეფასე,  
ახლა სტრიქონს თქვენთან ვგზავნი, ვწუხ... იმავე  
მისამართზე...

დაიღალა თქვენი გული დაკარგული აფხაზეთით,  
დამცრობილი საქართველოს გულის თვალებიდან  
მზერით,  
ჩაიქნიეთ კიდეც ხელი, ვედარ მოასწრებდით ნახვას,  
ვერას გავხდით იმ ურჩხულთან, ვინც სამშობლო  
გაგვილახა...

და ამიტომ გენო, ჩემო (თამამად გწერ, ნახეთ როგორ,  
რადგან მინდა თქვენი წასვლა დედამინამ გაიგონოს),  
სიკვდილამდე მალლა უფალს, ჭეშმარიტ ღმერთს  
უგალობეთ,  
აღბათ მეც თქვენს ნაცნობობას იმ ერთს უნდა  
ვუმადლოდე...

ახლა უცბად გამახსენდა, დუმბაძემ რომ  
„გაიმასხრა“,  
სიკვდილს შეხვდით, რენეს შეხვდით, რა თქმა უნდა,  
ქრისტეს ნახავთ,  
მესამე ძმას აქ გვიტოვებთ, ემატებით დიდთა რიგებს,  
მიდიხართ და დარჩენილებს, იქ წამოსვლას  
გვიადვილებთ!..





## კონკასთან

*ავთო ჩხაიძეს*

აქ ნიგნებს ყიდიდა ერთი კაცი,  
სახლიდან მოჰქონდა და ყიდიდა,  
გვერდით ჩავუარე, ვერ ვიცანი,  
როგორც მოხეული ნიგნის ყდა...

იდგა ლაჟვარდისფერ ოქტომბერში,  
სევდაც ოქროსფერი მოჰქროდა,  
მისთვის ისე იყო ლექსის ტევრი,  
როგორც ქრისტესათვის გოლგოთა...

ზოგჯერ კი არა და უფრო ხშირად,  
სვამდა არაყსა და ხანაც რას,  
ჩემზე ლექსებით და წლებით უფროსს,  
კაცის უხაროდა დანახვა...

მერე ეს კაცები დაცოტავდნენ,  
თითო-ოროლაღა შემორჩნენ,  
აღარც ხახვი იღო ხაროს თავზე,  
აღარც კვამლი იყო ჭერხოზე...

გულში ატრიალა სოფლის სევდა,  
მამულს მსახურებდა.... რავი რად,  
ჭმუნვით მიიხედა, მოიხედა,  
ჭიქა გადაჰკრა და წავიდა!..



## ზურაბ ქაფინიძეს

*„ვერ გაცეკვეს მეფის კარზე,  
ვერ შეგცვალა დრომო,  
საქართველოს ბედ-იღბალზე,  
მოღრიალე ლომო!“  
თემურ ჩალაბაშვილი*

ნისლებიც ტოვებენ,  
ზეცის ლურჯ სამანებს,  
შენ ჰგავდი ტორებზე  
მდგარ სამას არაგველს...

გვაკლიხარ, გვიყვარხარ,  
გიხსენებთ მაღლიანს,  
შენ ჰგავდი დიდ ცხრა ძმას  
და ცოტნე დადიანს...

ზეცაში აჭრილხარ,  
დევების ნაშობო,  
ფაზისით რაჭიდან  
დაგქონდა სამშობლო...

შენ დარჩი მინდიად,  
დათვივით ტორებით,  
ძალიან დიდი ხარ,  
რას დაგეტოლებით!..

## ტრისტან მახაურს

მცველად ედექ ადათ-წესებს,  
ქართულ ზნეს და ქართულ სიტყვას,  
წადი, მშვიდად განისვენე,  
ტიტე, ჩემო ძმაო, ტრისტან...

-----  
ისე ჩუმად არის ფშავი,  
რომ არაგვიც არ ხმაურობს,  
იქაც შენი მამის სახლში  
დაემკვიდრე, მახაურო!..

\* \* \*

რამდენი კაცი წავიდა,  
რამდენი ნაცნობ-მოკეთე,  
ვინც ამ სხეულის მარჯნიდან,  
მარჯვენასავით მომკვეთეს!..

და რადგან ქრისტეს ვეძებდი,  
დასაბამიდან მორწმუნე,  
უფალო, გულზე ცრემლები,  
ოჯალეშივით მომწურე!..



\* \* \*

გათავდა, დროა, უნდა წავიდე,  
დღეს მწუხარება კართან ჩამოდგა,  
იქნება ერთხელ კიდევ განვიმდეს,  
ჯერ გაუთხრელი მიწის მახლობლად...

მერე აჰყაროს ქარმა ღრუბლები  
და ჩემი გვამი ცაში წაილოს,  
ოლონდ... ოლონდ ქვა არდაბრუნების,  
ციფრებით აღარ დაათარილოთ!..

### **სიცოცხლე და სიკვდილი**

სანთელივით უნდა თრთოდე,  
ცას ეკიდო ნისლივით,  
სიცოცხლეა ძნელი, თორემ,  
სულის ხსნაა სიკვდილი!..

მივედები ღობე-ყორეს,  
ლეგა ღრუბლებს მივკივი,  
სიცოცხლეა ძნელი, თორემ,  
აფრენაა სიკვდილი!..

\* \* \*

არ ჩამოჰყრიან ხეები ფოთლებს,  
ისინი ჰქრიან ზეცის ყანობთან,  
ხოლო შვილები ტოვებენ მშობლებს,  
ვისაც იმათთვის სულ მზე ამოჰყავთ...

უბრუნდებიან ბუდეს მერცხლები,  
ზღვას ერთვის ბოლოს ყველა მდინარე,  
დავბერდებით და შევივევრცხლებით,  
ვაი, რომ ველარ გამოვიდარებთ!..

\* \* \*

ვხედავ, რაც უფრო ვბერდები,  
თვალი გამირბის მინისკენ,  
დარჩნენ სოფლებში ბებრები,  
ჩაფიქრებულნი სიკვდილზე...



## გოლგოთისკენ მიდის ქრისტე

ჩემი ფიქრის დაა ღამე,  
გინებობ, ღმერთო, ისევ შენ,  
წუთისოფლით დავიღალე,  
ცოტას ჩამოვისვენებ!..

ჯვარი ძვეს და მზიდავს ელის,  
გინდ მოაბი საბელი,  
კაცი არ ჩანს ამზიდველი,  
არც ამ ჯვარზე ამსვლელი!..

ვინ აიტანს, ვინ იტვირთვებს,  
მაცხოვარო, ისევ შენ,  
გოლგოთისკენ მიდის ქრისტე,  
ჯვარს რომ ეცვას ისევე!..

## წმინდა ბარბარეს

ოქროსფერო ქალწულო, ივლიანეს დაო,  
მზედ სდის ქრისტეს ნათელი იმ სამივე სარკმელს,  
იცი, შენი წამება არის ისე სათნო,  
ვინ თმებს გინენს, ხორცს გინვავს, ვინ საკმეველს აკმევს,  
უფალთან ხარ მაშინვე, თვალს რომ გამოახელ...

სულაც არ ენაღვლება მაკრიანეს მცნება,  
დიოსკურევე, შენ რაღად, ასულია შენი?!.  
სულწარწყმედილს ვერ შველის ვერც მინა და ვერც ცა,  
ქრისტესათვის წამებულს, ქრისტე ღმერთი შველის,  
წევს შველივით გოგონა, გოგოსავით შველი...

წევს და მზეს ეფიცება, მზეს კი არა, მზებს,  
ქარი ვეღარ ქარიშხლობს, ნისლი ვეღარ ნისლობს,  
მოვიდა და იესო წამოუდგა ფეხზე,  
თქვა - ცის სასუფეველმან უნდა მოილხინოს,  
პური - ჩემი სხეული, სისხლი ჩემი - ღვინო!..

-----  
ცივა საქართველოში, გვარიანად ცივა,  
დედაჩემი ცომს ზელს და ლობიანებს აცხობს,  
ბარბარობა შემოდის, ფანტელები ცვივა,  
რძალი აწყობს ნაძვის ხეს, შვილიშვილი ანცობს,  
ბრწყინავს ჩემი სახლი და ჩემი სამოსახლო!..



## წმინდა ნინო

არმაზს კერპი დაუმსხვრიე, მცხეთას სვეტი აღმართე,  
ვაზს მირონი ჩაუნვეთე, ვენახს გაუამინდე,  
ჯვრები, ჯვრები, ჯვრები დასვი, ჯვარზე ათენ-ალამე,,  
მერე ჩემი საქართველოც მირონივით აღინე!..

მაყვლოვანში, მცხეთის ახლოს, უჯარმიდან თხოთამდე,  
ვარსკვლავები შენი მზით და ციურ ნათლით ხარობენ,  
დგას სამყარო მარადიულ სახარების ოთხთავზე,  
როგორც ჩემი საქართველო - დედამიწის სამოთხე!..

\* \* \*

უკვდავების წყარო ხარ,  
შენთან ვარ და სულს ვათბობ,  
არ მოაკლო წყალობა  
დედამიწას, უფალო!..





## სამგობლოს

რაც უფრო გიახლოვდები,  
უფრო ვგრძნობ პულისის სიხშირეს,  
სხვა მინა ვტკეპნე დროებით,  
ვითმინე, ბევრი ვიჭირვე,  
ველარც იმ ნისლებს მოვები,  
სხვის ცას დიოდნენ რომლებიც  
და ისევ შენთან მოვედი,  
როგორ ხარ, შენი ჭირიმე?!

მხვდებოდნენ მთები გზადაგზა,  
შენს მთებს რომ ჰგავდნენ რალაცით,  
ჩამწკრივებულებს ლამაზად,  
ჰშვენოდათ ნისლი მაღალ ცის,  
მინას ეფინა ანაზღად,  
ალაგ ეკალი, ალაგ ბზა,  
მოვედი, შენთვის მზადა ვარ,  
თუკი სანუთრო დამაცდის...

დრო არ გადავდო ხვალისთვის,  
აქ ფუძე ვათბო, იქით ჭერს  
სანთელი ვუნთო ხალისით,  
ერს და ბერს, მთმენს და ნიჭიერს,  
სამყარო ჰქონდეს სახლივით,  
გიჭედო კავი, სახნისი,  
ხშირ-ხშირად გკითხო რა გილხინს,  
რა გტკივა, შენი ჭირიმე?!



## გზად ტრაპიზონისკენ

ჩემი ქვეყანა დიდია,  
უფლის კარიბჭის მპყრობელი,  
საქართველოდან მივდივარ,  
სამშობლოს ვუახლოვდები!..

დიდი ლაზეთის ნამცვრევი,  
ცრემლივით მოსჩანს შორიდან,  
გულისტკივილით გავცქერი -  
„სადაც გავზრდილვარ, ვშობილვარ!“

\* \* \*

მსურს მზედ ვეფინო შენს კლდეებს,  
მზესავით ჩავეყვ დაისებს,  
მოვკვდე და მერე შენს მკერდზე,  
ამოვიდ - ამოვყვავილდე!..

**„გამარჯვება ჩვენია!“**

აფხაზეთი ნაგვართვეს, სამაჩაბლო ნაგვართვეს,  
ამ მინა-წყლის ჯალათებს, არც სხვა გამორჩენიათ...  
საინგილო აღარ გვაქვს, დაგვრჩა ტაოც გადაღმა,  
მანც ვყვირით ხმამაღლა -  
გამარჯვება ჩვენია!..

ტკივილები ბიჭების, ეროვნული გმირების,  
გუშინ გარდაცვლილების, ჯერ არ მოგვირჩენია...  
სოხუმშიც და ცხინვალშიც, ვინ გონებით, ვინ ძალით,  
გვკლა და მანც ვიძახით -  
გამარჯვება ჩვენია!..

სისხლის ნვიმა ვანვიმეთ, ერთმანეთიც გავწირეთ,  
წუთისოფლის გზანვრილზე, ბზის რტოები ხმებთან...  
გაუმარჯოს სიმართლეს, გზას, რომელიც გვინათებს,  
სადაც ჩვენ გავიმარჯვეთ,  
ყველგან საფლავებია!..



## საქართველო

მბურძგლავს „მრავალჟამიერი“,  
ჟრჟოლას მმართვებს „ჩაკრულო“,  
ფეხზე დგახარ, საქართველოვ,  
ქრისტეს ჯვარზე გაკრულო!..

ნეტავ შენი გაბრწყინება,  
ერთხელ კიდე მალირსა,  
შენს უბეში ბრწყინავს დღესაც,  
კვართი მაცხოვარისა...

დაღვრილი ხარ მართალ სისხლად,  
ტადარი ხარ უფლისა,  
ქრისტესავით ალალი ხარ,  
შენ იესოს გული ხარ...

შენთან არის წმინდა ნინო,  
მეცამეტე მატათა,  
მარადიულ კავკასიონს,  
მეცხრე ცამდე აყავხარ!..

მბურძგლავს „მრავალჟამიერი“,  
ჟრჟოლას მმართვებს „ჩაკრულო“,  
ფეხზე დგახარ, საქართველოვ,  
ქრისტეს ჯვარზე გაკრულო!..

## ეზიბრანტის სიზღერა

რა ლამაზია იელი,  
შეყვარებული იაზე,  
ვერ გავხდი გადამთიელი,  
ვერ დავრჩი უცხო მინაზე...

სულ თვალწინ მიდგას ძირძველი,  
სახლი ნაგები კირ-ქვითა,  
სად მამა-პაპა მიმელის,  
მეც გზა-სავალი იქით მაქვს!..

\* \* \*

ტადრები სისხლით ვაშენეთ  
და მოკვეთილი მარჯვენით,  
ღმერთო, თვალეზი მაჩვენე,  
მამულის მოდარაჯენი!..





## დიდი იყო საქართველო

დიდი იყო საქართველო  
 თავის ზღვით და ხმელეთით,  
 ვრცელი იყო მისი ცა და  
 მისი ზღვის სანაპირო,  
 ვაჭარნი და კურტიზანნი,  
 თვითონ მეფეთ-მეფენიც,  
 მოდიოდნენ, ბროლის მთებზე  
 კრეფდნენ ლალს და საფირონს...

დიდი იყო საქართველო,  
 თვითონ კაბადოკიაც,  
 იბერებმა გამოჰკვეთეს,  
 მოქარგეს და მოკირწყლეს,  
 რაც უფლისგან არ თესილა,  
 არც ვინმესგან მომკილა,  
 მე ქართველად ვასახელებ  
 ნინო კაბადოკიელს!..

ქართველებთან ვინც ქართულად  
 ქადაგებდა ქრისტეს რჯულს,  
 ვინც აკურთხა ქართლის მიწა  
 ვაზის ჯვრით და მირონით,  
 მის ნათესავს და მის თვისტომს,  
 ჯვრისთვის ცმულს და ჯვრის ერთგულს,  
 მე ქართველად ვასახელებ  
 დიდმონამე გიორგის...

არ გეგონოთ, ამბიციი  
გვახელებდეს პოეტებს,  
არც ვაპირებ სისხლით  
ნანერ ისტორიის ხელყოფას,  
მზით ქართველი, ცით ქართველი,  
მონათლული პრომეთედ,  
კავკასიონს მიჯაჭვული  
ამირანიც გვეყოფა!..

ქარი კაბას უშრიალებს  
პონტოს ზღვაზე მედეას,  
მიჰყავს „არგოს“ კოლხი ქალი  
ოქროს სიბრძნის სანმისით,  
დიდი იყო საქართველო,  
დიდი ვეებერთელა,  
გადარჩები, საქართველო,  
საქართველო, გაბრწყინდი!





\* \* \*

ყავაში ნალექი კაიფში ვარდნის,  
 ლამაზად გალექსილ სიყვარულს ჰგავდი,  
 ქალაქში მოთოვა, არ გიყვარს თეთრი,  
 მოდაში „ბორდოა“ საცვალის ფერი.

უხდებათ საყურე ნიკაპზე, ცხვირზე,  
 ჩემთვის კი გრძნობა კვლავ წვაა და ციხე,  
 შენ გშვენის პირბადე, ლოყაზე ხალი,  
 შენ ჩემი დღე ხარ და იმედიც ხვალის.

ბოგინობს ბოგანო, როსკიპობს ბოზი,  
 მე ყანწს ვსვამ, ყავას კი - ბომჟები ზონდით,  
 აფრქვევენ „სვეტები“ კაიფში ლექსებს,  
 მე ვფიქრობ ტრფიალზე და არა სექსზე.

არ უყვართ განაბებს წითელი, თეთრი  
 და მაინც „ბორდოა“ საცვალის ფერი,  
 გკოცნიდი თვალეებზე და მკერდზე- ვარდში,  
 ლამაზად გალექსილ სიყვარულს ჰგავდი.



## ანაკრეონტი

მარტის რტოებზე და ლოტოსის ნაზ ღეროებზე,  
ისე ვით ლირას პოეზიის კენტი ტენორი,  
უყოფდა მუზას უგვირგვინო ანაკრეონტებს,  
ვარდის ფურცლებით თავშემკული ანაკრეონტი.

უმღერდა ბახუსს, ვაზის ღერნებს და სილამაზეს,  
მისთვის ქალარა იყო დროთა უღვთო დინება,  
„სიყვარულით“ - მოგიგებდათ ყოველ სალამზე  
და ეძლეოდა ბერიკაცულ თავდავინყებას.

მოჰქონდათ ჰორებს მისი შუბლის შესამკობელად,  
ვარდები ნორჩი და შროშანი ნაზი სამკერდედ,  
უმღერა ბახუსს და სიყვარულს დიდმა პოეტმა  
და მიიძინა ყურძნის მტევნით ხელში ვარდებზე.





## რადაც მეტაფორულად

გავიდვიძე, წუხელ ღამით,  
თურმე თოვლი მოსულა,  
იდგა თოვლში ჩემი სახლი,  
რადაც მეტაფორულად...

ჩანს მთვარესაც ჩაეძინა,  
მიელულა მზის სხივი,  
მოდოდა თოვლი ციდან,  
ლამაზ აფორიზმივით...

ისე ჰგავდნენ ეს ფიფქები  
შენი სულის ფანტელებს,  
არასოდეს ვიფიქრებდი,  
დარდს თუ მომიმატებდნენ...



## მარტი

ქარის აურზაურია,  
მობზე ნამი ატირდა,  
მარტმა თუ არ აურია,  
აბა, რისი მარტია...

ზოგ ქალივით მატყუარას  
დითირამბებს უძღვნიან,  
ქალს თუ არა, მარტს თუ არა,  
აბა, ვის შეუძლია?!

სანთელივით შენთვის ენთოს,  
მერე ჯვარზე გაგაკრას,  
ერთი სიყვარული, ღმერთო,  
არავისთვის არ კმარა!..



\* \* \*

მიყვარს ჩემი რაჭველები,  
ნისლი მთებზე ნაჭენები  
და რაჭული თოვლი...  
ზემოურნი, ქვემოურნი,  
კაცი, კლდეებს ქედს რო უხრის-  
სიყვარული სოფლის!..

მიყვარს ჩემი ქართველები,  
ლისხ იქით და აქეთლები,  
აფხაზი და ოსი,  
მინა, სადაც მატათაა,  
მცხეთა იგი, სადაცაა,  
კ ვ ა რ თ ი ი ე ს ო ს ი!..

\* \* \*

ლელთ ლუნია ვარ ჩემი მამულის,  
მესმის მწუხარე მინის გოდება,  
მზით მაქვს სხეულზე ამოქარგული -  
„ენა, მამული, სარწმუნოება!“

## ღამეებღე!..

ღამეებღე, ზოგჯერ მაინც მქონდეს ბედის იმედი,  
კარი არსად არ გამიღეს, სადაც გულით მივედი,  
ზოგი ლამაზ თვალებს მთხოვდა, ზოგი ხვავს და  
ბარაქას,  
მე კი, აი ეს გულია, რაც მქონდა და რაცა მაქვს...

ღამეებღე, ჩემო კარგო, ტკბილო ადამიანო,  
ღიღმი მაინც, ფიქრში მაინც აღარ დაავგვიანო,  
მოგცემ თაფლით, ფქვილით, ღვინით სავსე ბელღის  
გასაღებს,  
ჭერხოს აგიჟრიაღულეღ, სიყვარულით აგავსებ...

ღამეებღე, ჩემთან ტყეში, თოვღის ქოხში ნაგიყვან,  
ნეტავ მართლა ჩემს გაყინულ სხეულს შემოგაყინა,  
გაზაფხულზე გავღღვებოღით, გაგვაშრობდა ნიაღი,  
მერე მუღამ ჩემს საფღავზე მოხვიღოღი იაღით...

ღამეებღე, ღიღმი მაინც, სიზმრად მაინც მენახე,  
გულში თუ არ ჩამეკვერები, ბაგე მაინც შემახე,  
ღამეებღე, ჩემო კარგო, ტკბილო ადამიანო,  
გეღოღები, გეღოღები, აღარ დაავგვიანო!..



## ადამიანი ის არის!..

ვინც შევიყვარე, სულ მიყვარს,  
კაცის კაცობა მიხარის,  
ვისაც სამშობლო გულში ჰყავს,  
ადამიანი ის არის!..

ვისაც სიცოცხლის ვალად სდევს,  
წინაპრის კუბოს ფიცარი,  
ვისაც მამული ადარდებს,  
ადამიანი ის არის!..

ვისთვის გზა არის გოლგოთა,  
ვისთვის - ნატყორცნი ისარი,  
მეგობრის საფლავს რომ მორთავს,  
ადამიანი ის არის!..

ვერ მოიპოვებ სანატრელს,  
ყველა მიწის და ცის არის,  
ვინც უფალს გულით ატარებს,  
ადამიანი ის არის!..

ყველა ცხონდება, ვინც სცოდა  
და სინანულში ვინც არის,  
ვინც სიყვარულით იცოცხლა,  
ადამიანი ის არის!..

\* \* \*

თუ ვნებამ ჩემმა მაცდუნა,  
ცოტა სიამე ვიგემე,  
ხელი არასდროს მაცდურად,  
გამიშვერია ვინმესკენ...

თუ ჩემი კოცნა-ალერდი,  
შენს სხეულს ლაქად ატყვია,  
დამეფიცება არცერთხელ,  
შენთვის არ მიღალატია...

თავს არ ვიმართლებ, მიყვარხარ,  
არვისგან არას მოველი,  
ყველა მტვერი და მიწა ვართ,  
ამ ცოდვილ ნუთისოფელში!..





## ადამიანი გიყვარდით

ამ ღამეს შენთან გავათევ,  
სევდიანია სიმღერა,  
რაც ნისლად ასდით მაღალ მთებს,  
ის ცრემლად ჩამოიღვრება...

რაც უფრო მზემდე მალლდება,  
მით უფრო სცივა მყინვარწვერს,  
ადამიანებს ამ ქვეყნად,  
ადამიანი გვიყვარდეს!..

სამშობლო უყვართ ბელურებს,  
სადაც მიწაა - ცაცაა,  
უფალი, ჩვენი შემყურე,  
ფეხით ჩამოვა საცაა!..





49...

მომემატა ერთი ნელი,  
მივემატე წლებს,  
ადრე სიყვარულზე ვწერდი,  
ახლა ტკივილებზე ვწერ...

გამიფრინდა სიჭაბუკე,  
გამეპარა დრო,  
რასაც თვალით ვგრძნობდი, უკვე  
გულის- გულით ვგრძნობ...

ბევრს ვუყვარვარ, ბევრი მიყვარს,  
მინც ვეტრფი ერთს,  
ჩემი თავიც, ჩემი სიტყვაც,  
მივაბარე ღმერთს...

ხან შაშად ზის კამათელი,  
ხან იაქად ზის,  
ალარაფერს აღარ ველი,  
მზერა მინდა მზის...

მოგონებებს სევდა ახლავს,  
რაც მიტკივებს სულს,  
ადრე სიყვარული, ახლაც  
სიყვარული მსურს...



დრო ვერ წაშლის ხსოვნის წუთებს  
და ვერც ხსოვნა დროს,  
ვიცი, ბევრჯერ დამამწუხრებს,  
ბევრჯერ გამართობს...

ჩავამთავრე ორმოცდაცხრა,  
40-ს + 9,  
ალარც ახალგაზრდა ვარ და  
არც ბებერი ვარ...

## კომპრომატების მაქიაჟელთ

*მია ფანჯიკიძეს გამო*

მარადიული სასჯელი,  
ბოროტეულებს ცით ელით,  
ვინც ქვა ისროლა მარჯვენით,  
თვით ჩაიქოლა იმ ხელით...  
ფარდადაშვებულ ფანჯრებში  
იცინის მაგდალინელი!..

\* \* \*

არაგვს აუსხლტა კალმახი,  
როგორც ღიღები საკინძეს,  
ამაღამ გიჟი არაყი,  
შენს მკერდზე ჩამომადინებს...

ამაღამ როკვა იქნება,  
ემში შესული ამურის,  
რაც სიყვარულად იღვრება,  
ვინა თქვა ამორალური?!

\* \* \*

გიგონებღი ქარში აღვას,  
ნისლში მავალს ქარის ფრთებით,  
გავბეღავღი და შენ ახლა,  
ჩემს სიყვარულს დაგარქმევღი!..

ვძებნე შენი სულის ახო,  
გღიე უსურვაზის ნექტარს,  
როგორ მინღა ვიყოთ ახლოს  
და არ ვიყოთ ასე კენტად!..



\* \* \*

რა საჭიროა სიტყვები, როცა,  
მზე აივნიდან შემოვა მაინც,  
მე მიყვარს უფლის ტაძარში ლოცვა  
და მწვანე ველზე ნვიმების ვალსი...

დახშული არის უშენოდ სივრცე,  
სული კი შენში შემოჭრას ლამობს,  
რა საჭიროა სიტყვები, ისეც,  
გულის ნასვლამდე მიყვარხარ, ქალო!..

\* \* \*

ჩემი სამშობლოს სურნელი დააქვთ  
მთებში საძოვრად ჩამოსულ ნისლებს,  
სულ ვფიქრობ, უფალს ვუყვარვარ ალბათ,  
რადგან მყავხარ და მიყვარხარ ისევ!..



## თუ სულ ჩემთან იქნები...

ჩემი გულის ფიქრები,  
შენი სულის ფრთებია,  
თუ სულ ჩემთან იქნები,  
აღარ გაფრინდებიან...

მთელი ჩემი ცხოვრება,  
შენი მონატრებაა,  
შევცქერ ამაოებას -  
მოციმციმე კელაპტარს!..

\* \* \*

რა ძვირფასია სიცოცხლე,  
როცა ახსოვხარ სხვას,  
როცა ვილაცას უყვარხარ,  
როცა ვილაცა გყავს...  
მოვა და მოგეფერება,  
მხარზე მოგაყრდნობს თავს!..



\*\*\*

გწერ, როგორც იქნა დავჯექი, დროს მოვუნახე  
ზიგზაგი,  
უნინდელივით სიყვარულს ისევ ლექსებით გიგზავნი,  
უნინდელივით მოკითხვას, ქარებს და ნისლებს  
ვაბარებ,  
ნეტავი გზაში რა მოსდით,  
ჩემს აღელვებულ ბარათებს?!

იქნება შენი თვალები ისევ გულგრილად ხვდებიან,  
ყრიან, იქ სადაც ყველაზე ღრმა და შავ-ბნელი ხევია,  
ან იქნებ სულაც ცრემლებით ასველებენ და ალბობენ,  
სულა ფხიზლობენ და ძილშიც,  
ჩემი სახელი აბოდებთ!..

მე მაინც ვწერ და გიგზავნი, ასე არის თუ ისეა,  
უშენოდ ჩემთვის სუყველგან მაინც დახშული სივრცეა,  
ვაზის და ღვინის სუნი აქვთ ჩემს აყვავებულ ვენახებს,  
სამშობლოს გულში ვინვები,  
მშვიდობით, კარგად მენახე!..



## შენ რომ არა ხარ, მაშინ...

როგორ ხარ, ღამის მთვარეო,  
მანათობელო დღისა,  
მომინდა მოგიალერსო,  
თან რომ მიყვარხარ, გითხრა...

მხრებზე ჩამოშლი გიშრისფერს,  
ჩემს ოფოფებსაც აშლი,  
თავს კარგავს ჩემი სიმშვიდე,  
შენ რომ არა ხარ, მაშინ...

ხოლო ჩემ გვერდით როცა ხარ,  
ნულ ცელსიუსზეც მათობო,  
როგორ ვიარო ცოცხალმა,  
როცა განვიმს და გათოვს...

როგორ ვუყურო შენს თვალებს,  
როცა ცრემლები სცვივა,  
ჩვენც დავშორდებით ერთმანეთს,  
ვით ვარსკვლავები ცისა...

როგორ ხარ ღამის მთვარეო,  
მანათობელო დღისა,  
მომინდა მოგიალერსო,  
თან რომ მიყვარხარ, გითხრა!..



\* \* \*

ამოისუნთქეს ნისლეები მთებმა,  
ამოაყოლეს ფილტვები ლამის,  
მე მოვდიოდი ყოველთვის შენთან,  
ამ ნისლებივით ჩუმად და კრძალვით...

ვუმზერდი მთვარეს შემშრალი ცრემლით,  
ტალღები შტორმში ცეკვავენ ფერხულს,  
ვფიქრობდი შენზე და ფიქრი ჩემი  
ოხშივარივით სდიოდა სხეულს...

რალაც მზისფერი დაჰქონდათ ტალღებს,  
ცისფერი ალი ეკიდა ფილტვებს,  
ვხვდებოდი, დრო რა ტყუილად ვფანტე  
და რა ტყუილად ვხარჯავდი სიტყვებს...

სიტყვებს, რომლებიც ჰშვენოდნენ რითმას,  
რითმა, რომელიც ცოცხლობდა ლექსში,  
მიყვარხარ, შენთვის რამდენჯერ მითქვამს,  
რამდენჯერ მითქვამს ხმამაღლა, შენ კი...

დუმილით განა, ან გული რალაც,  
მიზეზს რომ ეძებს, თავის თავს იკვლევს,  
თვალეებში უცბად იყვირა - არა,  
მზერამ, რომელიც გაგექცა სხვისკენ!



\* \* \*

რარიგ მომინდა შენთან ყოფნა,  
შენი ალერსი,  
ტანზე ვარსკვლავებმოქარგული ღამის მოხვევა,  
ლიბოს ხავსივით შენს სიყვარულს შემოვებერდი,  
სადაც შენ არ ხარ, ყველაფერი მეუცხოვება...

ჩემთვის არც ღამე,  
რა ხანია, აღარც ძილია,  
ხან ბადაგი ხარ, ხან ნალველი ჩემი ცხოვრების,  
ისე მიყვარხარ, რომ არა ვთქვა, არ შემიძლია,  
რის სიუცხოვე, მეხორცისისხლ და მესისხლხორცები...

\* \* \*

თვალციციქნა ედეღვაისებს  
გადაუარა მზის სხივმა,  
მთვარეს გაჰყვა და განქარდა  
ჩემი მზისფერი საცოლდე,  
ვეძებ იმ დღიდან და სანამ  
ძარღვებში ცხელი სისხლია,  
სანამდე შევძლებ მიყვარდეს,  
ღმერთო, მანამდე მაცოცხლებ!...



## ატმის ყვავილის ფერი

შენა ხარ ჩემი ფერია,  
ნარინჯისფერი ფრთებით,  
ატმის ყვავილის ფერია  
შენი თვალების ფერი...

აფეთქებიან ატმები,  
მალე დადნება თოვლი,  
ნახვალ და მომენატრები,  
ვით უდაბნოში მოლი...

უფერულია სამყარო,  
შენ ვერა გხედავ როცა,  
ყოველ დილას და საღამოს,  
პირფვარს გსახავ და გლოცავ...

ყოველ ცისმარე ვავედრებ,  
უფალს ჩურჩულით შენს თავს,  
ჩვენ უნდა ერთად დავბერდეთ,  
ვით ყვავილები ველთა...

შენა ხარ ჩემი ფერია,  
ნარინჯისფერი ფრთებით,  
ატმის ყვავილის ფერია  
შენი თვალების ფერი...

\* \* \*

შენთან უკვე გვიანია,  
არც აქაა ადრე,  
ბევრჯერ დამიგვიანია,  
ბევრი რამე მინანია,  
მაგრამ ახლა ძლიერ მინდა,  
ისევ შენ მიყვარდე!..

შენთან მუდამ ღამე არის,  
საღამოა აქ როს,  
მანდ ვიყავ და არ ვღელავდი,  
ვარდებს ვთესდი, ბაღებს ვრწყავდი,  
ახლა სულში ნაღვერდაღის,  
აღებს ვეღარ ვაქრობ!..

მანდ საცაა იცისმარებს,  
აქ ჯერ ბინდიც არ ჩანს,  
ვეღარ გხედავ პირმცინარეს,  
სხეულს ვუმტვრევ ციხის კარებს,  
ამ ეულ გულს ვინც მინათებს,  
თეთრ სიზმრებში დამრჩა!..

სადაცაა დაიღვრება,  
სისხღის ბოლო ნვეთიც,  
სიყვარული არ იქნება,  
თუ სიგიჟემ არ ივნება,  
ღმერთო, ასეთ გაგიჟებას,  
ნუ დაუსვამ ნერტიღს!..



## ალარ უნდა მიყვარდე

ვიცი, ახლა რასაც ვამბობ,  
ფიქრი რჩება ფიქრადვე,  
ბევრი, ბევრი რამის გამო,  
ალარ უნდა  
მ ი ყ ვ ა რ დ ე !

თუმც არ ვიცი, როგორ დაგთმო,  
გულში შემოგისაყდრე,  
ბევრი, ბევრი რამის გამო,  
ალარ უნდა  
მ ი ყ ვ ა რ დ ე !

გიგზავნიდი ზეცით ამბორს,  
მზით გითბობდი მყინვარწვერს,  
ბევრი, ბევრი რამის გამო,  
ალარ უნდა  
მ ი ყ ვ ა რ დ ე !

დრო გავიდა, გულში დღემდე,  
ვერვინ შემოვიყვანე,  
ისვ გნატრობ, ისევ გეძებ,  
ისევ მინდა,  
მ ი ყ ვ ა რ დ ე !

\* \* \*

მე საკუთარი ხორციდან გავალ,  
რომ მალალ მთებზე მზეები ვთიბო,  
მე მხიბლავს შენი ცრემლები გამა,  
მე მიყვარს შენი დუმილის სითბო!..

მე მახსოვს შენი თვალების ჩრდილი  
და სუნთქვა - ქარში შრიალი ხეთა,  
არც რამეს ვდარდობ და აღარც ვჩივი,  
რადგანაც უკვე ჩემ გვერდით შენ ხარ!..

\* \* \*

მზე ღრუბლებს მოქსოვს შენს თეთრ მანდილზე,  
სევდა ჩამოაქვს ღამეს მთვარიდან,  
მე არა, კარგო, დღეს შენ დალიე,  
მე უღვინოდაც ახლა მთვრალი ვარ...





### სადაც შენ ხარ!..

სადაც შენ ხარ, ის ველი და ახო,  
ჩემთვის არის მედინაც და მექაც,  
ნეტავ ჩემს თეთრ აივანზე გნახო,  
ნეტავ ჩემი სიყვარული  
გერქვას!..

შემოგახვევ, სევდისფერო, მკლავებს,  
სევდა, როგორც სინატიფე გშვენის,  
ნეტავ ჩემი სიყვარული გკლავდეს,  
ნეტავ ვიყო მონატრება  
შენი!..



## ახლა შუალამეა...

წვიმის წკაპა-წკუპებით თრთიან ციფერბლაცები,  
ძილში მოხვალ, გამათბობ, ნახვალ - მომენატრები,  
ასე მიდი-მოდინარ ჩემს ქრონიკულ სიზმრებში,  
შენს სიყვარულს - მძიმე ჯვარს, თმენით მივეზიდები...

რალა შენ და რალა მზე, რალა წვა და გოლგოთა,  
ყველა დილის ყვავილი, მართლა შენ ერთს როგორ  
გგავს?!.

დღემდე უშენობა მჭირს, მიტევს გულის მანკივით  
და ვიძახი - მიყვარხარ, სულის ფსკერზე - გავკივი...

ახლა შუალამეა, გარეთ სველი მოლია,  
შენი სიყვარულია ჩემი მელანქოლია!..





\* \* \*

ფრენა მსურს, იქნებ ფრთები მინებოთ,  
როდისღა მნახავთ ასე ბედნიერს,  
ნუ ჩამომიყვანთ დაბლა, ნისლებო,  
მინაზე ფეხს ნუ დამადგმევინებთ!..

მე გაბნეული ქარში მტვერი ვარ,  
მოვეფინები სევდად ბალახებს,  
სიყვარულს, ჩემი გულის ვერტიკალს,  
მოვყავარ შენი სულის სახლამდე!..

\* \* \*

როცა იქნება, წავალთ - ვინ საით,  
მარადიულად არვინ დარჩება,  
ამ ქვეყანაზე ადამიანი,  
სიყვარულისთვის შექმნა გამჩენმა...

სიყვარულს დრო და წლები არა აქვს  
უფლის მაღლით და ნებით შეძენილს,  
მთელი ცხოვრება, მე მას, სად არა,  
ვით ძალღიღუპი, ისე ვეძებდი!..



## ბათუმში

ბათუმის ზღვასავით ღრმა ხარ,  
ბათუმის ზღვასავით თბილი  
და ჩემთვის, ძვირფასო, ახლა,  
ბათუმი ჯობია თბილისს...

სამყაროს ჯობია ქუჩა,  
რომელზეც შენ ახლა დახვალ,  
ბათუმის ნისლივით ჩუმიად,  
ბათუმის ღრუბლებზე მაღლა...

\* \* \*

ვინც სიყვარულის მადლივით,  
ქსოვს ბროლის ცრემლთა აკიდოს,  
იმათი გულის წადილის,  
იმათი წვისა დავლივით,  
დავთვრეთ და მთებში წავიდეთ,  
მთვრალეები შევხვდეთ ალიონს!..



\*\*\*

შენა ხარ ცრემლად დაღვრილი წყარო,  
შენ გზა ხარ და გზის სავალი კიდე,  
მე მიყვარს შენი წარსული, აწმყო  
და გზა, სავალად რომელიც მიდევს!..

შენ მზე ხარ, ცაზე ჩემთვის რომ ჩნდები,  
ხარ ჩემი ლექსის პირველი სიტყვა,  
შენა ხარ მთელი სიცოცხლე ჩემი  
და ის, სიცოცხლე ვისთვისაც მიყვარს!...

\*\*\*

ღვთისმშობელივით ლამაზმა,  
შემოანათე საყდარი,  
ვერ დავიძინებ ამაღამ,  
არა ხარ ჩემი ყამარი,  
ცით ჩამოსულო აღაზავ,  
ჩემი ლელაი სად არის?!.



\* \* \*

არის სიყვარული - მორიდება,  
არის სიყვარული - გარინდება,  
როცა ჩემთან ყოფნა მოგინდება,  
გული შენთვის მუდამ მზად იქნება...  
ჩვენს დროს მოვეუფროთხილდეთ, სანამ წლები,  
გადაიქცევიან თარიღებად!..

\* \* \*

ნანას

გეძებ ქარში, სულში, ჩემში,  
ვერსად მოგაგენი,  
გეძებ მზეში, სიბნელეში,  
გელი, გელი, გელი...  
როგორ მათბობს სიბერეშიც,  
სიყვარული შენი!..



\* \* \*

ვიცი ერთადერთი რამე  
(რაც მნამს, დღემდე რისიც მნამდა),  
შეიძლება ნავყვე ქარებს,  
მაგრამ შენგან არსად ნავალ!..

თუ შევკაზმავ ტატოს მერანს,  
ჩორთით გადმოგივალ ხიდზე,  
ქალბატონო, ეს ხომ მე ვარ,  
გულიდან რომ გამოგიხმე!.

### უპირველესად ყოვლის

რა მსურს, პატარა გოგო?! -  
უპირველესად ყოვლის,  
შენი სხეული, როგორც,  
ფეხდაუდგმელი თოვლი!..

რა შევადარე ღრუბელს?! -  
უპირველესად ყოვლის,  
შენი ქათქათა უბე -  
გაუთელავი მოლი!..

\* \* \*

იაკობივით რომ შემეძლოს,  
ვთხოვდი უფალ ღმერთს,  
სულ ერთი წუთით, ერთი წუთით მაინც ზეციდან...  
მთვარის ნათება შეენყვიტა, მერე ეს ღამე,  
შენი ღვთიური სილამაზის ღამედ ექცია...

იაკობივით რომ შემეძლოს,  
ღმერთის ბრძანებით,  
ციურ ვარსკვლავებს, მოკაშკაშეს ღამით ამ ცაზე,  
სულ ერთი წუთით, ერთი წუთით გავაქვავებდი  
და ვაჩვენებდი მთელ სამყაროს შენს სილამაზეს!..

\* \* \*

მოვა სიბერე, ფლირტი გაქრება,  
გადაივლიან სიძვის ალებიც,  
მე სიყვარული დამენანება,  
ცრემლით, სევდით და ლექსით ნაგემი...  
დამეზარება უკან მოხედვა,  
სულის შეძვრამდე დამენანები!..



\* \* \*

როგორ მიყვარს თოვლი,  
ნისლი როა ცაზე,  
უპირველეს ყოვლის,  
შენი სილამაზე...

როგორ მინდა შენით,  
სავესე იყოს ზეცა,  
მინდვრის ყვავილების,  
სამოსელი გეცვას...

მთელ სიცოცხლეს მივცემ,  
ოღონდ მოგწვდე ფრთებით,  
თვალუწვდენელ სივრცეს  
როგორ მოუხდები!..



\* \* \*

არის ქალაქში ერთი ადგილი,  
ადგილი, სადაც შენი სახლია,  
იქნებ არცაა შინ და მაინც იქ,  
მიყვარს, როდესაც შუქი ანთია...  
ჩემი სულის და ხორცის ნაწილი,  
ცხოვრობს იმ სახლში კარგა ხანია!..

\* \* \*

თუ გინდა, მე ვეტყვი იახსარს,  
ამდენი ლამაზი ქალიდან,  
რომ მხოლოდ შენ ერთი მიყვარხარ,  
ძალიან, ძალიან, ძალიან...

გუზაგად გვექნება სალი კლდე,  
წყაროზე ჩამოვლენ ირმები,  
იებით მოგირთავ საკინძეს,  
სულ შენთან, სულ ერთად ვიქნებით...



### ნანა ცინცაქის

მზე არ იღლება მთვარის ლოდინით,  
ქალის ლოდინით კაცი იღლება,  
შენ როგორც ჩემი სულის დობილი,  
ხარ სიყვარულის ხსნაც და მხილებაც...  
ზოგჯერ ხომ ხდება, როცა ლოთივით,  
კაცს აღარ გინდა გამოფხიზლება!..

\* \* \*

განისვენებს ოთახში, ღამის ცივი სიჩუმე,  
ტკივილები ცოტახნით, როგორ ვერ გამიყურე.  
შენი ნაზი სამყარო მოვრთე ყვავილნულებით,  
მწერდი - როგორ მყავხარო, მერე დამივიწყებდი...

ანათებდა უკუნეთს, მთვარის თეთრი სპეკალი,  
მძაგდა ეს საუკუნე - ღვთის როსკიპი მხევალი...





\* \* \*

ხდება ხანდახან,  
მირაჟი აფერადდება ლამეში,  
ოთახში მთვარე შემოვა,  
როგორც ამ ლამის სასიძო,  
ვხვდები, შენ ჩემი გულიდან  
რომ არსად უნდა გამეშვი,  
ნეტავი მალე გათენდეს,  
შენს კოცნამ გამომალვიძოს...

თვალციცქნა ედელვავისებს  
გადაუარა მზის სხივმა,  
მთვარეს გაჰყვა და განქარდა  
ჩემი მზისფერი საცოლდე,  
ვეძებ იმ დღიდან და სანამ  
ძარღვებში ცხელი სისხლია,  
სანამდე შევძლებ მიყვარდეს,  
ღმერთო, მანამდე მაცოცხლებ!...



## **რა მარტივია ყველაფერი და რა რთულია**

რა მარტივია ყველაფერი და რა რთულია,  
სიყვარულსა და მეგობრობას რა აქვთ საერთო,  
ზარი მპასუხობს: „ტელეფონი გამორთულია,  
ფიფქი აკრიფეთ, აქციაში თუ გსურთ ჩაერთოთ“...

ვკრიფავ ფიფქებს და მგონია, რომ მოვწყვეტ  
ვარსკვლავებს,  
მე ეს აქციაც სიყვარულის კრება მგონია,  
ისევ პასუხი, ტელეფონში ზარი კანკალებს, -  
„თქვენ დაგერიცხათ ხიბლისფერი მელანქოლია“...

იქვე, ვიდაც კი უსაფრთხო და ნაზ სექსს მთავაზობს,  
ბოშა ქალივით ხელის გულზე ბედის კარტს მიშლის,  
„მიყვარს, არ მიყვარს?“ - ვუპასუხო, ვცდილობ, ამოდ,  
რა რთული არის ყველაფერი და რა მარტივი!..



## ირმა შიოლაშვილს

რა კარგია, რომ არსებობს წამი,  
შენ ამისთვისაც მადლობა, ღმერთო,  
რომ შეიძლება ვიღაცას მაინც,  
ვიღაცას მაინც ბოლომდე ენდო...

მანდ ახლა ბონში თოვლია თეთრი  
და ყველაფერი თეთრია ირგვლივ,  
თავს მადგას, ირმა, უფალი ღმერთი  
და მე ურწმუნო რადა ვარ, მიკვირს...

მაშინ, როდესაც ყოველგვარ მანძილს  
ამოკლებს ტრფობა ქართა და ხეთა,  
მაშინ, როდესაც ხან თოვს და ხან წვიმს,  
შორს, მაგრამ მაინც სადაც ხარ, შენ ხარ!



## დალი უბილავას

შენ დღეს ღვთისმშობელ მარიამს ჰგავხარ,  
ეს გულწრფელობა ღმერთმა შემინდოს,  
მე მინდა ვიყო პატარა ქარვა  
და სამკაულად ყელზე გეკიდო...

შენი ცრემლები - მძივები ვერცხლის,  
ჩემს გატანჯულ სულს ედოს ბორკილად,  
მე ვიყო შენი ალი და ცეცხლი,  
შენ იყო ჩემი წვა და კორიდა!

## დიანა ლომიძეს

სამშობლო, ჯვარზე გაკრული,  
მოძირკვეს ფესვებიანად,  
საქართველოში ქართული,  
საფლავებია დიანა!..

ოხერი წუთისოფელი,  
სევდაა ადამიანთა,  
გმადლობ, რომ სითბო ოდენი,  
მზეს შენგან მოაქვს, დიანა!..

## მზია ხეთაგურს

შენ არ გძულს არვინ, უფრო მეტიც, შენ გიყვარს ყველა,  
სულ მზე ანათებს შენს სიკეთით გალენილ კალოს,  
თუ მართლა სადმე სიყვარული არსებობს ქვეყნად,  
ეს შენ ხარ, ჩემო პოეტო და ლამაზო ქალო!..

## თამარ შაიშველაშვილს

შენი „სულაღუბლები“ - სულის აღუბლებია,  
ლექსის აღუბლებია, სავსე მთვარის ციალო,  
მთები ნისლებს იცვლიან, მალღა მწვერვალღებია,  
ცამაც ტანზე ღრუბლები უნღა გამოიცვალღს...

შენი წიგნის კითხვისას მეთბიღება ცრემღები,  
მიამღება სხეული, მზე მეღვრება მკერდიღდან,  
ღამაზიღა, ძვირღფასო, შენი მართღა ლექსეღბი,  
ვკითხუღლობ და სამშობღლო მხრეღბზე ჩამომეკიღდა!..





## ეკა ბაქრაძის

მოკრძალებული ვედრებით,  
ვეჩურჩულები ღმერთს,  
რომ შენი ბედნიერების,  
იყოს ყოველი დღე...

რომ სავიზიტო ბარათად,  
ყოველ წუთსა და წამს,  
გქონდეს ლექსი და ქარაგმა  
და სიყვარული წვა...

რომ ეპითეტი ქალღმერთის,  
სულ გამშვენებდეს, რომ  
მაგ სილამაზეს ღვთაებრივს,  
ვერას აკლებდეს დრო...

მოკრძალებული ვედრებით,  
ვეჩურჩულები ღმერთს,  
რომ შენი ბედნიერების,  
იყოს ყოველი დღე!..



## მარინა თეჰთუშანიკას

გზები ნაკურთხია, უფლის გზაზე,  
თავის წილი ჯვარი პოეტს მიაქვს,  
ლექსებმიმობნეულ მაგიდაზე  
შენი სევდიანი პორტრეტია!..

შენი სტრიქონები სამკალია,  
სისხლით გალენილი პურის კალო,  
პოეტს ცრემლიანი გზა-კვალი აქვს,  
ტირის და თვალეზი უკიაფობს!..

ცრემლად შეყინვია ქალღდს თრთვილი,  
ვწერ და სიყვარულის ვერ ვსვამ წერტილს,  
შენ ხარ მეგობრობის მაგალითი,  
შენ ხარ ერთგულების ეპიცენტრი!..

გზები ნაკურთხია, უფლის გზაზე,  
თავის წილი ჯვარი პოეტს მიაქვს,  
ლექსებმიმობნეულ მაგიდაზე  
შენი სევდიანი პორტრეტია!..



## იზა ჯაჭვაკას

დადიხარ ფეხით, ცვითავ ქალამნებს,  
გულის ფიცარით კორტნი ჭიუხებს,  
დარუბანდიდან დარიალამდე  
ვეფხის ტყავივით გადაჭიმულებს!..

გიყვარს შენი ცა, შენი ვენახი,  
ოქროც არ გინდა გადამთიელის,  
ვინც დედულ-მამულს ასე შეჭხარის,  
მათ შორის იზა, შენ ხარ პირველი!..

ხარ ერთგული და ხარ უღალატო,  
ამ ყველაფრისთვის ღმერთი გიშველის,  
ვინც ქართველობა უნდა ატაროს,  
მათ შორის, იზა, შენ ხარ პირველი!..





## ჰელლ!..

### *ელენე გამგონიძეს*

შენს ფუნჯს შემოვევლე,  
შენს ორივე ხელს,  
მშვენიერო ჰელენ,  
მოფერებით - ჰელლ!

ნერ, ძერნავ თუ ხატავ,  
ფეხზე ხარ თუ ზი,  
ყველა ტილო-ნახატს,  
ფერები აქვს მზის!

ტილო თითქოს სუნთქავს,  
ხმა მესმის და ვგრძნობ,  
როგორ მოდის სულთან,  
ქრისტე ღმერთის დრო...

ნისლს გაგიშლი ველზე,  
შორით გინვდი ხელს,  
გამარჯობა ჰელენ,  
მშვენიერო ჰელლ!..



## შენ!

შენა ხარ ჩემში, ჩემს სხეულში, სულში, ოთახში  
და როგორც მთვარე გარიჟრაჟზე, მაინც მარტო ვარ,  
დაგეძებ ყველგან და გეძახი, როდის მოხვალ შინ,  
შინ ანუ გულში, ჩემი გულის  
ბატონ-პატრონად!..

ფერი წაართვი მონა ლიზეებს, სიქსტის მადონებს,  
მე მინდა შენგან ეს ფერები მოვიყაჩაღო,  
გროშად არ მიღირს დრო და წლები, რაც მოვანდომე,  
შენს აღმოჩენას - სიყვარულის  
უჭკნობ ყაყაჩოს!..

თუნდ იყოს გრძნობა ვერ ახსნილი, სიტყვა -  
ვერთქმული,  
მზე რომ მონყვიტო, კიბე არა, გული სჭირდება,  
შენ წევხარ გვერდით თეთრი, როგორც თოვლში  
თეთნულდი,  
გათენდება და უშენობა  
გამიჭირდება!..





## გარეთ ქარია ღა თოვს!..

ვიცი, უნდა გნახო სვალ,  
გზები ამირია ქარმა,  
როგორ მოგანწვდინო სმა,  
როგორ გაგრძნობინო - აქ ვარ!..

გარეთ ქარია ღა თოვს,  
შენსას მივყვებოდი აჩრდილს,  
წუთით არ იფიქრო, გთხოვ,  
სადმე წავედი ღა ღავრჩი!..

ველარც მობილურზე გწერ,  
ბოლთას ვცემ ღა ვფუთავ ნაღველს,  
როგორ ჩაიკეტა წრე,  
როგორ გაინელა ღამე!..

ფრენა შეუძლია ფიქრს,  
ვინც არ ფიქრობს, ფრთები არ აქვს,  
შენთან ვერაფერი ვთქვი,  
რომ მიყვარხარ, იმის გარდა!..

გარეთ ისევ ქრის ღა თოვს,  
შენსას მივყვებოდი აჩრდილს,  
წუთით არ იფიქრო, გთხოვ,  
სადმე წავედი ღა ღავრჩი!..



\*\*\*

დღეს უნდა გნახო, შენი ნახვა დღესვე მჭირდება,  
დღეს უშენობა უსაშველოდ გამიჭირდება!..

შემოდი ჩემში, ვით მზე ჩადის ზღვაში დაისზე,  
გაყინულ გულზე დაგახვედრებ ედელვაისებს!..

მოდი და დარჩი, ერთად ვიყოთ, სანამ წავალთ იქ,  
მე ზღვა ვიქნები, შენ მდინარე - ანუ წაწალი!..

ვსვათ ერთმანეთი, ვარსკვლავებად ვენთოთ სამყაროს,  
ისე გვიყვარდეს, ვერაფერმა ველარ გაგვყაროს!..

ცრემლი სდიოდეთ, ოღონდ თვალებს, მაგრამ არა გულს,  
დრო მიდიოდეს, არ ნიშნავდეს წასვლა დასასრულს!..

\*\*\*

როგორ მომიცოტავე,  
თვალში ღამის ბინდივით,  
ახლა შენთან მონმარტზე,  
წვიმით ხელში ვივლიდი...

## უნიონი

რატომ გელოდი,  
რად ვათევდი ღამეს უშენოს,  
თუ არ გიყვარდი, თუ არ გნამდი, თუ არ გინდოდი,  
შუა მინდორში ვწევარ მარტო და უნუგეშო,  
რბიან დღეები უიმედოდ უამინდონი...

შორს უნიონში,  
როგორც ქარი ფოთლებს გარეკავს,  
მწუხრის ნამები სულეთისკენ გვერეკებიან,  
წარღვნა წალეკავს ყველა გზას და ამ გზის წარ-ეკალს,  
კლდეს - ჯიხვებიანს, მთებს - ირმებ და ერკემლებიანს...

მზე დედამიწას  
ხერხემალზე წითლად დააყრის,  
მნიფე ბრონეულს გადმოსკდება სისხლი კვირტებად,  
გაიჟღინთება წვიმის წვეთით ისლის ყავარი,  
ჩემი ყამარიც ჩამავალ მზეს გაეტირება...

ემზადებიან  
ქარიშხლები ზეცის საავდროდ,  
არცრა ავდარი არ ადარდებთ ციურ ვარსკვლავებს,  
თვლემდნენ თვალები სიყვარულით, მაგრამ არასდროს,  
ჩვენს სიყვარულზე ხმამაღლა არ ალაპარაკდნენ...

რატომ გელოდი,  
რად ვათევდი ღამეს უშენოს,  
თუ არ გიყვარდი, თუ არ გნამდი, თუ არ გინდოდი,  
შუა მინდორში ვწევარ მარტო და უნუგეშო,  
რბიან დღეები უიმედოდ უამინდონი...



\* \* \*

უცნაურია პოეტი ქალი,  
საერთოდ ქალი უცნაურია,  
იმდენჯერ ვინვი მე მათი ალით,  
რომ ზოგჯერ მინდა, გავქრე სრულიად...  
ეს სიყვარულის ზენიტი არის,  
თუ ღმერთო, მისი დასასრულია?

\* \* \*

სადღაც ზღვაა, სადღაც კიდე,  
ოაზისი ველის,  
უნდა ვნახო კიდი-კიდე,  
შენი სამყოფელი,  
სიყვარულის გადამკიდე,  
სულ სიყვარულს ველი,  
მეუფეო, ზეცათაო, მომიმართე ხელი!..

## როდემდე უნდა მომაკლდე

ისევ გზა, ისევ გორა-კლდე,  
ისევ ზეცა და ირაო,  
როდემდე უნდა მომაკლდე,  
ჩემს გულზე გადაიარო?!

აღარ დამთავრდა სავალი,  
აღარც გზის ბოლო არა ჩანს,  
მზე, დილით ამომავალი,  
რითი სჯობს, ნეტავ ჩამავალს?!

\* \* \*

ვარდს მიჯობს ედეღვაისი,  
მისი სამშობლო კლდე არის,  
სიყვარულს ისეც განვიცდი,  
რა საჭიროა ეკალი?!.  
ამქვეყნად კაცი არ ვიცი,  
უეკლოდ ვარდის მკრეფავი!..



### ვიცი, რომ გძინავთ

ვიცი, რომ გძინავთ, უფრო სწორედ, მინდა გეძინოთ,  
 გეძინოთ მშვიდად, თეთრი ფრთებით, ფერად  
 სიზმრებით,  
 მერე რიჟრაჟზე ჩემზე ფიქრში გამოგელვით,  
 მხოლოდ მე ვიყო ერთადერთი ამის მიზეზი...

ვიცი, რომ ახლა, სადაც თქვენ ხართ, ბაცი შუქია  
 და მთვარე ოთახს ზამბახისფერ ჩრდილში ანათებს,  
 როგორ უყვარდა კურაპალატს, ვხვდები, შუქია,  
 ვერ უღალატა ვერც სიყვარულს და ვერც ადათ-ნესს...

ან რას იზამდა, აქეთ ჯვარი, იქეთ ტრფიალი,  
 იცის ხელმწიფემ - ქოხი უჯობს ძვირფას სასახლეს,  
 რისი მეფობა და გვირგვინი ოხერ-ტიალი,  
 სამყაროს გაცვლის იმ ერთადერთ ქალის ნახვაზე...

ახლა ღამეა, გძინავთ მშვიდად, ოდნავ გულლიას,  
 მთვარეს შევცქერი შეპყრობილი თქვენი ვირუსით,  
 რისი გვირგვინი, რისი ჯილა, წყალს ნაუღია,  
 სიყვარულია ქვეყნად მხოლოდ მარადიული!..





\* \* \*

არ ვიცი როგორ, როდის მოხვედით,  
ჩემამდე, ჩემში გაჩნდით როდიდან,  
როდიდან გავხდი მაგ თვალხობების,  
უტყვი ტყვე, ანდა როდის მომინდა,  
მეკოცნა თქვენი საფირონები,  
ღამე მექცია ვნების კორიდად!..

არ ვიცი როდის, როგორ ამავესეთ,  
ამ სიყვარულის კრიალოსნებით,  
რად მგონია, რომ სანამ ვარ ასე,  
აღარასოდეს აღარ მოვკვდები,  
როგორ ანთიან ფანჯრის სადაფზე  
წვიმის წვეთების მინაკოცნები!..

\* \* \*

მიყვარს შენი თეთრი ყელი,  
ლექსად ჩამომღერილო,  
ჯოჯოხეთში წამოგყვები,  
ოღონდ ნახვა მეღირსოს...  
შენი სახის ცქერა მიყვარს,  
ჩემო ყელმოღერილო!..



\* \* \*

შენა ხარ ჩემი დროც და საათიც  
და უდროობაც ჩემი შენა ხარ,  
და არა ვჩივი, წელი ათასი,  
თუ შენს ლოდინში შემომეხარჯა...

შენა ხარ ჩემი წყლულის მაღამო  
და შენთვის ათას ღამე განათევს,  
აღარ მანუხებს ყოფნა ამაო,  
მეც უკვე ცისკენ შევიადმართე...

მეც ჟამმა ჩემმა ბევრი მანვალა,  
მადლობელი ვარ მაინც გამჩენის,  
თუ სიყვარულის ამოსავალად,  
შენს გულში ოდნავ მაინც დავრჩები...

შენა ხარ ჩემი დროც და საათიც  
და უდროობაც ჩემი შენა ხარ,  
და არა ვჩივი, წელი ათასი,  
თუ შენს ლოდინში შემომეხარჯა...



\* \* \*

რა ლამაზი ხარ, ბელა,  
მაშინ ოცისა გახლდით,  
შემომეცალა ყველა,  
ჩემთვის ძვირფასი ხალხი...  
სადაც შენ არ ხარ, ბნელა  
გზაში, ქუჩაში, სახლში!..

რა ლამაზი ხარ, ნინო,  
ნარსულს ვიხსენებ დღეებს,  
სოფლად ამოსულ კინოს,  
მუხლზე დადებულ ხელებს...  
მთვარე უკრავდა მინორს,  
ვეფარებოდით ღელეს!..

რა ლამაზი ხარ, დალი,  
წყალზე გვიყვარდა ჩავლა,  
ვაკვირდებოდით დაისს,  
მზის მთის ბოლოზე ჩასვლას...  
დრო უღმობელად გადის,  
ნინ არაფერი არ ჩანს!..

რა ლამაზი ხარ, ნუნუ,  
წვიმის სახელი გქვია,  
ერთად ვერ ვუსმენთ ბუბუნს,  
ზვავად ჩამოშლილ მთისას...  
მზე ვერ ანათებს უკუნს,  
დროს ყველაფერი მიაქვს!..



რა ლამაზი ხარ, ელენ,  
ღვთის დიდებისა მჩენო,  
ხარ დილის ცვარი ველზე,  
ხარ ჩემი მზე და ჩერო...  
შევი აღმართე ნელ-ნელ,  
როგორ გნატრობთ და გჩემობთ!..

\* \* \*

ვინ მოიგონა ლექსები ნეტავ,  
ან ნისლებივით აფრენა რითმის,  
როცა ვწერ, გულის ყველა კარს ვკეტავ,  
სხეულის ყველა უჯრედი მითრთის...

ვინ მოიგონა ღამეში მთვარე,  
ან ვარსკვლავებით მორთული დართლო,  
ვეტრფი შენს ვნებით ანთებულ თვალებს,  
სიყვარულისთვის ყველაფრის დამთმობს...



**თითქოს რაღაცით ვგავართ ერთმანეთს...**

სანამ ერთმანეთს მოვეფერებით,  
ერთ ბარძიმიდან შევსვამთ ზედაშეს,  
უერთმანეთოდ მყოფი დღეები,  
დაგვიძახებენ გიჟებს მე და შენი!..

მოეხვევიან ხეებს ფოთლები  
და მთებს ნისლები მოეხვევიან,  
ჩვენი ცხოვრების შემოდგომები  
დაზამთრებამდე შემოხმებიან!..

აღარაფერი მიკვირს აღარც ცის,  
აღარც ქარების, ველს რომ თელავენ,  
თითქოს ერთმანეთს ვავსებთ რაღაცით,  
თითქოს რაღაცით ვგავართ ერთმანეთს...





## მოსდეს, რაც არის მოსახდენი...

სხეული ჩემი იქცა თიხად,  
ჩემი ცხოვრების შემოქმედო,  
მიყვარხარ, მაგრამ როგორ გითხრა,  
თვალებში როგორ შემოგხედო?!

მიყვარხარ, როგორ გაგიმხილო,  
შემოგაბნო შროშანები,  
სულ შენთან ყოფნას მაინც ვცდილობ,  
მოსდეს, რაც არის მოსახდენი...

მიყვარხარ, მაგრამ როგორ გითხრა,  
თავი არ გავცე, ღონეს ვიკრებ,  
ღმერთს ჩამოვყავარ გოლგოთიდან,  
მე კვლავ მივინევ გოლგოთისკენ!..



## მომენატრები

მომენატრები,  
მერე რა, რომ ასე შორსა ხარ,  
რომ ზღვიდან ზღვამდე ველარ სწვდება სივრცეს  
ხმელეთი,  
სურნელს ვუკმევდი შენს ნაზ სხეულს ვარდთა,  
შროშანთა,  
ცაზე ვხატავდი აპოკალიფსს სველი ხელებით...

მომენატრები,  
გაირღვევა დროთა კავშირი,  
გადაჰყვა სული უჟამობის პერიპეტიებს,  
ვუყურებ ცაზე სევდის ღრუბელს, როცა ქარი შლის  
და ვნერ ცხოვრებას, როგორც სულის ერთგვარ  
ეპითეტს!





## როგორ დავვალეთ

როგორ დავვალეთ ერთმანეთი, როგორ დავვალეთ,  
ხან ვბრუნდებოდით, ხან გავრბოდით ისევ გულიდან,  
ფიქრში ვათენეთ, წლები ფიქრებს შემოვალამეთ,  
ვცხოვრობ უშენოდ, უშენობა ისე რთულია!..

როგორ მიყვარდი, როგორ მწამდი, როგორ მინდოდი,  
არად მიღირდა არც სიცოცხლე, არც ეს სამყარო,  
მიდიოდი და მოგყვებოდი საიქიომდი,  
არც მიფიქრია სამოთხეზე მარტო არასდროს...

ნულარ იტყვი, რომ სიყვარული ჩაქრა, მინავლდა,  
რომ ვერ შევძელით მისი მოვლა, გულით ტარება,  
ჩვენი სხეული ერთი ბენო დედამინაა,  
მაგრამ მინისტვის ხორცი მაინც დაგვენანება!..







## როცა ვიცვი, რომ ზენე მყავზნარ

დაპატარავდნენ ხეები,  
დაპატარავდნენ სახლები,  
დროს ვნატრობ, როცა შეგხვედები,  
როდესაც მოგეახლები...

როდესაც შენი თმის შრიალს,  
გავაიგივებ ნიავთან,  
სულ ერთი რამის შიში მაქვს,  
ის ველარ ვნახო, ვისთანაც...

სიზმრის ღამეებს ვათევედი,  
ღამის ვარსკვლავებს ვკრიფავდი,  
ის იყო ჩემთვის სანთელი,  
მე ვიყავ მისთვის გრიგალი...

და ასე შემოვიარე,  
ძე-ხორციელის ქვეყანა,  
სხვას აღარფერს ვინატრებ,  
როცა ვიცვი, რომ შენ მყავზნარ!..



\* \* \*

მე, რახანია, ნავედი შენგან,  
ვემალებოდი საკუთარ აჩრდილს,  
სულ ერთი სიტყვა მაინც რომ გეთქვა,  
ბაგეს ნამცდარი უბრალო - „დარჩი!“

ქარში განელილ დროსა და მანძილს,  
ოკეანისფერ სილურჯეს ზეცის,  
არ ექნებოდა ამხელა დარდი,  
არ ვიცხოვრებდი ასეთი სევდით...

### კაფია

მაგ ჭრელა-ჭრულა წინდებით,  
ნაქსოვ პერანგით მოვისა,  
არც როდის მომენწყინები,  
მზესავით გვერდით მოგისვამ...

მერე ვაჟღეროთ ფანდური,  
ვალექსოთ არაყს კაფია,  
მთებში და თოვლში ჩაფლული,  
გზა შენკენ გამიკვალა!..



## ქსანური ჩანაწერები

ჯერ კიდევ აქ ვარ, ჯერ კიდევ ახლოს,  
ჯერ მხოლოდ რეუსს, ტარაგონს გავცდი,  
ჯერ შემოძლია მოვბრუნდე, გნახო,  
ჯერ კიდევ... გული მშვიდდება ამით...

ჯერ კიდევ, მაგრამ სულ მალე, როცა,  
პირენის მთებს დავტოვე ცაზეც,  
მე შენთან უკვე ვერ შევძლებ მოსვლას  
და ამ სევდიან სტრიქონებს დავწერ!

## აქ ნუ დაიმარხებით

*ფილადელფიის წმინდა გიორგის  
სახელობის ტაძარში*

აქ, ამ ფილადელფიაში,  
ამ დიდებულ ტაძარში,  
თავს ისე ვგრძნობ, როგორც სახლში,  
სულის თავშესაფარში...

ვაზო, ჩემო, აქაც სთველობ,  
ამ შორეულ მხარეში,  
არა, ჩემო ქართველებო,  
აქ ნუ დაიმარხებით...



## ნანას!

რამდენჯერ გაირიჟრაჟებს,  
უერთმანეთოდ ცისკარი,  
უშენოდ ნანახ მირაჟებს,  
გრძნობა აქვთ არავითარი...

მიდიან თითქოს დღეები  
და თითქოს აღარც მიდიან,  
მთა-რაჭის საჯიხვეებიც,  
პირინისზე დიდია...

ხანდახან ვნებით დამთვრალი,  
საკუთარ თავსაც ვლაღატობ,  
დაგტოვე, როგორც არავგი,  
დატოვებს ხოლმე კალაპოტს...

ჩემი სამშობლოს უღელი,  
მხრებზე სალბუნად მედება,  
შენს თავზეც სქელი ღრუბელი,  
ჩემი დარდია ვეება!..

რამდენჯერ გაირიჟრაჟებს,  
უერთმანეთოდ ცისკარი,  
უშენოდ ნანახ მირაჟებს  
გრძნობა აქვთ არავითარი...

## არნედო

ვინ ჩამოაგდო ხოხობი  
ამ იბერიის მიწაზე,  
შუბი სტყორცნეს თუ ჰოროლი,  
რომელი ღმერთი იწამეს...

ამ თბილი წყლების შემყურეს,  
თავი თბილისში მეგონა,  
ნასახლარებში ბელურებს  
პური და წყალი შეჰქონდათ...

ვარძიასავით კლდოვანში,  
ქართულის მსგავსი ნასხლეტი,  
თვლემდნენ ვით სამაროვანში,  
კლდეში ნაკვეთი სახლები...

და ვამბობ - ღმერთი ერთია,  
კრიშნა, ბუდა თუ ალაჰი,  
ოკეანეებს ერთვიან -  
ნილოსიც, სენაც, არაგვიც...

ყველანი უფლით ვარსებობთ,  
ადამის ძიდან მოვდივართ,  
უფლისციხეს ჰგავს არნედო,  
რომ გადმოხედავ გორიდან!..



## ეპრო

ყველა ქალაქი ერთმანეთს მოჰგავს,  
ჰკვეთს სარაგოსას მდინარე ებრო,  
ქალაქებს ჰგავან ქალებიც, ჰოდა,  
მე გამახსენდა სოფლელი თებრო...

რამ გამახსენა, არ ვიცი თებრო,  
იქნება ებრომ, ამ ქალაქს რომ ჰკვეთს,  
ან იმან, მე და თებრომ რომ ერთ დროს,  
სოფლის ბოლოზე ერთურთი ვკოცნეთ...

ისე გავიდა ცხოვრება, თითქოს,  
ქარმა ქუჩაზე მოხვეტა მტვერი,  
40 წელი მაშორებს იმ დროს  
და რაღაც ექვსი მილიონ მეტრი!..





## პირენეის მთებიდან

გინვდი სავსე ზედაშეს,  
აქვე, თითქმის გვერდით მყოფს,  
ახლა უკვე მე და შენ,  
პირენეის მთები გვეყოფს...

შეიცვალა ეპოქა,  
ისე, როგორც აზია,  
ახლა მთელი ევროპა,  
ხელის განვდენაზეა...

მაგრამ მაინც შორი ხარ,  
ევროპაშიც მთები გვეყოფს,  
როგორც მინა ოხშივარს,  
ვიდენ ფიქრებს, შენით რო...

ტანზე მეზურძგლებიან,  
ნისლივით მაქვს სხეული,  
პირენეის მთებიდან  
შენზე შემოხვეული...

გინვდი სავსე ზედაშეს,  
აქვე, თითქმის გვერდით მყოფს,  
ახლა უკვე მე და შენ  
ერთი ცვარი ცრემლი გვეყოფს...



## ესპანეთი

აქ ქუჩა-ქუჩა დავდივარ და ვეძებ ლამანჩელს,  
 ლამანჩელივით ესპანეთი იძრნვის ქარისგან,  
 ქრისტეს ჯვარმცმელი დედამინა ელის განაჩენს,  
 ეშაფოტზეა ფედერიკო ლორკა გარსია...

როკავს სამყარო, გათელილი ცხენის ფლოქვებით,  
 ყველა ზეიმი და ქორწილი სისხლიანია,  
 დგას ესპანეთი, იბერიის კვერთხის მპყრობელი  
 და არ იცის, რომ საქართველო მამის სახლია...

პირენეიდან დაუბერავს ქარი ანდების,  
 ყველა ქარს და ნისლს სადგომი აქვს კავკასიონზე,  
 ქუხს ესპანური პოეზიის ფოლიანტები  
 და გალაქტიკა ვერ პოულობს გალაკტიონებს...

დასაბამიდან დედამინა ცოდვის ცეცხლშია,  
 აწვიმს ღრუბელი გალისიას, მადრიდს, არაგონს,  
 საუბედუროდ, სულის სარჩო ისევ ვერცხლია,  
 მამლის ყვირილი თავს გვახსენებს დილა-სადამოს...

ვცეკვავ ფლამენკოს ბოშასავით აღმორეული,  
 იბერიელთა კურულია ჩემთვის კორიდა,  
 აქ საქართველო, ქრისტესავით ჯვარზე ვნებული,  
 დილის რიჟრაჟზე დამენახა, ისე მომინდა...



დგას ესპანეთი, იბერების დიდი ქვეყანა,  
აქაც მე ჩემი მცირე მინის გოჯით ვამაყობ,  
ქართველს რაღაცა საერთო აქვს მაინც ყველასთან,  
გაბრწყინებული იბერიით ვუმზერ სამყაროს!..

\* \* \*

ნეტა მაფრინა ფრთა-მალღი,  
ეს ჭრელა-ჭრულა ზეგნები,  
ხვალ იმ მწვერვალზე ნავალი,  
ნისლად რო უდის ცრემლები...  
ამაღამ ჩემი ამაღიღი,  
მთვარესთან მივემზევები!..

ღექსებად ვიღვიღარსკვლავებს,  
ცა შემომცქერის პირღია,  
არაგვზე კრავებს დაკლავენ,  
დაღვევენ, ლოცვებს იტყვიან...  
ღრუბლები ზეცის კალთაზე  
დგანან და ფიქრებს მიღღიან!..





\* \* \*

მგლოვიარე არ ჰყავს ცხედარს, სანთელი დგას  
საკურთხთან,  
„ტელეფონზე დატირებულ“ საქართველოს რა  
ვუთხრა?!

პეშვით ვხვრეპდით მტკვარს და რიონს, ვქსოვდით  
ჯვარს და ფიტარეთს,  
სხვაგან მოკვდით, ველარც ნეშტად, ფერფლად  
ჩამოგიტანეთ!...

კაცებს საქმე დაელიათ, ჭაპანს სწევენ ქალები,  
მოდაშია მეორადი, სხვის ტანს შემონავლები!..

დედამინა თავის ღერძზე გადახრილი ტრიალებს,  
გაუმარჯოს საქართველოს, მზისქვეშეთის  
ციტადელს!..



## **საქართველო შენსავით ჯვარცმულია, უფალო!**

საქართველო შენსავით ჯვარცმულია, უფალო,  
როგორ გადავარჩინო, უჩინომ და უბრალომ?!

მინა შემოაცალეს, ზეცა ჩამოუბნელეს,  
მხარი შემოაშველე, სული შემოუბერე!..

დაასვენე ცოტა ხნით, დაიღალა ბეჩავი,  
საქართველო, უფალო, ჯვარცმულია შენსავით!..

## **მეტიხთან**

ორ-არაგვ-ჩამოტანილი,  
მტკვარი რო მეტეხს ეხლება,  
მზე წვება ხიდზე ხატივით,  
ასი ათასის ხელებთან!



\* \* \*

ეხ, ჩემო ტატო,  
 საქართველოს ბჭე ჩამოენგრა,  
 თუმც ჯვარიც ჯვარობს, მცხეთაც მცხეთობს,  
 მტკვარიც დუდუნებს,  
 მიწად აქცევენ  
 ნაამაგარს წინამორბედთა,  
 საშინელებებს  
 გადაჰყვება ეს საუკუნე.

ეხ, დიდო ვაჟა,  
 აღარც წესი, აღარც ადათი,  
 ჩვენს დროში ახლა  
 ქალი კაცობს, კაცი დიაცობს,  
 დგას აფხაზეთში მტერი,  
 როგორც ქართლის ბადრაგი  
 და სასაცილოდ არა ჰყოფნის  
 საციციანო.

ეხ, დიდო ვახტანგ,  
 დიდო დავით, დიდო ერეკლე,  
 ვით სძლევდით ლაშქარს თურქ-სელჯუკთა,  
 სპარსთა, ყივჩაღთა?!  
 გვერეკებიან სამშობლოდან,  
 როგორც ერკემლებს  
 და მამლუქებად უცხოეთის  
 ცის ქვეშ მიყვავართ.

## ილია

ვჩურჩულებ, ვყვირი ხანდახან,  
რაც დღემდე თვალით მიხილავს,  
ჩემო სამშობლოვ, სადა ხარ,  
ჩემო სამშობლოვ, ვისი ხარ?!

შუბლი ჩანს ტყვიადახლილი,  
ვენებიც გადახსნილია,  
დგას წინამურთან დაღლილი  
და ჯვარს გაჰყურებს ილია!..

## აღარ ერქმევა სამშობლო

წინ გველის ჯვარცმა, გოლგოთა,  
სოდომი ღმერთმა გვაშოროს,  
ჩემს საქართველოს, დრო მოვა,  
აღარ ერქმევა სამშობლო!



## აფხაზეთი

ერთმა ქალმა ჩამიარა,  
ანგელოზსა ჰგავდა,  
მომავონდა აჩიგვარა,  
კელასურთან ზღვა და...

მომენატრა აფხაზეთი,  
სატკივარი გულის,  
სოხუმელი ლამაზები,  
თრიმლის თაიგული...

სიყვარულის მწველი განცდა,  
სალოცავი წმინდა,  
ჩემი იისფერი ცა და  
ერთი გოჯი მინა...

ის წუთები მისახსოვრე,  
მისი ცეცხლით ვენტო,  
ის ქალი და ის სამოთხე,  
კვლავ მანახე, ღმერთო!



## ექსპურსიაზე

ჩემო სამშობლო, ასეთი რა ხარ,  
ყოველი გოჯი რალაცით გამკობს,  
მიდის და გიდი ვერ ასწრებს ახსნას,  
ადიდებს დიდგორს, ბასიანს, შამქორს.

ჩემო სამშობლო, ასეთი რა ხარ,  
ყოველ ნაბიჯზე უფლის მადლს ვხედავ,  
მიდის და გიდი ვერ ასწრებს ახსნას,  
დილომი, ჯვარი, სამთავრო, მცხეთა...

ჩემო სამშობლო, ასეთი რა ხარ,  
ჟამთასვლის რამდენ უტყვ მოწმეს შევხვდით,  
სვეტიცხოველი, მტკვარი და გაღმა  
ორი არაგვი - შავი და თეთრი.

ყოფილან ძმანი ცხრა ძმაზე მეტნი,  
არაგველებიც სამასზე მეტნი,  
ამ მიწას სისხლში ღებავდა მტერი,  
ამ მიწას, დღეს რომ გულგრილად ვტკეპნით.

ათასზე მეტი ყოფილა ნოსტე,  
ათასზე მეტი გუბაზი, ქუჯი,  
ათასზე მეტი პაატა, ცოტნე,  
ივანე, შალვა, ხათუნი გურჯი.



მთები და მთები, და კიდევ მთები,  
რა სიამაყით საუბრობს გიდი,  
საითაც უნდა წავიდნენ გზები,  
ყველა გზა მაინც მამულზე მიდის!

\* \* \*

ღვთისმშობლის ფეხით მოვლი-ლი,  
ღვთისმშობლის ხელით მო-ვლილი,  
უფალო, როცა მოიცლი,  
მოდის და და სახლში დაგხვდება...

\* \* \*

პოეზიაში წყნარად ვარ,  
არც ცხოვრებაში ვხმაურობ,  
პოეტის ყოფა ხარკსა ჰგავს,  
შენთვის ვერ მოხდილს, მამულო!..



## სადღებრძილო

გაუმარჯოს საქართველოს,  
აღთასა და ბაღთასა,  
კაკო ყაჩაღს, ოძელაშვიღს, თუთაშხია დათასა...  
ფერეიდანს გაუმარჯოს, ჩემს ინგილო წინაპარს,  
მიმოფანტულ, მიმოზნეულ მათ ძვლებსა და მინასა...

ქართველ კაცებს გაუმარჯოს,  
ქაღთა მანდიღ-კაბასა,  
გადახვენიღ გურამიშვიღს, ორბელიან საბასა...  
ვერ მიგნებულ თამარ მეფეს, უსაფლაავო ფიროსმანს,  
აფხაზეთში უქართველოდ შთენიღ სანაპიროთა...

ვერ მივაგენ იღიას მკვლელს,  
ვაჟას ლევანისასას,  
ტიციანის, მაჩაბელის, რუსთავეღის მისამართს...  
გაუმარჯოს ქრისტე ღმერთსა, დედაღვთისას - მარიამს,  
ყვეღას - ჩვენგან ვინც წავიდა და ზეცაში არიან!..





## წმინდა პერ გაბრიელს

მძიმდებიან ცოდვით წლები,  
განკითხვის დღე ახლოა,  
ბოლოს ყველას ვავინწყდებით,  
მხოლოდ უფალს ვახსოვართ!..

სინათლეა შენს თვალებში,  
შენ ცაში ხარ, უფალთან,  
საქართველოს ენატრები,  
საქართველოს უყვარხარ!..

შენი ერი გიგალობს და  
უფლის ნათელს მოელის,  
შენ ღვთის ხმა ხარ, ღვთის წყალობა,  
ლოცვა უსათნოესი!..

მძიმდებიან ცოდვით წლები,  
განკითხვის დღეც ახლოა,  
ბოლოს ყველას ვავინწყდებით,  
მხოლოდ უფალს ვახსოვართ!..

## ეთერ ღაიაურს

ცა შენი სულის საფრენად  
ანგელოზებმა მორკალეს,  
ხოგაის მინდი დაგხვდება,  
უფლის კარზე მოკარვე...

ქაჯავეთიდან გადმოვა,  
ხახმატის ჯვარის ლაშქარი,  
იქ, თორემ, ყოფნა ამ ქვეყნად  
დაო, არც რამე არ არის!..

ჩაბალხეთების ჟამიდან,  
დარდებს ვკრეფთ, ცრემლად მონადენს,  
მადეთ სჯობს, დაო, მად იყავ,  
უფლის მეორედ მოსვლამდე!..

ნეტავი იმ შენს სულის ცხენს,  
ვინც სამზეოდან გაგყვება,  
მიეშურები უფლისკენ,  
სევდით მოსილი ამ ქვეყნად!..

მიღმისმიერში დარია,  
„სულთა კრეფაა იქათკე“,  
შენ აქაველნის დარდი ხარ,  
თორემ რა გიშავს იქაველს?!.



## ნიკოლოზ აფციაურს

მიდიან დიდი კაცები,  
ჩამავალ მზისკენ მიდიან,  
გზას ვუცქერ, მთებზე გაკეცილს,  
ცრემლივით კლდეს რომ ჰკიდია...

სიცოცხლე რა პატარაა,  
მზეა და თვალში ბინდია,  
მიდიან მამა-პაპასთან,  
ალარ მოდიან იქიდან...

ან საით უნდა დაბრუნდნენ,  
რა დარჩენიათ კლდე-კაცებს,  
წავლენ, გასწევენ ცალ-უღელს,  
კარებებს გაიკეტავენ...

გზას ვუცქერ, მთებზე გაკეცილს,  
ცრემლივით კლდეს რომ ჰკიდია,  
მიდიან დიდი კაცები,  
ჩამავალ მზისკენ მიდიან!..



## ბადრი ზოსაშვილს

ჯანლი ყავარია მოკარვეთა,  
ცრემლებს თვალებს როგორ მოარიდებ,  
ქარაფს გასროლის ხმა მოაკლდება,  
თოფს მოენატრება მონადირე...

ნისლი ჩამოუვლის ჭიორჭალებს,  
აღარ დაგაღონოს ლებზე ფიქრმა,  
როგორ მანერინებ, ბიჭო, ამ ლექსს,  
გუშინ ერთად უნდა გვექეიფა...

## ღავით კუტიზაშვილს

არ დაუშვა, ძმაო, ფრთები,  
მალლა-მალლა ცისკენ გასწი,  
აქ არავინ არ დავრჩებით,  
ყველა იქ ვართ წარმავალი!..



## ბაბუას - შალვა (ილია) გომბრიჭიანს

მიდიან დიდი კაცები,  
ღვთის საუფლოში მიდიან,  
იმათთვის ნისლში ნაგები,  
ცალმხრივგ ზიანი ხიდია...

არც უნდათ უკან გახედვა,  
ან კი რა დარჩათ ნეტავი,  
სოფელში ვინლა დარჩება,  
სახლ-კარის გამომკეტავი?!

\*\*\*

სხვაგან იქნებ წვიმაა,  
სხვაგან იქნებ თოვს,  
ყველაფერი წინა მაქვს,  
ყველაფერი - შორს.

ბევრი უკვე მკვდარია,  
ბევრიც გვამად ძევს,  
ბევრი არაკაცია,  
დარჩენილი ჯერ...



## ღათოს (ღუტოს) - ჩემს მამიღაშვილს

ვიცი, რა ღრო და გზა მიღევს,  
შენს ქვეყნამღე მოსავალი  
არის ერთი გოჯის სიგრძე,  
ღახამხამეზაა თვალის...

ამიტომაც, შენ ხარ მშვიღად,  
მოთმენით ვლენ მეც ჩემს კალოს,  
ზოგჯერ გვცივა, ზოგჯერ გვშია,  
მადლობა, რომ ღმერთი გვწყალობს...

რიგებია პანაშვიღღთა,  
ჩემს რიგს ველოღები, ძმაო!..

## პატარა გურანღას

ღეღამინას ებრაღები,  
თვალხატულა გოგონავ,  
რას ხეღავენ ეგ თვალეღი,  
მანღ მზისფერში როგორ ხარ?!.

უკვე უფლის შინა სახლობ  
ღა თვალეღში მზეს უმზერ...  
მწვანე მოღმა იხასხასოს,  
შენს პატარა სხეულზე!..



## ბაბუას - ოთარ გავაშელს!

ეს ბაბუაა, წაიბორძიკა,  
რას არ ვეცადეთ, ველარ ვუშველეთ,  
ახლა შეეხსნა წასკვი ბორკილთან  
და უკანასკნელ სადგომს ვუშენებთ...

მიდის ბაბუა, ჩვენი ვაჟკაცი,  
შვილებთან ერთად სხვანიც ელიან,  
მისთვის ეს წასვლა არის თამაში,  
ჩვენთვის... ამაზე ფიქრი ძნელია...

პატარავდება ჩემი სამყარო,  
ბედის ბორბალი ბრუნავს, ტრიალებს,  
ეს გზა-ხერგილიც, ჩემო ამაყო.  
მშვიდობიანად გადაიარე!..





## ფედერიკო ლორკა

მიყვარს ლორკა გარსია,  
ზეცა ნისლის გარსშია,  
ორთქლი სარკმელს ლოკავს...  
ვეძებ ღამის გასათევს,  
დედამინას ანათებს,  
ფედერიკო ლორკა...

მოდღი ჩემთან, მოინი,  
„სისხლიანი ქორწილის“,  
მთვრალ მაყრიონს გავყვეთ...  
სისხლი იყოს სისხლის წიღ,  
გვიხდებოდეს სიკვდილი,  
მზე აწვიმდეს ყანებს...

დრო მოვა და მოვკვდებით,  
ქარიშხლები ფლოქვებით,  
შედგებიან ტორზე...  
ცივი ფეხისგულებით,  
ცას გავედიდგულებით,  
მინას მივატოვებთ!..



**ტ ი ნ ტ ო რ ე ტ ო (ი ა კ ო ვ ო რ ო გ უ ს ტ ს)**

შენ რომ ხატავ, მე იმ ქალის  
 ტრფობით ვინვი, ტინტორეტო,  
 მიუნვდომლის ეშხით უნდა  
 დავთვრე და ვიგიჟებოცო,  
 შენც გიჟი ხარ, თორემ აბა,  
 როგორ ხატავ ამდენ შიშველს,  
 ეს ამდენი „ნატურ-მორტი“  
 ან კი როგორ არ გაგიჟებს?!

როგორ უძლებ საათობით  
 მათ წინ დგომას, ფუნჯით მზერას?..  
 ერთხელ გვერდით დამიყენე  
 მათი სულის დასაზვერად,  
 მე იმათ სულს უნდა ჩავწვდე,  
 მათ ცხელ სხეულს ვევალებო,  
 პლატონური სიყვარული  
 შენი იყოს, ჩემზე მეტო!..

შენ დახატე, მე გადავწერ,  
 ვიგიჟმხატვროთ, ვიპოეტოთ,  
 ექვსი საუკუნის ძმაო,  
 ქრისტიანო  
 ტ ი ნ ტ ო რ ე ტ ო !..

## რუსთაველი

ირწეოდა ცის ცარგვალზე ყველა დროის ტიტანი,  
სიბრძნით, რწმენით, სასოებით, სიყვარულით  
სულსავსე,  
ბიბლიური იყო მისი ყველა ასო-სიტყვანი,  
სისიხლით წერდა ტილო-კვართზე, ჯვარი ესვა  
სურაზე...

იმ სურიდან ხვრეპდა ღვინოს, ზედაშევით კრიალას,  
ვაზს წურავდა, ბარძიმს წმენდდა, საკმეველით  
თვრებოდა,  
რასაც წერდა შაირი და პოეზია კი არა,  
ქრისტეს მონოლოგი იყო, ზარზმის წმინდა ეზოდან...

უფლის მცნებებს ლექსად წერდა, შაირებად იგავებს,  
სანთლად ენთო სტრიქონები, ფსალმუნებად ქარგული,  
იქნებ კიდევ რუსთაველი, როცა თამარს მიჰგვარეს,  
თავად ქრისტე ღმერთი იყო ციდან ჩამოპარული!..





## ეს ჩვენი მომავალიაო

*რაჭული სასიმღერო*

ეს ჩვენი მომავალიაო,  
სულ ასე მონავალიაო,  
ამ ჩემმა გულმა ტკივილი  
მალა და ვერ დამალაო...

ერთი ლამაზის ლოდინით,  
გამომელია ძალაო,  
დღესაც მომწერა, - ბოდიში,  
რა ვქნა, ვერ გამოვალაო...

ის ლამეც, ბევრი შემდეგიც  
გათენდა უიმქალოდ,  
უცებ მწერს - ხვალღამ შეგხვდები,  
კი არ გატყუებ, მალაო...

მას შემდეგ, ერთად, ღვთის ნებით,  
მე და ეს ჩემი ცალაო,  
მოვდივართ, ვზარდეთ შვილები,  
ფუხადეთ მამულს ღალაო...

ზოგს ფრთა მოაჭრა ოცნებამ,  
ზოგისთვის ფრთები შალაო,  
ოდითგან კაცის ცხოვრება,  
სულ ასე მონავალიაო!..

## წლები

წლები, როგორც მდგმურები,  
გვშორდებიან წლები,  
ჩუმი საყვედურებით,  
ფრთხილი შენიშვნებით.

ღვთის სახელზე ვილოცებ,  
ჩემს მოსამკელს ვიმკი,  
ქრისტესავით სიცოცხლეს,  
ქრისტესავით სიკვდილს.

მწუხრის ეპითეტებით,  
ქუჩა-ქუჩა ვივლი,  
ჰშვენის სევდის ფერები  
პოეტების თბილისს.





## დედას

მიდის დრო, მივდევ დროის ქარავანს,  
ჩემს ყოფას უფრო სევდა უხდება,  
შენ რომ გგონია, ახალგაზრდა ვარ,  
უკვე მიმტყუნეს, დედა, მუხლებმა!..

ჯერ თუმცა ჩემს წლებს არ ვეპუები  
და კვლავ ბავშვივით ვრჩები თავნება,  
შემომეცრემლნენ თვალთა უპენი,  
მგონი მიმტყუნეს, დედა, თვალებმაც...

ვფურცლავ ბარათებს, შენ რომ გინერდი,  
ძვირფას ნივთებთან გადანახულებს,  
გულს დავილლიდი შენი მზის ცქერით,  
მაგრამ მე, დედა, გულიც მანუხებს!..



## ნანას

გახსოვს ჩვენი შეხვედრა,  
წვიმის ცვარი სარკმელზე,  
როცა ანგელოზებმა,  
უფლის ზარი დარეკეს?!

გახსოვს ჩვენი ქორწილი,  
რუსთაველი, სამება,  
მთვარე შემონოლილი,  
ჩვენი სახლის კარებთან?!

მერე დილის რიჟრაჟი,  
მზის ამოსვლა შოვიდან,  
დარჩა მხოლოდ მირაჟი,  
ახლა ისე შორი ხარ!..





\* \* \*

ზოგისთვის წუთისოფელი,  
 წამის სოფელად ქცეულა,  
 იმქვეყნად კაცი ყოველი,  
 მიემგზავრება ეულად...  
 ზოგისთვის წუთისოფელი,  
 წამისსოფელად ქცეულა!..

ზოგისთვის სევდა ყოფილა,  
 სულში ჩაღვრილი სიმღერაც,  
 რა მიაქვს წამის სოფლიდან,  
 კაცს მოსულს ციდან ნისლეზად?!  
 ზოგისთვის სევდა ყოფილა,  
 სულში ჩაღვრილი სიმღერაც...

ნეტარ მას, ვინაც ქვეყანა,  
 დაატკბოს იის სურნელით,  
 ადგილი ჰპოვოს ღმერთთანა,  
 ნეტარად ექცეს უღელი...  
 ნეტარ მას, ვინაც ქვეყანა,  
 დაატკბოს იის სურნელით!..



\* \* \*

მოვა, „რეკვიემს“ დანერს მოცარტი,  
წავა, დატოვებს მიწას ცოტა ხნით,  
ყველა თავ-თავის ადგილს იკავებს,  
ერთი გზა არის პარნასისაკენ...

სულის ნერვია ლექსის სტრიქონი,  
და ჩანჩქერები უნაპირონი,  
ეხეთქებიან მიწას შხეფებით,  
დახეთქილი მაქვს სისხლით ვენები...

მთებს დავუტოვებ გზას და ეპიგონს  
და ლექსს - ცხოვრების მლაშე ეპილოგს,  
ცაზე წავანერ ეპიტაფიად,  
ცა - პერგამენტი და ეტრატია!..





\* \* \*

როგორ ვცოტა-ვცოტავდებით,  
როცა გვემატება წლები,  
მტვერს ტალახად აქცევს წვეთი,  
გინდა წვიმის, გინდა ცრემლის...

როგორ ვთითო-ვთითოვდებით,  
როცა ჭირის ზღვარზე ვდგებით,  
გაგვირბიან ახლობლები,  
გაგვირბიან მეგობრები...

მერე როგორც თოვლი მთებში,  
მოალერსე მზეზე ვთბებით,  
გულზე დარდით, თმებზე თეთრით,  
სიბერესთან მარტოდ ვრჩებით!..

\* \* \*

შენი თქმა განა რად მინდა,  
განა არ ვიცი, მე თვითონ,  
ცაში რომ ტახტი დავიდგა,  
ჯერ მინას უნდა ვემთხვიო...

ჯერ სიტყვა უნდა ვისწავლო,  
თავისი აზმა-იზმებით,  
მოვკვდები დედა-მინაო  
და სულ შენს გულში ვიქნები...

## წვიმის პანორამა

როგორც თითები კლავიატურას,  
ან როილის შავ-თეთრ კლავიშებს,  
წვიმა დაეცა სახლის სახურავს,  
და მე ის სახლში მოვიპატიჟე...

ისე მეთბილა წვიმის წვეთები,  
ვით შენი კოცნა ერთ დროს ლოყაზე,  
წვიმის გუბეში იწვნენ მერცხლები,  
ძაღლები გამხმარ ძვლებს ილოკავდნენ...

## ალილუია

ო, ღმერთო ჩემო, ყველაფერი გაყიდულია,  
ეს ჩემი სულიც ნანამები და ჯვარცმულია,  
მე ვარ პოეტი, ჩემი მინის ვარ ლელთლუნია,  
ვისაც შენი გზით სურდა, ევლო და ვერ უვლია,  
ათასწლეულთა ქარიშხლები გარდასულია,  
ალილუია, ალილუია, ალილუია...



\*\*\*

შემრცხვა, ერთხელ გულგრილად რომ ჩაგუარე  
მათხოვარს,  
თითქოს ეშმა ბუქნს ავლებდა, ჩემზე მასხარაობდა!..

თითქოს, ვითომც არაფერი არ მომხდარა ისეთი,  
თვალი ისე ავარიდე, ტკივილი ვერ ვიგრძენი!..

მერე ისე გამოვთვერი, ისე ბევრი დავლიე,  
რომ ის წელანდელი ცოდვაც ველარ მოვინანიე!..

კიდევ კარგი, რომ სინდისი მანუხებს და სულ თან  
მაქვს,  
ცოტა მაინც ალაღად ვარ ჩემს თავთან და უფალთან!..





\* \* \*

ჭალაკები, ჭაობნარი,  
ჭანჭრობები, ჭინჭრები,  
სოფლის ბოლოს ჭა რომ არის,  
ჭასთან მოდი, მჭირდები...

შევაბერდი ჭალა-ჭილობს,  
გამინვრილდა ჭაპანი,  
ასე ჭრიდნენ ლილო-ჭრილოს,  
ჩემი მამა-პაპანიც!..

\* \* \*

კუთხეში ჩემი ლექსები ყრია  
და ასდის ალი სულივით სანთელს,  
ბედნიერი ვარ, რომ ვილაც მიყვარს  
და რომ ღამეებს ფიქრებში ვათევ...



### პატრონს მიმავარებინე!..

თუ წასვლაა, ღმერთო, ხვედრი,  
წამიყვანე ბარემ ისე,  
ჩემი მოხუცებულები,  
პატრონს მიმავარებინე...

ჩემით სულის იმედს კვებენ,  
ვერ დავტოვებ იმათ მარტო,  
უნდა მივყვე სიბერემდე,  
მერე მინას მივაბარო...

მინას, ანუ ძვლების პატრონს,  
სულის - უფალს, მერე გინდაც,  
„ერთ გოჯ მინად“ შევემატო,  
მეც ამ ცოდვილ დედამინას!





\* \* \*

მე რომ ფრთები მქონდეს ახლა,  
მე რომ მართლა ფრთები მქონდეს,  
ამოვფრინდებოდი მალლა,  
ამ მიწაზე არცრის მქონე...

ალარ დავუბრუნდებოდი,  
დედამიწას არასოდეს,  
მე რომ ფრთები მქონდეს ორბის,  
ან არწივის ფრთები მქონდეს!..

\* \* \*

ნისლო, სად მიხვალ, რა გინდა,  
წვიმად ნუ ჩამოიმცვრევი,  
მეც, „ფიქრო მთისავ“, დაბლიდან,  
ვაჟას თვალეზით გიცქერი...  
აქ ნუ ჩამოხვალ, მად იყავ,  
მეც მადეთ ამოვიქცევი!...



\*\*\*

ვკემსავ არსებით სახელებს,  
ვაკონწიალებ ზმნებს,  
პოეზიაა, რაც ერთხელ,  
ღმერთს დაუნთია მზედ!..

არ ერთმეზა ზმნისზედა,  
ზედაზენსა და ზმნას,  
პოეზიაა მზისკენ და  
შენსკენ სავალი გზა!..

არ ერთმეზა ქალს ქარი,  
არც ჰოლი-მოლი თოვლს,  
პოეზიაა, რაც არის, -  
ჩემი ჰაეც და ჰოც!..





## ჩემი სკოლა

ჩემი სკოლა მენატრება,  
მერხი, ანუ მაგიდა,  
აღვის მნკრივი, ტერასებად  
რომ მოჩანდა მალღიდან...

ჩემი კლასი მენატრება,  
ჩემი კობტათვალება,  
ბნელში, ანუ კელაპტრებთან,  
ღამეების გათევა...

\* \* \*

დროს ნაჰყვა ჩაცმა შავისა,  
მოშეება წვერ-ულვაშისა,  
ხმით დატირება დიაცის,  
ცრემლად ჩამოღვრა ცისანი...

მჯიღს ვიცემ, - „ჰოი, დედანო“,  
სად რა ვთქვა, ვის რა ვეღავო,  
აიმღვრევიან ფიქრები,  
ნავალთ და ნავირინდებით!..



## შინაური

შინაურია, მაინც არ ენდო,  
ჯერ კიდევ თუ არ გამოგიცდია,  
შინაურებმა ზოგჯერ საერთოდ,  
შინაურობა სულ არ იციან!..

შინაურია, მოგდეგს მხარდამხარ,  
უფალმა შექმნა ისიც თიხისგან,  
შინაურებიც, ხდება ხანდახან,  
შინაურულად საფლავს გითხრიან!..

შურთ შენი ეზო, შენი სახლ-კარი  
და პროცესიაც, შენ რომ მოგყვება,  
ისე არიან შურით დამტკბარნი,  
საწყალი შურიც შეგეცოდება!..

მერე ერთმანეთს თავად შარობენ  
და მრუშებივით შუკებს ხედნიან,  
ღმერთო, მადლობა, რომ არასოდეს,  
სხვისი ბაჯვალლოც არ მშურებია!..



\* \* \*

ადამიანი რა არის,  
არის და თითქოს არც არის,  
მოვამ, იცხოვრებს ამ ქვეყნად,  
მერე ნისლივით გაქრება...

ადამიანი რა არის,  
უბრალო ჭალის ქვა არის,  
ხან არის სულის ტაძარი,  
ხან ტაძრის მტვერიც არ არის!.

### **მე თქვენ გშორდებით**

მე თქვენ გშორდებით, სასტიკია ყველა თამაში,  
თავს მოხვეული გრძნობებისაც არამჯერა რამ,  
განწირულია ბოლოს მაინც ყველა თარაში,  
თქვენ ვერ მიხედეთ, ვისი გულიც ასე გეზარათ...

მე თქვენ გშორდებით!



\* \* \*

მოკვდები სადმე ხის ძირას ტყეში,  
მუხის მინაზე გაშლილ ფესვებთან,  
წამოვა წვიმა და წვიმის თქეში,  
გულზე ნამივით დამესვენება...

საფლავს დაფარავს ფიფქების თოვა,  
ზედ ხეც ამოვა ობლად, ვით მლილი,  
მე ქვეყნად იმ ხის ყვავილად მოვალ  
და მარადიულ სინათლედ ვივლი!..

\* \* \*

ველარ ვიძინებ, თუ არ ხმაურობ,  
შენი ნაზი ხმა თუ არ ჩამესმის,  
ჩემი ლექსები უსათაურო,  
ვით სონეტები შუალამესი,  
შენ გიმღერიან, ო, სიყვარულო,  
შენა ხარ ჩემი ჰერაც, ჰადესიც!

\* \* \*

ზღვა ბობოქრობდა, ქროდნენ ქარები,  
ცას თალხისებრი ნისლი ემოსა  
და ინყებოდა გარდაცვალებით,  
მყუდრო ოთახში ღამის შემოსვლა.

სევდა მოჰქონდა ქარის მოძახილს,  
სდიოდა სანთელს ვერცხლის ცრემლები,  
გადავსებული იყო ოთახი,  
მისტერიებით... ცეცხლით...ცხედრებით...

თვლემდნენ ლანდები საიქიოთა,  
ღამის სიზმრებით გადარეულნი  
და უკვდავებას უხმოდ მიჰქონდა,  
სული ცისა და მიწის - სხეული!..





\* \* \*

როგორც სიკვდილი, სახელიც,  
თავის დრო და ჟამს ნახავს,  
მთავარი არის - მნახველი,  
ეყოლებოდეს საფლავს...

თოვლი ეფინოს მყინვარწვერს,  
კვამლი დიოდეს ბუხარს,  
მთავარი არის - გიყვარდეს,  
ადამიანი თუ ხარ!..

დრო მოვა, წავალთ დაღმართით,  
ვინ შერჩენია ჩეროს,  
ამ ქვეყნად, მაინც მთავარი,  
სიყვარულია, ჩემო!..



\* \* \*

ნეტავი რაზე ფიქრობენ,  
მთებს შეფენილი ნისლები,  
ქარებმა ვისთან იქროლეს,  
რად ჩანან გადაღლილები?..

ან წვიმამ ვისთან იწვიმა,  
აქ რომ მოვიდა სოველი,  
რად არ ამოდის მიწიდან,  
მზე - ვარსკვლავების მთოველი?..

სულ ასე მწარე რისთვისა,  
ნეტავი წუთისოფელი?!

\* \* \*

მტერო, ჩემს ყორეს ვერ მოშლი,  
ნაშენებს ლიბო-კირითა,  
ჩემს ლამაზ საქართველოში,  
სიცოცხლე უყვარს სიკვდილსაც!...



## სხვა ყველაფერი ბინდია!..

სულო, მეც მიჭირს ცის ფერში,  
მძიმე სხეულის ტარება,  
ერთხელ მეც გადავიქცევი,  
მინის ერთ გოჯად, მტკაველად...  
არდანანებით შეგსვამდი,  
სანუთროვ, ნალვლისთვალეზავ!..

არდანანებით ვიტყოდი -  
სიცოცხლე ჩემო, მივდივარ,  
შოთა და გალაკტიონი,  
სამოთხის ველზე მიცდიან...  
ლექსია ჩემი დიდგორი,  
სხვა ყველაფერი ბინდია!..

სხვა ყველაფერი ბინდია,  
მწუხარე არის სანუთრო,  
ჩემო სიცოცხლე, მივდივარ,  
თავმდაბლად უნდა გაუნყო...  
იქაა ვაჟას მინდია,  
იები უნდა წავეულო!..



\* \* \*

ცხოვრება ჩემი რთულია,  
 ვერაფრით გავიმარტივე  
 (სულ რომ დაჯერდე ხმელაპურს,  
 ცომი ხომ უნდა მოზილო?..),  
 ტკივილიანო სანუთრო,  
 მე შენი დედა ვატირე,  
 კაპიკ-კაპიკად, გროშ-გროშად,  
 ყლუპ-ყლუპად გამოზოგილო!..

სული დავლალე ნამი-ნამ,  
 სარჩოს ძებნაში ხორცისთვის,  
 ხან მაშვრალს გადავანყდეძი,  
 უსახლ-უკაროს ხანაც და  
 მარტო არა ვარ, ბევრი მყავს,  
 თორემ, უფალო, ხომ იცი,  
 მე პეშვი წყალიც მეყოფა,  
 ამ მიწის ლუკმაც თავად ვარ!..

სულს მიმშვიდებენ ლოცვანი,  
 ღვთის სახლში დგომა ხატებთან,  
 ეულ კაცისთვის ტაძრის გზა,  
 ალბათ არაა საძნელო,  
 ამაოების ლხენანი  
 აღარც გულს არ ეხატება,  
 ვფიცავ, სულ ისე ვცხოვრობდი,  
 ცხოვრებისათვის გამეძლო!..



დგანან ქალები, ბავშვები,  
 ხელგამონვდილნი ქუჩაში,  
 შემოგცქერიან იმედით,  
 შენ არც გული გაქვს, არც ხურდა,  
 ვილას ანუხებს სინდისი,  
 აღარსადაა ულვაში,  
 აღარც მანდილი, აღარც ვის,  
 ნამუსის ქუდი ახურავს!..

დავდივარ ასე, უფალო,  
 ჭმუნვით ავცქერი ცას ზემოთ,  
 ჯერ სიბერემდე შორია,  
 აღარც პატარა ბიჭი ვარ,  
 ამაო ორომტრიალში  
 შემოვეხარჯე სამზეოს,  
 მივიპარები მინისკენ  
 და თვალი შენსკენ მიჭირავს!



## ადამიანო, იცოდე!

ადამიანო, იცოდე,  
ბოლოს შენც ჯვარცმა მოგელის,  
წარმავალია სიცოცხლე,  
ოხრად დაგრჩება ყოველი!..

ადამიანო, შენ არა,  
ღმერთია ყოვლის მპყრობელი,  
შეგიმოკლდება თემშარა,  
ოხრად დაგრჩება ყოველი!..

მტვერი ხარ, დრტვინავ, ამაყოზ,  
უფლის საფარქვეშ მყოფელი,  
ისევ იქცევი აყალოდ,  
ოხრად დაგრჩება ყოველი!..

სიმდიდრე რაა, ოდენ ის,  
იქცევა დარდის მიზეზად,  
კაცს უნდა ცოტაოდენი,  
სულისთვის ხორციც მძიმეა!..

წარმავალია სიცოცხლე,  
ოხრად დაგრჩება ყოველი!..  
ადამიანო, იცოდე,  
ბოლოს შენც ჯვარცმა მოგელის...



## მეჩავის აღსარება

ჩემს სხეულს ვყიდი, რადგან ასე მარგუნა ბედმა,  
მე თქვენზე ვყიდი, ვინც მეძახით მეძავს და თახსირს,  
ვყიდი და მაინც მე ქალი ვარ, შვილების დედა,  
ვისთვისაც ვცოცხლობ და ვისთვისაც გავწირე თავი...

მე სხეულს ვყიდი, ჩემსას ვყიდი, რაც ღმერთმა მომცა,  
თქვენ კი გაყიდეთ ჩემი მინა, მამულის ზეცა,  
ეს თქვენს გამოა, რომ ვიქეცი როსკიპად, როცა  
მანდილი უნდა მეხუროს და ლამაზად მეცვას!

ვიყავი ერთ დროს ამაყი და ლამაზი ქალი,  
გავთხოვდი წესით, როგორც ყველა ქალი თხოვდება,  
მქონდა ძვირფასი ბეჭდები და მძივები ქარვის,  
მქონდა და ნისლებს გააყოლა სადღაც ცხოვრებამ...



\* \* \*

ღამე მშვიდობისა,  
ჩემო მეგობარო, ღამე მშვიდობისა,  
ვნუხ, რომ ვერ მოვედი,  
და ჩემს მარტოობას თავი შევაფარე,  
სულში სიბნელეა,  
თითქოს ვარსკვლავებით სავსე მინდორში ვარ,  
ისევ ისე მიყვარს,  
მაგრამ, სამნუხაროდ, ვერ ვცვლი ველარაფერს...

შენ არ დამემდურო,  
ველარ მოვედი და ღამე დაგილოცე,  
როცა მე ვლოცულობ, ასე მგონია, რომ  
ყველას მშვიდად სძინავს,  
მალე გათენდება,  
მთვარე ნელა-ნელა ღამეს აცისკროვნებს,  
დილა მშვიდობისა,  
ჩემო მეგობარო, დილა მშვიდობისა!..



## ადამიანისმაგვართა

*მინაწერი ლევან ბებურიშვილის წიგნზე -  
„მწერლობის „მოთვინიერება“ გრძელდება“*

შენ როცა გიჭირს, მამულო,  
მეც, რა თქმა უნდა, ავად ვარ,  
ბედნიერება მაცეცხვებს,  
ადამიანისმაგვართა...

ჯერ კიდევ ნაგვის ურნებში,  
ვეძებთ საკვებს და სამართალს,  
ხორცს მიძიძგნიან სულელები,  
ადამიანისმაგვართა...

„ცუდას რად უნდა მტერობა“ –  
თავის დასაცავ აბჯრად მაქვს  
და მიდის „სირთა სერობა“,  
ადამიანისმაგვართა...

ვის „გავას მთვარემ აკოცა“,  
ვინ დედას ნამუსს თავად ხდის  
და წერენ „ანტიტყაოსანს“,  
ადამიანისმაგვარნი...

ზოგს „ცოლის საშო უყვავის“,  
ზოგს ფეხი მხრებზე აყრილი,  
ზეობენ წიგნის ყუაში,  
ადამიანისნაირნი...

ზოგებმა ღმერთსაც შეჰბედეს,  
ბედ-ადათ გადმოყოლილთაც,  
ჩემო სამშობლოვ, შენს შემდეგ,  
ქვა ქვაზეც ნულარ ყოფილა!..

„წყალნი წავლენ და წამოვლენ“,  
თქვენ ახლანდელი ჩარჩები,  
უფლის ბოძებულ ამ სოფელს,  
ქვიშადაც არსად დარჩებით...

ადამიანში ღმერთია,  
ღმერთშია მთელი სამყარო,  
თქვენში ვინ არის, თქვენ ვინ ხართ,  
ადამიანისმაგვარნო?!

რა დედამ გშობათ, ან და რა  
შვილები უნდა დაზარდოთ,  
ვის კალოს ლენავთ, სადა ხართ,  
ადამიანისნაგვარნო?!

შენ როცა გიჭირს, მამულო,  
მეც, რა თქმა უნდა, ავად ვარ,  
უსახოება მაცეებს,  
ადამიანისმაგვართა...



## ვლალატოზ ჩემს თავს

ვლალატოზ ჩემს თავს,  
 როცა დილით უშენოდ ვდგები  
 და როცა ვტოვებ თბილ სანოლში ნუხანდელ სევდას,  
 რომ ვფიქრობ სხვაზე, მაშინ როცა შენ მყავხარ  
 გვერდით,  
 როდესაც გულის სურვილების აღრევას ვბედავ!..

ვლალატოზ ჩემს თავს,  
 დილის ლოცვებს ვკითხულობ როცა  
 და ჩუმად იმავ დღეს ჩასადენ ცოდვებზე ვფიქრობ,  
 ვუძებნი ახსნას ასჯერ უკვე ჩადენილ ცოდვას  
 და გულში შთენილ ცოდვის ალებს უმანკოდ ვიქრობ!..

ვლალატოზ ჩემს თავს,  
 როცა დაცლილ სამშობლოს ვტირი  
 და ვატან ცრემლებს რქანითელით აღენილ ყანწებს,  
 რამდენიც გინდათ, იმდენი აქვს ცრემლები ტირიფს,  
 მე კი სამშობლო მინდა გულში მტკიოდეს, მწვავედეს!..

მე კი ერთხელაც  
 ვერ ვიომე მამულის ომში,  
 ვერ ვუპატრონე ჩემს მინა-წყალს, თბილს და  
 მადლიანს,  
 არც ცხინვალიდან სოხუმამდე არაა შორი,  
 ნიკოფსიიდან დარუბანდიც ერთი ადლია!..



ვლალატობ ჩემს თავს,  
დღენიადაგ ვლალატობ ჩემს თავს,  
მაშასადამე ჩემს სამშობლოს - ამ დაჭრილ არწივს,  
მაგრამ ჩემს თავზეც მეტად მიყვარს, იცოდეს  
ლმერთმა  
და ვუფრთხილდები, ვით საკუთარ სხეულის  
ნანილს!..

\* \* \*

მე რა მიჭირს - მუჭა მიწას,  
ერთი ცრემლის მოდენას,  
ოღონდ სული, ვნატრობ იმას,  
სხვაგან ნუ ამომხდება!..





## ნავიქცევით და მორჩა!..

გადაიფრინეს ყორნებმა,  
ლეგა ღრუბლებზე გავლით,  
გაჩენის დღიდან მოგვეყვება,  
წუთისოფელის ვალი...

წრე ვინროვდება, რა მზის წრეც,  
შავი ნისლივით მოსჩანს,  
ამ წუთისოფლის გზანვრილზე,  
ნავიქცევით და მორჩა!..

\* \* \*

მე დავიჯერე, რომ ვარ პოეტი  
და რომ ცა არის ჩემი საუფლო,  
რომ ამ მიწაზე ციდან მოვედი,  
ხმელეთზე მეტად მიყვარს ცა უფრო!..

და შენც მინდა, რომ ისე მიყვარდე,  
ეს გულიც შენით ისე ფეთქავდეს,  
ფიქრებს კი არა, ნისლებს მივყავდე,  
ჩემი ოცნების  
მაღალ მთებამდე!..

## ადამიანო, მჭირდები

საით მიდიან ნისლები,  
როცა აქვეა იაღნო?!  
ადამიანო, მჭირდები,  
მჭირდები, ადამიანო!..

შენც, ჩემნაირო, ღვთისა ხარ,  
სამყაროს გრძივ და განედზე,  
დავეძებ მე შენს მისამართს,  
სოკრატესავით დაგეძებ!..

არც განდიდებულს, არც გღახაკს,  
არც მდიდარს და არც ბოგანოს,  
ადამიანო, სადა ხარ,  
მიტხარი, როგორ მოგაგნო?!.

მინდიხარ განა ზეციდან,  
ან გადმოსული მითიდან,  
შენც თიხისა და ცრემლისგან,  
ღვთის მოზელილი მინდიხარ!..

მჭირდები, ადამიანო,  
სულის საშველად მჭირდები...  
როცა აქვეა იაღნო,  
საით მიდიან ნისლები?!.



### ქპრიპი

ქვრივი ხარ და სიყვარულს და ალერსს გთხოვენ,  
იციან, რომ ბაგე შენი ბადაგია,  
შენ გჭირდება მოთმინება უფრო, თორემ,  
ქმრიანები სულ ყირაზე გადადიან!..

მარტოობაც ძნელი არის ახლა შენთვის,  
მაგრამ ხსოვნის შენახვა და რიდი გმართებს,  
ქალბატონო, მნუხარებაც ისე გშვენის,  
აღარ ვეძებ სხვა ქალების მისამართებს...

### პოეტი ქალი

ვით მებაღე იის კონას,  
ლამაზ სიტყვებს ისე ჰკონავს,  
უყვარს ლექსის ვარდით მკობა,  
ლექსის ჭიაკოკონობა!..



## მატარებელი

### *ტიციან ტაბიძეს*

მატარებელი მიჰქრის,  
ვეარშიყები რუს ქალს,  
რკინის რელსების იქით,  
თავისუფლება სუნთქავს...

მატარებელი კივის,  
მატარებელი ჩქარობს,  
ვეთამაშები სიკვდილს,  
შენ სად წახვედი, ქარო?..

## შოთაოზის შემდგომ

მ ო ვ ი ა ს პ ი ნ ძ ე თ,  
მ ო ვ ი შ ო თ ა ვ ე თ,  
ბიჯიც ვერ წავდგით  
მანც შ ო თ ა მ დ ე !



### კაცია ადამიანი?!

კაცს ვეძებ, მაგრამ სადღაა,  
სანდო ვერავინ ვიცანი  
და ვფიქრობ ჩემთვის ხმამაღლა,  
კაცია ადამიანი?!

ილიასავით მადარდებს  
ადამიანის კაცობა,  
უფრო ენდობი მაღალ მთებს,  
ანდა შავ ნისლებს ცად როა!..

ტანზე ღრუბელი მაცვია,  
ვკითხულობ, სად და ვინ არი,  
ადამიანი კაცია,  
კაცია ადამიანი?!





## ყანებს ჰგავან ლექსები

ყანებს ჰგავან ლექსები,  
ლექსებს ჰგავან ყანები,  
ოლონდ მართლა ლექსები,  
ოლონდ მართლა ყანები...  
ნაბდებს შლიან მწყემსები,  
იცლებიან ყანნები!..

ალი ასდით სტრიქონებს,  
როგორც ამ მთებს ნისლები,  
ჩემს სიცოცხლეს გიტოვებთ,  
თუ აქ აღარ გჭირდებით...  
ლექსებს ჩემთვის ვიტოვებ,  
დახეთქილი ფილტვებით!..

ვიმზირები იქითკენ,  
ვეტრფი მთებს და ქარაფებს,  
ზოგჯერ თავი სიკვდილზე,  
ფიქრებს შემომაპარებს...  
ჩემს სავალ გზას მივიკვლევ,  
სსვას არ ვითხოვ არაფერს!..

ყანებს ჰგავან ლექსები,  
ლექსებს ჰგავან ყანები,  
ოლონდ მართლა ლექსები,  
ოლონდ მართლა ყანები...  
ნაბდებს შლიან მწყემსები,  
იცლებიან ყანნები!..



## რა ვაკეთო სამოთხეში...

რა ვაკეთო სამოთხეში,  
დროს წლებს ვპარავ, კერას ვთლი,  
ქოხი მინდა სადმე ტყეში,  
თავის პარასკევათი...

ტყის ნაპირას ტახტს დავიდგამ,  
ჩრდილში მოვიკალათებ,  
იმ თვალების კოცნა მინდა,  
შენ რომ შემომანათებ!..

\* \* \*

სოფლის გზაზე გოგოს შევხვდი,  
გოგო იყო იმისთანა,  
ხელუვლები, ხელუხლები,  
უკოცნელი, ირმისთვალა...





\* \* \*

ნყალს დარჩებიან ქვიშანი,  
კაცის ცხოვრება დარდია,  
ჯერ ჩავასვენებთ მინაში,  
მერე ზემოდან დავდივართ!..

გაიკვირტება სიცოცხლე,  
გაყვავილდება, გახმება,  
უფსკრულისაკენ, თითქოს ცხვრებს,  
მიგვერეკება განგება!..

\* \* \*

იქნება დღესაც განვიმდეს,  
ცაზე ავიდნენ ნისლეზი,  
ყველას რომ გადავავინყდეთ,  
სიკვდილს არ დავავინყდებით...



## ამ ყველა საათს თავისი დრო აქვს!..

აქ ყველა საათს თავისი დრო აქვს,  
ყველა დრო თავის საათს აჩვენებს  
და ფვარცმა, როგორც სამყაროს მოთქმა,  
სისხლივით დასდის ქრისტეს მაჯებზე...

აქ ყველა საათს თავისი დრო აქვს,  
ხოლო თვითონ დრო ელვავა ნამთა,  
ჩვენ ვბრუნავთ დროში - წავალთ და მოვალთ,  
ანდა პირიქით - მოვალთ და წავალთ...

ცხოვრებას მე ვერ ვიტმასნი ტანზე,  
როგორც მოდაში შემოსულ ჯინსებს,  
ვუყურებ სულის და ხორცის ტანდემს  
და მიყვარს ხორცი სიკვდილის ჯიბრზე...

და მიყვარს სულიც, როცა სდის ცრემლი  
და აწევს სევდა უფლისკენ მზირალს,  
ყოველ ნაბიჯზე განაჩენს ველი,  
სიკვდილმისჯილთა ლოყაში ვზივარ...

აქ ყველა საათს თავისი დრო აქვს,  
ყველა დრო თავის საათს აჩვენებს  
და ფვარცმა, როგორც სამყაროს მოთქმა,  
სისხლივით დასდის ქრისტეს მაჯებზე...

## მთვარეს...

სევდით გიცქერი დაბლიდან,  
ვერ ამოგიველ ზემოთ,  
მთვარევ, შენ, ჩემო ვარდისფრად,  
დაღამებულო მზეო!..

გრძნობას არა აქვს საზღვარი,  
გული ჩიტვით მიცემს,  
მიყვარს მე შენი ზღვასავით,  
უკიდებანო სივრცე!..

ან ამიყვანე, ან ჩამო,  
უშენოდ მომენყინა,  
თვალეზე დამდის ყაყაჩოდ,  
სისხლი კი არა, ნვიმა!..

მინაზე ფეხი ამიცდა,  
შენკენ მოვიწვევ ზემოთ,  
მიყვარს მე შენი ლამის ცა,  
მთვარევ, შენ ჩემო მზეო!.



## მკითხე და გეტყვი

### *მურმანისებურად*

რად გინდა კითხვა, მიყვარს აკაკი  
(დიდი მგოსანი მიყვარს და მეტიც),  
ოლიმპოს უწევს შოთა აკვანში,  
როგორც პარნასის პირველი სვეტი!..

თუ დამიჯერებ (გარჩევა მზარავს),  
არ მივედები ღობეს და ყორეს,  
გურამიშვილიც, ბესიკიც ზღვაა,  
მაგრამ ვაჟაა მეორე მოყმე!..

ყველას თავისი უყვარს და თანაც,  
„და სხვაშიც“ ყოფნას მრავალი ნატრობს,  
დიდია გოგლა, დიდია ანა,  
მაგრამ მესამე სვეტად დგას ტატო!..

რამდენი უკვე გაბრაზდით, ჩემს მტერს,  
ყველას აქვს თავის აზრი და ათვლა,  
სამი ვთქვი, თორემ რა დალევს სვეტებს,  
გალაკტიონი?.. -  
პარნასის მთაა!

\* \* \*

მოვკვდები, როცა ფოთლები იშრიალებენ ქარში,  
თეთრად ქათქათა ღრუბელი გაეკიდება ნიავს,  
ნაღვლიანია სიცოცხლე, როგორც ობოლი ბავშვი,  
სიყვარულივით სიკვდილი აროდისაა გვიან!..

მოვკვდები, როცა ნისლები გამწკრივდებიან გზებზე,  
თოვლის ჭირხლიან თვალეებში გამოანათებ, მზეო,  
ადამიანის გულებში დაულაღავად გეძებ,  
მარადიულო ტკივილო, შენ სიყვარულო ჩემო!..

\* \* \*

ხან ვტკეპნი მინას, ხან დავალ ცაში,  
იქ, სადაც ლალი ქარები ჰქრიან,  
ამ ქვეყნად ჩემთვის ყველა ქალს მაინც,  
ძვირფასო, შენი სახელი ჰქვია!



\* \* \*

მეტროში ვზივარ, ვკითხულობ ცვაიგს,  
ჩემ გვერდით გოგო მობილურს ჩასცქერს,  
ვაგონებ - ნიგნი ნიგნია მაინც,  
ვახსენებ რუსთველს, ხანდახან ჰაფეზს...

შენც არ მომიკვდე, არ მისმენს გოგო,  
შველივით იქნევს ეკრანზე თითებს,  
ვუყურებ ლამაზ მშვენებას, როგორც  
ნაკადულს, ზღვა რომ მორევში ითრევს...

\* \* \*

ქარებს ხმლით ვებრძვი, როგორც იდალგო  
და შორს, ხმამალა ქედებს გავყვირი,  
რასაც პატივი უნდა მივაგოთ,  
სწორედ ის გვრჩება პატივაყრილი!..

## სხვა რაღა უნდა ქვეყანას

ფშავში ვიყავი, არაგვმა  
მობზე გამინყო კარავი,  
ვაჟას ვეძებდი კარდაკარ,  
არასად არ დამხვდა არავინ...

ქალაქში იყო ფშაველა,  
„საივერიო“ ლექსებით,  
მიხა მოვიდა საშველად,  
არაყზე ნავიხემსენით!..

უფალი იყო ყველგანა,  
სავსე ვიყავი ყელამდე,  
სხვა რაღა უნდა ქვეყანას,  
ორი ამხელა მზე ჰყავდეს!..





\* \* \*

იყივლე, იქნებ გათენდეს,  
იქნებ გათენდეს, მამალო...  
მზეო, შენ მაინც აენთე,  
ცისკარზე ამომავალო,

რამდენიც უნდა ვეაჯო,  
არ გათეთრდება ყორანი,  
ჯავრს ვიკლავ, თუმცა მჯერა რო,  
მაინც ჯვარს მაცვამს მყობადი!..

\* \* \*

რა გაათენებს დილამდე,  
ჯერ მხოლოდ ღამის ორია,  
შენს ჩამქრალ სახლში სინათლე,  
მზის სინათლეზე შორია...



## რაც ადამიანს დაუთესია

მე მიყვარს კაცი თავგანწირული,  
სამობლოსათვის როცა ესვრიან,  
ჩემი სასახლე არის მიწური,  
ჩემი ცხოვრება ერთი ლექსია...

მთებმა გვარები გადაიკეთეს,  
ვამბობ - აბა, ეს რა მთის წესია,  
ღმერთო, ამრავლე ყველა სიკეთე,  
რაც ადამიანს დაუთესია!..

\* \* \*

ყველას ერგება ერთი ქვა,  
თავისი წილი ბზაც,  
მე ჩემი კართაგენი მაქვს,  
ჩემი ცოდვისთვის ვზღავ,  
ჩამოვთოვლდებით, ერიჰა,  
გაგვიყენებენ გზას!..



## ზღვას

შემოგახვიო მკლავები, მინდა,  
 ასეთ იღუმალს, ღრმას და მღელვარეს,  
 შემომერკალე გრაალის მხრიდან,  
 ოკეანივით შემომეღვარე...

მერე ავიჭრათ მწვერვალთა წვერზე,  
 გვერდში დავუდგეთ ღმერთს და ჰელიოსს,  
 თუნდ ჩაიცალოს სამყარო წვეთ-წვეთ,  
 ჩვენ არასოდეს გამოველიოთ...

## ფიქრები კვიტარაში – შინა

მშვიდად სძინავს ლურჯ დედოფალს ტყეში,  
 დიდ ქალაქში დაგკარგე და გეძებ,  
 ყველა ლექსი, დაწერილი შენთვის,  
 მარჯნებივით შეზრდილი მაქვს ძვლებზე!..



## არჩევნები

დგანან, როგორც პურის რიგში,  
როგორც ფქვილის რიგში დგანან,  
ზოგი დუღსინეას ირჩევს,  
ზოგი ირჩევს სანჩო-პანსას...

თვალეებს ნაბავს დონ-კიხოტი,  
არჩევნები არის კარზე,  
„ყველას, ყველას ბოიკოტი!“  
მეზობელი ყვირის გარეთ...

\* \* \*

სალი კლდეების წვეროზე,  
გადაიარეს ნისლებმა,  
ნეტავი მოვესწრებოდე,  
ლუხუმის გამოღვიძებას!..



## კაცის სახელი დამრჩეს

მზის ცქერა მიყვარს ჩეროში,  
წამოგორება მოლზე,  
დღეები უამინდონი,  
წავლენ, ისევე მოვლენ...

სანამ ვარ, სანამ მოვკვდები,  
სულ ვევედრები გამჩენს,  
ამ ტიალ წუთისოფელში,  
კაცის სახელი დამრჩეს!..

\* \* \*

ხიდი ვერ გავდე ყველასთან,  
ვერ გავამართლე სიყალბე,  
წესად მაქვს - ვძულდე ქვეყანას,  
მე მაინც უნდა მიყვარდეს!..





## ჰეი, ვინც უნდა იმღეროთ!..

კითხვები ნაღვლისთვალეზა,  
ძვალს ძალლისავით მხრავს,  
ნეტავი, ვის ებარება,  
ჩემი ქვეყანა ხვალ?!.

ტადრის კარ-შეუტეხავი,  
რწმენის უშრეტი მზე,  
ვის ჩაბარდება ნეტავი,  
ჩემი სამშობლო ზეგ?!.

არ დაგავინყდეთ, მამული,  
ნაბოძებია ღვთის,  
ანმყო ფასდება წარსულით,  
კაცი - სიკეთის ქმნით!..

სისხლი არ გაანყლიანოთ,  
ღვინოს ნუ აქცევთ ძმრად,  
იცოდე, ადამიანო,  
ქრისტეს უმცროსო ძმავ!..

სამშობლო სიყვარულია,  
სულ რომ გითრთოლებს გულს,  
ვისაც ამ გზაზე უვლია,  
უნდა იაროს სულ!..

ჰეი, ვინც უნდა იმღეროთ,  
სალამ-ქალამი თქვენ,  
სამშობლოს საკეთილდღეოდ,  
ებარებოდეთ ღმერთს!..



## ვხედავ, ჩემს სხეულს ჰგვის მებოვი

ახლა ვნევიარ და ვფიქრობ ადამზე,  
მარტო კაცზე და მარტო მყოფელზე,  
ვინც ალბათ უფალს დღემდე ადარდებს,  
ვისზეც ადამი ფიქრობს ყოველდღე...

ახლა ღამეა, ვფიქრობ ევაზე,  
ნეკნად რომ დამაქვს მზისთმებიანი,  
ვფიქრობ ქალზე და ქალის სევდაზე,  
ვანყობ ტკივილებს რითმებისავით...

ახლა მარტო ვარ, როგორც ეზოპე,  
ანდა კუთხეში მდგარი მაგიდა,  
ვხედავ - ჩემს სხეულს ჰგვის მებოვი,  
მოჭრილ კუნძივით ძირს რომ აგდია!..



## ცისკენ კიბეა ცხოვრება

ცისკენ კიბეა ცხოვრება,  
ნაირ-ნაირი ეკლებით,  
სულ რომ ნამლეკონ ცოდვებმა,  
მაინც შენ მოგეკედლები!..

ვერ მოატყუებს კაცი ღმერთს,  
რაც უნდა ცოდვა უმალოს,  
რომ მოვალ, კარი გამიღე,  
ზურგს ნუ შემექცევ, უფალო!..

კაცის სხეული ჯვარსა ჰგავს,  
იესოსავით უბრალო,  
მარადიულად აქა ვარ,  
არსად ნავსულვარ, უფალო!..



## შენ ერთმან იცი, უფალო!

თიხა ვარ, შენი ნაზელი,  
ძონს მიჯობს მინა-აყალო,  
ჩემი სამშობლოს მთა-ველი  
არ ედარდება სამყაროს!..

არ ენატრება ორფეოსს  
ჩემი მინა და ედემი,  
შენ შემოგველოს მსოფლიო,  
მე კი შენ შემოგველები...

„რანი და მოვაკანი და“...  
გვჩეხეს ხმლით, ხანჯლით, უკალმოდ,  
ქართველნი ვინ ვართ, რანი ვართ,  
შენ ერთმან იცი, უფალო!..





## ქრისტეშობა

ზარებს რეკენ - ქრისტე იშვა,  
ქრისტე იშვა ბეთლემში,  
ჩვენთანა ხარ, რალა გვიშავს,  
აღარ გადავშენდებით...

ჩვენთან ხარ და შენით გვიყვარს,  
ჩვენსას ვთესთ და ჩვენსას ვმკით,  
მადლობა ღმერთს, არავინ გვყავს,  
პირის ამომკერავი...

ვერ წაგვშალეს, ვერ გაგვდენეს,  
ამ დალოცვილ მიწიდან,  
ორიათას მერამდენე  
წელიწადი მიდის და...

„ლალეს“ ვმღერით, ვგალობთ „ლილეს“,  
ამ მიწაზე, ამ ცაზე,  
გული ამ ჯვარ-გამოვლილებს,  
ჯერ ვერ ამოგვაცალეს...

ჯერ სული არ წარგვინყმიდავს,  
საიდან არ გვიარეს,  
ღვთისმშობელის წილხვედრ მიწას,  
ჩვენ მოვურჩენთ იარებს!..



\* \* \*

მიეცით ვერცხლი და “შექმნიან” ანტიტყაოსანს,  
ლექსი-სკაბრეზი დასანერად გახდა ადვილი,  
აპოკალიფსურ ფერებშია ჩემი განწყობა,  
შებლალულია დედოფლის და  
დედის მანდილი...

მიეცით ვერცხლი და დაწერენ რაღაც “...სერობას”,  
ხოლო იმ სიტყვას, რაც დაწერეს, როგორ ვახსენებ,  
იქნება სჯობდა, სიტყვით სიკვდილს ტყვია გესროლათ,  
ჩამორეცხავდა სისხლი სირცხვილს  
ძვირფას სახელებს...

მომეცით ვერცხლი, რომ მეც ეშმას სული მივყიდო,  
ცად ვერ ვიფრინო, ვერ ვიარო დაბლა მიწაზე,  
დაუოკებელ ექსტაზშია ჩემი ლიბიდო,  
ხოლო სხეული მზის სისხლიან  
აღზე წიაღებს...



## ეშმაკმა იცის ჩემი სისუსტე...

ეშმაკმა იცის ჩემი სისუსტე  
და ახალ-ახალ ცოდვებს მთავაზობს,  
მაგრამ არ იცის, რომ მე იესოს,  
არ ვუღალატებ წამით არასდროს...

ბევრჯერ მათოვდა, ბევრჯერ მანვიმდა,  
იცის და მახვევს „ტკბილ-ტკბილ ცოდვებში“,  
მაგრამ არ იცის, რომ მე წამითაც,  
უფალს არასდროს განვეშორები...

ესმის ლუციფერს, ჟამი ახლოა,  
მოვა საცაა ნაზარეველი,  
აქ მხოლოდ მისი სამოსახლოა,  
კაცობრიობა უფალს მოელის!..

ეშმაკმა იცის ჩემი სისუსტე  
და ახალ-ახალ ცოდვებს მთავაზობს,  
მაგრამ არ იცის, რომ მე იესოს,  
არ ვუღალატებ წამით არასდროს...



## უბისა

გამოვიარე უბისა,  
შემოვუდექი რიკოსს,  
ნავსაყუდელი უფლისა,  
სიმარტოვეში იყო...

გზად მომყვებოდა ჯავარად,  
ჩემი სამშობლოს ზეცა,  
გულზე მამულის ფარაჯა,  
უფლის კვარტივით მეცვა...

\* \* \*

ამ სოფლის ეკლესიაო,  
ყველაზე უფრო მაღალო,  
ნისლმაც რომ გადაიკაროს,  
მინაზე მაინც ცა ხარო!..



## როგორც ჯვარზე, ცაშიც ახლა მარტო ხარ!..

ვისაც უნდა, ყველა გულზე მახიჯებს,  
როგორც ტილოს, კარის ზღრუბლზე დაფენილს,  
შენ მახსოვხარ, ღმერთო, ყოველ ნაბიჯზე,  
შენ ხარ ჩემი მშველელი და მფარველი!..

მე ვერცერთი სამასარაგველი ვარ,  
ვერც მეზრძოლი, დაცემული მარტყოფთან,  
ქრისტე ღმერთო, აქ შენ აღარ გელიან,  
როგორც ჯვარზე, ცაშიც ახლა მარტო ხარ!..

\* \* \*

ერთი კვირა კიდევ დარჩა,  
პარასკევის ერთი დღე  
და მომყვება დღემდე ჯავრად,  
რომ ვერ შემოგეხიდე!..



**საქართველო შენსავით ჯვარცმულია,  
უფალო!**

საქართველო შენსავით ჯვარცმულია, უფალო,  
როგორ გადავარჩინო, უჩინომ და უბრალომ?!

მინა შემოაცალეს, ზეცა ჩამოუბნელეს,  
მხარი შემოაშველე, სული შემოუბერე!..

დაასვენე ცოტა ხნით, დაიღალა ბეჩავი,  
საქართველო, უფალო, ჯვარცმულია შენსავით!..

\* \* \*

წითელი პარასკევია,  
სისხლი მდის, ვინვი უალოდ,  
ძეს ღვთისას ჯვარზე ვაკრავ და  
მერე „ოსანას“ ვუგალობ,  
მიტხარი, როგორ მოვიდე  
და მოგეფერო, უფალო?!



\* \* \*

პატარა სალოცავებო,  
ფშავ-თუშეთ-ხვესურეთისა,  
სანთელს არ დაანთებინებთ დაუჩოქელად არავის,  
ეგ ადენილი ნისლები ცრემლია ჭიუხებისა,  
უფლის ნაკურთხი წყალია თქვენი ოთხივე არაგვი!..

ვინა თქვა სიპატარავე  
თქვენი კედლის და ქვა-კუთხის,  
მუხლს ვიყრი, სანთელს გინთებთ და მაგ ლიბო-ძირში  
გებვევით,  
თქვენა ხართ ჩემი სამშობლოს გადარჩენილი წარსული,  
თქვენა ხართ ჩემი მამულის მარადიული ფესვები!..

\* \* \*

მე მხოლოდ ჩემი სინდისი მქეჯნის,  
ჩემი ბაგიდან წამცდარი სიტყვა,  
უფალო, სული სავსე მაქვს ჯვრებით  
და ახლა სულიც ხორცივით მტკივია!..



## შენ, უფალო, შენ ერთს

შენ, უფალო, შენ ერთს  
და არავის სხვას,  
მინდა მხოლოდ ერთხელ,  
მოგანვდინო ხმა -  
შენ ექმენი შემწედ,  
ჩემს მამულს და ხალხს!..

შენ, უფალო, შენ ერთს  
და არავის სხვას,  
ჩემს თავს შეგავედრებ,  
ჩემს მინას და ცას -  
მინდა მხოლოდ ერთხელ  
მოგანვდინო ხმა!

ჩვენს ღვთისმშობელ დედას,  
გაბრწყინებულ კვართს,  
აუნთია მცხეთა,  
საქართველო დგას,  
დგას და ნელა-ნელა,  
ემსგავება ჯვარს!

ჯვარს ჰგავს საქართველო  
და ნიკორა ხარს,  
მინდა, ერთხელ, ღმერთო,  
მოგანვდინო ხმა -  
მეც ერთ სანთლად ვენტო,  
ჩემს მამულს და ხალხს...



## ლომისის წმინდა გიორგი

თეთრ ხარზე დაბრძანებულო,  
გზოვანის წმინდა გიორგი,  
ხვარაზმშიც არაგველების,  
საქართველოზე ფიქრობდი...

წამოუძეხი ლომა ხარს,  
გალობით, ლოცვით, იმედით,  
რამდენჯერ ჩამოისვენეთ,  
ნიში აიგო იმდენი...

7000 ქართველით  
მოხვედი მღეთის ხიდამდე,  
წაიქცა ხარი და მთებმა,  
პირფვარი გარდაისახეს...

იმ მთაზე, იქვე, რომელიც,  
უფრო მაღალი მთა იყო,  
7000 ქვიანი,  
თეთრი ტაძარი აიგო...

იმ ტაძარს რკინის კარი აქვს,  
მძიმე ჯაჭვია ტაძარში,  
მოგვხედე, წმინდა გიორგი,  
ქართველთა გული აქ არის...



სხვა მინას გადარგულები,  
სამშობლო დაკარგულები,  
სამშობლოს დაკარგულები,  
საქართველოსკენ დაგვძარი!..

### ჯვარცმა

თვალი დაუდგეს პილატეს,  
ჯანი გავარდეს ბარაბას,  
შენ ჯვრიდან გადმოგიტანენ,  
ჩვენ ჯვარს შევრჩებით მარადჟამს!..

\* \* \*

დროს ყველაფერი ნელ-ნელა მიაქვს,  
როგორც მდინარე გადადის ჯებირს,  
ადამიანო, ადრე თუ გვიან,  
დადგება შენი სიკვდილის ჯერიც!..



## მოსევეებს

მიყვარხართ, მოხვევებო,  
თქვენი დიდგულა გულებით,  
ნისლებიც მიყვარს, მაგ მთებს რო,  
არიან შეხიზნულები...

მიყვარხართ, მოხვევებო,  
თქვენი წესით და ადათით,  
მიყვარს ეგ ღვარად მდინარე,  
თერგიც როა და არაგვიც...

მიყვარხართ, მოხვევებო,  
მაგ „ოქროს მამა წმიდათი“,  
თქვენი გერგეთის სამებით,  
თქვენი მოდგმით და წინაპრით...

აქ ყველგან სალოცავია  
და ყველგან ჯვარი კიაფობს,  
მყინვარწვერს კაბა აცვია,  
მარიამ დედოფლისაო...

მიყვარხართ, მოხვევებო,  
ბევრჯერაც დაგიბრუნდებით,  
ვერცხლისწყლებივით მოჩანან,  
მთებს ჩაკიდული რუები...



მიყვარხართ, მოხევეებო,  
თქვენი დიდგულა გულებით,  
ნისლებიც მიყვარს, მაგ მთებს რო,  
არიან შეხიზნულები!..

### **თენგო ავსაჯანიშვილს**

პოეტ კაც გიხდება ხევი,  
როგორც ჯაბუშანურს - ლილლო,  
გამიხარდი, გამიმხნევდი,  
თენგო ავსაჯანიშვილო!

### **ისევ თენგოს**

თენგო, ეს თერგი სულ შენ გგავს,  
შენსავით მოიმქუხარებს,  
ეგ ხმა მომყვება ნუგეშად,  
შენგან წამოსვლით მწუხარეს...

\* \* \*

*ბუთა აფციურს*

ჭართალთან ერთი კოშკია,  
ძველციხეჩამონაშალი,  
ვისთვის ბანა და ოშკია,  
ვისთვის ცის ნისლი-თავშალი,  
ყოველ გავლაზე შორიდან,  
ხელს მიქნევს ერთი ქალშავი!..

ამ ციხის გმირი ვგონივარ,  
ამ კლდეებს სისხლად შემხმარი,  
დადუმებული ორი ქვა,  
არაგვს და ამ მთებს შეჭხარის,  
იმაზე კარგი - რომ გიყვარს,  
არაფერია, ღმერთმანი!..





## გონა ხარანაულს

როგორც მთიდან მონყვეტილ ზვავს,  
როგორც მენყერს, ქარიშხალს,  
შენს ლექსს, ძმაო, კაზმულ სიტყვას,  
სიმაღლე აქვს შხარისა!..

სტრიქონ-სტრიქონ სისხლი უჩქევს,  
ვულკანივით მდულარებს,  
ამ ტიფლისის მტვრიან ქუჩებს  
ბევრჯერ შეუღრიალე!..

შენს ლექსს ვაჟას სურნელი აქვს,  
არაგვივით შლეგი ხარ,  
საქართველოს უღელია,  
შენ რომ მხრებზე შეგიდგამს!..



## მურად მთვარელიძეს

ლამაზ ქალთა მოჭარბებით,  
ხაშურს ვარდის სუნი ასდის,  
ამ ქალაქში ფართო მხრებით,  
ერთი კარგი კაცი დადის...

ამდენ უზნეოთა ხელში,  
ამდენ უსინდისოებში,  
ამდენ უსამშობლოებში,  
მე იმ კაცთან ყოფნა მშველის...

გინვდი სიყვარულის ხელებს,  
წინ გზა მეგობრობის გვიძევს,  
იხარე და იდღეგრძელე,  
ჩემო მურად მთვარელიძე!..



## შოთა ტოგონიძეს

მე მიყვარს შენი ლექსის ბადაგი  
და სტრიქონ-სტრიქონ ცრემლის დადენა,  
შენს მოღლილ მხრებში ქარი ჩამდგარი  
და უცებ ლექსით ცეცხლის დანთება...

მენატრები და უნდა გიხილო,  
ლექსი ჩავანოთ პურის ემბაზში,  
სადაც მზე არის, ყვავის ღიღილოც,  
სადაც ლექსია, ყველგან მზე არის!..

## უფროს მეგობარს

*ჩემს შოთა ტოგონიძეს*

ლებში ვარ, თავზე დამცქერის შოდა,  
ვკითხულობ თქვენს წიგნს, სევდიან ლექსებს,  
მოგენატრებათ რაჭაში ოდა,  
ფარახეთისკენ მიმავალს გეძებთ...

მადლობა უფალს, რომ გიცნობთ ახლოს,  
გიცნობთ კი არა, მიყვარხართ კიდევც,  
ძალიან მინდა სულ მალე გნახოთ,  
წინ ახლა თქვენი წერილი მიდევს...

როგორ მიყვარხართ, ბატონო, შოთა!..



## ღეზს - გოგოჭურეზს

ხსოვნა ცოცხლდება წინაპრის,  
ამ ღვინით სავსე ჭურებით,  
ჩემი აივნის პირდაპირ,  
მღერიან გოგოჭურები...

იმით ჰანგებში ღმერთია,  
საგალობელი ხმები აქვთ,  
სადაც ისინი მღერიან,  
სუყველგან ხევსურეთია...

სუყველგან საქართველოა,  
სადაც იმათი ხმა ისმის,  
ძნელია არაგველობა,  
შუბზე განვენა ხარ-ირმის...

შორია ხევსურეთამდე,  
უფრო ახლოა იალნო,  
ბარისახოდან თქვენამდე,  
ფიქრები მიმო-ღიანო!..





## კოზა-აზა-იაკოზ არაგულს

### გველისმჭამელს

შენი ლექსების კითხვისას,  
მინას ვჟღვერ ფეხით მამულის,  
კირქვა კი არა, კირი ხარ,  
ციხეს დრო-ჩამოჟამული!..

თავი ვერ გამოგისხნია,  
გულს იგლეჯ, ისევ იხორცებ,  
ცრემლი კი არა, სისხლი ხარ,  
შემხმარი მუცოს ლიბოზე!..

ხანა ხარ მინდი ხოგაის,  
ხან ძაგანისძე თორღვა ხარ,  
წარსული ისე მოგბღავის,  
ვით მინა ხნულში ლომა ხარს!..

მამულით სულის მკვებავი,  
ჰგი მტრისაც გამომტირებელს,  
კაცი კი არა, მგელკაცი,  
ხარ ქრისტიანი ქრისტიმდე!..

შენა ხარ, საყდარ-იახსარს,  
ჯვრად შეეზრდება რომელიც,  
შენი მამულის მინა ხარ,  
მინაზე ლექსად მთოველი!..

შენი მითების კითხვისას,  
ვიტირე, ბევრიც ვილოცე,  
ცრემლი კი არა, სისხლი ხარ,  
შემხმარი მუცოს ლიბოზე!..

### ჭაბუას

გივლია გზებზე, უგზოზეც,  
სამშობლოს ფიქრში ჯვარცმულხარ,  
მთანმინდის გზა ძევს უძოზეც,  
შენგან რომ მოჩანს, ჭაბუა!..





## ღავით გოჯეჯიშვილს

მზე დაგყურებს, ძმაო, მაღლით,  
ბრწყინავს ბრძოლის არენა,  
ვენაცვალე ბრძოლით დაღლილ,  
შენს ორივე მარჯვენას...

არ გემლება, კარგად გიცნობ,  
წინაპართა ზნე მოგდევს,  
ისე უნდა წააქციო,  
არ გალახო მეტოქე...

სოფელს ჰშვენი, ქალაქს ჰშვენი,  
რალა გითხრა, კაცი ხარ,  
საქართველო არის შენი,  
ტატამიც და ხალიჩაც...





## **ალექსანდრა ჩივაქის**

ამირანივით ცერზე შემდგარი,  
იღებდი მინდორს - ბრძოლის არენას,  
შენი ხმალი და შენი ბეგთარი,  
იყო ორივე შენი მარჯვენა...

ახლა მუხლმოყრით ზიხარ ჩეროში,  
შენთვის მზე დიდხანს ნუ დაბნელდება,  
შენ საქართველოს სინდისს შემორჩი,  
შენ ქართულ ფეხბურთს დარჩი ლეგენდად!..

## **ლუკას პრიტცის**

*ჩემს ნათლულს*

დრო მოვა, გაჰკვეთ ნვიმებს, ქარიშხლებს,  
ფეხქვეშ გექნება მთელი მსოფლიო,  
ერთს გთხოვ, - სადაც არ უნდა წახვიდე,  
საქართველო სულ თან იქონიო!..



## მირან ფალიანი

უშბას და შხარას მახვშია,  
სუყველგან თავის სახლშია,  
მრონად ლექსი აცხია,  
ლექსად დაუდის მრონი...

მისურვებია რაც კია,  
ცა ლურჯი, მწვანე მინდორი,  
ხერგილად ედგნენ სამშობლოს,  
ენგურის სანაპირონი!..

## გაიოზ ბარდაველიძეს

მე მყავს ერთი მეგობარი  
(ხშირად უმისობა მიჭირს),  
თმაჭალარა ონავარი,  
ძველი თბილისელი ბიჭი...

გულმა უნდა გული იგრძნოს,  
მიყვარს, უმისობა მიჭირს,  
ჩემი გაიოზა - გიო,  
კარგი თბილისელი ბიჭი!..

## პატარა ამირან მარგიშვილს

კავკასიონს მიჯაჭვული -  
პრომეთეა ამირანი,  
იმან იცის - ვინ ვართ, რა ვართ,  
ვინ ვიქნებით, რა ვიყავით,  
გაეფინნონ ფეხქვეშ ლომკაცს  
მოვაკანნი, სპარსნი, რანნი,  
ყოფილიყოს საქართველოს  
სპასპეტი და ამირბარი!..

## ალექოს

ცხოვრება, მეგობარო, ვერც შენ გეადვილა,  
იზრდება მზეჭაბუკად შენი ამირანი,  
არც მედუა იყო, ხომ იცი, ელადიდან,  
ვისაც ეყვარები, მედუაც ა, ის არის!..





## ივანე მარგიშვილს

ცოტა გამიმლაშდა ცრემლი,  
ცოტა გამიკუშტდა მზერა,  
როგორც ჯარისკაცი ნერილს,  
ისე ველი, ძმაო, შენს ზარს...

არასოდეს დამეკარგო,  
გადაივლის სულის გვალვა,  
თორემ, ჩემო მეგობარო,  
რაც კი მეტი წლები გავა...

უფრო გამლაშდება ცრემლი,  
უფრო გაკუშტდება მზერა,  
როგორც ჯარისკაცი ნერილს,  
ისე ველი, ძმაო, შენს ზარს!..





## მამის პორტრეტი

ეს არის მამაჩემი, სვანური ქუდით და  
მაღალი მხრებით რომ ქუჩაში გადადის,  
უხშირა ბოლო დროს ღვინის და ლუდის სმას,  
ცხოვრება დაღლილი და ნათამადარი...

აბოლებს ყალიონს, მხნედ არის ჯერ კიდევ,  
ჯერ კიდევ სწრაფია, ალი სდის სახეზე,  
თვალეზი გაურბის ფაზისის მთებისკენ,  
აქ ყველა მთა-გორა ღების მთებს აგონებს...

ხანდახან ლექსებს წერს, არც ისე ურიგოს,  
სამყაროს გასცქერის მთა-გრეხილებიდან,  
ეს მამაჩემია, სვანური ქუდი რომ  
ახურავს თავზე და მაღალი მხრები აქვს...





## ბაბუებს

*შალვა გოგრიჭიანს და ოთარ გავაშელს*

დადიან, დააბიჯებენ,  
უჯოხოდ, უყავარჯენოდ,  
ჯაყვა ჰკიდიათ ჯიბეზე,  
არ ამძიმებენ სამზუოს.

სამყაროს მილამაზებენ,  
იმათი მზერით ვმდიდრდები,  
ჯერ კიდევ იმათ თვალეებზე  
ანთია ჩემი იმედი...

თუმც დიდი სევდით დადიან,  
ჯერ კიდევ არა უშავთრა,  
იმათთან ყოფნა მადლია,  
მოლხენა იმათ სუფრასთან...

მიხარის, კარგად არიან,  
კარგად ამყოფოთ უფალმა!..



## ღავითს

### *ჩემს პატარა შვილიშვილს*

სახლში დიდი კაცი მიზის,  
ჯერ ყველაზე პატარა,  
გვირგვინია ჩემი მიზნის,  
ფეხაკრეფით დავყავარ...

ჭკუას ვკარგავ ჩემს სისხლ-ხორცზე,  
ბაბუობას ვიფერებ,  
ახლა მინდა მე სიცოცხლე,  
ჯერ ადრეა სიბერე...

მხარში უნდა ამომიდგეს,  
სიტყვა შემომანიოს,  
თუ წავექანდი სამოთხისკენ,  
ჩემი კუბო ასწიოს...

ვენაცვალე ხვალის პატრონს,  
დღის მზეებით შემყურეს,  
გაიზარდოს, შეემატოს,  
საქართველოს ერთგულებს!..



## გოგო და ჩიტი

ის ტოტი მოჭრეს, რომელზეც იჯდა,  
სხვა ტოტზე დარჩა მეორე ჩიტი,  
ვერ მიატოვა ბელურა ჩიტმა,  
ვერ მიატოვა გოგონამ ბიჭი...

მაინცდამაინც ის ტოტი მოჭრეს,  
რომელზეც ჩიტმა ააგო ბუდე,  
მერე იმ ბიჭზე ამბობდნენ ჭორებს,  
ბელურის გული რომელსაც უდევის...

მან მიატოვა გოგონა მაინც,  
ვიდრე ბელურამ ისწავლა ფრენა,  
დაჰქრიან ახლა და ყოველ მაისს,  
მოდინ ხოლმე ტოტმოჭრილ ხესთან...

ჩიტს დარჩა ტოტზე სატრფო და ბარტყი,  
ბიჭს დარჩა გულში გოგო და სევდა,  
მზე იწვა თოვლზე და იყო მარტი  
და მთვარე ნანვიმ მინდორზე თვლემდა!..



\* \* \*

მიყვარხარ, ისე მიყვარხარ,  
როგორც მზის სხივი ალიონს,  
ამაღამ შენი სურნელი,  
ზღვასავით უნდა დავლიო!..

მიყვარხარ, ისე მიყვარხარ,  
როგორც მზეს მთვარის ბადახში,  
ამაღამ ღვინო ვიქნები,  
შენ ჩემი ღვინის ბადაგი!..

მიყვარხარ, ისე მიყვარხარ,  
როგორც მზეს წვიმა ბალახზე,  
ამაღამ შენთვის ვარსკვლავებს,  
მინაზე ჩამოვებრძანებ!..

ამაღამ შენთან ვიქნები,  
ღამის გაშლილი კარავით,  
შენ გარდა დედამინაზე,  
არ მეყოლება არავინ!..



\* \* \*

არსად წავსულვარ, აქა ვარ,  
სად წავიდოდი უშენოდ,  
აღმა ვარ, დაღმა, სადაც ვარ,  
თვალწინ მიდგახარ სულმშვენო...

ბევრჯერ ნისლებით შევმთვრალვარ,  
ვყოფილვარ უგზოდ, უმზეოდ,  
სადაც ვარ, ყველგან შენთან ვარ,  
ვერსად ვერა ვძლებ უშენოდ!..

## იოდმანგანი

*„ზევას, სიცოცხლეო, ჩემო!“  
კარპაკი*

ო, როგორ ძლიერ ჰყვარებია  
კარპაკი ზევასს,  
თამარი - რუსთველს...  
ჟამი ითვლის რამდენ მაგალითს...  
შენ, სერაფიტო,  
მარად მნათი და მწველი მზე ხარ,  
მე ამ მზის ტრფობით  
გულდამწვარი იოდმანგანი!...



\* \* \*

სულ მებუტები,  
მართალიც ხარ ალბათ, რა გითხრა,  
სურნელ ტუჩების მენატრება კოცნაც, ნაკითხვაც,  
შენი სხეულის, შენის სულის, შენი თვალების,  
ვერ შეხიზნული დედამინას, ცად ვიარები!..

სევდა შემოდის, მახსენდება -  
რამდენს ვუყვარდი,  
მე ვარ დემონში და დემონიც ჩემში სულ არის,  
ვნატრობ ოდითგან სიყვარულს და სულ იმ ფიქრში ვარ, -  
რატომ მოვდივართ, ანდა მერე საით მივდივართ?!

### სიყვარულზე ნათქვამი

მონატრებას ვუძლებდით,  
ვლენდით სულის კალოებს,  
უარ, უარ, უ-ებით,  
გავავუებრალოვეთ...



## მიყვარხარ

მიყვარხარ, ძვირფასო და როგორც აშული,  
სევდიან ლექსებით კარდაკარ დაგეძებ,  
გიჟმაჟობს ქარი და ქუჩებში დაღმუის  
და მთვარე განთიადს ადნება ბაგეზე.

თენდება და ისევ მოველი საღამოს,  
დამისხი, ეს დარდი სულ ღვინოდ მიდინე,  
ფული და ოქრო აქვს მდიდარ კაცს სანაღვლო,  
ღვინო და ლექსია პოეტის სიმდიდრე.

დაასხი, დღეს მაინც სუყველა დავთვრებით,  
სადმე ეგ თვალეხი თუ შემომეფეთა,  
არ მინდა არც შენი ნაკოცნი თვალეხი  
და აღარც სამშობლო, გამყიდველ მეფეთა.







\* \* \*

როცა ზამთარი იისფრად მოთოვს  
და მოვარდება შენს სარკმელს ქარი,  
მე შენ უეცრად სიყვარულს მოგთხოვ,  
მე შენ სიყვარულს აგიხსნი კრძალვით...

დაიფანტება ფიქრების გროვა,  
გაეყინება ტოტები ხეებს,  
მე უსათუოდ შენს სახლთან მოვალ,  
მოგეფერები ხელებზე, მხრებზე...

ვიცი, რა სტკივა სევდიან აპრილს,  
ვიცი, რა ელის მონყევეტილ ფოთოლს,  
მე შენ სიყვარულს აგიხსნი კრძალვით,  
მე შენ უეცრად სიყვარულს მოგთხოვ...

ხოლო, როდესაც მაისის ვარდებს  
მოჰყვება სიო და მოვა სევდა,  
სანამდე ნავალ, ერთი დღით ადრე,  
აუცილებლად მე მოვალ შენთან...

მე დავძლევ შენთვის ყოველგვარ მანძილს  
და როცა მთებზე იისფრად მოთოვს,  
მე შენ სიყვარულს აგიხსნი კრძალვით,  
მე შენ უსაზღვრო სიყვარულს მოგთხოვ!..



\*\*\*

აყვავებულ ვარდებად,  
მალე შენი ტუჩები,  
მზეზე აელვარდება,  
მნიფე ბრონეულებით.

მალე შენი მხარ-თეძოც,  
აღვასავით იალებს,  
იმ აღისთვის გამეძლოს,  
მე რომ გამატიალებს.

ორ-სამ წელში იქალებ,  
თმები ჩამოგეშლება,  
უკვე მაფორიაქებს  
შენი შემოფეთება.



\*\*\*

როცა დოფარავს ცას შავი ნისლი  
და მთვარე ზღვასაც სისხლისფრად აქცევს,  
როცა სირცხვილიც დაკარგავს სინდისს,  
გაუხუნდებობ მანდილი ქალებს...

როცა ღრუბლები ნამოვა ნვიმად  
და როცა მთებზეც ფიქრებად მოთოვს,  
როცა წასკდება ცრემლები მინას  
და მოუკვდება ყველა ხე ფოთოლს...

როცა დატოვებს ჩემს სხეულს სული  
და უფლის ცაზე ცხრავე ფრთას გაშლის,  
როცა თვალებზე მომივა ლული,  
შენ სად იქნები, ძვირფასო, მაშინ?!





\* \* \*

გოგო ტყეში მიდიოდა,  
ყვავილების საკრეფად,  
ცვრიან მოლზე ქარი ქროდა,  
ბიჭი ფოთლებს აფენდა...

იმ ფოთლებზე გოგო მიწვა,  
ცოტა კიდევ შეშინდა,  
მზე ჟრუანტელ დავლილ მინას,  
ტანზე გადაეფინა...

ოხშივარი ასდიოდა,  
კაცის მხრებს და ქალის მკერდს,  
სიყვარული ქარს მიჰქონდა,  
არვინ იცის, საითკენ!..



\*\*\*

შენ იყავი ყელი დოქის,  
მთელი ღამე ამ ყელს ვქსოვდი,  
მერე ამ ყელიდან გსვამდი,  
უბეში რომ ჩაგისახლდი...

შემოგხვიე ხელი ტანზე,  
მთელი ღამე გძერწე, გხატე,  
დაგაბრძანე ღამაზ ტახტზე,  
დაგაფიცე თავი ხატზე...

მთელი ღამე თოვდა, წვიმდა,  
მთვარე ვერცხლის ცრემლებს ღვრიდა,  
ვნება ცოდვის ღამედ იქცა,  
მაგრამ ჯოჯოხეთად ღირდა!..





## მთელი ცხოვრება გეჰასდი შენ ერთს

ჩვენ დავშორდებით დროით და წლებით,  
როგორც კერპები ჟამთა, მითოსთა,  
მთელი ცხოვრება ერთადერთს გწერდი  
და ძრწოდნენ ქარნი საიქიოთა...

მთელი ცხოვრება გეძახდი შენ ერთს,  
„არცთუ უბრალო პოეტის მუზას“,  
შენ ახლა ისეთ მდინარეს შემრთე,  
არ გააჩნია რომლის გემს ლუზა...

და მართლაც, ერთ დროს ჰაერზე მჩატეს,  
და ერთ დროს ჩემი ფიქრების ლიბოს,  
არ ვიცი, გულში როგორღა ჩაგტევ,  
ამხელა დარდო და მაინც თბილო!..

ვარდები შენი მთვარეა ორი,  
თმები სხივებად გაშლილი მზეა,  
შენა ხარ ჩემი კარპაკი შორი,  
და მსურს, მეძახდე - „მიყვარხარ, ზევახ!“

იქნებ ვერ გავხდე მე შენი ქმარი,  
მაშასადამე ვერ გახდე ცოლიც,  
სიყვარულს როცა ღია აქვს კარი,  
სიყვარულია გიშერიც, ბროლიც...

ო, როგორ მინდობ, რომ ჩემი გერქვობ  
მეუბნებობდე - ბობონო, ჩემო!..  
მე ვეყვობები ალბობ იმ ერთ ქობლს,  
ჩემი ლექსებობ რომ მობობავს ჩეროს...

მეც მეყვობობ ის ერთი ქობლი,  
ქობლი, რომელიც კი არ ნერს ლექსებს,  
ნობგუთნობსდედობრ ხნულში დობ კვობლში,  
ლექსობს დობხნეულ მობრცვლებობდ შემკრებს...

ჩვენ დობვობრდებობ დროობ დობ ნლებობ,  
როგორც კერპებს შობმობ, მობთობსობ,  
მთელი ცხობვრებობ ერთობდერთს გნერდობ  
დობ ძრნობდნენ ქობრნი სობიქობობ...





## სადარ სცალიათ, სიყვარულო...

ადარ სცალიათ, სიყვარულო, ადარ სცალიათ,  
 ასევდიანებს ვინრო ქუჩებს სველი ასფალტი,  
 მე კი მიყვარხარ, სიყვარულო, ისე ძალიან,  
 უფლის სულიდან ხორციელად ჩამოგხატავდი...

ადარ სცალიათ, სიყვარულო, ადარ სცალიათ,  
 ვირტუალურად გვატრიალებს დრო და გვანვალებს,  
 მე რომ მიყვარდა, იმ ქალს აღარც კაბა აცვია,  
 ვერც მზეზე გაშლის სამაისოდ დაწნულ ნაწნავებს...

ადარ სცალიათ, სიყვარულო, ადარ სცალიათ,  
 მე კი არ ვიცი, ჩემი გრძნობა როგორ დავმალო,  
 აგერ ის ქალიც, ქალია და აღარც ქალია,  
 რაა ქალი, თუ არ მოედო სხეულს მალამოდ...

ადარ მიყვარხარ, სიყვარულო, ადარ მიყვარხარ,  
 ასე შეშლილი, მტკივნეული, ზოგჯერ უგულო,  
 მიგეჩვიე და როგორც ლექსთან, ანუ სიტყვასთან,  
 ვგდივარ შენს ფერხთით, შენით ვარ და  
 შენით ვსულდგმულობ!..





### სიყვარულის სონეტი

სულ ჩემთან იყო, სიყვარულო, რად ვიმსახურებ,  
 ან სული ჩემი შენს მზის სხივებს რად ეკრძალება?!.  
 ვასმევ ზედაშეს, ემბაზიდან ქრისტეს მსახურებს,  
 მდაბლად თაყვანს ვცემ ფრესკებს ზეცით  
 გამოსახულებს  
 და გიცდი, გიცდი ჩემი გულის ღია კარებთან...

ჩემი ცხოვრება მიირწევა კინოს კადრებად...

ნუ განმიკითხავ, ჩემი ცოდვა დიდზე დიდია,  
 ნურც მუხლმოყრილი მოიღლები ჩემზე ლოცვებით,  
 მიწა მიზიდავს, მე კი მაინც ცისკენ მივდივარ,  
 შენი თვალების ცრემლებს ვკემსავ ზეცის წვიმიდან,  
 ვაცნობიერებ, ქვეყანაზე რომ ვარ დროებით...

მე შენთან ყოფნას ვერც აგრერიგ ვიოცნებებდი...

ნუ დამივიწყებ, ხანმოკლეა კაცის სიცოცხლე,  
 ნურც ღრუბლად შეკრავ წარბებს თვალში  
 მზეებანთებულს,  
 გზას ვიპოვიდი, შენს გულისკენ გზა რომ ვიცოდე,  
 იებს დავრგავდი, ჰორტენზიებს და ჰორიზონტზე,  
 მზეებს გავფენდი ცაზე ათას ღამეგათეულს...

ნუ შემიცოდებ, სიკვდილია ბოლო რამეთუ...



ფრთები გაშალე, სიყვარულო, სანამ დრო არის,  
ჩემი ცხოვრება მიიღია, წლები განქარდა,  
ამურის ხილვა იყო ჩემთვის ოდენ მორალი -  
ჯეინ ეარის, კარენინას, ევა ბოვარის,  
ვინც მოკვდნენ, მაგრამ სიყვარული მაინც გადარჩა...

მზეც ნუ ენთება, სიყვარული ენთოს მარადჟამს!..

\* \* \*

ხანდახან ვნების ჟრჟოლა აქვს სასმისს,  
ყელთან რომ ბაგის მიტანას ითხოვს,  
შენ ჰგავხარ, ჩემო, ვარდისფერ მაისს -  
გრაალის თასში განბანილ ხვითოს!..



\*\*\*

ხომ შეიძლება, ისე გვიყვარდეს  
და სიყვარულის ისე გვჯეროდეს,  
რომ სიყვარულით შევწვდეთ მყინვარწვერს,  
სიყვარულისთვის არ ვისჯებოდეთ?!

ხომ შეიძლება, ძლიერ გვიყვარდეს  
და ტრფობის კალოს ისე ვლენავდეთ,  
ვით მთვარის შუქი ღამის ყიამეთს,  
ვით მზის ამოსვლა მთებს და მწვერვალებს?!

\*\*\*

მიდიან ნელინადები,  
სევდა აწვება სულს,  
მივდევ დროს, მივენვალები,  
შენ მენატრები სულ!..





## როცა ჩემთან იყავი

როცა ჩემთან იყავი, ჩემი ღმერთი იყავი,  
მარტოობის დედოფალს, მზე გესვენა ბაგეზე,  
დაგეძებდი ავდარში, დარში, ქარში, ყინვაში,  
ერთხელ... ბაგე ბაგეზე აღარ შემომავებე...

მივხვდი, რაღაც დამთავრდა, რაღაც უცებ დასრულდა,  
სიყვარული სხვის ცაზე ასრულებდა ირაოს,  
აღარ ესტუმრებოდი ჩემი სახლის სასთუმალს,  
კიდევ ის, რომ დღეიდან, მარტომ უნდა ვიარო...

რამდენი დრო გავიდა, დარდი გავითამამე,  
მაინც შენზე ვფიქრობდი, მაინც შენკენ ვილტვოდი,  
მერე გნახე ქუჩაში, ცრემლი ედგათ შავ თვალებს,  
აღარც ჩემი იყავი, აღარც ჩემი მზის ტოლი!..





## არავინ ჰყავს სიყვარულს

როცა მუხლი გელლება, ფიქრში იწყებ სიარულს,  
თავზე მთვარე ბებერი აჩრდილივით გადგას,  
ისე, როგორც მტკივან გულს, არავინ ჰყავს სიყვარულს,  
არავინ ჰყავს სიყვარულს, თავის თავის გარდა...

სევდა უჩანთ ჩირაღდნებს, მზის ჩრდილებს რომ  
კარგავენ,  
ელი დაუსრულებლად, ბნელს ვინ შემოარღვევს,  
ვინ მიჰყვება სიყვარულს იმ სამარის კარამდე? –  
ისევ სიყვარულისთვის გაჩენილი ღამე!..

არის ზოგჯერ სიკვდილი თითქოს გამოსავალი,  
ოღონდ გქონდეს სივრცეში ფრთები გასაშლელი,  
არც უებრო ნამალი, არც დრო სწრაფად მავალი,  
თავგანწირულ სიყვარულს არაფერი შველის...

მაინც უნდა გადარჩე, რადგან შენი ცხოვრება,  
რადგან შენი ცხოვრება, ზეიმია ფერთა,  
შენ ხარ თავად სამყარო და ნუ გეუცხოვება,  
მზესთან ადი, ღრუბლები შემოინწყე ფრთებად!..



## ახლა ღამეა

ახლა ღამეა, ვფიქრობ თვალეზზე,  
ამ ღამის ცაზე მზედ რომ ანთია,  
ვფურცლავ ფიქრებს და ღამეს ვათეთრებ  
და არ მინდა, რომ მალე გათენდეს,  
მინდა შემოჰყვე მთვარის ათინათს...

ახლა ღამეა, ნავსაყუდელი,  
ჩემი ოცნების, სევდის, ფიქრების,  
გადავიღალე ამ ცის ყურებით,  
დარდით, რომელსაც ვერვის ვუყვები  
და შენც არაფერს არ მეკითხები...

ახლა ღამეა, ბნელი ღამეა,  
მთვრალი კაცივით მძიმე, ბოგანო,  
გწერ და არ ვიცი, ასე რად ვღელავ,  
შენ დაგავინყდა კარის გაღება  
და აღარ ვფიქრობ, როგორ მოგაგნო!..

ახლა ღამეა...



**რა უნდა გითხრათ, ქალბატონო...**

*ქ.ზ.გ.-ს*

რა უნდა გითხრათ,  
ქალბატონო, ან რა გიამბოთ,  
პარალელური გზებიც ხშირად ერთუროს სცდებიან,  
პირქუშ მივუშვებ სადავეს, რომ ჩემი იაბო,  
მზისდარს შემოგწვდეთ, ჩამოგწყვიტოთ ჩემთვის  
ზეციდან...

რა უნდა გითხრათ,  
ქალბატონო, როცა პლანეტებს,  
უყვართ და მაინც განბნეულან მარჯნის მძივივით,  
პოეტი ვერ ქმნის და ვერ რითმავს ლექსებს, ტაეპებს,  
თუ სიყვარული სასიცოცხლოდ არ აქვს მისჯილი...

რა უნდა გითხრათ,  
ქალბატონო, როცა ფეხებთან,  
მიგი-მოგიდით რაინდების მთელი სამყარო,  
მათ რად უღირხართ, მე კი, ვინძლო, ერთმა შეხებამ,  
ტანზე ხვლიკები ძარღვებივით გამომაყაროს...

რა უნდა გითხრათ,  
ქალბატონო, ასულს ზეცამდე,  
ვიცი, მაღლიდან რარიგად ჩანს გული-ხმელეთი,  
არ დამწერა მე ეს ლექსი, ბევრი ვეცადე,  
როგორ მითრთოდნენ, რომ იცოდეთ, თმებიც, ხელებიც...



რა უნდა გითხრათ,  
ქალბატონო, რაღა გიამბოთ,  
პარალელური გზებიც ხშირად ერთუროს სცდებიან,  
გაწვყვეტ სადავეს, გამოვაფრენ თქვენკენ იაბოს,  
რომ ერთ ვარსკვლავად ჩამოგწყვიტოთ ჩემთვის  
ზეციდან!..

### ესეც ბოლო დღე

ესეც ბოლო დღე... ვინ რა იცის, ხვალ რა იქნება,  
როგორ ვიქნებით, სად ვიქნებით, ვის რა მოგვიწევს,  
ცოტა კიდე და სიყვარულით გაირინდება,  
ნამი, შენთვის რომ ვარსკვლავივით  
ზეცას მოწყვიტე...





\* \* \*

საიღან გაჩნდი, სიყვარულო?!  
შენგან ავად ვარ,  
შენს მეტასტაზებს ველარ უძლებს ჩემი სხეული,  
რისი მარტყოფი, ან დიდგორი, ანდა მარაბდა,  
შენთან ვმარცხდები, ყველა ომში გამარჯვებული...

საიღან გაჩნდი, გულს საიღან შემოეკედლე,  
შენი ნესტარით დასნეულდა ყველა ორგანო,  
ლალი ვიყავი, ვაძოვებდი მთებზე ერკემლებს,  
შენმა ისარმა მაინც დამჭრა, იქაც მომავნო...

არც ქარი ჩადგა, აღარც სხივი მზის ჩანს ცისკარზე,  
ამ ყიამეთში ამერია გზა და სავალი,  
ნეტავ სად გაქრი, სიყვარულო, სად დაიკარგე,  
შენთან ყოფნაა ჩემი ყოფის გამოსავალი...

ჩემგან ვერ ნახვალ, ვერ ამოგმლი ჩემი გულიდან,  
არც ისეთი ვარ, ბილიკ-ბილიკ მომიცოტავო,  
მიკვირს (არა ის, რომ სიკვდილი დასასრულია),  
უსიყვარულოდ დედამინა როგორ მოძრაობს?!.



\* \* \*

ყოველ წამს შენზე უნდა ვიფიქრო,  
რომ არ გამისხლტეს ფიქრი ხელიდან,  
თორემ მოვა დრო და მე ვიცი დროს,  
დავაფინყდებით ჩვენც და ჩვენი ხმაც...

სად ხარ - ვიკითხო უნდა ყოველდღე,  
რომ არ მინავლდეს ნახვის სურვილი,  
ახლა რაც ვიცი, ვიცი მხოლოდ ეს,  
რომ გავჩნდი შენი სიყვარულისთვის...

ჩუმად მიდიან წელიწადები,  
ჩემს ჯვარს, ჩემს ტკივილს ისევ მე ვზიდავ,  
დრო მოვა, მინას შევუსახლდებით  
და მოვექცევით ნისლებს ზევიდან...

ყოველ წამს შენზე უნდა ვიფიქრო,  
რომ სხვისკენ ფიქრი აღარ წამიცდეს,  
თორემ მოვა დრო და მე ვიცი დრო,  
რომ ჩვენ ერთმანეთს გადაგვაფინყებს!..

\* \* \*

ჩემო, ჩემო, ჩემო,  
გჩემობ, გჩემობ, გჩემობ,  
შენთან მინდა მქონდეს,  
ჩარდახი და ჩერო...

თეთრო, ნაზო, თბილო,  
ჩემი სულის მძივო,  
ერთად მინდა დავწვეთ,  
ერთად გავიღვიძოთ...

ანი, ბანი, განი,  
ეზო, სახლი, ბანი,  
შენ ხარ ჩემი მზეც და  
მზის შინ შემომყვანიც...

ჩემო, ჩემო, ჩემო,  
გჩემობ, გჩემობ, გჩემობ,  
შენთან მინდა მქონდეს,  
ჩარდახიც და ჩეროც!..



## დამზარებია

დამზარებია ბევრჯერ ლხენა, სუფრა, ღვინის სმა,  
ბევრჯერ მშვენიერ ქალთან ყოფნა დამზარებია,  
ახლა სხეული გადაღლილი სულის მღვიმეა,  
ახლა ამ გულში უშენობის ზღვა ბზარებია...

დამზარებია ნახვა მთების, ზღვების, მინდვრების,  
ნაღვლიან თვალებს ბრჭყვიალებით ვერ იზიდავენ,  
ფლორენციები, პარიჟები, ვენეციები,  
ვერ მაფიქრებენ იზოლდაზე, ვერც იზიდაზე...

სადღაც გალობენ და გალობა ყურებს არ ესმით,  
ყველა ამ გულს სჭირს, სიყვარულო, რაც ბზარებია,  
დამზარებია ღვინო, ლექსი, ქალის ალერსი,  
შენთან ყოფნა კი არასოდეს დამზარებია!..



## და ყველაფერი იცოდეს ცოლმა...

რა ახლოსა ჩანს მაღლიდან მინა,  
როცა ღრუბლების ფრთებიდან უმზერ,  
ხანდახან მინდა მოხვიდე წვიმად,  
მაღამოსავით მომეცხო გულზე...

რა შორი არის აქედან ზეცა,  
მით უფრო, როცა მიცურავ ნისლში,  
ხანდახან მინდა, ღრუბელი მეცვას  
და მქონდეს შენთვის სასახლე ისლის...

რა კარგი არის სიცოცხლე მაშინ,  
როცა გიყვარს და უყვარხარ როცა,  
ხანდახან მინდა, რომ მყავდე სახლში  
და ყველაფერი იცოდეს ცოლმა...

რა არის ქვეყნად სიცოცხლე კაცის,  
ხან შარა, ხან გზა - ბილიკი, კბოდე,  
ო, როგორ მინდა ხანდახან მაინც,  
გიგულო ჩემად და მერე მოვკვდე!..



\* \* \*

მე დავისვენე, როგორც ბალახმა,  
რომ მოცელეს და ზვინზე შეაგდეს,  
როგორ მინდოდა შენი დანახვა,  
ან ერთი ნუთით მოსვლა შენამდე...

ახლა თოვლს ველი თეთრი მარხილით,  
შენს მინდორზე რომ ჩამომატაროს,  
რა ბედენაა ერთი მარიხი,  
როცა ხარ ჩემთვის მთელი სამყარო.

მთას გადახსნია ხევი - საკინძე,  
ლარში მოუდის ცრემლი მძივებად  
შენ ისე ტკბილად გამომადვიძე,  
რომ აღარასდროს დამეძინება!..





\* \* \*

უშენოდ ნისლსაც არა აქვს ფრთები,  
უშენოდ ფრენას არა აქვს აზრი,  
მე შენზე ფიქრის ქარებით ვთვრები  
და მხრებზე მთვრალი ამური მაზის...

არაფერს ნიშნავს უშენოდ ყოფნა,  
უშენოდ რა დღე, რისი მზე, რა მზე,  
მე ვერ ვიქცევი თუმცაღა მონად,  
შენთვის ვიქნები ზეგახიც, რამზეც...

ხანდახან, ჩემო, ნეფერტიცს ჰგავხარ,  
ხან კარპაკს, ხანაც დარეჯანს, ნესტანს,  
ნეტავი ახლა, ძვირფასო, სად ხარ,  
ან შენი ფიქრი ვისთან ქრის ნეტავ?!.

წამოდი, ერთად ვიფრინოთ ცაზე,  
მოვინყოთ მაღლა ღრუბლების ჩერო,  
გაშლილი ფრთებით ჰორიზონტს ავცდეთ  
და სიყვარულზე ლექსები ვწეროთ...

უშენოდ დამაქვს მოჭრილი ფრთები  
და ვგავარ ნაყოფს, ხმელ ტოტზე შემხმარს,  
მიზეზიც, აზრიც, მიზანიც, ღმერთიც,  
ჩემი ამ ქვეყნად ცხოვრების, შენ ხარ!..



\* \* \*

„ცარიელია“ დარბაზი,  
ბევრი უცნობით სავსე,  
თითქოს არავინ არა ზის,  
თითქოს ვერავინ ავსებს...

ცარიელია პარტერი,  
ცარიელია ლოჟა,  
ვიცი, რომ მომენატრები,  
ვერსად ნაუვალ დრო-ჟამს...

ყველაფერია ლამაზი,  
არის ლექსების ცვენა  
და მაინც, განა დარბაზი,  
ცარიელია სცენაც...

უკვე დამთავრდა შეშვება,  
შენ არ გამოჩნდი არსად,  
როდისმე მაინც ეშვება,  
ავანსცენაზე ფარდა...

ბევრი მკოცნიდა თვალებით,  
ბევრი თვალებით მჭამდა,  
სადა ხარ, ვისთან აღდები,  
ჩემო გაშლილო ჭალა?!.



არავინ ავსებს კულისებს,  
ვერც გულის კუნჭულს მივსებს,  
თუ ჩემად ვერ დაგიგულე,  
სუნთქვაც არ მინდა ისე...

ცარიელია დარბაზი,  
უცხო თვალებით სავსე,  
თითქოს არავინ არა ზის,  
თითქოს ვერავინ ავსებს...

\* \* \*

ცის ტატნობზე გავშლი ტაბლას,  
ბროლის მძივად ვძერწავ მყინვარს,  
ვისი სიყვარულიც მტანჯავს,  
ნეტავ მე ის, რატომ მიყვარს?!





## დილიდან დილამდე

დილიდან დილამდე,  
კვირიდან კვირამდე,  
სანამ ვარ, იქამდე,  
სულ უნდა მიყვარდე...

სულ უნდა გხედავდე,  
სუყველგან შენ მყავდე,  
ვუნთებდეთ ერთმანეთს  
სანთლებს და კელაპტრებს...

ზეციდან მიწამდე,  
მიწიდან ზეცამდე,  
რაც ქვეყნად ვინამე,  
რისთვისაც ვენამე...

სიყვარულს დავარქმევ  
და სულის სამოთხეს,  
გავაღებ დარაბებს,  
მზეებთან გამყოფებს...

ყველა შენს არაფერს,  
დავარქმევ ყველაფერს,  
ღრუბლებზე გატარებ,  
გაჩვენებ მწვერვალებს...



დილიდან დილამდე,  
კვირიდან კვირამდე,  
სანამ ვარ, იქამდე,  
სულ უნდა მიყვარდე!..

\* \* \*

თუ სიყვარული ისევ მოგშივდეს,  
როგორც წვიმები მზეში პიკასოს,  
არ მოგერიდოს, ჩემი ქოლგის ქვეშ,  
შემოეფარე წვიმას, ძვირფასო!..

\* \* \*

წუხელის ვილაც იძახდა ქარში,  
ვილაცა თითქოს ხელებს მიქნევდა  
და როგორც ფიქრებს, ნისლებად აშლილს,  
ჩემს სულსაც ღამე ჰყავდა იმედად...



\* \* \*

მინდა ისე მიყვარდე,  
არ ვნანობდე ჩემს ცოდვებს,  
სადაც უნდა მიმყავდე,  
არავისი მრცხვენოდეს...

მყავდე მუზად, ოცნებად,  
ხელის გულზე გატარო,  
იყო ჩემი ცხოვრება,  
ჩემი მთელი სამყარო!..

\* \* \*

გრძნობს გული თითქმის ყოველ აგვისტოს,  
სიხარულის და დარდის სიმძიმეს,  
შუალამეა, გნერ და ამიტომ,  
ვერც გირეკავ და ველარც ვიძინებ...





\* \* \*

გნერ ისევ, რადგან ყველა წერილი,  
ერთ და იგივე ამბავს მიაგავს,  
რომ რაცა მქონდა გადანწყვეტილი,  
ბევრჯერ იმის თქმა დამაგვიანდა...

დამაგვიანდა მუხლის ჩოქებით,  
შენზე ლოცვები დილა სისხამზე,  
რომ სულ შორიდან გემშვიდობები,  
ერთხელ ახლოდან ვერ დაგიძახე...

ახლა კი გნერ და მინდა იმის თქმა,  
რომ ქუჩა ჩემი გადის შენს ახლოს,  
რომ იმ ქუჩიდან ისე მივდივარ,  
ბაგე შენს ბაგეს ველარ შევახო...

მინდა მოვიდე შენთან ერთხელ და  
გითხრა ის, რასაც მუდამ ვშიშობდი,  
რომ ისე ძლიერ მინდა შეხვედრა,  
აღარასოდეს გეტყვი - „მშვიდობით“!..



## ღმერთმა ნუ ქნას, შემიყვარდა

აღარ გავათენებ ღამეს, შენზე ფიქრში, ან შენ გამო,  
 ვისთვის დაველოდო ცისკარს, დღე ვისთვის  
 შემოვიღამო,  
 განა გაქრა ჩემი დარდი, სულ რომ მჭამდა, სულ რომ  
 მხრავდა,  
 გულის სარქველს მიეკედლა, ვინც იცის, რომ მუდმ  
 აქ ხარ...

აღარა აქვს მნიშვნელობა, წასულ დროს თუ ჩავლილ  
 დღეებს,  
 დღეს უჩემოდ მოილხინე, ხვალ უჩემოდ წაიმღერებ,  
 ათასჯერ რომ დაგიძახო, სხვასთან წახვალ,  
 ჩემთან არა,  
 ვინც ამ ქვეყნად შენ ყველაზე უფრო მეტად  
 შეგიყვარა...

მაშ, მშვიდობით (ძლივს ამოვთქვი), ჩემო ფიქრო,  
 ჩემო დარდო,  
 გადავწყვიტე როგორც იქნა, გეთხოვები სამუდამოდ  
 და თუ კიდევ სადმე შევხვდით, თვალი გკიდე  
 სადმე ოდეს,  
 ღმერთმა ნუ ქნას - შემიყვარდე და ტკივილი  
 განმეორდეს!..

\*\*\*

მომენატრა შენი წერილები -  
შენი ჩუმი ფიქრები,  
ჩემს თავს სამუდამოდ შეგპირდები,  
გპირდები...

მიდევს ნაკითხული წერილები -  
გამოცლილი ჭიქები,  
ჩემი სულის ნაწილს გეჭიდები,  
მჭირდები...

\*\*\*

მე შენი ხილვა არ მინდა მხოლოდ,  
არც მხოლოდ შენი სხეულის კოცნა,  
მე ვარ ცოდვილი, რამეთუ ვცოცხლობ  
და ვარ ცოცხალი, რამეთუ ვცოცხლავ.





\*\*\*

სადა ხარ, ჩემო ალაზა,  
ან შენ სადა ხარ, ლელაო,  
სიზმარმა მითხრა: ამაღამ,  
შატილში გაელდებო!..

\*\*\*

მზესა ჰგავს ჩემი ქვეყანა,  
ლამაზ ფერებით სავსე,  
მაინც არ ვიცი, ყველა ქალს,  
რად მირჩევნისხარ ასე!..

\*\*\*

დღე დღეს მისდევს, წამებს წამი,  
შენ დაგეძებ ჯერ კიდევ,  
შემოდგომის წვიმასავით  
უკან გამოგეკიდე!..



\* \* \*

მიდის დრო, ყოველ წელიწადს,  
ერთი წლით ვიზრდებ-ვბერდები,  
მადლობა უფალს, რწმენით ვარ,  
შენც ისევ მეიმედები...

\* \* \*

მზეს შემოგახვევ, მთვარის ასულო,  
შენთვის ვინვოდე, მე ვარ თანახმა,  
რაც გაგიცანი, ველარ ვმარხულობ,  
ყველა წესის და რიგის თანახმად!..

\* \* \*

ან რას მეყოფა ერთი ცხოვრება,  
ან თუნდაც ერთი ათასწლეული,  
უშენოდ სული მეუცხოვება,  
მეუცხოვება თავად სხეული!..



## დადუნა

კლდეს წმინდა წყალი ჩამოსდის,  
ცრის მარგალიტებს წვიმა,  
შენი მშვენების წყალობით,  
სამოთხესა ჰგავს მინა.

მიყვარს თეთრ-ნისლე აშლილი,  
ჩემი სამშობლოს მთები,  
შენი ვაჟკაცი ქმარ-შვილი,  
ულამაზესი დები.

და ძმები, რაღა თქმა უნდა,  
ვისი იმედით ვცოცხლობ,  
გეხვევი დაო, დადუნა,  
ჩემო სისხლო და ხორცო!..



## ნონას – ჩემს ღას

მიხარია, ვამაყობ,  
გულს მიტობს და მიკეთებს,  
შინ - სახლში თუ სხვაგან მყოფს,  
მხვდება შენი სიკეთე...  
დათვლილი აქვს სამყაროს,  
არსებობა თითებზე...

გზათა შორის მანძილი  
ფიქრებს გადაუფარავს,  
თუმცა ბევრჯერ არ გილხინს,  
სულ გაშლილი სუფრა გაქვს...  
სამოთხეში ასი წლის,  
მიგიყვანოს უფალმა!..



## დედას

ბევრ თოვლს შეიშრობს შუბლზე ზამთარი,  
ბევრ გაზაფხულებს მოვიმარებთ,  
ვუცქერ მზის გულზე შენი ქალარის,  
ალაჟვარდებულ ედეღვაისებს...

## მაია სოფერიას

მითხარი ჭია-მაია,  
დარია ხვალ თუ ავდარი,  
ანდა ის - ყველა მაია,  
ასეთი კარგი რად არის?!

სანამ შენ მეტყვი, გავბედავ,  
თან მიხარია, რომ მეტქმის,  
ერთი მაია ამქვეყნად,  
ჩემი დაა და პოეტი!..



\* \* \*

მწარეა ნუთისოფელი,  
ავი და მიუსაფარი,  
იმ ლექსის რა ვთქვა, რომელშიც,  
გალაკტიონი არ არის!..

### **მარიამ მარკიშვილს**

ხარ ლამაზი ქართველი,  
კობტა კავკასიელი,  
როგორც თაფლის სანთელი,  
როგორც ია-იელი!..

სავსემთვარისნაირად,  
ვარსკვლავები მოგენტონ,  
შემოგევლოს, მარიამ,  
ყველა დროის რომეო!



### ეპიგრამა

სამშობლოს რუკას, ის მინდა,  
ხშირ-ხშირად თვალი შეავლო,  
შენი მამულის წიგნიდან,  
არასდროს ამოეშალო!..

### გამიღას

ეს სიკვდილი როდი არის განაჩენი?!.  
შემოგველე, ასი წლისა დაბერდი,  
თითქოს მარტო შენ მოგიკვდა მამაჩემი,  
შენ ტიროდი მამაჩემის თვალებით....

### გარდაიცვალა

გარდაიცვალა და ყველა ფიქრობს,  
უკვე დასრულდა მისი ცხოვრება,  
სიკვდილი არის სიცოცხლის ჯილდო  
და ბევრჯერ მისი გამეორება!..

## თინა ჩილოპვილს

შენ ჩემი ავთანდილი ხარ,  
და - უფლის ბეჭედდასმული,  
შემომავებებ დილის ხმას,  
ჰესტიას დევი ასული...

მე თუმცა ტარიელობას,  
ვერ გინევ ჩემო ასმათო,  
მივყევი წერის ხელობას,  
დავდივარ უმისამართოდ...

შენს ადგილს ვერვინ შემივსებს,  
სულ ველი ზარს და დაძახილს,  
შემოგეჩვიე შენ ისე,  
დღეა არა გნახო, არ ძალმიძს!..





## ჩამოიარა სიკვდილმა

ჩამოიარა სიკვდილმა,  
მაღალქმნილებამ გამჩენის,  
არც აქეთ, აღარც იქით ვარ,  
აღარც ის ვიცი, რას შევრჩი...  
სად უფრო გავიხარებდი,  
იქ წასვლითა თუ დარჩენით?!

\* \* \*

ჩუმად ნუ მოხვალ, სიკვდილო,  
თუ უნდა ჩავიბილიკო,  
ღიად მექნება კარები,  
ჩუმად ნუ მომეპარები...

ბევრი მწყინს, ცოტა მიხარის,  
ვცხოვრობ კი არა, ვარსებობ,  
მოდის და პირში მითხარი,  
რომ უნდა დავთმო სამზუო!..



## ნუთისოფელში

აღარც აქ რამეს მოველით,  
რა გვეგულება იქითაც,  
მოვდივართ ნუთისოფელში,  
თვალს შევავლებთ და მივდივართ!..

\* \* \*

სიკვდილი ერთი ნამია,  
სიცოცხლე უფრო მცირედი,  
მივებარებით შავ მინას,  
ბალახად გადავიქცევით!..

\* \* \*

სვეტიცხოველი ჯვარს შესცქერს,  
ჯვარი გაჰყურებს სამთავროს,  
უფლის ამ მზიან მაჯებზე,  
დატეულია სამყარო!..



## ნატვრა

ვეძებ კაცის საშველს,  
დრო-ჟამს ვნატრობ ისეთს,  
არ შიოდეთ ბავშვებს,  
არ სციოდეთ ჩიტებს...

იღიმოდეს ერი,  
შრიალეზდეს ახო,  
ერთხელ ბედნიერი,  
საქართველო ვნახო...

ეკლიანი გზები,  
ბზებით მოგვეფინოს,  
ერთმანეთის მზერით,  
ვიხაროთ და ვიყოთ...

არ ვხედავდეთ შიშვლებს,  
არ ვხედავდეთ ობლებს,  
დედა ჰყავდეთ შვილებს,  
შვილი ჰყავდეთ მშობლებს...

ხასხასებდეს ველი,  
შრიალეზდეს მდელი,  
ერთხელ ბედნიერი,  
ვნახო საქართველო!..

## ველსა მის, დეირისასა

გარდამოვალის ნათელი,  
ზეშთით გადმოვღვრი მისავალს,  
უფალთან ღამეს ვათევედი,  
ველსა მის, დეირისასა...

გზა ვჰგვიე წმინდა ტაძრისკენ,  
მას ვკითხე, შევხვდი ვის სადა,  
ზილფი და ვარდი ვამკიე,  
ველსა მის, დეირისასა...

შენ, მამა-პაპის საყდარო,  
მოგინწყენია რისადა,  
ბზად დავუფინე სამყარო,  
ველსა მის, დეირისასა...

ქარებს მივანდე სიცოცხლე,  
ჩემი ცოდვების მზიდავსა,  
მე კი მიველ და ვილოცე,  
ველსა მის, დეირისასა!..





## შვიდი

შვიდჯერ ზეთი, შვიდგზის ცხება,  
საიდუმლო შვიდი,  
ობლის კვერი გამოცხვება,  
სიო, ფრთებს გაშლიდე...

წარმწყმედელნი შთანთქოს ცეცხლმა,  
ძრწოდნენ ქარნი შიშით,  
ღმერთო, თმები შემევერცხლა,  
გული დამიმშვიდე...

შვიდ აგვისტოს დავიბადე,  
თვალს ვუსწორებ შვიდფერს!

## წრომი და წულრულაშენი

ვინ ჩამოუშვა მინაზე,  
რა სისხლითაა ნაშენი,  
როგორა ჰგვანან წინაპრებს,  
წრომი და წულრულაშენი!..

\* \* \*

მამა არ უნდა მოუკვდეთ შვილებს,  
მით უფრო, შვილი თუ არის გოგო,  
ვინ დააპურებთ ობლებს და მშვივრებს,  
უმამოდ უნდა იცხოვრონ როგორ?..

შვილებს არ უნდა მოუკვდეთ დედა,  
მით უფრო, შვილი თუ არის ბიჭი,  
რაც უფრო მიდის დრო, უფრო ვხედავ,  
რომ თავად სიკვდილს სჭირდება ნიჭი...

მუხლებზე ვდგავარ, ბარდსა და ღოღოს,  
ვძირკვავ და ხელებს ზეცისკენ ვიშვერ,  
მე რა გამგე ვარ, უფალო, ოღონდ,  
მშობლებს ნურასდროს მოუკლავ შვილებს!..





\* \* \*

ვისთვისაც ზეცას ვქარგავდი,  
ვისთვისაც ღამეს ვათევდი,  
ცოტანი დარჩნენ, აქა-იქ,  
თითებზე ჩამოსათვლელნი...

მდუმარე არის ქაშვეთი,  
გვის მეეზოვე ნარჩენებს,  
ღმერთო, ქართველის თვალებში,  
ბედნიერება მაჩვენე!..

### **ზამთარი თბილისში**

თბილისში უცბად მოდის ზამთარი,  
ნთქავს შემოდგომის ნვიმებს, სისველეს  
და თოვლში, როგორც თავშესაფარში,  
ბელურასავით ვარ და ვისვენებ...

## ქალი

ქალი უნდა ჰგავდეს იას,  
იასავით უნდა იყოს,  
გული გადაუხსნას ნიავს,  
არასოდეს მოიწყინოს!..

უნდა იყოს ამორძალიც,  
ტყის რუსავით მორაკრაკეც,  
წყაროს უნდა ჰგავდეს ქალი,  
სვამდე, წყურვილს ვერ იკლავდე!..

## თეთრი თოვლი

თეთრი თოვლი თრთის და თრთოლვით  
ფარავს ფანჯრებს ფიფქთა ფენა,  
თოვს თუ თბილისს თრთვილი თოვლის  
ფიროსმანის ფუნჯით ფერავს?!..



## ცუდი კაცი ვარ...

ცუდი კაცი ვარ...

დღეს საკუთარ თავთან შევცოდე,  
ვერ დავიჩოქე საკუთარი თავის წინაშე,  
ვერ დავივინყებ მე ამ ცოდვას ალბათ ვეროდეს,  
რისი პილატე, კაიაფა, რისი ჰეროდე,  
ყველა მათგანზე ცოდვილი ვარ დედამინაზე...

ვერ დავიჩოქე საკუთარი თავის წინაშე!..

ცუდი კაცი ვარ...

უმწეობამ ჩემმა გამტანჯა,  
ვდგავარ, მზეს ვუმზერ და სინდისი ჩემი მანუხებს,  
ალბათ მიყურებს და იცინის ჩემზე სატანა...  
ამას მერჩია გოლგოთაზე ჯვარის ატანა,  
რასაც განვიცდი, განვიცდიდი რასაც ან ნუხელ...

ვდგავარ, მზეს ვუმზერ და სინდისი ჩემი მანუხებს!..

ცუდი კაცი ვარ...

ვერ მოვნახე მსუყე ადგილი,  
მეც ჩემი ცოდვით ვემატები გრძნეულ სამყაროს,  
მტანჯავს ტკივილი, დღეს შენ გამო ასე განცდილი,  
ცუდი კაცობაც არ ყოფილა თურმე ადვილი,  
მემსხვრევა მუზა სიკეთისა, რითიც ვამაყობ...

მეც ჩემი ცოდვით ვემატები გრძნეულ სამყაროს!..



ცუდი კაცი ვარ...

იქნებ ასე სჯობდეს კიდევაც,  
ათასჯერ მოკლავს კაცს, ზოგჯერ ქმნა ერთი სიკეთის,  
მანინც განვიცდი, თუ ვერ ვშველი, გული მიკვდება,  
ღმერთო, მიეცი, ვისაც რა და როგორ სჭირდება,  
მომხადე ვალი, რომ არ ვიგრძნო თავი „ისეთად“...

ათასჯერ მოკლავს კაცს, ზოგჯერ ქმნა ერთი სიკეთის...

ცუდი კაცი ვარ...

დღეს საკუთარ თავთან შევცოდე,  
ვერ დავიჩოქე საკუთარი თავის წინაშე,  
ვერ დავივინყებ მე ამ ცოდვას ალბათ ვეროდეს,  
რისი პილატე, კაიაფა, რისი ჰეროდე,  
ყველა მათგანზე ცოდვილი ვარ დედამინაზე...

დღეს დავიჩოქე საკუთარი თავის წინაშე!..

ცუდი კაცი ვარ!..





## საჩუქარი

რამდენი წელი დამაქვს უბრალოდ,  
აღარ ვიყენებ, არც კი ვუყურებ,  
მეძვირფასება მაინც, სიყვარულს,  
თუმცა კარები გამოვუხურეთ...

თვალს გავაპარებ მალვით ხანდახან  
და მაგონდება ტკბილი დღეები,  
ეს ჩემთან არის, შენ კი სხვაგან ხარ,  
არც გელი, აღარც მიმედები...

მომენატრები, მინდა შევეხო  
და როგორც ნისლი ნაცნობ მწვერვალებს,  
ხელს გადავუსვამ ფიქრში, მერე შორს,  
წამით ნალვლიან მზერას შევავლებ...

რამდენი წელი ასე ვინახავ  
და იმ გაფრენილ დღეებს მივტირი,  
კი არ მიყვარდი, ისევ მიყვარხარ,  
მაგრამ დარდით და გულის ტკივილით...

დევს საჩუქარი სადღაც კუთხეში,  
ვით დამნაშავე დევს და მიყურებს,  
რა დააშავა, თუ ჩვენ უხემად,  
სიყვარულს კარი გამოვუხურეთ?!

\* \* \*

დოსოდობოდ, ყავა გაცივდობ,  
დამე დობნვობ მინოს ლოდვიტ,  
ორი ფინჯობი უდევს მობიდოს,  
ჩამოძინებულს დილის ლოდინში...

იქვე კუთხეში გდობ მობრო,  
გობრეთ გიტობრბს ქობრი აკვნესებს,  
რბ ენბღვლვობ დროის ფობრობს,  
ნამოცმული ჰყავს თევზი ანკესზე!..

\* \* \*

ეს სობხლი ჩემი ნიგნობ,  
ჩემი ლობობი ნიგნი,  
ლექსის სტროფებბდ მიგობ,  
კობზმულ სიტყვობობ მნკრივობ...

ეს ეზო ჩემი ლექსობ,  
მზობ დობვობცხნობლი ყობნობ,  
ყველბზე უკეთესობ,  
შენ რომ ამქვეყნბდ მყობვობბრ!..



### ვინმეს ვეიმედებოდე

მინდა სალოცავი მქონდეს,  
შიგნით კელაპტარი კრთოდეს,  
ვინმე მეიმედებოდეს,  
ვინმეს ვეიმედებოდე!..

მინდა მზე მითბობდეს კბოდეს,  
ნაკურთხი წყლით ვრწყავდე კორდებს,  
წვიმა წვიმდეს, ქარი ქროდეს,  
არასოდეს არ ვკვდებოდეთ!..

მინდა ერთად ვიყოთ ხოლმე,  
შენ მეძახდე, მეც გიხმობდე,  
ტაძრის კარში ვიდგე, ოდეს,  
ქრისტე ღმერთი მოვიდოდეს!..

მინდა სალოცავი მქონდეს,  
შიგნით კელაპტარი კრთოდეს,  
ვინმე მეიმედებოდეს,  
ვინმეს ვეიმედებოდე!..



## სალამი ბაქოს!..

სალამი ბაქოს,  
ქალაქს და ნავთობს,  
ეს შავი ოქრო,  
რომ აწვიმს, ათოვს...

სალამი ბაქოს,  
უწინდელ ალბანს,  
ვთამაშობ ბანქოს,  
ლარზე ვცვლი მანათს...

სალამი ბაქოს,  
მის აის-მაისს,  
რადაციტ ქართულს,  
რომა ჰგავს მაინც...

სალამი ბაქოს,  
ქალაქს და მადანს,  
ძვირფასო ქალო,  
ახლა ხარ სადაც...

სალამი ბაქოს!..



## დამეპედე

ჭიქას ვუჭახუნებ ღამეს,  
მარტოობა მიზის მეკვლედ,  
მოდის, კარი შემოაღე,  
ერთხელ მაინც დამეპედე!..

მოდის, თოვლით შემოვერცხლილ,  
სახლს გულები მოვუქარგოთ,  
კერიაზე ვანთოთ ცეცხლი,  
ფუძე ვლოცოთ, ჭერი ვათბოთ!..

დამეპედე, მზე რომ ჩადის,  
ცისკარს რომ ადნება მთვარე,  
გეძებ, როგორც ედელვაისს,  
თოვლქვეშ ათას ღამენათევს!..

ვიდრე სევდა შემოაწვა,  
ჩემი სახლის შიშველ კედლებს,  
მოდის ჩემი სულის წამლად,  
ერთხელ მაინც დამეპედე!..

ჭიქას ვუჭახუნებ ღამეს,  
მარტოობა მიზის მეკვლედ,  
მოდის, კარი შემოაღე,  
ერთხელ მაინც დამეპედე!..

## ალილო

მახსოვს ჩემი ბავშვობა,  
საშობაო ალილო,  
გამოჰქონდათ, რაც ჰქონდათ,  
რაც იყო და არ იყო!..

ზოგი ბადაგს გვაძლევდა,  
ზოგი ჭადს და ზოგი ფქვილს,  
ვიზრდებოდით და-ძმებად,  
ჯამს ყლუპობით მოვცლიდით...

შენაგროვებს ვარჩევდით,  
აქეთ ხილი, იქ ნენი,  
ვქეიფობდით, დარჩენილს,  
ძმურად ვინაწილებდით...

თუმცა ვისაც უჭირდა,  
იმას მეტი ხვდებოდა,  
იღვრებოდა ჭურვიდან,  
გუგუნებდა ჭერხო და...

ვლოცულობდით ქრისტეზე,  
მზე ეკიდათ ვარსკვლავებს,  
ახლაც, როცა ვიხსენებ,  
ისე გამაკანკალებს...



მაგონდება ბავშვობა,  
საშობაო ალილო,  
გამოჰქონდათ, რაც ჰქონდათ,  
რაც იყო და არ იყო...

მიიღია დრო-ჟამი,  
სიგრძეს ვუკლებ ნაბიჯებს,  
ღმერთო, ყველას ოჯახში,  
ტკბილად შემოაბიჯე!..

\* \* \*

საათი ნიკნიკებს, ნიკნიკებს, ნიკ,  
დრო მიდის, მიიწევს, მიიწევს წინ,  
გული კი სხეულში დგაფუნობს, დგაფ,  
ფაფუ სიყვარული, ფაფუ, ფაფ... ფა...

დროშები ფრიალებს, ფრიალებს, ფრი,  
ქარი სულ არ არის და მაინც ქრის,  
გრძელდება ტოქ-მოუ პაპარაცთა  
და მიდის ცხოვრება პა-რა-მპა-რა...



\* \* \*

დილით კარს რომ შემოაღებ,  
ისეთნაირ დილას რა სჯობს,  
შენზე ფიქრით ნათევ ღამეს  
და სიყვარულს გაუმარჯოს!..

კაცს დავეძებ უფრო ხშირად,  
ცუდი კაცის ყოფნას ვჯავრობ,  
ქვეყანაზე გზად და ხიდად  
მეგობრობას გაუმარჯოს!..

როგორ მიცავ, გენაცვალე,  
გულზე მობრიალე, ჯვარო,  
მაღალ მთებზე სალოცავებს,  
ცაში უფალს გაუმარჯოს!..

რასაცა ვთეს, იმას ვიმკი,  
არ ჩაგიკლავ გულში ჯავრო,  
არწივივით ღამაზ სიკვდილს  
და სიცოცხლეს გაუმარჯოს!

მინორული სიმღერიდან,  
ნელა-ნელა ვუნევ მაჟორს,  
გაბრწყინებულ იბერიას,  
დედამინას გაუმარჯოს!..



## რაზე ფიქრობენ, ნეტავ, ქალები

რაზე ფიქრობენ, ნეტავ, ქალები,  
როცა სარკეში იხედებიან,  
ზღვასავით ღრმა და ნაზი თვალებით,  
ვისთან ინყებენ ფიქრში ხეტიალს...

იქნებ უბრალოდ თვლიან ნაოჭებს,  
შუბლზე ზოლებად დრომ რომ დაატყოთ,  
იქნება თეთრი თმები ჭარბობენ,  
იქნება სადმე სატრფო ლალატობთ...

ნეტავ, ეს სარკე რას ეუბნებათ,  
თავის საფიქრალს როცა უმხელებს,  
რად შეიცვლა კაცის გუნება,  
ხომ იჩოქებდნენ მათ წინ მუხლებზე...

ელოდებოდნენ გულის ფრიალით,  
ხვდებოდნენ გზაში, სახლთან, კარებთან,  
რომ ყველა ქალი იყო იმათთვის,  
მიუწვდომელი, მიუკარება...

რად არ დგებიან ახლა ყირაზე,  
სად დაიკარგნენ, რა ბედს ეწვივნენ,  
ასე ძალიან ვინ შეიყვარებთ,  
იმათ ფერიებს, მზეებს, მზენვეებს...

გამონათა დილამ ქუჩები  
და მზეც დაორთქლილ მინებს მიადგა,  
სარკვეზე დარჩა ქალის ტუჩები  
და გამოცრილი სიტყვა - „მიყვარხარ!“

\* \* \*

რა ცოტა დრო გვაქვს ადამიანებს,  
სიყვარულისთვის, მოსაფერებლად,  
ვერ მოვაბრუნებთ წლებს და ვინანებთ,  
ცხოვრებას დაშლილს სევდის ფერებად...  
რა ცოტა დრო გვაქვს ადამიანებს,  
როცა სცენაზე ფარდა ეშვება!..





## გაზაფხულის ნვიმა

ენძელები ყვავილობენ უკვე,  
რა ძალა აქვს თოვლით ნაფენ მიწას,  
ხვალ იქნება ყველაფერი უკეთ,  
დღეს ქუჩაში გაზაფხული ნვიმდა...

რახანია შევეჩვიე ლოდინს,  
თებერვალი გააცილე მარტო,  
ყვავილივით გაზაფხული მოდის,  
მზის სხივივით მიყვარხარ და გნატრობ...

გულზე შვიდფერ ცისარტყელას იბნევს,  
სიყვარული - სანთელივით წმინდა,  
დილით ტყეში გაელვითათ იებს  
და მთელი დღე გაზაფხული ნვიმდა!..



## მხატვარს

ნ.-ს

ფული რომ მქონდეს,  
ვიყიდიდი ყველა შენს ნახატს  
და მოვაფენდი შუშაბანდებს,  
მოედნებს, ქუჩებს,  
ჰაერისავით სიყვარული  
სჭირდება მხატვარს,  
ის რუხ ტილოსთან კი არ დგას და  
უბრალოდ ხატავს,  
საღებავებით დედამინას  
ჭრილობებს ურჩენს!..

ყველა შენს ნახატს ვიყიდიდი,  
რომ მქონდეს ფული,  
მოვრთავდი ჩემი სახლის კედლებს  
და მწვანე ეზოს,  
შარავანდედათ ადგას შენს შუბლს  
ნათელი უფლის,  
სამყარო არის დედამინის  
ერთგვარი ყულფი,  
რომელსაც შენი არსებობა  
ამშვენებს, მზეო!..



\* \* \*

წერენ აკურატულად,  
ქმნიან მაკულატურას,  
ჩანს პარნასის კარს უკან,  
ლექსის კარიკატურა!..

ასე რომ არ გვეცხოვრა,  
კალმოსანთა ფეხოსანთ,  
წერის ნაცვლად ერთ მწყობრად,  
გვებარა ან გვეთოხნა!..

ქალაქს შევიყვარებდით,  
სოფელს ავაყვავებდით,  
გვექნებოდა ყანები,  
მაგრამ წერას აყვევით!..





## მინაწერი თენგო ავსაჯანიშვილისა და გელა დანიაურის ფოტოსურათზე

კარგ ყმებს იტყვიან ამათზე,  
ლექსებს ამბობენ მაღლიანს,  
ამ დედამინის შარაზე,  
დევეკაცებივით დადიან!

\* \* \*

ბევრს გასჩენია მულამი წერის  
და სდომებია პარნასზე ასვლა,  
ყველაფრის თქმით და იქნება - ვერც თქმით,  
გალაკტიონმა წერტილი დასვა!..

\* \* \*

ზოგი სიტყვაა, გამოდგება  
ტყვიად, სათოფედ,  
ზოგი სტრიქონებს აესხმება  
ფრთებად, რითმებად,  
ყველა სტრიქონი შეიძლება  
ლექსად გამოდგეს,  
თუმც ყველა ლექსი  
პოეზიად ვერ ჩაითვლება!..



## ონერი (ერიკ) ღარსანიას

შენ მარტო ძმა არ იყავი ჩემი,  
 შენ ჩემი გულის კაცი იყავი,  
 ახლა მიდიხარ და მარტო ვრჩები,  
 როგორც გამლღვალნი მზეზე მყინვარი...

მზეზე, რომელიც ახლა არ მათბობს  
 და უფრო მეტიც, სიკვდილს მიჩქარებს,  
 შენ მიდიხარ და მე ვრჩები მარტო,  
 როგორც გუბეში მდგარი მდინარე...

მდინარე, სულ რომ კალაპოტს ებრძვის  
 და შეაჩეროს უნდა რაღაცამ,  
 როსტოველ ძმებში იყავი ბრძენი,  
 გალში ხარ, მაგრამ გალი აღარ მაქვს...

შენსავით ისიც შორია უკვე,  
 დასამარხავად რადგან ჩახვედი,  
 ცოტათი მაინც იქნები უკეთ,  
 გაგათბობს მინა შენი ბარლების...

ვინა თქვა ძმათა შური და მტრობა,  
 ქართველს ძმასავით უყვარს აფხაზი,  
 ჩვენ შენს საფლავზე უთუოდ მოვალთ,  
 მაშ, აფხაზეთში მალე ნახვამდის!..





## ბებია

### სონია ბიჭაშვილი-გავაშელის ხსოვნას

უფალო, ახლა ოთახში ვწევარ,  
ჩემს ირგვლივ მხოლოდ კედლებია მოსევედისფერო,  
გარეთ სიბნელე და სულში მწუხრი.  
მე მაინც ველი გათენებას, რადგან, უფალო,  
უსაშველოდ მიყვარს სიცოცხლე.  
ხოლო ჩემს ახლოს, გვერდით სახლში, ჩემი ბებია,  
წევს გარინდული და სიკვდილს ნატრობს...

ორი თვე არის, რაც ბებია, ორი კუბო ჩადო მინაში,  
იმ კუბოებში, როგორც აკვნებში, შვილები ეწვნენ -  
ჩემი ბიძები, და როგორც აკვნებს, იმ კუბოებს  
ეფერებოდა...

ახლა სარეცელს მიჯაჭვული ჩემი ბებია,  
ხან წამლებს იყრის მუჭით პირში,  
სანამლავს ყლაპავს, რომ აღესრულოს.

ჩვენ ვეუბნებით - თავის მოკვლა არ შეიძლება,  
რომ ეს ცოდვია, რომ უფალმა თვითონ იცის, რა და  
როგორ ქმნას,  
რომ უარესიც შემთხვევიათ სხვათა და სხვათა,  
მაგრამ არ ესმის და არც უნდა რამე ისმინოს...  
შვილებთან უნდა - თავის ლამაზ, ვაჟკაც ბიჭებთან...

წევს გარინდული ჩემი ბებია, დღეს ხმაც დაკარგა,  
მგონი გრძნობაც, და ვერას ვშველი.



აქ აღარ უნდა, იქ უნდა - მათთან...  
 და დღეს, უფალო, ვიდრე მაშინ, სარეცელთან ჩემი  
 ბიძების,  
 დღეს უფრო ვგრძნობ უმწეობას, ჩემი თავის  
 უსუსურობას...

ვუზივარ თავთან ჩემს ბებიას და არ ვიცი, მხედავს  
 თუ არა,  
 ხელებს ვუხელ და გრძნობს თუ არა, ვერც იმას  
 ვხვდები,  
 ლაპარაკიც არ ესმის ალბათ, თუმცა დროდადრო  
 აეცება თვალები ცრემლით და ვკოცნი ცრემლზე...

მასხენდება, ბავშვობაში შაქარლამებს  
 შემინყობდა ბალიშის ქვეშ, შუბლზე მკოცნიდა.  
 მეძინა, მაგრამ ამ კოცნას ვგრძნობდი - სურნელებას  
 შაქარლამისას.

ახლა კი რა ვარ,  
 ამხელა კაცი ჩემს ბებიას ვერაფერს ვშველი,  
 უსუსურად ვუზივარ თავთან და უფალს შევთხოვ,  
 მოაბრუნოს ბებია აქეთ...  
 თუმც ამ თხოვნაზე უფრო დიდი არის სურვილი  
 ჩემი ბებიის - შვილებთან იყოს, დიდ სინათლეში,  
 სადაც მზეები გამუდმებით ანთია ცაზე,  
 ხოლო ღრუბლები საკმეველის სურნელს აფრქვევენ!..

## ს ო რ ნ ა ბ უ ჯ ი

დაიღლა ოქროს ურდო  
 საქართველოს აკლებით,  
 სანთლად ენთო ხორნაბუჯი -  
 იბერიის კანკელი,  
 ვერ ამჩნევდა ღალატს ულუ  
 ესუქნებს და ხათუნებს,  
 საქართველოს დედოფლობდენ -  
 კავკასიის ქვაკუთხედს...

ვერაფერი მოუხერხა  
 ოქროს ურდომ „მზის საყრდენს“,  
 მზე ბრწყინავდა ჯვარზე ისე,  
 როგორც თოვლი მყინვარზე,  
 რა თქმა უნდა, მტერი ზე-კარს  
 არ დათმოზდა იოლად,  
 ნისლად გაშლილ ალაზნის ველს  
 ქარი შემოჰკიოდა...

ულუ ჯიგდას, ჯიგდა ჯიქურს  
 შეახსენებს ბრძანებას,  
 ოთხი წყვილი ცოლ-შვილი ჰყავს,  
 მეფეს რა ენაღვლეზა,  
 შეიპყრობენ დასაჯელად  
 ღვთის ერთგულს და მეფის ყმას,  
 სისხლს დაღვრიან, ფიცს გასტეხენ,  
 ზნეს და სიტყვას შერყვნიან...



ახლაც ისმის ქარის სტვენა  
 ტაბახმელის კლდე-კარში,  
 როცა სტუმრობს თეთრი ცხენით  
 პანკისელი მხედარი,  
 თორღვა ბიჭო, ჯიგდა ხათუნს  
 იქნებ როგორ უყვარდი,  
 ეს სისხლია -  
 მეფის ცოლის სიყვარულზე უარი...

ცხენს შემოკრავს პანკისელი,  
 მიაშურებს ალავერდს,  
 ხატზე სიტყვის დამფიცველი  
 ბერის ბედი ადარდებს,  
 თორღვამ იცის,  
 ძმადნაფიცის უტეხია ფიცი და  
 დგას ტაძარში მუხლმოყრილი,  
 სანთელს ანთებს მისთვისაც...

მაგრამ ბედი მართალ კაცსაც  
 ზოგჯერ რისხვას მოუვლენს,  
 დღემდე სისხლი ამჩნევია  
 „ზესთა კოშკის“ ქონგურებს,  
 ოთხი სანთლით ამ სისხლიან  
 ქვა კაჟსა და ბასრკბილას,  
 ღამ-ღამობით ხშირად ერთი  
 ბერიკაცი აკითხავს...

ქონგურებში ხან ძახილის,  
ხან ტირილის ხმა ისმის -  
სად ხარ, შვილო, შალვა,  
სალირ, გიორგი და დავითი?..  
მერე ეს ხმა მინავლდება,  
მაგრამ ისევ დრო და დრო,  
ისმის, როცა ნაპრალებში  
კაცის სული მოძრაობს...

ასწლეულთა ორღობეში  
მიჭრიალებს ურემი,  
ზის ურემზე ქორა-ხოშა,  
მამა ხორხორუნების,  
საუკუნე ათიოდე  
და ეპოქა მონათლავს,  
დინასტიის პირველ პირმშოს  
ჰერელ ბაგრატიოვანთა...

სიამაყით ვუმზერ დღემდე  
ხორნაბუჯის ციტადელს,  
მდგარს გამირული ისტორიის  
უკვდავ მემატთანედ,  
ჩამოშლილი ქონგურებით,  
ნათელის მფენ სიძველით,  
შვიდასი წლის შეუპოვარ  
უდრეკ მახატლისძენით...



იქ კი, ტაბახმელის კლდე-კარს,  
„ზესთა კოშკის“ ბასრკბილას,  
ორი კარგი ძმადნაფიცის  
სველი სისხლის კვალი აქვს,  
ბზინავს სისხლი კაჟის ქვაზე  
დღემდე ფერშეუცვლელი,  
ბეჟა პანკისელისა და  
ბერი ხორნაბუჯელის!..





# პოემები







## ქეზათა - ქეზა სიღარიბეს

*...ვაშა ღარიბებს, ვაშა ღარიბებს, ვინც  
უკანასკნელ ლუკმას არიგებს,  
ვინც მშიერ აღმართს მაინც აირბენს და  
სიყვარულსაც უხვად წაიღებს...  
ვაშა ღარიბებს...*

*ბერანჟე (თარგმნა მ. ხეთაგურმა)*

შენ რომ არ იყო, სიღარიბევ, შენ რომ არ იყო,  
წარმოიდგინე, ქვეყანაზე რა იქნებოდა?..

ფასს დაკარგავდა თვითონ სიმდიდრეც...

ამ ავაზაკებს, მუცელტიალ ინტელიგენტებს,  
პროვინციალის ყოყორობა დაჰშვენიდებოდათ,  
დასჩემდებოდათ ერისკაცობის პრეტენზია  
და ხშირად აერეოდათ სიძვა სიყვარულში...

შენ რომ არ იყო, სიღარიბევ, შენ რომ არ იყო!

ადამიანები გადაიქცეოდნენ  
გაზულუქებულ ხორცმეტებად,  
ტახტზე წამოგორებულ ტომრებად,  
ჭამაც და ფეხის ალაგში  
გასვლაც რომ დაეზარებოდათ.

ო, სიღარიბევ!



დღეს რომ მდიდრები ვითომ შენთვის  
(სიღარიბისთვის) უხვად სჩადიან,  
სინამდვილეში თავის თავის გადასარჩენად,  
ესეც საქმეა!..

არ იქნებოდნენ და  
არავინ არ მოგვიგდებდა დასამადლებლად  
თითო კილო ფქვილს, კარტოფილს და  
ნახმარ ტანსაცმელს...

სიყვარული კი, სიყვარული მოგეხსენებათ -  
„შენგან ბრძენი ხელად რებდეს“,  
„შენგან მეფე მონას ეყმოს“  
(და არა მდიდარი ღარიბსო),  
დიახ, სიყვარულს მთელი ლაზათი ნაუხდებოდა...

შენ რომ არ იყო, სიღარიბეც, ამ ქვეყანაზე!

ეს ჯიბესქელი, მუცელტიალი „ელიტარები“,  
სიყვარულისთვის რად მოიცლიდნენ...  
ვისი გულისთვის, რისი გულისთვის  
ან სადღა აქვთ გული...  
ქონმა შეუჭამათ, ქონამდე - ქონებამ,  
ქონებამდე - შურმა, შურამდე - ეჭვმა,  
ეჭვამდე - შიშმა და არ დარჩათ გული!

აბა, გაიხედეთ,  
რა ლამაზმანები დადიან ირგვლივ,  
რამდენი „ხანუმ-კაფე“ და „საროსკიბოა“  
(კიბოა, აბა რა?),



თავი რაღად უნდა აიტკივო,  
 სული რაღად უნდა გაინვალო,  
 ფული და მორჩა,  
 შენია ყველა ქალის სიყვარული,  
 თუ მდიდარი ხარ!..

ოღონდ, თუ მანდ სადმე სიღარიბეც არის,  
 ცოტა შეჩერდი შენ, ს ი მ დ ი დ რ ე ვ,  
 ბოდიში მოიხადე, თავი დაუხარე,  
 გულში უთანაგრძენე და ისე გაიარე,  
 იმიტომ, რომ ს ი ლ ა რ ი ბ ე ა,  
 რომელმაც იცის შრომის ფასი,  
 ნიჭის ფასი, ძმობის ფასი და სიყვარულიც,  
 რომლის ხარჯზეც გახდი შენ  
 ბოლოს და ბოლოს,  
 ასე ამაყი და ამპარტავანი...


ხოლო ჩემგან და ჩემნაირებისგან  
 ქ ე ბ ა თ ა ქ ე ბ ა , ს ი ლ ა რ ი ბ ე ვ, შ ე ნ !

რადგან, შენ რომ არ იყო ამ ქვეყანაზე,  
 მე არ მეცოდინებოდა,  
 რას ნიშნავს სითბო (უფრო სწორად - სიცივე),  
 რას ნიშნავს ნაცროვანება (უფრო სწორად - შიმშილი),  
 ვერ გავიგებდი ნიორწყალში ამონებული  
 პურის გემოს და მეგობრობის ფასს...  
 ვერ ჩავნვდებოდი სიყვარულის არსს,  
 რომელიც თუ ჩემთან არის, აღარაფერს ვდარდობ -

აღარც სიცივეს, აღარც შიმშილს, აღარც უსახლ-კარობას,  
სულიერად ამალღებული და ყველა მდიდარზე  
გაცილებით ბედნიერი ვარ.  
ამიტომ,

ქ ე ბ ა თ ა ქ ე ბ ა შ ე ნ , ს ი ლ ა რ ი ბ ე ვ ,  
ქ ე ბ ა თ ა ქ ე ბ ა !!!





## მგელ-კაცის ბალადა

ეს გახლავთ ღამით ნაწერი,  
სიზმრად ნანახი ტერცინა,  
ადამიანი დავწეი,  
დილით მგლად გამომეღვიძა...

ვიყავი სველი, მშვიერი,  
თავს მეხვეოდა მგლის ხროვა,  
სულის სიღრმეში უფალის,  
ნაზელი თიხა მიხმოზდა...

გამოჩნდა კაცი ბერდენკით,  
მგლები დაფრთხნენ და გაიქცნენ,  
კაცმა მგლად გადაქცეულმა,  
არ ვიცი, საით წავიდე?!

კაცს გავყვე ისევ იქითკენ,  
სადაც ვიცხოვრე აქამდის,  
თუ იმ მგლებს გავყვე... ვიფიქრე,  
და იმ მგლებისკენ გავქანდი...

ტყვიებმა ყურთან გაჰკვესეს,  
მუხლს ზემოთ ვიგრძენ ქრილობა,  
ცრემლი მდიოდა თვალებზე,  
ფეხებზე სისხლი მდიოდა...



ტყის შუაგულში მომაკვდავს,  
 მგლებმა მომაგნეს, მიპოვეს,  
 ერთი თვე მასვეს, მაჭამეს,  
 ერთი თვე ფეხი მილოკეს...

მადლად შემერგო „მხეცების“  
 ყოველდღიური ნობათი,  
 ახლაც ენაზე ვიკბინე,  
 იმათზე მხეცი რომა ვთქვი...

ვიყავი მგლებში მეც მგლურად,  
 არ ვიცი ას წელს, ათას წელს,  
 ვცხოვრობდი იმათებურად,  
 ვიცავდი იმათ ადათ-წესს...

თავს მევლებოდა სუყველა,  
 მე კი ბებერი, სნეული,  
 ვგრძნობდი, რომ კაცი ვიყავი,  
 მგლის ტყავში გამოხვეული...

სევდა მიპყრობდა თანდათან,  
 (მქონდა საჭმელიც, სასმელიც),  
 რალაც სხვა მაკლდა, მაგრამ რა,  
 აღარ მახსოვდა სახელი...

და ერთხელ, როცა ძუ მგელი,  
 ხვადს თათზე მიეთათუნა,  
 მივხვდი, რომ კაცად შობილის,  
 მგლური ცხოვრება დასრულდა...



მივხვდი, რომ ქალი მიყვარდა,  
სოფლად ცხოვრობდა რომელიც,  
უცებ მეტკინა იარა,  
იმ თოფის ნაჭრილობევი...

ღია ცას მივშტერებოდი,  
მტრად გადამექცნენ სიზმრები,  
მივლიდნენ, ვერა ვრჩებოდი,  
შემატყვეს მგლებმა მიზეზი...

ენით გამლოკეს, ტიროდნენ,  
რა ეტყობოდათ „მგლობისა“?!  
ცრემლებით გადმოვიტორე,  
ტყე სავსე მთვარეობისას...

არ დამხვდნენ სახლში შვილები,  
ალარც ის სახლი არ დამხვდა,  
ჩემს ისეც ნაცემ სამშობლოს,  
ყოველდღე ვილაც ლახავდა...

ვისთვისაც მგლობა დავტოვე,  
სხვას მისცემოდა ის ქალიც,  
არ დარჩა ამ ჩემს ნამგლევ გულს,  
იმედის ერთი ფიქალი...

ტყის სიახლოვეს დავსახლდი,  
გავინაპირე სოფლიდან,  
ისეც „მხეცობა“ ვინატრე,  
აქ ისეც მგლობა მომინდა...



მას შემდეგ ვეძებ კაცს, ვისაც,  
ტკენია გულის ფიცარი,  
სისხლში რომ უდულს სამშობლო,  
ადამიანი ის არის!..

ადამიანი ის არის,  
მხეცი კი მაინც მხეცია,  
არ მოვსწრებოდე, ხევსური  
დამსგავსებოდეს ხეჩუას...

არ მოვსწრებოდე, მამული,  
ყვავ-ყორანებმა წაიღონ,  
ადექით, ჩემო ლომებო,  
სამშობლო გამოვადვიდით!..







## პოეტი

ყველა შემოქმედზე უფრო საცოდავია პოეტი...

წერს თავის ლექსებს,  
რომლებიც სულიდან ამოდიან,  
გულიდან გადმოდიან,  
ოთხივე სარქველს მოარღვევენ,  
სისხლს მოჰყვებიან ფეხისგულებიდან...  
ფეხისგულები მიწაზე აქვთ შემოჭერილი  
და მიწის ლიბოდან ისრუტავენ საკვებს სულისას...  
მზეებს ჰპარავენ ქარვის სხივებს,  
ხან ნისლებს ცრემლებს  
და ხან ქარივით მიუდიან მთვარის ნატერფალს...

ყველა შემოქმედზე უფრო საცოდავია პოეტი...

მუსიკას ენა არა აქვს,  
არ სჭირდება მის ენას თარგმნა,  
ყველას ესმის, ვისაც ის უყვარს,  
ბრმას და უენოს, ყრუ ბეთჰოვენს ყველაზე მეტად...

არც ნახატს, სურათს, ქანდაკებას არა აქვს ენა,  
ერთი დანახვით უყვარდებათ, ვინც დაინახვს,  
ვისაც ესმის ნამიან ველზე  
მზედ ამოსულ მზესუმზირების...

ცეკვაზე რა ვთქვა,  
სხეულიდან ამო(დ)ფრენილი სულის როკვაა,  
როგორც ამბობს ჩალაბაშვილი,



პროტესტის ნიშნად დოგმად ქცეულ ამაოების  
და ყველას ატკობს ნარნარი მისი...

არც რომანს უჭირს ისე ძალიან,  
არც მოთხრობას, მით უფრო ზღაპარს  
(ითარგმნებიან)...

ლიტერატურის ჟანრებს შორისაც  
ყველაზე უფრო საცოდავი პოეზიაა...

ამიტომაა,  
ეფერებიან პოეტები კომპოზიტორებს,  
რომ მათ ლექსებზე შექმნან მუსიკა,  
თუმცა იციან - „ვერხვის ფოთოლი“  
თავადაა ლექსიც, გალობაც,  
კოსმიური შარავანდედიც...

ამიტომაც ეფერებიან პოეტები მხატვრებს,  
რათა წიგნის ყდა მოუხატონ სევდის მარმაშით,  
თუმცა ღრმად სწამთ, რომ ვერანაირი  
დასურთება ვერ შეუცვლის არსს და შინაარსს,  
პარნასისკენ გაჭენებულ ლექსს...

არც ხელმწიფის ნავში  
უხარიათ ყოფნა პოეტებს (არც არავინ სვამთ),

არადა, რა ქნან, რით მოიპოვონ პური არსობის?!.  
ერთ პურის ნაჭერს ვერ უყიდის  
მთელი ღამე ნათევი ლექსი,  
ერთ ჭიქა ღვინოს ვერ შეასმევს ზედაზე ქვევრის...  
უჭირთ პოეტებს,



მშობლები რომ სევდიანი ჰყავთ,  
 უჭირთ პოეტებს,  
 ცოლ-შვილი რომ უზით მშიერი,  
 ზნეობა რომ დაკარგულია,  
 სამშობლო რომ გაყიდულია  
 და რომ ჰყიდიან ყველაფერზე ყველაფერს დღემდე ...

დიახ, ყველაზე მეტად უჭირთ პოეტებს,  
 როგორც ადრე, ასე აწმყოშიც  
 და მომავალიც არაა მათთვის ვარდებ-იანი...

უჭირთ პოეტებს,  
 მაგრამ მათ სუყველაზე უკეთ იციან,  
 რომ უფლის დრო არსად არ მიდის,  
 რომ სააქაო საიქაოს წინა კარია,  
 სადაც შესვლამდე ყველა ცოდვა უნდა დატოვო  
 იმ კარის ზღრუბლთან და გადახვიდე მზის თოვამში  
 სუფთა სხეულით...

უჭირთ პოეტებს, მაგრამ მათ სუყველაზე უკეთ იციან,  
 რომ ჯოჯოხეთი ქარიზმაა ამაოების  
 და სამოთხეში გასასვლელი კარი ღიაა...

არავინ გიშლის იქ გადასვლას, გარდა სინდისის,  
 რომელიც სულის განსანმენდად  
 თავს დაგტრიალებს და თავად იცის,  
 რომ დამთავრდება სასჯელის ვადა  
 და მიაშურებს უფლისაკენ გაბრწყინებულნი!..





## ემიგრანტის დღიური

I

### შოზა კათოლიკეთა

ჩუმად ვარ, რადგან ყველა ხმაურობს,  
ყველა შობის დღის სამზადისშია,  
ჩემს ქვეყანაშიც, მაგრამ აქ უფრო,  
ამ დღის აღნიშვნა „უკეთ“ იციან...

რთავენ ნაძვის ხეს, თავისებური,  
არის ალილო - შობის გალობა,  
მე ჩემს ოჯახზე ფიქრებს შერთული,  
ამ დღეს ყველაზე უფრო მარტო ვარ...

ვიცი, ესენი რასაც ფიქრობენ,  
ფული არა მაქვს თაფლის, ნაძვის ხის,  
ეს, რა იციან, ჩემს ტკბილ ლიბოზე,  
ქართული ხმების შემოძახილი...

ის კი არა და (ცუდი რა მეთქმის),  
აქვე მცხოვრებმა ლარა კალორბამ,  
დილით იყიდა ათი სანთელი,  
სამი სანთელი მეც „მინყალობა“...

რა გაენყობა, დაველოდები,  
ცხრას და ამ სანთლებს მაინც დავანთებ,  
მოვიხსენიებ ყველას ლოცვებში,  
ვერ გადავუხვევ მე ჩემს ადათ-წესს...

ვიძინებ, ღამეს ვემშვიდობები,  
რომელიც მინდა აღარ გათავდეს!..





II

**ახალი წელი**

დიღაა, ის დღე მანც გათენდა,  
მანც გათავდა ჯიბრზე ის ღამეც,  
ფუყურებ ღარას ჩამწვარ სანთლებს და  
ვგრძნობ, რა საშინღად გადავიღაღე...

ისეღ ფუსფუსი, შფოთვა დიღიდან,  
ფეხზე დგომაა ჩემი შეზღონგი,  
ხდება თორმეტი, გარეთ ისვრიან,  
ერთი ახალი წელიც შემოღის...

ყვეღა ზეიმი, დღესასწაული  
ემიგრანტისთვის დამთრგუნვღია,  
ვით შერჩენიღი კღდეებს აული,  
არც ვის ველი და არც მე მელიან...

წუხელ სიზმარში შვიღებს ვხედავდი,  
აქ ქუჩებს რთავენ, ყვეღა ხმაურობს,  
ეს მასკარადი ფერად-ფერადი,  
ჩემთვის არ არის სამხიარუღო...

ვდგავარ ოთახში და ვერ ვისვენებ,  
წულს ქვემოთაა ჩემი განწყობაც,  
კარზე კაკუნი, ღარამ ისევე,  
სამი სანთელი შემომანწოღა...



გავშრი, გავხვედი, ისე ვუყურებ,  
რომ გამჭრან, სისხლი არ წამომივა,  
ლარას კარები გამოვუხურე,  
ვფიქრობ, რატომ ვარ მე აქ ოდიდან...

რა დამრჩენია ამ უცხოეთში,  
გასკდეს მინა და ბარემ ჩავვარდე,  
ჩემს სამშობლოში, როგორც ყოველთვის,  
ცლიან ყანწებს და სვამენ ალავერდს...

რაც არის, არის, ოღონდ იქ იყოს,  
ოღონდ მათ ჰქონდეთ ლხენა, მშვიდობა,  
დაჭკნა ქოთანში ჩემი ლილილო  
და შეუერთდა მარადისობას...

უნდა ვიმაგრო, სხვა გზა არა მაქვს,  
რომ გავძლო, ჩემს თავს ვის არ ვადარებ,  
ხან წყნეთელი ვარ და ხან ალაზა,  
გავეტოლები ხანაც მარაბდეღს...

ეხ, ნავალ ახლა, კარებს ჩავრაზავ,  
ჩემს ერთ ეპიზოდს აქ დავამთავრებ!..



III

**შობა მართლმადიდებელთა**

სალამოვდებ, ჩემი ლამაზი,  
ჩემი ქართული შობა შემოდის,  
ამ დღეს ფიქრებში ისე ვხაზავდი,  
მთელი ცხოვრება თითქოს ველოდი...

და მიხარია, თუმცა მარტო ვარ,  
მე მივეჩვიე ამ სიმარტოვეს,  
მხოლოდ უფალმა არ მიმატოვა,  
არც არასოდეს არ მიმატოვებს...

დიახ, უფალი, ძეხორციელად,  
ვინც უნდა იშვას, უნდა მოვიდეს,  
კაცის სხეული სულის ციხეა  
და უნდა გატყდეს ციხე როდისმე...

ქრის ჩემი სული, მართლა ისე ქრის,  
ამ დაღლილ სხეულს თითქოს დაშორდა,  
ჩემს სამშობლოში გამოვიქეცი,  
უნდა დავესწრო სახლში ამ შობას...

სხედან ბუხართან ჩემი შვილები,  
ვხედავ სხვებსაც და ვფიქრობ იმ დროზე,  
რომ აღარავინ იყოს მშიერი,  
ცრემლი არავის ჩამოსდიოდეს...



არის ფუსფუსი, არის მზადება,  
 ვუსმენ ქუჩაში ნაცნობ ალილოს,  
 აჰა, დარეკეს ზეცის ზარებმა,  
 იესომ უნდა შემოაბიჯოს...

მამამ შეავსო დიდი სასმისი,  
 ადგა, პირჯვარი გარდაისახა,  
 თქვა - ღმერთს დიდება და ჩემს ქალიშვილს,  
 მადლობა, ვინც რომ ნვალობს, გვინახავს...

მამას ვერასდროს წარმოვიდგენდი,  
 ასე მხრებმოხრილს, კუმტს და შევერცხლილს,  
 - მამა, შენა ხარ ჩემი იმედი, -  
 ვთქვი და ამევსო უპე ცრემლებით...

ვთქვი და გავხევდი, ვნახე უფალი,  
 ჩამოდიოდა ფრთებით ზეციდან,  
 თმის კი არა და იმ ცის ვუაღივით,  
 მუხლზე დაჩოქილს გამომეღვიძა...

უცბად მოვძებნე თაფლის სანთლები,  
 წამოღებული უბით როდიდან  
 და ჩემს ფანჯრებში მდგარი ნათელი,  
 ლარას ენახა, ისე მომინდა...

ისე მომინდა, რომ დაენახათ  
 თავის ხელოვნურ სანთლით მლოცველებს,  
 რა დიდი იყო ჩემი ქვეყანა  
 და ეს სანთლებიც როგორ ცოცხლობდნენ...

დავწევი, ვიცი დამეძინება,  
ნეტავი ასე ბევრჯერ დაღამდეს,  
არ უნდა ნაჰყვეს კაცი დინებას,  
აუცილებლად სძლიოს აღმართებს...

ვფიქრობ, ხვალ ნეტა მზე თუ იქნება  
და მინდა ღამე აღარ გათავდეს!..

#### IV

### ქველით ახალი ნალი

ეს დღეებია მხედავს ვნებიანს  
და ალბათ ფიქრობს - ნეტავ, რა მოხდა,  
გაკვირვებული მომჩერებია,  
გვერდით მცხოვრები ღარა კალობრა...

მთლად არა, მაგრამ ასე თუ ისე,  
ჩემში ხალისი მართლაც მოჭარბდა,  
შემთხვევით ლიფტთან დიდხანს ვუსმინე,  
ღარა დაქალთან როგორ მჭორავდა...

- ჩამოსულია უცხოეთიდან,  
მისი ქვეყანა არც ჩანს რუკაზე,  
ჭერი არ ჰქონდა, ღამე ეთია,  
მუდამ ფიქრობდა ნასვლას უკანვე...

სულ დადიოდა ჩამოღვრემილი,  
არც ფული ჰქონდა, არც სამსახური,



მერე წავიდა სადღაც ერთი დღით,  
ბებერ ფორების გახდა მსახური...

ფორების მერე იყო კლერტებთან,  
ასე რამდენი გამოიცვალა,  
მოვა სახლში და ჩაიკეტება  
კაცმა არ იცის, რას და ვის მაღავს...

შობის დღეს დანა პირს არ უხსნიდა,  
ახალ წელს სველი ჰქონდა თვალები,  
ვიფიქრე, ალბად არ აქვს ფული და  
ორჯერ მივეცი სამი სანთელი...

ახლა კი თითქმის ერთი თვე არის,  
დადის, ილიმის, თმებსაც იღებავს,  
რა დაემართა ამ ქალს ნეტავი,  
რა ჭირს, ასე რა ეზეიმება...

რომ არ დამეფრთხო ორი დაქალი,  
ფრთხილად გავაღე სახლის კარები,  
ჯერ არ მინახავს ასე აშარი,  
შურით მზირალი ქალის თვალები...

არც მიფიქრია რამე და უცბად,  
მოვიპატიჟე სახლში ორივე,  
ცნობისმოყვარე ქალს სხვა რა უნდა,  
თავი დამიკრეს და შემოვიდნენ...

ჯერ ტკბილეულის სუფრა გავშალე,  
ცოტა ხნის შემდეგ ღვინოც გავხსენი,  
ალარაფერი ახალ დაქალებს,  
არ დარჩათ ჩემში ამოსახსნელი...

დავემშვიდობეთ კოცნით ორ-ორჯერ,  
ეძინათ ხეებს ღამით, ყინვაში,  
დავუახლოვდი თუმცა გოგოებს,  
მათთვის მე მაინც უცხო ვიყავი...

შემოვტრიალდი, დარდით მიცქერდა,  
ჩემი ნაძვის ხე თეთრი, პატარა,  
გამომაფხიზლა ფიქრმა ისევ და  
ჩემი სამშობლო ჩამომატარა...

იქ თოვლი იყო, როგორც ყოველთვის,  
ძველ ახალ წელზე იცის ზამთარმა,  
სახლებს, ეზოებს თვალს ვაყოლებდი,  
თვალში საფლავი მომხვდა ანაზდად...

მამისას გავდა, ჩემი იმედის,  
ჩანდა, ახალი იყო საფლავი,  
უცბად ფიქრებით სახლში მივედი,  
ვნახე, შავებში იყო სახლ-კარი...

გამომეღვიძა, თრთოლვით, კანკალით,  
მივწვდი ტელეფონს, ვკრეფ და ხან უკან  
მრჩება თითები, ზარმა კარგა ხნით,  
მადლობა უფალს, არ მიპასუხა...



ზარს ვიმეორებ, არვინ მპასუხობს,  
 თან ვბრაზდები და თან მიხარია,  
 რადგან არ მინდა ზარმა მაუნყოს,  
 რომ ჩემს სახლშია მწუხრის არია...

გვიანი არის, თავს ვინუგეშებ -  
 ზარი არ ესმით, სძინავთ ეგება,  
 ტანთგაუხდელი ვწევარ კუთხეში,  
 ვაი, ამნაირ ღამის თენებას...

გათენდა, ვრეკავ ასჯერ ახლიდან,  
 - შვილო, როგორ ხარ, - ოდნავ შეცვლილი,  
 მესმის ყურმილში ცივად მამის ხმა,  
 ჯერ გამიხარდა, მერე შევშინდი...

დედა სად არის, ანდა შვილები?!.  
 ყურმილს არასდროს მამა არ იღებს,  
 ისევ მამის ხმა - ნუ შეშინდები,  
 კარგად არიან, ახლა გავიდნენ...

მოვეშვი, მაგრამ ბურთი გაჩრილი,  
 ვერ ამოვყლაპე დიდხანს ყელიდან,  
 თავს გავუბრაზდი - შენი აჩრდილიც,  
 არვის ანუხებს, ვინ დაგწყევლიდა...

თავშეკავებით დავემშვიდობე,  
 მამას და ტახტზე მკვდარი მივწევი,  
 მზე ანათებდა ფანჯრის ლიობებს,  
 სისხლისფრად ენთო ღვინის ჭიქები...



ეს დღეც გავიდა, ხვალ ნაძვის ხიდან,  
სათამაშოებს ჩამოვაბრძანებ,  
ყველა ვალები გადახდილია,  
რაც წამოსვლიდან მომყვა აქამდე...

ვწვები, ღამესაც თავის ხიბლი აქვს,  
ვწერ და ამ დღიურს ასე ვამთავრებ!..





## ქრისტეს მონოლოგი

I

ჯერ კიდევ თქვენთან პირველმოსვლამდე,  
მე მამა ღმერთის მარჯვნივ ვიჯექი,  
ანგელოსები ფრთებს მიმოსავდნენ,  
მეფერებოდნენ ქერუბიმები...

ვიცოდი, შექმნა ღმერთმა ადამი,  
თავის სახედ და თავის ხატებად,  
სადაც სიცოცხლე იყო მარადი,  
იყო სამოთხე და ნეტარება...

ბშირად მინახავს ჩაფიქრებული,  
ღმერთის ფიქრია - სიტყვა-ქმედება,  
როგორ ცხოვრობდა კაცი ეული,  
ბაღში, მისთვის რომ შექმნა ედემად...

ვნახე ადამი და მის ნეკნიდან,  
ქალი, ევაა ვისი სახელიც,  
ვაშლი, შეცნობის ხეს რომ ეკიდა,  
გველი იმ ვაშლის თანამზრახველი...

ხილის გასინჯვა იყო პირველი,  
ცოდვა, რაც ევამ უფალს აჩვენა,  
მეორე ცოდვა - შური ძმისმკვლელის,  
როცა აბელი მოკლა კაენმა...



იმ ცოდვის დღიდან ვნახე ყოველი,  
 ადამის მოდგმის მთელი ცხოვრება,  
 სიმცირე ხალხის - კარგის მყოფელის,  
 სიმრავლე მათში - ავისმყოფელთა...

ვნახე ბოროტის ქმნა და სიბილწე,  
 ხორცის ტკობობისთვის სულით დაცემა,  
 ლოცვასთან ერთად რომ დაივიწყეს,  
 ქვეყნად რისთვისაც შექმნათ გამჩენმა...

და მითხრა მამამ: მათ სივერაგემ,  
 გადააჭარბა ყველა მოლოდინს,  
 ათი მართალი კაცი ვერ ვნახე,  
 რომ არ დამეშვა ქვეყნად „სოდომი“...

იყო შიმშილი, იყო წარღვნის დღე,  
 მათ კიდევ მივცემ გზას და არჩევანს,  
 როგორც ძე ჩემი, უნდა ნახვიდე,  
 კაცობრიობის გადასარჩენად...

ქრისტე მიწოდა მამამ სახელად...  
 ვინც მიწამეთ და ვინც ვერ მიწამეთ,  
 თქვენი ცოდვების გამოსახსნელად,  
 მე ჩამოვედი დედამიწაზე!..



II

სცოდავდნენ ძველი ალთქმის მამები,  
იყო ტადრებში ყიდვა-გაყიდვა,  
მე ეს ცხოვრების მატრახაზები  
გავყარე ჩემი მამის საყდრიდან...

და მომიძულეს, რადგან იცოდნენ,  
არ მოვიშლიდი იმათ მხილებას,  
მე მჭირდებოდა ჩემი სიცოცხლე,  
მათი თვალების ასახილველად...

და ვპოვე მაინც ზოგში საყრდენი,  
ერთგული იყო გვერდით ვინც მყავდა,  
ძედ მოვლენილი უფალს ვაქებდი  
და მუცლით შობილს დედა მიყვარდა...

ხშირად ვახდენდი სასნაულებსაც,  
თუმც ჩემს მისიას ბევრჯერ ვმალავდი  
და იყო დიდხანს ჩემი ბუნება,  
ღმერთს და კაცს შორის შუამავლი...

ბევრს გავუხსენი ტადრის კარები,  
ბევრისთვის კარი იგი ჩავრაზე,  
მე ავუხილე ბრმა კაცს თვალები,  
მე აღვადგინე მკვდრეთით ლაზარე...

ხან დავაპურე ხალხი მანანით,  
ხან წყალი ღვინოდ გადავაქციე,  
ბერვს ჩემი სწამდა, მაგრამ მავანნი,  
ავად მითვლიდნენ ყველა საქციელს...



ჟამი დგებოდა სისხლის გაშვების,  
 ხსნის - ადამის ძის ცოდვილ მონათა  
 და ჰა, ნიშანიც - იორდანეში,  
 იოანესგან ჩემი მონათვლა...

შემოვიკრიბე მოციქულები,  
 რასაც დაერქვა მერე „სერობა“,  
 იქ გავამჟღავნე თავი სრულებით,  
 ვამცნე, რომ დევნა დაიწყებოდა...

ვთქვი: ეს დღეც თქვენთვის უფლით ხსნილია,  
 ზიარებისთვის თითოელის,  
 ღვინო, დაღვრილი ჩემი სისხლია,  
 პური - ხორცია ჩემი სხეულის...

მე გეტყვით: უფლის ნება ახდება,  
 არც დამეთანხმობთ, არც იუარობთ,  
 ერთი თქვენ შორის დღესვე გამცემს და  
 ერთი თქვენგანი სამჯერ უარმყოფს...

დაიწყო... მარტო სულის კი არა,  
 ძედ მოვლენილის ხორცის ტკივილი,  
 ღამე გაჰკვესა ვერცხლის ჩხრიალმა,  
 სამჯერ მომესმა მამლის ყივილი...

არ განვიკითხე, კაცი ვიცანი,  
 თავის ბუნებით, ძალით, ნიჭითაც,  
 მეც ხორცი მესხა ადამიანის  
 და თმენა ტანჯვის მაინც მიჭირდა...

უსულიეროდ ტყეც უსიერობს,  
 ვით ეკლესია, მრევლს რომ დაჰკარგავს,  
 ბრბო გაჰყვიროდა - ჯვარცმა იესოს,  
 თავისუფლება მკვლელს და ავაზაკს...

მცემდნენ ორკაპით, მათრახს მირტყამდნენ,  
 სისხლი მდიოდა ზურგზე ზოლებად,  
 კვარცხლბეკზე ისე იდგა პილატი,  
 მზე რომ რიჟრაჟზე გაიზმორება...

გვირგვინს მადგამდნენ დანულს ეკლისგან,  
 რომის უხეში ჯარისკაცები,  
 მთელ დედამიწას ღანვზე ეკიდა,  
 ცრემლი ღვთისმშობლის სველი თვალების...

ვგრძნობდი, ვხედავდი ყოველ ნაბიჯზე,  
 დედის მალული მზერა დამდევადა,  
 ემზადებოდა ჩემი ჯვარცმის დღე,  
 უკანასკნელი ღამის სათევად...

ჯვარს შემიყენეს, მამამ რომელიც  
 გამოაგზავნა თითქოს ზეციდან,  
 ჯვარი კი არა, უნდა ყოველი,  
 ადამიანის ცოდვა მეზიდა...

ვინ თმას იგლეჯდა, ვინ ქვას ისროდა,  
 იყვნენ მართალნიც, მოუსყიდავნიც,  
 ხან ჯვარი ჩემი მხრებით მიმქონდა,  
 ხან ამ ჯვარს გზაზე თავად მივყავდი...



აჰა, გოლგოთა, ჯვარი აღმართეს,  
 ხიდად დებული ლოტის ძელხისა,  
 მე სისხლი ჩემი მისთვის დავღვარე,  
 კაცობრიობის ხსნა რომ მეხილა!..

III

მე ვარ იესო, ახალ აღთქმიდან,  
 ღმერთი ცოცხალთა, მკვდართა, ცოდვილთა,  
 ორიათასი წელი გავიდა,  
 ჩემი ამ ქვეყნად პირველმოსვლიდან...

მე ვარ ნათელი, მზე და დიდება,  
 იმათიც, ვინც სხვა ღმერთი იწამეთ,  
 ჟამი სრულდება, მალე იქნება,  
 მეორედ მოსვლა დედამინაზე...

მე ვარ უფალი, თქვენი სამება,  
 მამისა, ძისა, სულიწმიდისა,  
 ვინც დაიფერფლეთ ჩემთვის სანთლებად,  
 მე ამოგიყვანთ ცოცხლად მიწიდან...

ეს არ იქნება მოსვლა ძე კაცის,  
 თავის მსგავსად რომ შექმნა გამჩენმა -  
 ვისაც ესმოდა, როცა ვეძახდი,  
 სამარადისოდ ჩემთან დარჩება...

ეს არ იქნება მოსვლა ბაგაში,  
 წარმოგზავნილის ხატად თავისად -  
 ვინც ჩემთან იყო მსგეფშიც, მარხვაშიც,  
 ყველას ზეცაში მარჯვნივ დავისვამ...



მერე მოვიხმოზ ყველა დანარჩენს,  
მკვლელებს, ყაჩაღებს, ეშმას მსახურებს  
და გამოვიტან მართალ განაჩენს,  
ისეთს, როგორიც დაიმსახურეს...

ვინც წესად იღო სუსტის დაცინვა,  
აღარ უსმენდა არც კაცს, აღარც ღმერთს  
და ვინც ეს თავის წესად აქცია,  
მე ჩემი წესით გავასამართლებ...

ვინც შურმა სძლია, როგორც კაენი,  
ან ვერცხლის ხონჩამ, როგორც იუდა,  
ღია ექნებათ სკნელის კარები,  
კიბეს არასდროს არვინ მიუდგამს...

ვინც არ დაინდო ძმა და მოყვასი,  
ხელი ასწია მშობელ მამაზე,  
მე წვიმას მათთან ზეცით მოყვანილს,  
ცეცხლის მძივებით შევალამაზებ...

ვინც დაივინყა ცოდვა სოდომის,  
წარღვნა, გომორი ძველი ალტქმისა,  
აღსარებისას ვინც არ მომენდო  
და ყველაფერი გულით არ მითხრა...

ვინც ეკლესია მტრებით აავსო,  
ბილწად შეეხო ხატებს, წმინდანებს,  
მე მათ სუყველას ამის სანაცვლოდ,  
დავტოვებ ცოდვილ დედამინაზე...



წყალი გექნებათ, მაგრამ ვერ შესვამთ,  
პურს ვერ მიიტანთ ახლოს პირამდე,  
არვინ მოგივათ მხსნელად, მშველელად,  
როგორც იცრუეთ, ძარცვეთ, იპარეთ...

მსაესი გექნებათ ტანჯვა, წამება,  
მოგიბრუნდებათ თქვენი ცოდვები,  
მაგრამ მე მაინც გული დამწყდება  
და ბოლოს ყველა შემეცოდებით...

და როცა სკნელის იმ კარს შეაღებთ,  
სადაც თქვენს ყველა ცოდვას იხილავთ,  
და რომ მიხვდებით კარში შესვლამდე,  
ველარ გამოხვალთ უკვე იქიდან...

როცა გულს გატკენთ სხვისი ჭრილობა,  
თქვენი, თქვენს გამო მიყენებული,  
სინდისის ზღვაში როს ჩაიფლობა,  
თქვენი სული და თქვენი სხეული...

როს სინანული სრულ ზღვარს მიაღწევს,  
მართალ გულს დადებთ უფლის ხაროზე,  
მე მზეს ავანთებ დედამინაზე  
და დაგიბრუნებთ ისევ სამოთხეს...

სადაც სულ ორი სიტყვა იმეფებს,  
მზედ სამყაროზე ამოქარგული,  
სიყვარული და მხოლოდ სიკეთე,  
მხოლოდ სიკეთე და სიყვარული!..

ՀԱԺԱՆՆԵՐ  
ԿՈՒՆ ԿՈՒՆԻՅՈՒՄԸ



## ნერილი ჯუბას

კარგი დრო გიდგას ძმობილო,  
 მოილექს-მოიარაკე,  
 ლამაზ ლამაზი სიტყვებით,  
 მთა-ბარი მოავარაყე...  
 დათვისის "ნისლებს მოები" ,  
 მოილუდ-მოიარაყე...  
 სად იყავ ,სიდან მოხვედი,  
 ვისი ნიორი დანაყე?

უცხო მხარეში რომ დახვალ,  
 კახეთიც მოიარე ყე,  
 თუ მოიცალო, წავიდეთ,  
 რაჭული ლორით დავნაყრდეთ...  
 დილაზე გამოგვალვიძებს,  
 ლექსი ნატკენი ნეკნივით...  
 ეხლა ნუ დამეკარგები,  
 ობოლი ლომის ლეკვივით,  
 საქმე რომ არ გქონდეს რა –  
 ხანდახან გადმორეკევი!

## პასუხი კობას

რა გითხრა, ნაუცბათევად,  
უფროსო ძმავ და პოეტო,  
შენც ისურვებდი გაქცევას,  
ხელთ ჩაგვარდნოდა მომენტ რო...  
თავს ისე ვგრძნობდი ბასკებთან,  
ვით კორიდაზე ტორერო!..

თუმც, მაინც უნდა გამოვტყდე,  
იქაც ლუდს ვსვამდი არაყზე,  
ვერც იქა ვნახე სამოთხე,  
ვერც რამე მოვივარაყე...  
ისე ველოდი ჩამოსვლას,  
როგორც მიჯნური საყვარელს!..

მახსენდებოდა დათვისი,  
ლუდში ჩათლილი ბეჭდები,  
ხევსურულ კილო-კავივით,  
ლიბოს შეზრდილი ლექსები...  
სამშობლოს გარდა ქართველისთვის,  
არც სადმე არი ედემი!..

და აჰა, მთელი ოთხი დღე,  
უკვე აქა ვარ, ძმობილო,  
მოვალ, რალაი მომიხმე,  
რად ვარეკინო მობილურს,  
მე შენ გეტყვი და სამსახურს,  
რიგზე და რიგზე ვშოულობ!..



გავსინჯოთ ღორი რაჭული,  
 უიპიტაურიც გადავჰკრათ,  
 მძახლებს უთხარი ბაჭულიც,  
 გაგვასინჯინონ ხანდახან...  
 არც სუფრა გადაპრანჭული  
 და ქალი მთის ხალხს არა ჰხამს!..

ერთსა კი გკითხავ, მოსვლამდე,  
 რა ხდება ამ ჩემს მამულში?  
 ბერბიჭაშვილნი მომრალდნენ,  
 გვმართავენ იასაულნი...  
 კარგ იქნებოდა ზოგ-ზოგებს,  
 გახსენებოდათ საული...

ჩვენ კი რა, ლუდიც გვეყოფა,  
 ხინკლისთვის გადანახული,  
 კვამლი რომ ასდის ქერხოდან,  
 ისაა დღესასწაული!..

**დათვისური შაირი ჯუბა ღებელს -  
პასუხის პასუხად**

გამახარე, რომ მომწერე,  
ეს ლექსი გაუეკაური:  
ზარივით აჟღერებული  
მარტის ნვიმების წკარუნი...  
თითქოს ხმა – შეჟანგებული,  
ხევსურული და სვანური...

მოდმე ბასკებთან ჩასულხარ,  
ვაჟი ყოფილხარ ვაჟური!..  
შენ მოგიხდება, ძმისწულო,  
თავს–ჩაჩქანჩამონახური!  
ლუდი ხევსურეთს ნადული,  
ულვაშზე ჩამონანური...  
ბასკეთს კედებით წასულო,  
წულა რა უყავ რაჭული?!  
ლექსი კი არ დაგვინყნია,  
რითმებით გამოკვანჭული,  
ემაგრე, სადმე არ დამრჩე,  
ქალების გამოკლანჭული!..

ამ ჩვენს მამულშიც ქაჯები  
ყირაობენ და შარობენ,  
ლეგა ღრუბელნი ბრუიან,  
ავდარობენ და დარობენ...  
კაცები კაცმაცუნობენ,  
"ქალაი ველარ ქალობდეს",



ზოგი სხვას უჯდეს კალთაში,  
 სხვის გალიებში გალობდეს...  
 არც ისე შორი ყოფილა  
 აქედან გულანშარომდე...

შენ დაგიფაროს უფალმა:  
 ხარი ხარულად ხარობდე!  
 ლუდში ჩათლილი ბეჭდების  
 ფიც-ვერცხლის მადლი გწყალობდეს...  
 ჩამოგდიოდეს ცის ცვარი –  
 უფლის მანანა გკმაროდეს...  
 იგრე გახაროს გამჩენმა,  
 როგორაც მე მიხაროდე...

ეხლა ჩემსაც თუ იკითხავ,  
 ვწევარ ამ სოფლის ჯვალოზე,  
 გუდანის მაგანძურივით,  
 დროს ვითვლი ხარის გალოზე...  
 ვკალოობ ჩემო ძმობილო,  
 ბებერი მთვარის კალოზე...  
 ეს facebook-ი ვერ ვიცი,  
 რაც ვიცი, ესეც მკმაროდეს?!  
 დაგჭირდე, შემეხმიანე,  
 თუ მოგენატრო კვლა, ოდეს!..



## ღათვისურის პასუხად კობას

რალა დავმალო, მეამა,  
პასუხი უფროს ძმობილის,  
ჩაკიდებულის სმაში და  
ლექსებში გამონრთობილის,  
მადლობა, დიდო პოეტო,  
აქ საშაიროდ მოცლისთვის!..

სულ გიხსენებდი, წერილი,  
დაგიგვიანე თუმცალა,  
მე რალა მოსაკითხი ვარ,  
როცა მამული სულს ლაფავეს,  
სულ “მალლა, მალლას” ვმღეროდით,  
რატომ ვეშვებით სულ დაღმა...

ან გულანშაროს ხსენებამ,  
რად გამახსენა მე ტატო,  
იქნებ იმიტომ, ვერც სიტყვა,  
ველარც მერანი მერანობს,  
ხმა მესმის ბარათაშვილის -  
“ჰოი, დედანო, ნეტარნო”!..

დედა ვთქვი, თუმცა მე უფრო,  
დღეს კაცის ბედი მადარდებს,  
ვინლა ახსენებს პაატას,  
თევდორეს ანდა მარაბდელს,  
ლამის ცოლ-შვილებიანა,  
ყველა “წითელ ჯვარს” ჩავბარდეთ!..



კიდევ კარგი რომ მე მაინც,  
 გამოვექეცი ევროპას,  
 ვერ “გამომკლანჯეს” ქალებმა,  
 თუმც ბევრი შემომეღობა,  
 ჯაყოს რას ვჩივი, ჩინელი  
 იღობავს, ხნავს ჩემს ეზო კარს!..

ურჯულო ყამირს მიოხრებს,  
 სად მამა-პაპის ძვლებია,  
 გულანშარომდე კი არა,  
 ისნამდე ჩასვლა ძნელია,  
 საქართველოში სამშობლო,  
 კვლა ისევ მოსაძებნია!..

ნეტავი გაბრწყინდებოდეს,  
 ეს ჩემი დედულ-მამული,  
 ენა ნუსხური, მხედრული,  
 ლამაზი ასომთავრული,  
 არ ვნახო ქალი ჭიპ-მჩენი,  
 ვაჟ-შარვალ-გამოფხაული!..

დრო ხმლების ქნევის წავიდა,  
 უსაგნოდ ქმნის და ფაფხურის,  
 აღარც ჩაჩქანი გვიშველის,  
 არც მისი ჩამონახური,  
 მომინდა შენთან არაგვზე,  
 გადაკვრა ჟიპიტაურის!..

ჯეჯილად იქცეს ის ჯვალო,  
შენ წამონვები რომელზეც,  
სამშობლოს გადასარჩენად,  
ძალი და ღონე მოგეცეს,  
კალოზე მშვიდად მძინარნი,  
არ მივცემოდეთ ოცნებებს!..

რა მართალი თქვი ქაჯებზე,  
ამათთან ახლოს ვერ მოვლენ,  
ხალხის და ქვეყნის ძარცვაში,  
ვერც პილატე და ჰეროდე,  
ნეტავი დიდი მეფენი,  
ცოტა ხნით გაცოცხლდებოდნენ!..

გადაარჩენდნენ სამშობლოს,  
ზნეობას, ჩვევებს, ადათ-წესს,  
რისთვისაც მთელი სიცოცხლე,  
დაუფიქრებლად გადადე,  
გუდანის ხატმა დაგლოცოს,  
ებარებოდე მაღალ ღმერთს!..

შენი სამშობლოს მთა-ველი,  
არ მოშლილიყოს აროდეს,  
რძემ და მირონმა იდინოს,  
უფლის გადმოღვრილ წყაროზე,  
დრო შენი ხარის გალოზე,  
სვე-ბედნიერად ასწლობდეს!..



წინაპრის კვალზე მავალო,  
იმათი სულის მგალობელს,  
ხოგაის მინდის შვილთაშვილს,  
თორღვა ძაგანის მახლობელს,  
მამულის ყველა ხატი და  
ჯვარ-სალოცავი გწყალობდეს...

“იგრე გახაროს გამჩენმა,  
როგორაც მე მიხაროდე”!..





**სარჩევი**

„ჩემი მიწის ვარ ლელთლუნია“..... 3

ჯუბა ლებელი - 50..... 7

ავტორისაგან..... 9

ქართველები..... 11

შემოღობდათ პოეტებს გზაში..... 13

\* \* \* ასე ტირიან მერე ნისლებიც..... 15

\* \* \* თახში ბნელა, გარეთ ქარია..... 15

მიყვარხარ, ადამიანო! ..... 16

ქრისტიანი ლექსი ..... 17

\* \* \* ამქვეყნიური ცხოვრება ..... 18

შენ ხარ და კმარა! ..... 19

ის მეცოდება..... 20

როგორ მიყვარდით ..... 21

ამ სოფლიდან იმ სოფლამდე ..... 22

მტრედები ..... 23

ის თბილისი..... 24

დარჩა სოფელში ჩემი ბავშვობა ..... 25

\* \* \* გზაზე ერთი ქალი მიდის ..... 27

ო, მშვენიერო! ..... 28

\* \* \* ნვიძაა, ავდრით გადაღლილ ..... 29

დათვისი ..... 30

\* \* \* ახლა შორსა ხარ და მენატრები ..... 31

\* \* \* მე მირჩევნია ცაში ფრენა ..... 31

მივდივარ ..... 32

ვალსი ..... 33

შენ მაგონებ..... 34

\* \* \* მივალ ნუთისოფლიდან..... 35

\* \* \* კვლავ მენატრები ტკივილამდე ..... 35

\* \* \* დიდი ხანია არ სძინავს მშვიდად ..... 36

ქუჩაში თოვდა ..... 36

სონეტი ..... 37



* * * გიშრისფერ თვალებში.....	39
* * * ვიცი, სიცოცხლეს აზრი არა აქვს .....	39
* * * ჩამოღვენტილა სანთლივით.....	40
* * * ვარ შენი მზით .....	40
ქართველი ვარ! .....	41
* * * მე ვარ შენს ღველფში ამონანები.....	42
* * * რაღა უნდა მსურდეს .....	43
* * * როგორ ახერხებს მინა.....	43
* * * ვე მარია.....	44
ომარ ხაიამს - ნაბახუსევზე.....	45
მეგობრული შარჟი გალაკტიონს.....	46
პაოლოს.....	46
თემურ ჩალაბაშვილს .....	47
* * * მოგლიჯეს მამის სახელი .....	48
ფსალმუნებიდან .....	49
* * * შენით ვწუხ და შენით ვმღერ .....	49
სამშობლოში დავიმარხო .....	50
* * * წევხარ და ისევ არ გეძინება .....	50
რას გაუმარჯოს .....	51
* * * შენ მიდიოდი .....	51
შენ ხარ პოეტი.....	52
* * * მზედ მბრწყინავი მინანქარი.....	53
* * * ამ დიდ სოფელს.....	53
* * * ეს არის ჩემი სიმდიდრე.....	54
პოეტს .....	54
* * * აღარც მურმანი, აღარც მუხრანი .....	55
* * * თითქოს სულ რაღაც ერთი წამია .....	55
წინაპრებს .....	56
ვაჟას - ფშაველას .....	57
ტარიელ ხარხელაურს.....	58
ისევ ტარიელს .....	58
* * * კლდეს დააჯდება ყორანი.....	59
სოფლის პეიზაჟი .....	60



მე როცა ვიბადებოდი..... 61

\* \* \*მომბეზრდა წერა და რითმების შერჩევა ..... 62

\* \* \*რასაც ვერ მიაგნო ტატომ ..... 62

ერეკლე საღლიანს..... 63

საუკუნე ..... 64

\* \* \*სულის შვებაა სიკვდილი..... 65

ვაჟა-ფშაველას ..... 66

\* \* \*ლექსებს არა ვწერ ტაშისთვის ..... 67

პოეტი ..... 68

\* \* \*ვიცი, დროებითია..... 69

\* \* \*წისლს ქროლვა უნდა ქარდაქარ ..... 69

არ დამტოვო, უფალო! ..... 70

\* \* \*გავცდი სვეტიცხოველს ..... 71

\* \* \*გარეთ ახლა წვიმაა და ქარია ..... 71

სტეფანმინდა ..... 72

ღვთისმშობელო მარიამ! ..... 73

სიკვდილს..... 74

\* \* \*არ მინდა ოქროს სასახლე..... 76

\* \* \*მენატრები ძალიან ..... 76

\* \* \*ლოცვასავით შვებას მომგვრის ..... 77

\* \* \*ჩვენ შორის დარჩეს..... 77

\* \* \*ყველა იისფერით დადის ..... 78

რომ მიყვარხარ, ხომ არ დაგავიწყდა?!..... 79

\* \* \*მთელი ეს წუთისოფელი ..... 80

როცა მიყვარხარ, მაშინ!..... 81

\* \* \*სულ სიყვარულით ვინვოდი ..... 82

\* \* \*რომ ვიყო მოდილიანი..... 82

მიყვარხარ!..... 83

დაცარიელდა..... 84

ინვის ჩემი სანთელი ..... 85

ფიქრები საქართველოზე ..... 87

მენატრება ბათუმი ..... 88

სულ პირველი საქართველო ..... 90



ჩემი სამშობლო აქ არის!.....	91
ბათუმი .....	92
* * *ნანინასავით ჩამესმის .....	93
* * *თენგოსთან, გორისციხეში .....	93
* * *ჯვარს რომ გაივლი და მერე.....	94
* * *ჩემო სამშობლოვ.....	94
მონატრება.....	95
ღ ე ბ ი .....	96
ღებს.....	97
თიბვა.....	98
ფაზისიდან.....	99
ღებში.....	100
საგლოლოსთან .....	101
ადიგენის რაჭულ სოფლებს .....	102
რაჭული სასიმღერო.....	103
იაგო გოგრიჭიანს .....	104
ვეფხვია გავაშელს .....	105
სამშობლოს მთებს.....	107
სმა მოენატრათ პოეტებს .....	108
რაც კი ოდესმე დამნანებია .....	109
* * *ვერის დაღმართს მივუყვები .....	110
* * * ყოველ ქარის ქროლვაზე.....	111
ოლიმპოზე .....	112
მაგრამ პოეტის გზა მაინც სხვაა .....	113
ვთამაშობთ ცხოვრებას .....	114
ხანდახან .....	114
* * * გადაირბინა ქუჩაზე ძაღლმა .....	115
მწვერვალზე ასვლა მითხარი, თორემ.....	116
* * *მამულო .....	116
ტიბაანი, ხირსა.....	117
„ოდაბადემ ობირეში“ .....	118
ნიკოლოზ ბარათაშვილის სიმღერა სამშობლოზე .....	119
საქართველოვ, ჩემო!.. .....	120





დაგვრჩა თავისუფლება..... 120

მესამე სვეტი ..... 121

ჩემო უნმიდესო და ჩემო უნეტარესო!..... 122

ილია II..... 123

ჯვარი მიგვათრევს..... 123

მუჰამედ! ..... 124

ამაღლება..... 125

მე მონანიე იუდა მიყვარს ..... 126

ღმერთო, დამაკოცინე..... 127

წინუბნის წმ.გიორგის ტაძარს ..... 128

ჩემს ეკლესიას..... 129

\* \* \* ღმერთო, ისე ნუ გამწირავ ..... 129

ქრისტე, ღმერთო!..... 130

ჯვარცმა..... 130

უფალს..... 131

წმინდა გიორგის სავედრებელი ..... 131

უფალო ..... 132

ბერო გაბრიელო!..... 133

ათცამეტზე ცოტა მეტი ..... 134

კვეტერა ..... 137

თუშეთი ..... 138

შენაქო ..... 139

კახეთი ..... 139

ბერო ..... 140

მესტია ..... 140

შერმადინ ქალდანს..... 141

ტიციანი ..... 141

ალექსანდრე ყაზბეგს..... 142

გოდერძი ჩოხელს ..... 142

მურმან ლეზანიძეს ..... 143

ქაქუცა ჩოლოყაშვილს..... 143

სადაც არ უნდა წახვიდე ..... 144

ტერენტი გრანელს ..... 144



მეუფე თადეოზს .....	145
ნოდარ გრიგალაშვილს .....	145
გიორგი ანწუხელიძეს .....	146
* * *სამშობლო განა მითია .....	146
ჯანსუღს .....	147
ისევ ჯანსუღს.....	147
გენო კალანდიას .....	148
კონკასთან .....	149
ზურაბ ქაფიანიძეს.....	150
ტრისტან მახაურს .....	151
* * *რამდენი კაცი წავიდა .....	151
* * *გათავდა, დროა .....	152
სიცოცხლე და სიკვდილი.....	152
* * *არ ჩამოჰყრინ ხეები ფოთლებს.....	153
* * *ვხედავ, რაც უფრო ვბერდები.....	153
გოლგოთისკენ მიდის ქრისტე.....	154
წმინდა ბარბარეს .....	155
წმინდა ნინო.....	156
* * *უკვდავების წყარო ხარ .....	156
სამშობლოს.....	157
გზად ტრაპიზონისკენ.....	158
* * *მსურს მზედ ვეფინო შენს კლდეებს .....	158
„გამარჯვება ჩვენია!“ .....	159
საქართველო .....	160
ემიგრანტის სიმღერა .....	161
* * *ტაძრები სისხლით ვაშენეთ .....	161
დიდი იყო საქართველო .....	162
* * *ყავაში ნალექი.....	164
ანაკრეონტი.....	165
რალაც მეტაფორულად.....	166
მარტი .....	167
* * *მიყვარს ჩემი რაჭველები .....	168
* * *ლელთ ღუნია ვარ ჩემი მამულის .....	168



დამებედე!..... 169

ადამიანი ის არის!..... 170

\* \* \*თუ ვნებამ ჩემმა მაცდუნა ..... 171

ადამიანი გიყვარდეთ ..... 172

49..... 173

კომპრომატების მაძიებელთ ..... 174

\* \* \*არაგვს აუსხლტა კალმახი ..... 175

\* \* \*გიგონებდი ქარში ალვას..... 175

\* \* \*რა საჭიროა სიტყვები, როცა..... 176

\* \* \*ჩემი სამშობლოს სურნელი დააქვთ..... 176

თუ სულ ჩემთან იქნები..... 177

\* \* \*რა ძვირფასია სიცოცხლე..... 177

\* \* \* გნერ, როგორც იქნა დავჯექი ..... 178

შენ რომ არა ხარ, მაშინ..... 179

\* \* \* ამოისუნთქეს ნისლეები მთებმა ..... 180

\* \* \*რარიგ მომინდა შენთან ყოფნა ..... 181

\* \* \*თვალციცქნა ედელვასებს..... 181

ატმის ყვავილის ფერი..... 182

\* \* \*შენთან უკვე გვიანია ..... 183

ალარ უნდა მიყვარდე..... 184

\* \* \*მე საკუთარი ხორციდან გავალ ..... 185

\* \* \*მზე ღრუბლებს მოქსოვს ..... 185

სადაც შენ ხარ!..... 186

ახლა შუალამეა..... 187

\* \* \*ფრენა მსურს ..... 188

\* \* \*როცა იქნება ..... 188

ბათუმში ..... 189

\* \* \*ვინც სიყვარულის მაღლივით..... 189

\* \* \*შენა ხარ ცრემლად... ..... 190

\* \* \*ღვთისმშობელივით ლამაზმა ..... 190

\* \* \*არის სიყვარული ..... 191

\* \* \*გექებ ქარში, სულში, ჩემში..... 191

\* \* \*ვიცი ერთადერთი რამე ..... 192



უპირველესად ყოვლის .....	192
* * * იაკობივით რომ შემეძლოს .....	193
* * * მოვა სიბერე, ფლირტი გაქრება .....	193
* * * როგორ მიყვარს თოვლი .....	194
* * * არის ქალაქში ერთი ადგილი .....	195
* * * თუ გინდა .....	195
ნანა ცინცაძეს .....	196
* * * განისვენებს ოთახში .....	196
* * * ხდება ხანდახან .....	197
რა მარტივია ყველაფერი და რა რთულია .....	198
ირმა შიოლაშვილს .....	199
დალი უბილავას .....	200
დიანა ლომიძეს .....	200
მზია ხეთაგურს .....	201
თამარ შაიშმელაშვილს .....	201
ეკა ბაქრაძეს .....	202
მარინა თექთუმანიძეს .....	203
იზა ჯაჭვაძეს .....	204
ჰელლ! .....	205
* * * შენა ხარ ჩემში .....	206
გარეთ ქარია და თოვს! .....	207
* * * დღეს უნდა გნახო .....	208
* * * როგორ მომიცოტავე .....	208
უნისონი .....	209
* * * უცნაურია .....	210
* * * სადღაც ზღვაა .....	210
როდემდე უნდა მომაკლდე .....	211
* * * ვარდს მიჯობს ედეღვაისი .....	211
ვიცი, რომ გძინავთ .....	212
* * * არ ვიცი როგორ .....	213
* * * მიყვარს შენი თეთრი ყელი .....	213
* * * შენა ხარ ჩემი დროც და საათიც .....	214
* * * რა ლამაზი ხარ .....	215



\* \* \* ვინ მოიგონა ლექსები ნეტავ ..... 216  
თითქოს რალაცით ვგავართ ერთმანეთს ..... 217  
მოხდეს, რაც არის მოსახდენი ..... 218  
მომენატრები..... 219  
როგორ დავღალეთ..... 220  
როცა ვიცი, რომ შენ მყავხარ..... 221  
\* \* \* მე, რახანია ..... 222  
კაფია ..... 222  
ესპანური ჩანანერებიდან..... 223  
აქ ნუ დაიმარხებით ..... 223  
ნანას ..... 224  
არნედო ..... 225  
ებრო ..... 226  
პირენეის მთებიდან..... 227  
ესპანეთი ..... 228  
\*\*\*ნეტა მაფრინა ..... 229  
\* \* \*მგლოვიარე არ ჰყავს ცხედარს ..... 230  
საქართველო შენსავით ჯვარცმულია, უფალო! ..... 231  
მეტეხთან ..... 231  
\* \* \*ეხ, ჩემო ტატო ..... 232  
ილია..... 233  
ალარ ერქმევა სამშობლო ..... 233  
აფხაზეთი..... 234  
ექსკურსიაზე..... 235  
\* \* \* ღვთისმშობლის ფეხით მოვლილი..... 236  
\* \* \*პოეზიაში ნყნარად ვარ ..... 236  
სადღეგრძელო ..... 237  
წმინდა ბერ გაბრიელს ..... 238  
ეთერ დაიაურს ..... 239  
ნიკოლოზ აფციაურს..... 240  
ბადრი ბოხაშვილს ..... 241  
დავით კუტიბშვილს ..... 241  
ბაბუას - შალვა (ილია) გოგრიჭიანს..... 242



* * *სხვაგან იქნებ წვიმაა .....	242
დათოს (ლუტოს) - ჩემს მამიდაშვილს .....	243
პატარა გურანდას .....	243
ბაბუას - ოთარ გავამელს! .....	244
ფედერიკო ლორკა .....	245
ტ ი ნ ტ ო რ ე ტ ო (იაკობო რობუსტს) .....	246
რუსთაველი .....	247
ეს ჩვენი მომავალაო .....	248
ნლები .....	249
დედას .....	250
ნანას .....	251
* * * ზოგისთვის წუთისოფელი .....	252
* * * მოვა, „რეკვიემს“ დანერს მოცარტი .....	253
* * * როგორ ვცოტა-ვცოტავდებით .....	254
* * * შენი თქმა განა რად მინდა .....	254
წვიმის პანორამა .....	255
ალილუია .....	255
* * * შემრცხვა .....	256
* * * ჭალაკები, ჭაობნარი .....	257
* * * კუთხეში ჩემ ლექსები ყრია .....	257
პატრონს მიმაბარებინე! .....	258
* * * მე რომ ფრთები მქონდეს .....	259
* * * ნისლო, სად მიხვალ .....	259
* * * ვკემსავ არსებით სახელებს .....	260
ჩემი სკოლა .....	261
* * * დროს ნაჰყვა .....	261
შინაური .....	262
* * * ადამიანი .....	263
მე თქვენ გშორდებით .....	263
* * * მოვკვდები სადმე .....	264
* * * ველარ ვიძინებ .....	264
* * * ზღვა ბობოქრობდა .....	265
* * * როგორც სიკვდილი .....	266



\* \* \*ნეტავი რაზე ფიქრობენ ..... 267

\* \* \*მტერო..... 267

სხვა ყველაფერი ბინდია!..... 268

\*\*\* ცხოვრება ჩემი რთულია..... 269

ადამიანო, იცოდე! ..... 271

მეძავის აღსარება..... 272

\* \* \*ლამე მშვიდობისა ..... 273

ადამიანისმაგვართა ..... 274

ვლალატობ ჩემს თავს..... 276

\* \* \*მე რა მიჭირს..... 277

ნავიქცევით და მორჩა!.. ..... 278

\* \* \*მე დავიჯერე ..... 278

ადამიანო, მჭირდები ..... 279

ქვრივი ..... 280

პოეტი ქალი ..... 280

მატარებელი ..... 281

შოთაობის შემდეგ ..... 281

კაცია ადამიანი?!..... 282

ყანებს ჰგავან ლექსები ..... 283

რა ვაკეთო სამოთხეში ..... 284

\* \* \*სოფლის გზაზე..... 284

\* \* \*წყალს დარჩებიან ქვიშანი ..... 285

\* \* \*იქნება დღესაც განვიმდეს..... 285

აქ ყველა საათს თავისი დრო აქვს!..... 286

მთვარეს ..... 287

მკითხე და გეტყვი..... 288

\* \* \*მოვკვდები, როცა ფოთლები..... 289

\* \* \*ხან ვტკეპნი მიწას ..... 289

\* \* \*მეტროში ვზივარ..... 290

\* \* \*ქარებს ხმლით ვებრძვი..... 290

სხვა რალა უნდა ქვეყანას ..... 291

\* \* \*იყივლე, იქნებ გათენდეს..... 292

\* \* \*რა გაათენებს დილამდე ..... 292



რაც ადამიანს დაუთესია .....	293
* * * ყველას ერგება ერთი ქვა .....	293
ზღვას .....	294
ფიქრები კვეტერაში - შენზე .....	294
არჩევნები .....	295
* * * სალი კლდეების წვეროზე .....	295
კაცის სახელი დამრჩეს .....	296
* * * ხიდი ვერ გავდე ყველასთან .....	296
ჰეი, ვინც უნდა იმღეროთ! .....	297
ვხედავ, ჩემს სხეულს ჰგვის მეეზოვე .....	298
ცისკენ კიბეა ცხოვრება .....	299
შენ ერთმან იცი, უფალო! .....	300
ქრისტეშობა .....	301
* * * მიეცით ვერცხლი .....	302
ემმაკმა იცის ჩემი სისუსტე .....	303
უბისა .....	304
* * * ამ სოფლის ეკლესიაო .....	304
როგორც ჯვარზე, ცაშიც ახლა მარტო ხარ! .....	305
* * * ერთი კვირა კიდევ დარჩა .....	305
საქართველო შენსავით ჯვარცმულია, უფალო! .....	306
* * * წითელი პარასკევია .....	306
* * * პატარა სალოცავებო .....	307
* * * მე მხოლოდ ჩემი სინდისი მქეჯნის .....	307
შენ, უფალო, შენ ერთს .....	308
ლომისის წმინდა გიორგი .....	309
ჯვარცმა .....	310
* * * დროს .....	310
მოხევეებს .....	311
თენგო ავსაჯანიშვილს .....	312
ისევ თენგოს .....	312
ბუთა აფციაურს .....	313
გოჩა ხარანაულს .....	314
მურად მთვარელიძეს .....	315





შობობ ტოგონიძეს..... 316

უფროს მეგობარს..... 316

დებს - გოგოჭურებს..... 317

კობა-აბობ-იაკობ არაბულს ..... 318

ჭაბუბას..... 319

დავით გობეჯიშვილს ..... 320

ალექსანდრე ჩივიძეს ..... 321

ლუკობ ბრიტცეს ..... 321

მირან ფალიანი..... 322

გაიობ ბარდაველიძეს..... 322

პატობობ ამირან მარგიშვილს ..... 323

ალეკოს..... 323

ივანე მარგიშვილს ..... 324

მამის პორტრეტი ..... 325

ბაბუებს..... 326

დავითს..... 327

გოგო და ჩიტი..... 328

\* \* \*მიყვარხობ, ისე მიყვარხობ..... 329

\* \* \*არსად ნავსულვობ ..... 330

იოდმანგანი ..... 330

\* \* \*სულ მებუტები..... 331

სიყვობულზე ნობუქვობი ..... 331

მიყვობარ..... 332

\* \* \*როცობ ზამთობობი ..... 333

\* \* \*ყვობვებულ ვობრდებობდ ..... 334

\* \* \*როცობ დობფობრავს ..... 335

\* \* \*გოგო ტყეში მიდობობდობ..... 336

\* \* \*შენ იყობი ყელი დოქის ..... 337

მთელი ცვობვობ გეძობხდი შენ ეობს ..... 338

სობობ სცობლიობ, სიყვობობობ ..... 340

სიყვობობობის სონეტი..... 341

\* \* \*ხნდობხნ ..... 342

\* \* \*ხობ შეიძლებობ ..... 343



* * *მიდიან წელიწადები.....	343
როცა იყავი .....	344
არავინ ჰყავს სიყვარულს .....	345
ახლა ღამეა .....	346
რა უნდა გითხრათ, ქალბატონო.....	347
ესეც ბოლო დღე .....	348
* * * საიდან გაჩნდი, სიყვარულო?!.....	349
* * * ყოველ წამს შენზე უნდა ვიფიქრო.....	350
* * * ჩემო, ჩემო, ჩემო .....	351
დამზარებია .....	352
და ყველაფერი იცოდეს ცოლმა.....	353
* * * მე დავისვენე, როგორც ბალახმა .....	354
* * *უშენოდ ნისლსაც არა აქვს ფრთები.....	355
* * * „ცარიელია“ დარბაზი.....	356
* * * ცის ტატნობზე გავშლი ტაბლას .....	357
დილიდან დილამდე .....	358
* * *თუ სიყვარული ისევ მოგშივდეს.....	359
* * *წუხელის .....	359
* * *მინდა ისე მიყვარდეს.....	360
* * *გრძნობს გული .....	360
* * *გწერ ისევ, რადგან ყველა წერილი .....	361
ღმერთმა ნუ ქნას შემყვარდე .....	362
* * *მომენატრა შენი წერილები .....	363
* * *მე შენი ხილვა არ მინდა მხოლოდ.....	363
* * *სადა ხარ, ჩემო ალაზა.....	364
* * *მზესა ჰგავს ჩემი ქვეყანა.....	364
* * *დღე დღეს მისდევს .....	364
* * *მიდის დრო .....	365
* * *მზეს შემოგახვევ .....	365
* * * ან რას მეყოფა.....	365
დადუნა.....	366
ნონას - ჩემს დას .....	367
დედას .....	368



მობი ხოფერიბს ..... 368

\* \* \*მნბრეა ნუთისოფელი ..... 369

მბრბმ მბრგიშვილს ..... 369

ემბგრბნტს ..... 370

მბმბდბს ..... 370

გბრდბიცვბლბ ..... 370

თბნბ ჩბლოშვილს ..... 371

ჩბმობბბრბ სბკვდბლმბ ..... 372

\* \* \*ჩუმბდ ნუ მოხვბლ ..... 372

ნუთისოფელში ..... 373

\* \* \*სბკვდბლი ..... 373

\* \* \*სვეტბცხოველი ჯვბრს შესცქერს ..... 373

ნბტვრბ ..... 374

ველსბ მბს, დებრბსბსბ ..... 375

შვბდბ ..... 376

ნრომბ დბ ნულრულბშენბ ..... 376

\* \* \*მბმბ არ უნდბ მოუკვდებ შვბლებს ..... 377

\* \* \*ვისთვისბც ზეცბს ვქბრგბვდბ ..... 378

ზბმთბრბ თბბლისში ..... 378

ქბლი ..... 379

თებრბ თოვლი ..... 379

ცუდბ კბცი ვბრ ..... 380

სბჩუქბრბ ..... 382

\* \* \* დბსბლბმობვდბ ..... 383

\* \* \* ეს სბხლი ჩემბ ნბგნბბ ..... 383

ვბნმეს ვებმებდებოდებ ..... 384

სბლბმბ ბბქოს! ..... 385

დბმებებდებ ..... 386

ბლილო ..... 387

\* \* \*სბბთბ ნბკნბკებს ..... 388

\* \* \* დბლით კბრს რომ შემობბდებ ..... 389

რბზე ფბქრობენ, ნებბვ, ქბლებბ ..... 390

\* \* \* რბ ცოტბ დრო გვბქეს ბდბმბბნებს ..... 391



გაზაფხულის წვიმა .....	392
მხატვარს .....	393
* * * წერენ აკურატულად .....	394
მინანერი თენგო ავსაჯანიშვილისა და გელა დაიაურის ფოტოსურათზე .....	395
* * * ბევრს გასჩენია მულამი წერის .....	395
* * * ზოგი სიტყვაა .....	396
* * * ამაყი ვარ ოშკით, ზარზმით .....	396
ბ ე ბ ი ა .....	397
ხ ო რ ნ ა ბ უ ჯ ი .....	399

*პ მ ყ მ ყ პ ნ*

ქებათა - ქება სიღარიბეს .....	405
მგელ-კაცის ბალადა .....	411
პოეტი .....	416
ემიგრანტის დღიური .....	420
ქრისტეს მონოლოგი .....	431
გაბაასება კობა არაბულთან .....	440